მნიშვნელოვანია) მათ გვერდით საენტოლოგთა სექტის ერთ-ერთი მთავარი წიგნი — „დიანეტიკა“. ამ კადრის შემდეგ კლიპში ჩნდებოდა წარწერა — „რელიგიური მრწამსის მიუხედავად კანონი ყველას თანაბრად იცავს! დევნა რელიგიურ ნიადაგზე აკრძალულია! იცოდე კანონი და იქნები დაცული!“ ამგვარად, **სატელევიზიო ეთერში სისტემატიურად ხდებოდა იმ ტოტალიტარული სექტის რეკლამირება, რომელსაც, სხვათა შორის, ეუთომ „დესტრუქციული ორგანიზაციის“ კვალიფიკაცია მიანიჭა, ხოლო საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ (უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ) პოტენციურად საშიშ რელიგიურ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა.**



უკანასკნელ წლებში ქართულ პრესაში ასევე სისტემატიურად ქვეყნდებოდა ერთ-ერთი საენტოლოგიური ორგანიზაციის — „ნარკონონის“ სარეკლამო განცხადებები („ნარკონონი“ — ნარკომანთა საენტოლოგიის სექტაში გაწევრიანების საშუალებით მათ „რეაბილიტაციას“ ისახავს მიზნად). საენტოლოგთა მიერ გავრცელებულ ანონიმურ განცხადებაში ვკითხულობთ: „საერთაშორისო ანტინარკოტიკული ასოციაცია „ნარკონონი“: 1. ატარებს კონსულტაციებს ნარკოდამოკიდებულებთან ან მათ მშობლებთან და ახლობლებთან 2. იკითხება ლექცია თემაზე „როგორ მოქმედებენ ნარკოტიკები სხეულზე, გონებაზე, როგორ ჩნდება დამოკიდებულება და როგორ ხდება პიროვნების დაცემა 3. აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ გადაგვყავს ნარკოდამოკიდებულები მოსკოვში და მოსკოვის რეგიონში...“ (შემდეგ მითითებულია ვინმე ჯიბლაძის მობილური ტელეფონის ნომერი).

როგორც ვხედავთ, „ანონიმურობის პრინციპი“ ერთ-ერთი ეფექტური ხერხია, რომელსაც საენტოლოგები, სხვა სექტების მსგავსად, აქტიურად იყენებენ თავიანთ პრაქტიკაში. ისინი მოქმედებენ პრინციპით: „მიზანი ამართ[ლებს] საშუალებას“ და ცდილობენ ადამიანის მანამდე გადაბირებას, ვიდრე ის რაიმეს შეიტყობს ამ სექტის არსისა და წარმომავლობის შესახებ. ამიტომ საჭიროა ვიყოთ ფხიზლად და მუდამ გვახსოვდეს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის დარიგება: „საყვარელნო, ყველა სულს ნუკი ენდობით, არამედ გამოსცადეთ, ღმერთისაგან არიან თუ არა სულნი, იმიტომ რომ მომრავლდნენ ცრუწინასწარმეტყველნი ქვეყნად“ (1 იოანე 4,1).

სერგო კერესელიძე

ბეთანიის მონასტერი

ისტორიული წყაროებით ბეთანიის მონასტერი პირველად XI საუკუნეში იხსენიება, როგორც დიდგვაროვან ფეოდალთა — ორბელების მიერ აშენებული საძვალე. ამ გვარის წამომადგენლები დიდძალ მამულებს ფლობდნენ ქვემო ქართლში და სახელმწიფოშიც გავლენიანი თანამდებობები ეჭირათ. ბეთანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი, სავარაუდოდ, XII ს-ის შუა წლებში აიგო იმ ადგილას, სადაც მანამდე უფრო ძველი და პატარა აგურის ტაძარი იდგა, რომელიც X ან XI საუკუნეს განეკუთვნებოდა.

ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილია საკმაოდ დიდი ზომის ფრესკა. მასზე გამოსახულია ქტიტორის პორტრეტი — ბერული სამოსითა და ტაძრის მოდელით ხელში. მის ზემოთ მოთავსებულია წარწერა: „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი“. იქვე სხვა ფიგურაცაა — ლოცვად ზეაპყრობილი ხელებით. ესენი არიან XII ს-ის დიდგვაროვანი ფეოდალები: სუმბატ I ორბელი და მისი ძე — იოანე. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შემდეგ სუმბატი დემეტრეს ძის — დავითის ხელისუფლების დროს თანამდებობიდან გადააყენეს და სვიმონის სახელით ბერად აღკვეცეს ბეთანიის მონასტერში. სწორედ თავის საგვარეულო მონასტერში გაატარა მეფის ყოფილმა დიდმა ვეზირმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები — სინანულსა და ლოცვაშ.ი

მონასტერის მთავარი ტაძრის გვერდით დგას წმინდა გიორგის სახელობის მცირე დარბაზული ეკლესია. მის გარეთა კედელზე შემორჩენილია ქვაში ამოკვეთილი წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ეს მცირე ეკლესია 1196 წელს ააგო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის — იოანე ორბელის მეუღლემ, სომეხთა მეფის კვირიკეს ასულმა რუსუდანმა. ისტორიიდან ცნობილია, რომ იოანე ორბელმაც 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ მოაწყო შეთქმულება. მას განზრახული ჰქონდა მეფის ტახ-

ტიდან ჩამოგდება და მისი ძმისწულის — დემნა უფლისწულის გამეფება. შეთქმულება გამჟღავნდა და გიორგი III-მ დემნა და იოანე ორბელი დააპატიმრა, შემდეგ მათ თვალები დასთხარეს. ასევე სიკვდილით დასაჯეს იოანე ორბელის საგვარეულოს ყველა წევრი. გადარჩა მხოლოდ მისი ძმა — ლიპარიტი, რომელიც იმ პერიოდში ირანში იმყოფებოდა. ეს მცირე ეკლესიაც რუსუდანმა უკვე იოანე ორბელის სიკვდილის შემდეგ ააგო. სავარაუდოდ, რუსუდანიც ამ მონასტერში უნდა იყოს დაკრძალული. XIII ს-ის დასაწყისიდან ბეთანიის მონასტერი უკვე მეფის პირადი კუთვნილება გახდა.

მთავარი ტაძრის ჩრდილო კედელზე შემორჩენილია მეფეთა საკმაოდ დიდი ზომის ფრესკა, ესენი არიან: მეფეთ-მეფე გიორგი III, მას მოსდევს მისი ასული — თამარ მეფე, შემდეგ კი ჭაბუკი უფლისწული, თამარის ძე — ლაშა-გიორგი, რომელსაც თავს გვირგვინი უმკობს, წელზე კი ხმალი არტყია, ანუ იგი უკვე მეფედაა ნაკურთხი (მეფედ კურთხევა მოხდა 1207 წელს, ე.ი. სავარაუდოდ, ფრესკაც ამ წლებით თარიღდება).

ამბობენ, რომ ზაფხულობით თამარ მეფე ბეთანიაში ხშირად ჩადიოდა დასასვენებლად, განმარტოებისა და ლოცვისათვის. როგორც ძველი არქიტექტურის მკვლევარნი ვარაუდობენ, წმინდა თამარ მეფის დროს ბეთანიის მთავარი ტაძარი ქვით მოპირკეთდა და ნაწილობრივ მოიხატა. არსებობს გადმოცემა, რომ თამარის დროს ბეთანიის მონასტრისათვის დაუწერიათ ღვთისმშობლის ხატი — შემდგომში ბეთანიის ღვთისმშობლის ხატად წოდებული. ეს ხატი, როგორც ჩანს, მონასტრის უმოქმედოდ დარჩენის გამო თავადმა ბარათაშვილებმა ქაშვეთის ეკლესიაში გადაასვენეს (დაახლოებით XVI ს-დან ბეთანიის მონასტერი ბარათაშვილების სათავადოში შედიოდა და მათ საძვალედ ითვლებოდა).

XVII-XVIII საუკუნეებში ბეთანიის მონასტერი გაპარტახდა და დავიწყებას მიეცა. გარკვეული პერიოდი იგი სრულიად მიტოვებული იყო: ჩამოინგრა თითქმის ყველა თაღი, გუმბათი, გარემო სულ გაველურდა, ტაძრის სახურავზეც ხეები ამოიზარდა, კედლის მოხატულობაც მნიშვნელოვნად დაზიანდა. ამ დაკარგული სიწმიდის შესახებ მხოლოდ 1851 წელს გახდა ცნობილი, მას შემდეგ რაც ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა და მხატვარმა გ. გაგარინმა მოინახულეს ბეთანიის ტაძარი, გაასუფთავეს იგი ქვათა გროვისაგან და თამარ მეფის ფრესკაც გამოჩნდა. შემორჩენილია იმდროინდელი ტაძრის ფოტოც, სადაც ჩანს, რომ მანამდე ვიღაც, საკუთარი ძალებით ცდილობდა სავანე აღედგინა.

XIX საუკუნის მიწურულს ბეთანიის მონასტერში კვლავ მივიდნენ ბერები და დანგრეულის აღდგენა დაიწყეს. აი, რას წერს არქიმანდრიტი იოანე (მაისურაძე) თავის მოგონებებში: **„ისმინეთ, აწ თუ ვითარ იქნა ბეთანიის მონასტრის განახლება. იყო**



ბერი ვინმე და სახელი მისი სპირიდონ. თვით სპირიდონ ბერი იყო, ხონელი, გვარად კეთილაძე. მამასა ერქვა პეტრე, დედასა — მარინე. ამ ბერმა სპირიდონმა მოისურვა ბეთანიის მონასტრის შეკეთება. სპირიდონ ბერი ბეთანიის მონასტერში ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტში, მარტის თვეში მოვიდა. გავიდა ხმა გარემოს, ბერი ვინმე მოსულა ბეთანიაში და ამბობსო: უნდა განვახოლოვო. თითონ რითი უნდა განაახლოსო, ტანთ არ აცვია და ფეხთა, საჭმელი იმას არა აქს და სასმელი, მოდიან სოფლები, უყურებენ შორიდან. გაუხდა ავად ცოლი ვანო აფციაურსა (ღვდეველს), რომელიც მოვიდა და სთხოვა ბერს, რომ ელოცა იმ ვანო აფციაურის ცოლისათვის, რო მორჩენილიყო. ულოცა და მორჩა. ამიერიდან მეტი მოწყალე იყო ვანო აფციაური ბეთანიის მონასტრისა. ბეთანიის მადლითა სხვანიც იკურნებოდნენ. ესრეთ ღვთის შემწეობითა, ბეთანიის საქმემ წინ დაიწყო წასვლა“.

როგორც ამ ჩანაწერიდან ირკვევა, მონასტრის პირველი აღმდგენელი მღვდელ-მონაზონი სპირიდონი (კეთილაძე) იყო. მამა სპირიდონი — ერისკაცობაში სოლომონ კეთილაძე XIX ს-ის 80-იან წლების ბოლოს შიომღვიმის მონასტერში მივიდა მორჩილად. 1891 წლის დიდმარხვაში ბერად აღიკვეცა და სახელად სპირიდონი ეწოდა. ამავე წელს დიაკვნად აკურთხეს. 1892 წლის დასაწყისში მღვდლად

დაასხეს ხელი და ზედაზენის მონასტერში გადაიყვანეს. 1894 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მან ბეთანიის მონასტერში გადაყვანა სთხოვა; თხოვნა დააკმაყოფილეს. თანდათან ბერობის მსურველებმაც იწყეს მონასტერში მისვლა და 1896 წელს, როდესაც 14 წლის ვასილ მაისურაძე მონასტერში მივიდა, იქ უკვე პატარა საძმო იყო ჩამოყალიბებული. მოვუსმინოთ ისევ მამა იოანეს — **„მაშინ ბეთანიის მონასტერში იყვნენ თითონ მამა სპირიდონი, დოსითე ბერი არევაძე, მიხეილ მღვდელმონაზონი მოლარიშვილი გურული, ზოსიმე ქოჩორაშვილი კუმელი სომეხი კალატოზი, დავითი ცალთვალა მეგრელი ღვაბერია, ალექსი სიდამონიძე გრდანელი, ვასო თბილისელი გვარი არ ვიცი, იოსებ ხიზანაშვილი და მოსე ხიზანაშვილი. ვითომ ბერობდნენ, მოვიდოდნენ, ისევ წამოვიდოდნენ, ვინ იმუშავა ბეთანიაში, მოვიდოდნენ, ზოგიერთნი ისევ წამოვიდნენ. გვყამდა ხელოსანი, რომელმაც იცოდა დურგლობა და კალატოზობა, ვაძლემდით თვეში ხუთი თუმანს, ეს ხელოსანი იყო ნიკოლოზ დაუშვილი, ჰყავდა მოწაფე ვანო რაჭველი, გვარი არ ვიცი“.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„საპატრიარქოს უწყებანის“ მკითხველს!

გილოცავთ დამდეგ 2010 წელს! ბედნიერი და სიხარულით სავსე ყოფილიყოს ამ წლის ყოველი დღე თითოეული თქვენგანისა და ჩვენი ნატანჯი ქვეყნისთვის.

— *არიან ქვეყნები ჩვენზე უბედურად გაჩენილნი და ჩვენზე ბედნიერად მცხოვრებნი,* — გვაშველებს სიტყვას წმინდა ილია მართალი, — *როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..*

რამდენი ასწლეულია ამის პასუხს ეძებს ამ ქვეყნის მოჭირნახულე და ნუგეშს იქიდან იღებს, სადაც უფალს ადიდებენ წმინდა მეფე თამარი და წმინდა დავით აღმაშენებელი, დასნი და გუნდნი მოწამეთანი, ღირსთა მამათა წმინდათა.

თუ არ მოიდრიკება, ეგებ გაირყვნასო, თუ არ გაირყვნება, მაშინ ნაწილ-ნაწილ დაიგლიჯოსო, ბრძანებს მარადიული მტერი და გვიტევს ჩვეული გააფთრებითა და დაუნდობლობით... და რაღა დავრჩებოდით, რომ არ გვესმოდეს მარად სანატრელი ხმა უფლისა: ***„მე თქვენთანა ვარ, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.“***

— იყავნ უფალო, კურთხევა შენი ჩვენზედა და აკურთხე გვირგვინი ამის წელიწადისა სიტკბოებითა შენითა.

მრავალჟამიერ!

სარედაქციო კოლეგია

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო!

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ელ-ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de**
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ბეთანიის მონასტერი

დასაწყისი იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ #2 2010

გადიოდა დრო, ბეთანიის მონასტერი ნელ-ნელა მოქმედი მონასტრის სახეს იღებდა. აშენდა საცხოვრებელი სახლი — ბერთა სენაკები, გასუფთავდა ეკლესიის გარშემო ტერიტორია, აქვე აღმოჩნდა უკვე მივიწყებული ანკარა წყარო. მონასტრის ძმობამ აღადგინა მცირე დარბაზული ეკლესია, რომელიც 1898 წლის 17 მაისს წმინდა გიორგის სახელზე აკურთხეს. აი, რას წერს გაზეთი ივერია 1898 წლის ნომერში: (სტატია მოგყვავს შემოკლებით) — **„17 მაისს იყო დანიშნული კურთხევა ბეთანიის მონასტრის მცირე ეკლესიისა, რომელიც აგებულია ბეთანიის მონასტრის გვერდით. ეს პატარა თლილის ქვის ეკლესია განაახლა ადგილობრივმა მემამულემ, თავადმა დავით ბარათაშვილმა და აი, სწორედ ამ პატარა, ძველის-ძველად აგებულისა და თავად ბარათაშვილის მეოხებით განახლებულის ეკლესიის საკურთხებლად გაემგზავრა შაბათს, 16 მაისს, თბილისიდგან სამღვდელოება.**

მღვდელ-მონაზონი სპირიდონ კეთილაძე ბეთანია

კურთხევა ბეთანიის მცირე ეკლესიისა მინდობილი ჰქონდა ეგზარქოსისაგან არქიმანდრიტ კირიონს (საძაგლიშვილი) და მღვდელ ანტონ თოთიბაძეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერც პირველი და ვერც მეორე ვერ წამოვიდნენ ბეთანიას და ამისათვის მამა კირიონმა თავისის მხრივ კურთხევა მიანდო ქვაბთახევის მონასტრის მღვდელ-მონაზონ ათანასეს (ზურაბიშვილი), ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონ გაბრიელს და ბეთანიის მონასტრის მღვდელ-მონაზონ სპირიდონს (კეთილაძე).

შაბათს, 16 მაისს, ესე სამი საათი იქნებოდა, თბილისიდგან რომ გზას გავუდექით. მგზავრნი სულ ექვსნი ვიყავით: მამა გაბრიელი, მამა ათანასე, მთავარდიაკონი მირონ ომანიძე, მედავითნე-მგალობელი გიორგი ზალიკიანი, ნიკო ბერიშვილი და ალექსანდრე ყიფშიძე. როგორცა ჰხედავთ თბილისელი ინტელიგენცია ძალიან სუსტობდა რიცხვით.

თითქმის ათი საათი იქნებოდა ღამისა, მონასტერს რომ მიუახლოვდით. გალავანში ცეცხლები დავინახეთ, მონასტრიდგანაც შეგვამჩნიეს და ფარნებით გამოგვეგებნენ. ერთმა ფარნიანმა მიიქცია მეტის მეტად ჩემი ყურადღება. მაღალის, ახოვანის ტანისა იყო, კილო ლაპარაკისა ამტკიცებდა, რომ რუსია, თუმცა ქართულად თავისუფლად ლაპარაკობდა. ბოლოს შევიტყე, რომ ეს ადამიანი სახელად ივან ივანიჩია, გვარად ბეზჩასტნი მანგლის-პრიუტიდან. ივან ივანიჩს სახე გაუბრწყინდა, გული აუჩქროლდა, მოძღვარნი რომ დაინახა და იქვე მთის ფერდობიდგან გადასძახა მონასტერში: **„вдарьте въ колоколь“.**

ივან ივანიჩი ფრიად საინტერესო ტიპია. ამისთანა კაცს რუსობაში თუ შეხვდები, თორემ არ გვგონია, სხვა ერში ამისი მსგავსი მოიპოვებოდნენ. მეორე დღეს იმის ფაცი-ფუცს რომ ვუყურებდი, სწორედ ვკვირობდი. რა სიხარულით დახვდა თავად დავით ბარათაშვილს, რომელმაც უამინდობის გამო დაიგვიანა და კურთხევას ვეღარ მოუსწრო, გვეგონა ვეღარ მოვლენ ან ეტლი თუ გაუჩერდათ გზაში, და ვეღარ შესძლეს ფეხით ტლაპოში სიარულიო. ივან ივანიჩმა ხელზედ აკოცა პატივცემულს დავითს და მოახსენა, თქვენი დიდი მადლობელნი ვართ ყველანი, რომ „ეს ბედნიერი დღე“ გვეღირსა, ნამდვილი მამობა გაგვიწიეთ და იმედია, იმასაც მოვესწრებით, რომ უმთავრესი ტაძარი თქვენის მეოხებით შეკეთებულ-განახლებული იქმნებაო.

ივან ივანიჩმა რუსულად და მისმა მეგობარმა ივან ტიმოფეევიჩმა ქართულად სიტყვით მოგვმართეს, რომელშიაც მკაფიოდა სთქვეს, რომ, მართალია, ჩვენ ჩამომავლობით რუსები ვართო, მაგრამ ძველს სამშობლოსთან ყველანაირი კავშირი გავწყვიტეთ, იქ რომ დავბრუნდეთ, ვინ შეგვივრდომებსო. ჩვენი სამშობლო საქართველოა, აქ უნდა დავიხოცნეთ და აქვე უნდა ჩავიდეთ საფლავშიო.

თუმცა ფეხით სიარულმა კარგა დაგვღალა და ნვიმამაც ლაზათიანად დაგვასველა, მაინც გულმა აღარ მომითმინა და მისვლისთანავე შევედი უმთავრესს ტაძარში თამარ მეფის სურათის სანახავად. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. გუმბათის პირდაპირ, შევამჩნიე მუხლ-მოდრეკილი მონაზონი ქალი, რომელიც მაღალის ხმით კითხულობდა საღმრთო წერილსა.

სიბნელის გამო ხეირიანად ვერ გავსინჯე სურათები თამარისა, გიორგი მესამისა და ლაშა-გიორგისა. ეს კი კარგად გავარჩიე, რომ სურათი დიდებულის მეფისა ძალიან დაზიანებულა, გაჭუჭყიანებულა, საღებავი გახუნებულა და მრავალს ალაგას შეუგნებელის ადამიანის ხელს წაუბღალავს. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თამარის სურათი გადარჩენილა იმ უბედურს ბედსა, რომელიც ეწვია საფარის მონასტრის კედლებზედ დახატულს ათაბაგთა სურათებს. ჯერ იყო და ახალციხის ბიჭ-ბუჭებმა თვალები დასთხარეს ათაბაგთა და ამ რამდენისამე წლის წინად კირით შეგლისეს, მხოლოდ ერთ-ერთის ათაბაგის თავიღაა დარჩენილა შეუმურავი. როდესაც, შარშან, ამ გარემოებას ყურადღება მივაქციეთ, საფარის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა პაისიმ გულუბრყვილოდ გვიპასუხა, რომ სულ ერთია, მაინც ხომ უნდა გაილესოს გაჯით კედლებიო.

ქალაქიდგან ამოსულთ შაბათ ღამე არა გვძინებია. სამღვდელოება შეუდგა წესრიგის გამზადებას, ჩვენ კი საერონი ბეთანიის მონასტრის წარსულის შესახებ ვსაუბრობდით. აღმოჩნდა, რომ მოსაუბრეთა შორის გიორგი ზალიკიანს უნახავს ბეთანიის ტაძარი 1865 წელს. მონასტრის გალავანიო, სთქვა გიორგიმ, უშველებელი ხეებით იყოვო დაბურული, თვით უმთავრესს ტაძარში მთიულნი ღამ-ღამით საქონელს აბინავებდნენ და ათასი სისაძაგლით ავსებდნენ ეკლესიასო. თამარის სურათი კი მშვენივრად ყოფილა შენახული, არსად არ ყოფილა წაბღალული. მონასტერი დაუთვალიერებია აგრეთვე ქვაბთახევის მღვდელ-მონაზონ ათანასეს 1890 წელს. ამ დროსაც სურათი თამარისა ისე არა ყოფილა წაბღალული, როგორც ეხლა. არ მახსოვს, როდისა ნახეს ბეთანიის მონასტერი დ. ბაქრაძემ და პროფესორმა ალ. ცაგარელმა, ან რა მდგომარეობაში იყო მაშინ თამარის სურათი. იმას კი ყველა დანამდვილებით ამბობს, რომ გაგარინმა რომ ნახა მონასტერი ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს, თამარის სურათი მშვენივრად ყოფილა შენახული, მოსაუბრეთაგან ვიღაცამა სთქვა, რომ ბეთანიის სანახავად თავადი მ. ს. ვორონცოვიც მობრძანებულა.

ცხრა საათზე სამღვდელოება შეუდგა ეკლესიის კურთხევის წესის შესრულებას. ამავე დროს, ივან ივანიჩმა და ივან ტიმოფეევიჩმა აღმართეს ეკლესიაზე თბილისიდგან მოტანილი ჯვარი. კურთხევის გათავების შემდეგ დაიწყო წირვა ახლადნაკურთხ ეკლესიაში, რომელიც ისე მცირეა, რომ ოცი კაცი ძლივს ეტევოდა, სამღვდელოების და მგალობელთა გარდა, ათი სული დიდის გაჭირვებით თავსდებოდა შიგა. წირვა იყო ქართულად, გალობდნენ ნ. ბერიშვილი, გ. ზალიკიანი, ქვათახევის მონასტრის მედავითნე გიორგი კანდელაკი (შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი) და კავთისხევიდან მამა ათანასეს მიერ მოწვეული მედავითნე ალექსანდრე კოტეტიშვილი (შემდგომში ქვემო კავთისხევის ეკლესიის მღვდელი).

ჯერ წირვა არ გასულიყო, რომ მთის ფერდობზე შევამჩნიეთ თბილისიდგან წამოსული სტუმრები. სწორედ ყველასა სწყინდა, რომ ბეთანიის განახლების დღეს მცირე რიცხვი ქართველი ინტელიგენტებისა დაესწრო და ამისათვის დიდად გაგვეხარდა მათი მოსვლა. სულ ოთხი კაცი იყო: ექვთიმე თაყაიშვილი, არისტო ქუთათელაძე, ი. მგალობლიშვილი და ზ. ჩხიკვაძე. უფრო ბევრნი წამოვიდოდნენო, გვითხრეს მოსულთა, რომ საძაგელი ამინდი არ ყოფილიყო.

თბილისიდან მოსულ ინტელიგენციას და სამღვდელოებას გაუმასპინძლდა მამა სპირიდონი. სადილი თავდებოდა, სტუმარნიც აიშალნენ კიდეც და წასვლას აპირებდნენ, რომ ამ დროს გამოჩნდა პატივცემული თავადი დავით ბარათაშვილი, მერე ისიც მარტოთ კი არა, მთელი ოჯახობით. მისი მეუღლის კნეინა იულიას, შვილების — ზაალისა და ეკატერინეს გარდა იყვნენ: კნეინა ნ. თარხნიშვილისა, ქალბატონი ჩაჩიკაშვილისა და კიტა აბაშიძე. მოსულნი იმ წამსვე ახლადნაკურთხ ეკლესიისკენ გაეშურნენ, სადაც მამა სპირიდონმა მცირე პარაკლისი გადაიხადა. თავადი დავითი ოჯახობით, არ. ქუთათელაძე და ზ. ჩხიკვაძე კვირა ღამესაც დარჩნენ ბეთანიას ღამის სათევად, და დანარჩენნი კი საღამო ხანს თბილისკენ გაემგზავრნენ".

ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე თავადმა დავით ბარა- თაშვილმა ბეთანიის მონასტერს შესწირა სახნავ-სათესი მიწები. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია 1897 წლის 4 მარტით დათარიღებული წერილი, რომელსაც დავით ბარათაშვილი გასცემს მამა სპირიდონის სახელზე: „1897 წლის მარტის 4-სა დღესა, მიეცა ესე წერილი მღვდელმონაზონ სპირიდონსა, მასზედ რომელ ნებასა ვაძლევ ჩემს მამულს ბეთანიაში დაბინავებას, რათა ყურადღება იქონიოს, როგორც ეკლესიაზედ, ისე მამულზე. ამას გარდა, არავის ნება არა აქვს ჩემგან მიცემულ მამულში ხე-ტყე მოსჭრას, თვინიერ საზამთრო საძოვრის სარგებლობის გარდა, რომელიცა მაქვს მიცემული შაჰყულაშვილისთვის და ამისა გამო ნებას გაძლევთ, რომ ყველას აღუკრძალოთ ხეების მოჭრა. თქვენ თვითონ ნებას გაძლევთ ისარგებლოთ თქვენის საჭიროებისათვისა, რაც საჭირო იქმნება თქვენთვის საბოსტნე ადგილთა სახნავითა, სათიბითა და სხვა და აგრეთვე ისარგებლოთ შეშითა და ხე-ტყითა და აგრეთვე რაც ეკლესიას დაჭირდება ხე-ტყე".

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მონასტრის განახლებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს არისტო ქუთათელაძეს და თავად კონსტანტინე იოანეს ძე მუხრანბატონს.

განსაკუთრებულ მზრუნველობას ბეთანიის მონასტრისადმი იჩენდა ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). მამა სპირიდონიც ხშირად იღებდა მისგან რჩევა-დარიგებებს. *1902 წლის 4 მაისს, შაბათ დღეს, იგი ეწვია მონასტერს. კვირას, შემდგომად წირვისა, მეუფემ გადაიხადა პანაშვიდი, თანდასწრებით მონასტრის კრებულისა, განსვენებულის დავით ზაალის ძე ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად, რომელმაც მონასტერი უზრუნველჰყო მშვენიერის მამულის შეწირვით. შემდეგ ყოველადსამღვდელომ დაათვალიერა განახლებული ეკლესია და აგრეთვე კრებულის მიერ გაშენებული ვენახი და ხილის ბაღი. მისმა მეუფებამ ყოველივე მოიწონა, მადლობა უბრძანა მღვდელ-მონაზონ სპირიდონს ასეთის ერთგული შრომისათვის და დაჰპირდა*

მამა გიორგი მხეიძე და მამა ბასილ ფირცხალავა სტუდენტებთან

შემწეობასა და დახმარებას. ორშაბათს ეპისკოპოსი წაბრძანდა ფეხით ვერის ხეობისაკენ, მოინახულა ბარონ ნიკოლაის ბაღები და იქიდან ცხენით ჩაბრძანდა თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ მონასტრის განახლების დროს სამწირველოში იპოვეს ვერცხლის ბარძიმი, რომელიც შეწირული ყოფილა მონასტრისთვის თავად გოსტაშაბ ბარათაშვილისაგან 1677 წელს.

მონასტრის მთავარი ტაძრის განახლება კიდევ მრავალი წლის მანძილზე არ მოხერხდა. იგი 1910 წლის 13 ივნისს აკურთხეს.

სამწუხაროდ, სავანის აღორძინების პერიოდმა დიდხანს არ გასტანა. 1921 წლის თებერვალში საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება. ეკლესიებსა და მონასტრებს ჩამოერთვა მიწა-წყალი, ქონება, სასულიერო პირებს აეკრძალათ ღვთისმსახურება და დაიწყო განუკითხავი ტერორი. მამა სპირიდონს ძლიერ გაუჭირდა არსებობა. 1923 წლის 12 მარტი იგი სწერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) — **„თქვენო უწმიდესობავ, მივემთხვიე რა მოხუცებულობასა დაუძლურებასა, ვერ შემწევს ძალა და ღონე ძველებურად მოუარო და უპატრონო ჩემს საყვარელ ბეთანიის მონასტერს. ტანჯვით, ოფლით და შრომით მონაგები მიფუჭდება. გული მტკივა, მაგრამ სიბერე და უძლურება აღარ მაძლევს ნებას დავიფარო იგი. აწ გთხოვ, უწმიდესო, ყურადიღოთ ჩემი უღირსობის თხოვნა. გადასცეთ მონასტერი ესე — ძველი ათონიდან დაბრუნებულს მღვდელმონაზონ ილიას (ფანცულაია), რომელიც მრწამს, თავს დასდებს და არ დაიშურებს ძალ-ღონეს მისი მოვლა-პატრონობისათვის, ხოლო ჩემს უღირსებაზე კი მოიღოთ ლოცვა-კურთხევა და ნება დამრთოთ, რათა დაუბრკოლებლად შემეძლოს ცხოვრება ბოლნისის სიონში, რომელიც აწ უპატრონოდ არის დაშთენილი, სადაც ამ სიბერის დროს არ გამიჭირდება ერთი ლუკმა-პურის შეძენა“.**

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბეთანიის მონასტერი მამა ილიამ ჩაიბარა, თუმცა არც მის დროს გამოსწორებულა სიტუაცია. მონასტერში არ იყო საკვები საშუალებაც კი, რის გამოც ბერებს ახლო-მახლო სოფლებში უხდებოდათ სიარული საეკლესიო წესების შესასრულებლად. ეს კი მეტად სახიფათო იყო იმ პერიოდში, რადგან ხელისუფლებისგან წაქეზებული აქტივისტები და გადაჯიშებული ახალგაზრდობის ნაწილი პირდაპირ გზაში ხოცავდა სრულიად უდანაშაულო სამღვდელოებას. 1923 წლის 3 სექტემბერი უკვე მამა ილია მიმართავს თხოვნით კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) — **„თქვენო მეუფებავ, უმორჩილესად გთხოვთ, რადგან მონასტერს არავითარი სახსარი და საშვალება არ აქვს, მშივრები ვართ, ნება მოგვცეთ საკალმასოდ ცოტა პური ვითხოვოთ მორწმუნე ხალხში, ეგებ როგორმე თავი გადავირჩინოთ შიმშილისაგან“.**

1924 წელს მამა ილიამაც დატოვა მონასტერი და იქვე ახლოს, სოფელ ახალსოფელში განაგრძო მოღვაწეობა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი დააპატიმრეს და ერთი პერიოდი ციხეშიც ამყოფეს. გათავისუფლების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით იგი მანგლისის ეპარქიაში მოღვაწეობდა, არქიმანდრიტის ხარისხით. 1937 წელს, სამეულის გადაწყვეტილებით, იგი დახვრიტეს.

მაისურაძე იოანე, მხეიძე გიორგი და უცნობი ბერი 1920-იანი

იგივე ბედი ეწია მამა სპირიდონსაც. XX ს-ის 20-იან წლების ბოლოს იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და მშობლიურ მხარეში განაგრძობდა ღვთისმსახურებას. 1937 წელს მასაც დახვრეტა მიუსაჯეს.

რაც შეეხება ბეთანიის მონასტერს, ისევ მამა იოანეს მოგონებებს ჩავხედოთ: „დავრჩი მე, ივანე ბერი. მომემატა გიორგი ბერი, მხეიძე, მეთოდის ძე, კახეთის ხირსის ბერი, წმიდა სტეფანეს მონასტრისა. მამა გიორგი მოვიდა ათას ცხრაას ოცდაოთხში, მე კი მეორეთ რო მოვედი ათას ცხრაას ოცდაორში მოვედი და ამ რიცხვის მერე ბეთანიის მონასტერში ვართ. მრავალი გაჭირვება გავიარეთ, რამდენჯერ გაგვძარცვეს, რამდენჯერ აგვაწიოკეს, თუ ფუტკარი, თუ სახლში, თუ ძროხები, თუ მწყემსები. ძრიელ სულ მოკლებაში შევარდი. თუ მამა გიორგი არ მყოლიყო განმამხნევებელათ, აღარ შემეძლო ბეთანიაში დარჩენა, მაგრამ ჩემთვის სუყველაგან ძნელი გახდა. ღმერთო, ამიერითგან მაინც მშვიდობა მომადლე, იყავნ, იყავნ!“

1928 წელს მანგლისის ეპარქიის აღწერის დროს ბეთანიის მონასტერიც მოიხსენიება, რომელზეც ასევე მიწერილია სოფელ წვერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და სამრევლო 75 კომლით.

1929 წლის აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ მღვდელ-მონაზონ იოანეს (მაისურაძე) ილუმენის წოდება მიანიჭა, ხოლო მღვდელ-მონაზონი გიორგი (მხეიძე) — სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

XX ს-ის 30-იან წლებში კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მამა იოანეს არქიმანდრიტის წოდება, ხოლო მამა გიორგის — ილუმენის წოდება მიანიჭა.

1954 წელს ბეთანიის მონასტერში მივიდა ვასილ ფირცხალავა, რომელიც ერთი წლის შემდეგ ბასილის სახელით ბერად აღკვეცეს და კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკის (ფხალაძე) მიერ მღვდლად დაასხეს ხელი. მამა ბასილი 1960 წელს, ადრეულ ასაკში აღესრულა.

1957 წელს გარდაიცვალა არქიმანდრიტი იოანე, ხოლო 1962 წელს კი მონასტრის უკანასკნელი წევრი — არქიმანდრიტი გიორგი, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე დიდ სქემაში აღიკვეცა იოანეს სახელით. მათი წმინდა სხეულები ბეთანიის მონასტრის ეზოში განისვენებს. 2003 წლის 18 აგვისტოს წმინდა სინოდის განჩინებით ისინი წმიდათა დასში შეირაცხნენ, აღმსარებელი მამების სახელით. ხსენების დღე დ დაწესდა 21 სექტემბერი.

1962 წლიდან ბეთანიის მონასტერი დროებით დაიხურა. მას მხოლოდ ერთი დარაჯი, იქვე მცხოვრები, აწ გარდაცვლილი ვანო წიკლაური უვლიდა. 1978 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მართლაც რომ სასწაულებრივად შეძლო იქ ორი ბერის გაგზავნა. იგი

ზის: მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (სავარაუდოდ), დიაკონი მირონ ომანიძე

პირველი მამათა მონასტერი იყო, რომელიც ხანგრძლივი სულიერი ზამთრის შემდეგ გაიხსნა. მონასტერში მალე ჩამოყალიბდა პატარა საძმო, რომელმაც ნელ-ნელა შეძლო იქაურობის აღდგენა-გალამაზება და წირვა-ლოცვის განახლება. 1982 წლის აღწერით მონასტრის საძმო შემდეგ წევრებს ითვლიდა: იღუმენი იოანე (შეყლაშვილი), მღვდელ-მონაზონი გიორგი (ბედოშვილი), ბერ-დიაკონი ევსევი (სოხაძე), მორჩილი ანატოლი წულაია (ამჟამად მღვდელ-მონაზონი გაბრიელი, მოღვაწეობს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიაში).

მამა იოანე 1987 წლამდე წინამძღვრობდა ბეთანიის მონასტერს, მის შემდეგ მონასტერს წინამძღვრობდნენ: არქიმანდრიტი ლაზარე (აბაშიძე, მღვდელ-მონაზონი ანგია (ჩოხელი), არქიმანდრიტი საბა (კუჭავა). 2007 წლის 4 დეკემბრიდან მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი იაკობი (ბანძელაძე). მონასტრის საძმოს წევრები არიან — იღუმენი ნაომი (ვაჭრიძე), მღვდელ-მონაზონი ლაზარე (ლიპარტელიანი), ბერი ლაზარე (გოგუაძე), ბერი ნიკოლოზი (მალაზონია), მორჩილი გიორგი მეტრეველი.

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ბოდბე წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: ნშ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი რევაზ მეზვრიშვილი 1894-1989

დეკანოზი რევაზი 1894 წელს კახეთში, თელავის მაზრაში, სოფელ ოჟიოში — დიმიტრი და ბაბალე მეზვრიშვილების მორწმუნე ოჯახში დაიბადა. მის გაჩენამდე მშობლებს 4 მცირეწლოვანი შვილი გარდაეცვალათ. თურმე პატარა რევაზიც ხშირად ავადმყოფობდა. ერთხელ დედამისს, როცა ჩვილს აკვანში არწევდა და თან საკუთარ უბედობაზე ტიროდა და მოსთქვამდა, სამი თეთრწვერა მოხუცი გამოცხადებია და უკითხავთ: რას მოსთქვამ, რა გაგჭირვებიაო. დედას თავისი განსაცდელის შესახებ უამბია და უთხოვია, ეს ერთი შვილი მაინც დამირჩინეთო. შუათანა თეთრწვერიანს უთქვამს — როცა წამოიზრდება, ერთი წლით აწყურის თეთრი გიორგის მონასტერში მიაბარეთ ბერებთან და გადარჩებაო.

დეკანოზი რევაზი მეუღლესთან ერთად

როგორც კი ცოტა წამოიზარდა მამა რევაზი, მშობლებმა იგი მართლაც მიაბარეს მონასტერში აღსაზრდელად. იმ პერიოდში აწყურის მამათა მონასტერში მამა ათანასე (ზურაბაშვილი) მოღვაწეობდა, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში შეასწავლა პატარა რევაზს წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. ერთი წლის შემდეგ იგი სახლში დაბრუნდა.

ხუთი წლის შემდეგ, უკვე მოზრდილმა რევაზმა თბილისის სასულიერო სასწავლებელში ჩააბარა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერთან არსებული სამედავითნეო კურსები გაიარა და გორის ეპისკოპოსის ანტონის (გიორგაძე) ლოცვა-კურთხევით მედავითნედ მსახურობდა. 1916 წლის 19 თებერვალს ქსნის ხეობაში, სოფელ ლარგვისის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს, თუმცა ოჯახური მდგომარეობის გამო, ამავე წლის 14 მარტს, თავისივე თხოვნით გათავისუფლდა ამ მსახურებიდან და მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა. იგი აწყურის თეთრი გიორგის სახელობის მამათა მონასტერში საბერო მორჩილად მიიღეს. 1916 წლის 28 აგვისტოს ალავერდელ ეპისკოპოს პიროსის (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, მორჩილი რევაზი შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს. შუამთის მონასტერში მოღვაწე გამოცდილ ბერმონაზვნებთან ერთად ყოფნა დიდი ნუგეში და სულიერი საზრდო იყო ახალგაზრდა მორჩილისთვის, მაგრამ სულ მალე ქვეყანაში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ დაამხო მეფის ხელისუფლება და ამავე წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილმა ქართველმა მღვდელმთავრებმა და სამღვდელოებამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. თითქოს ყველაფერი კარგად უნდა წარმართულიყო მრავალტანჯული ქართველი ერისა და ეკლესიისათვის, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობაც აღადგინა. თუმცა ბოროტს არ ეძინა. ჯერ იყო და მენშევიკურმა ხელისუფლებამ შეუტია ეკლესიას და სამღვდელოებას, ჩამოართვა საეკლესიო მიწები და ამით მათ საარსებო საშუალება მოუსპო, შემდეგ კი კომუნისტურმა მმართველობამ საყოველთაო ომი გამოუცხადა რელიგიას. მონასტერში მყოფი ახალგაზრდა რევაზი მძიმე არჩევანის წინაშე დადგა. ან სამღვდელო ხარისხი უნდა მიეღო, ან ერში დაბრუნებულიყო. მონასტრის ძმობისა და იღუმენ ნიკოლოზის (მიქელაძე) ლოცვა-კურთხევით მან უკანასკნელი გზა აირჩია და სოფელში დაბრუნდა. იგი მალევე დაქორწინდა ლუბა ყურაშვილზე და მეურნეობას მიჰყო ხელი. ფიზიკურად ძალიან ბევრს შრომობდა და კარგი და ძლიერი ოჯახიც შექმნა.

1943 წელს, ხელისუფლების ნებართვის შემდეგ,

შესაძლებელი გახდა, კვლავ ამოქმედებულიყო ეკლესიები და სამღვდელოებას საშუალება მიეცა, წირვა-ლოცვა და საეკლესიო წესები აღესრულებინა. მამა რევაზმა აწყურის თეთრი გიორგის მონასტერს მიაშურა, სადაც ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ძველი, ხელისუფლების მარწუხებს გადარჩენილი მოხუც ბერები. მათი დახმარებით მამა რევაზი ნელ-ნელა ჩაება საეკლესიო ცხოვრების ფერხულში და ღვთისმსახურების წესისა და განგების ცოდნა უმოკლეს დროში აღიდგინა.

1957 წელს, როდესაც აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიის მხცოვანი არქიმანდრიტი მელქისედეკი (ცელაძე) გარდაიცვალა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) რევაზს შესთავაზა — სამღვდელო ხარისხი მიეღო. მართლაც, აღსრულდა ნება ღვთისა და ამავე წელს მას სიონის საპატრიარქოს ტაძარში ხელი დაასხეს ჯერ დიაკვნად, მცირე ხანში კი — მღვდლად. რის შემდეგაც იგი აწყურის თეთრი გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

მამა რევაზმა სამი ათეული წელი ღირსეულად იმსახურა აწყურის თეთრი გიორგის სახელობის მონასტერში და ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი მონათლა ამ პერიოდში, რამდენი ანუგეშა, რამდენს უქადაგა ჭეშმარიტი სარწმუნოება და ქრისტეს გზაზე დააყენა.

1982 წლის ალაverdობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო მამა რევაზს დეკანოზის წოდება მიანიჭა და მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.



დეკანოზი რევაზი შვილიშვილებთან ერთად

1984 წელს, თვალის ჩინის დაკარგვის გამო, მხცოვანი მოძღვარი წინამძღვრობიდან გადადგა. ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლის (ცერცვაძე) ლოცვა-კურთხევით მას წელიწადში 130 მანეთი დაენიშნა პენსიის სახით. მისი შვილიშვილი, ბატონი ირაკლი მეზვრიშვილი ასეთ ამბავს იხსენებს: „1987 წელს უკვე ლოგინად ჩავარდნილ მამა რევაზს თხოვნით მიუმართავს მეუფე გრიგოლისთვის, რომ ერთი წლის პენსია წინასწარ მიეცათ მისთვის, რადგან იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. მაგრამ მეუფე გრიგოლს უთქვამს, რომ მას კიდევ ორი წელი ჰქონდა ღვთისაგან ბოძებული“. მართლაც, აღსრულდა მეუფე გრიგოლის წინასწარმეტყველება და მამა რევაზი ზუსტად 1989 წელს, იმ ამბიდან ორ წელიწადში აღესრულა. იგი დიდი პატივით დააsაფლავეს სოფელ ოჟიოს წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუწრფხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი ათანასე (ზაქარაშვილი) 1869-1967

არქიმანდრიტი ათანასე — ერისკაცობაში ვასილი, 1869 წლის 12 მაისს, ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ ნაგარევში, გლეხ იორდანე ზაქარაშვილის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. 1881 წელს თორმეტი წლის პატარა ვასილი თბილისში ჩამოვიდა და მოჯამაგირედ დაიწყო მუშაობა, ხოლო 1890-95 წლებში სამუშაოდ ვლადიკავკაზში გადავიდა.

მღვდელ-მონაზონი ათანასე

1900 წელს ბერად შედგომის სურვილით გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერს მიაშურა. მომდევნო წლებში საბერო მორჩილება ჯერ შიომღვიმის, შემდეგ კი — მარტვილის მონასტრებში გაიარა. 1917 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, მღვდელ-მონაზონმა ალექსიმ (შუშანია) მორჩილი ვასილი თეკლათის მონასტერში ბერად აღკვეცა და სახელად ათანასე უწოდა. ამავე წელს მეუფე ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, ერთი თვის შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და შიომღვიმის მონასტრის საძმოში განამწესა. მეუფე ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით, დროგამოშვებით, იგი შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.

1921 წელს ქუთაის-გაენათის ეპარქიაში გადავიდა და გელათის მონასტრის საძმოში განაგრძო მოღვაწეობა. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1923 წლის 5-6 ივნისს გელათის მონასტერი დაიხურა და ბერმონაზვნებს იქ ცხოვრება აეკრძალათ. მამა ათანასე იძულებული გახდა, თავის მშობლიურ სოფელში ძმის ოჯახს შეკედლებოდა. აქ მან ააშენა ხის პატარა ქოხი, სადაც განმარტოებით ცხოვრობდა. სოფელ ნაგარევში იმჟამად ჯერ კიდევ მოქმედებდა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, სადაც მამა ათანასეს წირვა-ლოცვის ჩატარებისა და საეკლესიო წესების აღსრულების საშუალება მიეცა.

1930 წელს სოფლის ხელმძღვანელობამ ეს ტაძარიც დახურა და სასუქის საწყობად აქცია, შემდგომ წლებში კი კინოკლუბად გადააკეთა. მამა ათანასე კვლავ ტაძრის გარეშე დარჩა, თუმცა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მღვდელმსახურება: იგი თავის პატარა ქოხში იღებდა მრევლს, განამტკიცებდა მათ სარწმუნოებაში, ნათლავდა ბავშვებს და აპატიოსნებდა მიცვალებულებს. 1934 წელს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა (ჭელიძე) ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მამა ათანასეს იღუმენის წოდება მიანიჭა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა, რაც სასულიერო პირთა დევნა-შევიწროებასა და ეკლესიების დარბევა-განადგურებაში გამოიხატებოდა, მამა ათანასეს სოფელში ყველა დიდ პატივს მიაგებდა. გაჭირვებაში მყოფი მოძღვარი თავს ფიზიკური შრომით ირჩენდა, ამუშავებდა პატარა ბოსტანს და ჰყავდა 70 ძირამდე ფუტკარი. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობიდან ბევრი ჩუმად ეხმარებოდა.

ხელისუფლების ნებართვით, 1943 წელს შესაძლებელი გახდა, კვლავ ამოქმედებულიყო ეკლესიები და სამღვდელოებას საშუალება მიეცა წირვა-ლოცვა და საეკლესიო წესები აღესრულებინა. 1945 წლიდან იღუმენი ათანასე ოფიციალურად მიაწერეს ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა — პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარს, სადაც პერიოდულად ჩადიოდა წირვა-ლოცვის ჩასატარებლად, მირონის წამოსაღებად და ადგილობრივ საეპარქიო კრებებზე დასასწრებად. ძირითადად კი სოფელ ნაგარევში ცხოვრობდა. 1949 წლის 7 სექტემბერს, ეკლესიაში ხანგრძლივი და ერთგული მოღვაწეობის გამო, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე) მამა ათანასეს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა და ეპარქიის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დანიშნა.

მამა ათანასე კიდევ მრავალი წელი ღირსეულად ემსახურა დედაეკლესიას და ღვაწლმოსილი აღესრულა 1967 წელს. მის დაკრძალვას მრავალი მღვდელმსახური დაესწრო და მიწას დიდი პატივით

მიაბარეს. იგი დასაფლავებულია სოფელ ნაგარევის სასაფლაოს შესასვლელში, მარჯვენა მხარეს, მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის ტაძართან ახლოს.

შემორჩენილია 1941 წლის იანვარში დაწერილი მამა ათანასეს ანდერძი. ამ პერიოდში იგი ავადმყოფობდა და ამქვეყნიდან გასასვლელად ემზადებოდა. უცვლელად გთავაზობთ ამ ანდერძს:

„1941 წელსა იანვრის თხუთმეტსა (15) დღესა დავწერე ეს ჩემი ანდერძი, მე, იგუმენმა ათანასემ იორდანეს ძე ზაქარაშვილმა. ვთხოვ ყველა ნათესავებს და მეგობრებს შენდობას, თუ ვისმეს რამე გაწყენიეთ, ანუ შეგაწუხეთ ჩემს აქ ყოფნაშიდ. საყვარელნო ძმებო და დებო, სულიერნო და ხორციელნო, მუხლმოდრეკით გთხოვთ, მაპატივოთ და მომიტევოთ ყოველივე ჩემი დანაშაულებანი და თქვენცა ჩემ მიერ იყვენით დალოცვილ და შენდობილი. დაგლოცოთ მამამ, ძემ და სულმა წმიდამ, ამინ!

რადგან აქ მოაწია ჩემზედ ღვთის განჩინებამ, მე ვტოვებ ხვთის ბრძანებით ყოველივე ჩემ საცხოვრებელ ბინას და მივდივარ მსაჯულის წინაშე და ჩემ საკუთარ სახლს და ყოველივე ქონებას უტოვებ ჩემ ძმისწულს ზურაბს, რომელიც მე მყავს აყვანილი და დაწერილი კანონიერ შვილად. საყვარელო ძმებო, ჩემ დამარხვაზედ რაც შრომა გაწიოთ, მისი სასყიდელი მიიღეთ, ვანიას საჩუქრად მიეცით ხუთი ძირი ფუტკარი.

საეკლესიო ნივთები რაც არის, თუ მიტროპოლიტმა არ მიიღო, მუზეუმში გადაეცით ყველაფერი.

ნაგარევის ეკლესიის არის ორი სახარება და ბარძიმი და წიგნები, ზედვე აწერია დიდი ხვთისმშობლის ხატიც.

დიდი კასროლი, ხერხი დიდი და პატარა ალმარი თუ გაიხსნას, გელათში გადაეცით, თვარა მუზეუმში.

ქართული ნაწერი წიგნები ბავშვებს მიეცით, იკითხონ. ჩემი ძველი სახარება ქონდეს, ქართული ნაწერია და იკითხოს ზურაბმა, ჩემდა მოსახსენებელად. ამასთან, უბარებ მას, თუ გაიხსნას ჩვენში ეკლესია, საეკლესიო ნივთები რაც არის, წიგნები და ხატები, იქ მიეცით, ხოლო მაცხოვრის ხატი თვითონ ქონდეს სახლში.

ამასთან, ჩემი შესამოსით მე უნდა შემმოსონ მთლათ. ჩემი ტანის სამოსი, რაც მე არ დამჭირდება, რავარცა უფლობდეთ, ისრე გააწესრიგეთ. ჩემი გულის ჯვარი მაცხოვრის ხატთან ჩამოკიდეთ და ქონდეს ზურაბს, ჩემდა მოსახსენებელად, ქარვაც ქონდეს, ხვთისმშობლის სანაწილეც ქონდეს მას. თუ იქნება ქუთაისში მიტროპოლიტი, უეჭველად მოიწვიეთ წესის აგებაზედ, მასთან რამდენიც იყოს მღვდელიც, ყველას ღირსეული გასამრჯელო მიეცით. ორმოცის საწირავი მიეცით მიტროპოლიტს.

არქიმანდრიტი ათანასე

გაკურთხოთ უფალმა.

ძმებო და დებო, გადასახურავი არავის გამოართვათ, მე ჩემი ცხოვრება გამასვენებს.

ჩემ საკუთარ ხელს ვაწერ, იგუმენი ათანასე, ყოფილი ვასილ ზაქარაშვილი იორდანეს ძე, დაბალი არხიმანიტი“.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

პროფესიონალიზმი თითქოს უკვე თავისთავად ქმნის ხატს და ხატმწერს პირვანდელი მოწიწება, ცოცხალი დამოკიდებულება ეკარგება მასთან. რის გამოც, ნამუშევარი მშრალი და უსიცოცხლო ხდება, მიუხედავად შესრულების მაღალი დონისა.

არის სხვა პრობლემაც. საეკლესიო მაღაზიებში მომრავლდა მდარე, უგემოვნოდ შესრულებული ნამუშევრები. ეს „ხატები" ბევრად იაფია პროფესიონალ მხატვართა ნამუშევრებთან შედარებით და ამის გამო ადვილად იყიდება. მგონი უმჯობესი იქნებოდა, კარგი, თუნდაც თანამედროვე ხატის რეპროდუქცია იყიდებოდეს, ვიდრე მდარე ხარისხის ორიგინალები. თუ ეს ასე გაგრძელდა, აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოების გემოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

— როგორც ჩვენთვისაა ცნობილი შეიქმნა კატალოგიც.

— დიდი მადლობა ამ კატალოგისთვის მის შემქმნელებს, ძალიან სასიხარულოა, როცა ასეთი გამოფენები ფიქსირდება და კატალოგის სახით რჩება. ესეც ერთგვარი შემაჯამებელი საშუალებაა მომავალი მუშაობისთვის, როგორც ხელოვანთათვის, ასევე გამოფენების ორგანიზატორებისათვის.

— სად ყალიბდებიან დღეს თანამედროვე ქრისტიანული ხელოვნების მუშაკნი? გამოფენაზე მრავლადაა ახალი სახელები.

— წინა წლებთან შედარებით ბევრი ახალი შემოქმედის ნამუშევარი გამოჩნდა გამოფენაზე. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მათ შორის ჩემი ყოფილი სტუდენტებიც არიან. გამოფენაზე წარმოდგენილია მათი სადიპლომო და შემდგომი პერიოდის ნამუშევრები. სასულიერო აკადემიაში ხატწერის სახელოსნო თითქმის აკადემიის დაარსებისთანავე არსებობს. პირველი პედაგოგი და სახელოსნოს ხელმძღვანელი სიდონია გაჩეჩილაძე იყო. დღეს საქართველოში მოღვაწე ხატმწერთა დიდი ნაწილი სწორედ სასულიერო აკადემიის სახელოსნოში აღიზარდა. მეც წლების წინ იქ შევისწავლე ხატწერა. იმედი მაქვს, ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

***P.S.** საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ მოამზადდა შუა საუკუნეებისა და ახალი ქართული საეკლესიო ხელოვნების ძეგლთა კატალოგები. გამოფენის პარალელურად კი დაიგეგმა საგანმანათლებლო საჯარო ლექციების კურსი, რომელსაც სასულიერო და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები წაუძღვებიან. ლექტორიუმის განრიგი იხილეთ ქრონიკა-ინფორმაციებში.*

ფოტომატიანე

იოსავების სასულიერო ოჯახი

XIX საუკუნის II ნახევარში სამეგრელოში, სოფელ ბიის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი შიო იოსავა, რომელსაც წესიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული ოჯახი ჰყავდა. იგი დაქორწინებული გახლდათ ანა ბოჯგუაზე, რომელთანაც ოთხი ვაჟი შეეძინა: ბართლომე, პროხორე, აქვსენტი და ანდრონიკე. მამა შიომ თავის შვილებს იმ პერიოდისათვის შესაბამისი განათლება მიაღებინა. ოთხივემ დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი და მათაც, მამის მსგავსად, მოძღვრის რთული, მაგრამ ტკბილი უღელი იტვირთეს (ანდრონიკეს გამოკლებით, მან საერო ცხოვრება აირჩია).

უფროსი ძმა ბართლომე 1867 წლიდან ემსახურებოდა დედაეკლესიას. მოღვაწეობდა სამეგრელოს რაიონის სხვადასხვა სოფლებში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1893 წლის 15 მაისს კამილავკით დააჯილდოვეს, ხოლო 1902 წლის აღდგომის დღესასწაულზე, ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო, წმინდა სინოდმა ანას III ხარისხის ორდენი უწყალობა. მამა ბართლომე 1910 წლის 5 ივლისს (ძვ. სტილით) გარდაიცვალა.

მომდევნო ძმა პროხორე 1849 წელს დაიბადა.

მღვდელი შიო იოსავა და მისი მეუღლე ანა ბოჯგუა

ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის დასრულების შემდეგ მედავითნედ დაიწყო მსახურება. XIX საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1893 წლის 23 ნოემბრიდან, ბიის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1905 წლის 5 აგვისტოს მამა პროხორე ნოჯიხევის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში განამწესეს. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ბიის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში დააბრუნეს. 1912 წლის 19 აპრილს, საეკლესიო წესების დარღვევის გამო, დროებით შეუჩერდა მღვდელმსახურება და უშაფათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1913 წლის 29 მარტს ახალ აბასთუმნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. ამავე წლის 31 დეკემბერს აღუდგინეს მღვდელმოქმედება და უშაფათის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. XX საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტებმა უშაფათის ეკლესია დახურეს და მამა პროხორეც იძულებული გახდა, ანაფორა გაეხადა. იგი 1935 წლის 8 სექტემბერს გარდაიცვალა და 14 სექტემბერს სოფელ ბიის სასაფლაოზე დაკრძალეს.

მღვდელი პროხორე იოსავა

მესამე ძმა აქვსენტიც სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული გახლდათ. XIX საუკუნის 80-იან წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და სოფელ ნოჯიხევის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დაადგინა. ხოლო 1893 წლის მარტში მღვდლად დაასხა ხელი და ხორში-საგვასალიოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. რამდენიმე წლის შემდეგ საჩიჯავოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1904 წლის 15 იანვარს ხეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში დაადგინეს, სადაც 1924 წლამდე მსახურობდა, ვიდრე კომუნისტებმა ეკლესია არ დაანგრიეს და მღვდელმსახურება არ აუკრძალეს. მღვდელი აქვსენტი 1939 წლის 9 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ხეთის საერო სასაფლაოზე.

მამა აქვსენტის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ მცირე მოგონებები შემოგვინახა მისმა უმცროსმა შვილიშვილმა —ციალა იოსავამ, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა გადაიტანა მისმა ოჯახმა და რა აუტანელ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება:

„შიო იოსავა ბიის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი იყო (გარდაიცვალა 1893 წლის 23 ნოემბერს, ძვ. სტილით). იგი დაკრძალულია ამავე ტაძრის კარიბჭესთან.

1937 წელს ბოლშევიკებმა ააწიოკეს მამა აქვსენტის ოჯახი, გაანადგურეს საეკლესიო ნივთები — სახარება, ბიბლია, ჯვარ-ხატები. დაამსხვრიეს და დაწვეს ყველაფერი. დაჭერას შვილმა ერასტიმ (ყოფილი დიაკონი) გადაარჩინა, მაგრამ მალევე აღესრულა მორალური შეურაცხყოფისაგან (ის ხომ გაპარსეს, აბუჩად აიგდეს, დასცინეს...). ეს ყველაფერი ხდებოდა მისი შვილის, ერასტის თვალწინ. მან წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ დაჭერით დაემუქრნენ, აგრეთვე ცოლ-შვილის აწიოკებით და ამიტომ შეურიგდა ბედს. მამა იხსენებდა და მიყვებოდა, რომ ვერ იტანდა კომუნისტებს, რადგან თვითონაც დიდი რეპრესიები გადაიტანა, როგორც მღვდლის შვილმა (ასევე, როგორც ყოფილმა დიაკონმა) და ჰყავდა ძვირფასი მეგობრები, რომელთა ბედი, რატომღაც მამასაც შეეხო (ესენი იყვნენ რაიკომის მდივანი: იუსტინე გვასალია და თანამდებობის პირი სარდიონ მაღლაკელიძე, მათაც სდევნიდნენ 37-იან წლებში ზუგდიდში). მამამ დამალვით გადაირჩინა თავი. ის 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად დევნისა, იგი ჩუმად ეწეოდა ეკლესიურ ცხოვრებას სახლში, მარხულობდა, ლოცულობდა და, რაც მთავარია, ნატრობდა მათ დამხობას...

მამამ მიმიყვანა სიონის ეკლესიაში პირველად და მითხრა: „შვილო, აქ იარე. ფრთხილად იყავი, ინსტიტუტიდან არ გამოგრიცხონ“ და მეც არ ვაყოვნებდი, დავდიოდი 1952 წლიდან — დღემდე... ამჟამად ვარ სართიჭალის წმინდა ლაზარეს აღდგინების სახელობის ეკლესიის მრევლი.

მამაჩემს რაიმე გართულება თუ ექმნებოდა რელი-

ძმები — მღვდელი აქვსენტი და ანდრონიკე იოსავები

ფოტომატიანე

გიასთან, ქრისტიანობასთან და აგრეთვე კომუნისტებთან.

მამა ძალიან კარგი ხასიათის კაცი გახლდათ, შვილებზე გიჟდებოდა, ყველა ერთნაირად ვუყვარდით. ოთხი ქალიშვილის მამა ამაყობდა ჩვენი პატიოსნებითა და სიკეთით იმ დროში. მან იცოდა, რომ მარტო ეს არ იყო საკმარისი, მაგრამ რა ექნა რელიგიადავიწყებულ ხანაში? ის იუმორით სავსე კაცი იყო, მაგრამ ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა კომუნისტებთან და ჩემთან საუბრით იოხებდა გულს...

ზუსტად იმ ზაფხულს, რომ ჩამოვედი, მაინცდამაინც არ მესიამოვნა მისი ხასიათი. ის ჩემთან საუბარს ვერ ახერხებდა... ჩემი დები სამსახურში რომ წავიდნენ, მარტო დავრჩით (დედა ადრე გარდაიცვალა, მამამ მეორე ცო-

ძმები — მღვდელი ბართლომე და ანდრონიკე იოსავები ოჯახის წევრებთან ერთად

ლის მოყვანაზე უარი თქვა); უნდოდა, რაღაც ეთქვა და ვერ ახერხებდა, ისევ მე ვიაქტიურე: „მამა, რაღაც არ მომწონს შენი გამომეტყველება, რამე ხომ არ გაწუხებს?“ — ვკითხე.

— ხო, შვილო! — მითხრა მან, ადგა, გავიდა მეორე ოთახში და გამოიტანა ჟურნალი; კარგად არ მახსოვს ჟურნალის დასახელება, მხოლოდ ორენოვანი იყო — მეგრულ-ქართული. წაიკითხეო — მითხრა.

ჟურნალი ეკუთვნოდა თედო სახოკიას (დღესაც ჟრუანტელი მივლის მისი სახელის გახსენებაზე)... წავიკითხე და რას ვხედავ, ბაბუა აქვსენტი ყავს აუგად მოხსენებული, თითქოს ის ჯვარს წერდა არასრულწლოვანებს, ფულს იღებდა ქრთამის სახით საბუთების შედგენის დროს, წირვა-ლოცვას არ ასრულებდა, თუ ფულს არ მისცემდნენ (ალბათ წესის აგებას გულისხმობდა, კარგად არ მახსოვს, 50 წლის წინანდელი ამბავია). წაკითხვის შემდეგ, მახსოვს, გამოვვარდი მამასთან და ვიყვირე, ვინ არის ეს გარეწარიმეთქი და მამას ქალივით ტირილი აუტყდა. მე მოვეხვიე, დავამშვიდე და ვუთხარი: ნუ, მამა, ნუ ტირი, მე მაგას ვაჩვენებ სეირს — მეთქი...მაგრამ მამამ დამამშვიდა და მითხრა: „არა, შვილო, არ ღირს, ის კომუნისტების ჭიას ახარებსო“ და მომიყვა, ვინ იყო ეს კაცი: თურმე ბაბუაჩემის კარებთან ყოფილა გაზრდილი, გაჭირვებული, ღარიბი ოჯახი ჰქონიათ და მათ ბაბუა ეხმარებოდა ყოველმხრივ, მატერიალურად, თუ სულიერად... ბევრი რამ მიამბო, რაც არ ღირს მოსაყოლად...

მე ის ჟურნალი ცეცხლში შევაგდე და დავწვი. ასე გაგვამწარა მე და მამა თედო სახოკიამ“.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბეჭდვის, გაზების გაშვრომიდღეთ გასაში დაბეჭდილი გასალების გამო გთხოვთ, დაკალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: საბალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 501 406 მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ადგილობრივი ჩვეულება გამოიყენება მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ეკლესიაში და წარმოადგენს ამ ეკლესიის საზოგადოების ეთნოკულტურულ მახასიათებელს.

ჩვეულების ფორმებია საზოგადო და საგანგებო ჩვეულებები: ა) საზოგადო ჩვეულების გამოყენება ხდება ეკლესიის ყველა წევრის მიერ, განურჩევლად მათი სტატუსისა, ბ) საგანგებო ჩვეულება გამოიყენება მხოლოდ საეკლესიო იერარქთა ან მონაზონთა ცხოვრებში.

სამოქალაქო კანონები

რომის იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ ეკლესია ბერძნულ-რომაულ სამართალს აქტიურად იყენებდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეკლესიას არ გააჩნდა საკუთარი კანონების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა, მთელ რიგ საკითხებში იგი რომის სამოქალაქო სამართლის მითითებებით სარგებლობდა. მე-12 საუკუნის ცნობილი კანონისტი ბალსამონი თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბერძნულ-რომაული სამართლის კომპილაციებს, რომელიც გამოცემულია ე.წ. „ბაზილიკების" სახელით, რაც ნათლად ცხადყოფს რომაული სამართლის მნიშვნელობას ეკლესიის სამართლისათვის. იმავე მნიშვნელობას მოწმობს „ნომოკანონებიც", რომლებიც ბიზანტიაში ქრისტიანი იმპერატორების მიერ გამოიცემოდა და ეკლესიის მართვასა და მოწყობასთან დაკავშირებულ დადგენილებებს შეიცავდა.

კანონისტები

კანონისტები საეკლესიო კანონთა განმმარტებლებს ეწოდათ. მათი შრომები კანონიკური სამართლის დამხმარე წყაროდ მიიჩნევა და არა ძირითად წყაროდ, იმის გამო, რომ ეკლესიაში კანონისტების შრომების აღიარება კრებსითი გზით არასოდეს მომხდარა. ამიტომ, ეს შრომები არ ითვლება კანონიკური სამართლის ძირითად წყაროდ, მაგრამ მიჩნეულნი არიან ეკლესიოლოგიური სულისკვეთებით შექმნილ შრომებად და იმსახურებს პატივისცემას ეკლესიაში.

გაგრძელდება შემდეგ ნომერში

მოამზადა ვლადიმერ ნარსიამ

გამოყენებული ლიტერატურა

1. Православное Церковное Право. Никодимъ, Епископ Далматинсий. Издание В.В. Комарова. С. Петербургъ. 1897

2. Суворов Н.С. Учебник церковного права. 2004.

2. Manual in the Orthodox Canon Law. By, Lews Patsavos. 1975. Holy Cross Orthodox Press.

3. Spiritual Dimentions of the Holy Canons. By, Lews J, Patsavos, 2003. Holy Cross Orthodox Press.

ფოტომატიანე

დეკანოზი დავით გარსიაშვილი (1870-1957)

დეკანოზი დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი 1870 წლის 22 სექტემბერს სოფელ საგარეჯოში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. მამამისი ზაქარია გარსიაშვილი დავით გარეჯის მონასტერში იყო გაზრდილი და ქართლ-კახეთის სხვადასხვა ტაძრებში მსახურობდა მედავითნედ. იგი ადრე გარდაიცვალა და ოთხი მცირეწლოვანი შვილი დედამ — ნინომ გაზარდა.

1883-87 წლებში პატარა დავითი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძო. სემინარია დავითმა 1893 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სემინარიის დასრულების შემდეგ დავითი დაქორწინდა სოფიო ედიშერის ასულ ნუკრაძეზე, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: გიგლა, არჩილი, ბაბილინა და შოთა. 1893 წლის 24 აგვისტოდან — 1895 წლის 18 დეკემბრამდე — დიდუბის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. სკოლის მონაფეთაგან შეადგინა გუნდი, რომელიც ორშაბათობით ტაძარში ქართულ-რუსულ ენაზე გალობდა. 1895 წლის 19 დეკემბერს დიაკვნად აკურთხეს, ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხეს ხელი და კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში დიაკვნად განამწესეს.

დეკანოზი დავით გარსიაშვილი

1896 წელს კუკიის ეკლესიასთან გაიხსნა სამრევლო დაწყებითი სკოლა, სადაც მამა დავითი ოთხი წლის განმავლობაში ყველა საგანს ასწავლიდა. 1901 წლის 6 მაისს საგვერდულით დააჯილდოეს, ხოლო 1902 წლის 25 მარტს სკუფია უბოძეს. 1904 წლის 29 ოქტომბერს მამა დავითი თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში დიაკვნად გადაიყვანეს. ნეველის ეკლესიაში მან მცირე ხნით იმსახურა, შემდეგ, თავისივე თხოვნით, ისევ კუკიის ეკლესიაში დააბრუნეს. ხოლო 1914 წლის 6 მაისს კამილავკით დააჯილდოეს.

1914-18 წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს, მამა დავითი დასავლეთ ფრონტზე 335 სამხედრო-საველე ჰოსპიტლის მღვდლად მსახურობდა. ამ მსახურებისას იგი სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოეს და დეკანოზის წოდება მიენიჭეს.

1918 წელს დეკანოზი დავითი საქართველოში დაბ-

დეკანოზი დავითი მეუღლესთან ერთად

რუნდა და ისევ კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა მსახურად.

1921 წელს საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: დამყარდა ათეისტური, ბოლშევიკური ხელისუფლება. გახშირდა სასულიერო პირთა დევნა, რაც საერთო ისტერიაში გადაიზარდა, ინგრეოდა ეკლესიები, ნადგურდებოდა საეკლესიო ქონება, ამცირებდნენ და უსაზღვროდ ავიწროებდნენ სასულიერო პირებს. ეკლესია სახელმწიფოსაგან ფორმალურად გამოყოფილი იყო, მაგრამ ხელისუფლება აშკარად ერეოდა ეკლესიის საქმეებში. გამონაკლისი არც მამა დავითის ოჯახი გახლდათ, მისი ორი ვაჟი — გიგლა და არჩილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. 1924 წლის აგვისტოს ცნობილ აჯანყებაში ისინიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რის გამოც ორივე დააპატიმრეს. ამავე წლის 1 სექტემბერს გიგლა დახვრიტეს. ამის გამო, მცირე ხნით დაპატიმრებული იყო თავად მამა დავითიც.

1922 წლის ივნისიდან იგი ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად განამწესეს. 1926 წელს ენქერით დააჯილდოეს. 1933 წლის აპრილში კომუნისტებმა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია დაანგრიეს და იქ ვერის ბაღი გააშენეს. დეკანოზი დავითი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით, სიონის საპატრიარქო ტაძარში გადმოიყვანეს. 1945 წლის მაისში, თავისი თხოვნის საფუძველზე, კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა. მალევე კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თბილისის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1953 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) ამავე ტაძრის წინამძღვრად დაადგინა.

დეკანოზი დავით გარსიაშვილი 1957 წლის 3 აგვისტოს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის ეზოში.

მამა დავითი გამორჩეული სასულიერო პირი გახლდათ XX საუკუნის I ნახევრის ქართული ეკლესიის ისტორიაში. იგი საუკეთესო მქადაგებელი იყო. საბედნიეროდ, ჟამთა სიავეს გადაურჩა და შემორჩა მის მიერ წარმოთქმული ღვთივსულიერი ქადაგებები. ერთ-ერთი ასეთი ქადაგება მან წარმოთქვა 1931 წლის 1 მარტს, ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, დიდმარხვის პირველ კვირიაკეს, მართლმადიდებელთა ზეიმზე, სამწუხაროდ, ეს ქადაგება ბოლონაკლულია:

*„მორწმუნენო! ყველამ ვიცით, რომ ამჟამად წმიდა დიდმარხვა არის. ამ მარხვის პირველი კვირიაკე უკვე გავატარეთ. გვესმის დიდ-მარხვის მნიშვნელობა ჩვენი სულისა და ხორცისათვის. ამ შეგნების გავლენით დავიარებით ეკლესიებში, ვლოცულობთ, ვმარხულობთ, ღვთისაგან დანესებულს ორ დიდ საიდუმლოებას — სინანულსა და ზიარებას — ვასრულებთ ქრისტეს მცნებათა მიხედვით და მოციქულთა და წმიდათა მამათა მაგალითებით და რჩევა-დარიგებებით ქველის-ვმოქმედებთ კიდეცრას ნიშნავს ყველა ეს? რის მაჩვენებელია ასეთი ყოფაქცევა ჩვენი? ჩვენი ასეთი ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს და აღნიშნავს, ქრისტიანენო, ჩვენს ღვთისნიერებას, სჯულიერებას, მორწმუნეობას. ჩვენი ასეთი ყოფაქცევით საჯაროდ ვადასტურებთ, რომ არსებობს უხილავი ძალა, კაცის გონებისათვის მიუწვდომელი, გამოუკვლეველი და გამოუძიებელი უმაღლესი გონიერება — ღმერთი. რომ მხოლოდ ასეთი გონიერება — ღმერთი არის მამა ყოველისამპყრობელი, შემოქმედი ცათა, ქვეყანისა, წარმომშობელი დიად ბუნებისა, და მის მრავაფეროვან მოვლენათა და ძალთა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; რომ ბუნების მოელენა და გვირგვინი და მფლობელი კაციც ღვთის დანაბადია; და რომ კაცს ღვთისაგან აქვს შთაბერილი სული უკვდავი და გონ[illegible]; რომ კაცის გვამი თავ მოციქულის პავლეს სწავლით: **„ტაძარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა“** (I კორინთ. III, 16); რომ კაცის ასეთ უმაღლეს დანიშნულების გვამში ჩაქსოვილია ნიჭნი და ნაყოფნი სულისა წმიდისანი, რომელნიც არიან: შიში ღვთისა, ღვთიმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმისყოფა, სიბრძნე, სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მოთმინება... და აგრეთვე მონყალებათა შემდეგი საქმენი, ხორციელნი და სულიერნი: ჭმევა მშიერთა, სუმევა მწყურვალთა, შემოსვა შიშველთა, შენყნარება უცხოთა, მოკითხვა სნეულთა, მიხედვა პატიმართა, დაფლა მიცვალებულთა, მოქცევა ცოდვილთა, სწავლება უმეცართა, განმართვა დაბრკოლებულთა, ნუგეშინისცემა მწუხარეთა, მოთმინებით ატანა უსამართლოებისა, მიტევება შემცოდეთა, ვედრება ღვთისა საცხოვნებელად მოყვსისა.*

ნათქვამი ვსთქვათ მოკლედ: წმიდა დიდმარხვის დროს ჩვენი ბეჯითი ლოცვა, მარხვა, სინანული, ზიარება და კეთილი საქმეები ხმამაღლად, ქუხილისებური

გრგვინვით, მღაღადებელნი და დამმოწმებელნი არიან იმისა, რომ არის ღმერთი და მისი განგება; რომ ჩვენსავით ჩაგრულთა, დევნულთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთათვის, უღვთოთ წამებულ დიდ ილიას თქმით:

„ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი,
ღვთით არ განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი“...

ჩვენი ასეთი რწმენისა გამო, წმიდათა ანგელოსთა და მთავარანგელოსთა და ყოველთა ზეცისა უხორცოთა ძალებთან ერთად, ჩვენ, მორწმუნენი, დღე-მუდამ ვუგალობთ ღმერთს და ვიტყვით: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, უფალო, საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა!“

ჩვენი ასეთივე რწმენის საბუთით ჩვენ, მორწმუნენი, „მოველით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა“... მაგრამ, ქრისტიანენო, ამა და იმ ქვეყნებში ღვთის მგალობელთა, მაკურთხეველთა, თაყვანისმცემელთა, დიდებისმეტყველთა და მმადლობელთა გუნდთ და ბანაკთ უპირისპირდებიან, გზას უღობავენ და უჭრიან, საშვალებას და გასაქანს უბორკავენ და უსპობენ სხვანი, საკმაოდ დიდი ღონის და ძალის მქონენი ბანაკნი უღვთოთა, უსჯულოთა და ურწმუნოთა. ამ სხვათა ბანაკთაგან წარმოშობილნი და გამოსულნი უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი აშკარად, მოურიდებლად, თამამად, ამაღლებული ხმით და ანგარიშმიუცემლად გაჰკივიან, რომ არ არის ღმერთი და არც არავითარი მისი გუნდნი და ბანაკნი წმიდათა ანგელოსთა, და მთავარანგელოსთა და ყოველთა ზეცისა ძალთაო. არისო, გაიძახიან ასეთნი, არა ღმერთი, არამედ მხოლოდ ბუნება და ბუნების აურაცხელნი სხვადასხვა მოვლენანი... არისო მატერია, — ანუ ნივთიერება, — და არა უმაღლესი, მიუწვდომელი, გამოუკვლეველი და გამოუძიებელი, უკვდავი და გონიერი სულიო... ულმრთოთა, უსჯულოთა და ურწმუნოთა ასეთი თვალსაზრისით და გონების ნააზრევით და ნამოქმედარით, მაშასადამე, არც კაცია ღვთის დანაბადი და სულით და გონებით მისი ხატება და მსგავსება... კაცის არც გვამია „ტაძარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა“... მათი სწავლით კაციც იმავე ბალახისმჭამელ ცხოველთა მოდგმისა, მსგავსებისა და დანიშნულებისა ყოფილა... კაცსა და ცხოველს შორის განსხვავებას ჰხედავენ უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი მხოლოდ იმაში, რომ პირველი მეტყველი და გონიერია, მეორე კი პირუტყვი და უგონოა ან და ნაკლები და განუვითარებელი გონებისა... მათი შეხედულობით, კაცი სანამ ცოცხალია, აზროვნებს, მოქმედებს, სჭამს, სხვამს და სხვადასხვა გართობებს ეძლევა... მოკვდა იგი და ცხოველოთა მსგავსად მოისპო, მიწაში სხვაგვარ მატერიად, — ნივთიერებად, გადაიქცა... მორჩა და გათავდა... იყო და აღარ არის აქ, ამ დედამიწის არემარეზე, არის კაცის დასაწყისი, აქვე არის მისი დასასრულიო... არ იქნება არც აღდგომა მკვდრეთით და არც ცხოვრება მერმისა მის საუკუნესისაო... ღმერთი, სჯული, სარწმუნოება, რელიგია, კაცთა გონების დამაჩლუნგებელი და დამაძინებელი ბანგიაო... ცრუმორწმუნებააო... მუქთახორა კულტის მსახურთა, მღვდელთა მოგონილიაო... ასე ამბობენ ყველგან ყოველთვის უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი...

მორწმუნენო! ღვთისნიერება და უღვთოობა, სჯულიერება თუ უსჯულოება, მორწმუნეობა თუ ურწმუნოება კაცთა შორის არ ახალია, ძველთაგან ძველია. ღმერთის ყოფნა და არყოფნა მარტო ჩვენი დროით როდი განიზომება და აიწონება, ამოიწურება. მას აქვს შორეული წარსული. დასაწყისი ღვთის აღიარებისა და უარყოფისაც ქვეყნის წარმოშობის ხანაში უნდა ვეძიოთ. დიდი, წმიდა და სიბრძნით სავსე საუცხოვო წიგნის — ბიბლიის სწავლით ქვეყნიურ სამოთხეში შემოქმედს ღმერთსა და კაცობრიობის წარმომშობელთა პირველ კაცთა ადამ და ევას შორის გამუდმებული ბაასი წარმოებულა; ღმერთსა და კაცთა შორის ბაასს კი ლოცვა და ღვთისმსახურება ეწოდება, რაიც გამომხატველია ადამიანის ღვთისნიერებისა, სულიერებისა და მორწმუნეობისა... აგრეთვე, როგორც უკვე ვთქვით, უღვთოობა, უსჯულოება და ურწმუნოებაც არ ახალია, ძველია, იგიც შორეული წარსულისაა... საღმრთო წერილის სწავლით ხილულ ქვეყნის გაჩენამდე უხილავ ქვეყანაში ღვთაებრივ ნათელში მყოფთა კეთილ ანგელოზთა შორისაც უჩენია თავი ღვთის ურჩობას. ერთი უმთავრესთაგანი ანგელოზი გამპარტავნებულა, გაამაყებულა, გადიდგულებულა, დამბადებელის ღვთის მსახურება და მორჩილება უუკადრისია, უკუგდია და უარყვია, მიზანს ვერ მისწვდომია და დაცემულა; ღვთისაგან თავისუფლებით აღჭურვილს თავისუფლება ასე ბოროტად მოუხმარია. ამ ბოროტად ქცეულს მთავარ სულს ანგელოსთა შორის მიმდევარნიც აღმოსჩენია; და ყველა ამათ ღვთაებრივ ნათელსა შინა ცხოვრების უფლება დაუკარგნიათ. და ამნაირად კეთილად დაბადებულნი ღვთისმსახურნი თავისუფალი ანგელოსნი გაყოფილან ორ ბანაკად; შექმნილან ერთის მხრივ ღვთის სამსახუროდ და საქებ-სადიდებლად და კაცთა სარწმუნო წინამძღვრებად და სულთა და ხორცთა მცველებად ბანაკნი წმიდათა ანგელოსთა, მთავარანგელოსთა და ყოველთა ზეცისა უხორცოთა ძალთა; და წარმოშობილან ბანაკნი ბოროტთა ანგე-

დეკანოზი დავითი და დიაკონი სპირიდონ უთმელიძე. კუკიის წმიდა ნინოს ეკლესია 1912 წელი

ფოტომატიანე

ლოსთა, ანუ ეშმაკთა, მავნე სულთა მოღალატეთა, გაუტანელთა, ცილისმწამებელთა, მაბეზღართა, ავ საქმეთა მქნელთა და მრჩეველთა, კაცთა სულიერად და ხორციელად დამლუპველთა, შემმუსვრელთა და უფსკრულში გადამჩეხველთა და წარწყმედელთა... ამ ნათქვამ საღმრთო წერილის სწავლაში კეთილ და ბოროტ ანგელოსთა წარმოშობის შესახებ დიდი აზრია ჩაქსოვილი და ჩაწნული, მორწმუნენო! ნათქვამი ნათლად ადასტურებს იმას, რომ ქვეყნის დასაბამიდანვე ბრძოლა არსებულა და წარმოებულა მუდმივად სიკეთესა და სიბოროტეს, ღვთისნიერებასა და უღვთოებას, სჯულიერებას და უსჯულოებას, მორწმუნეობასა და ურწმუნოებას შორის.

ბიბლიის წელთა აღრიცხვით ადამ და ევას ქვეყნად მოვლინებიდან ქრისტესშობამდე 5508 წელს გაუვლია: ქრისტეს შობიდან დღევანდლამდე, როგორც ვიცით ყველამ, 1931 წელია და მაშასადამე, სულ კაცთა გაჩენიდან ჩვენამდე ქ. 439 წლის ისტორიული ცხოვრების მანძილია (5508 წ. + 1931 წ. = ქ. 439 წ). და აი, ამ დიდი ხნის განმავლობაში რელიგიური მიმდინარეობაც არსებობს და არ მოსპობილა იგი და რელიგიის წინააღმდეგი ბრძოლა და მისი სასტიკი ზომებიც ფრთაგაშლილია. კაცობრივობის ისტორიას ახსოვს, რომ ბევრჯერ ღვთისნიერობას, სჯულიერობას და მორწმუნეობას გამარჯვების ნიშნად აღუმართავს მაღლა თავისი დროშა; და ბევრჯერაც ულვთოობას, უსჯულოებას და ურწმუნოებას გაულესნია ხანჯალი და სხვა მრავალგვარი მახვილი, მუხანათურად უშიშვლებია და მძლავრად მოუქნევია პირველის გასაქრობად და ძირიანფესვიან ამოსაგდებად.

მორწმუნენო! ჩვენ ამქვეყნად მოვლინებულნი ადამიანნი, მცირე დროისანი ვართ. საღმრთო წერილის სწავლით, რაც ბევრჯერ გვითქვამს ამ წმიდა ამბიონიდან, ჩვენი სიცოცხლე თივისა, ყვავილისა და კვამლის სადარია. ხანგრძლივობა კაცთა სიცოცხლისა დედამიწაზედ იშვიათ შემთხვევებში თუ აღემატება 70-80 წლებს. „მწირნი ვართ წინაშე უფლისა და წარმავალნი, ვითარცა ყოველნი მამანი ჩვენნი“ (ნეშტთა 39. 15). ამ ნათქვამით ცხოვრების მქონეთათვის ამ ქვეყნად რა უფრო ხელსაყრელია და სამჯობინარი: ღვთის აღიარება, თუ მისი უარყოფა, სჯულის დაცვა თუ მისი აბუჩად აგდება, ფეხქვეშ გათელა, შეგინება და უსჯულოების გამეფება? სარწმუნოების თავისუფლება, ხელშეუხებლობა, შეწყნარება, შეგუება-შეთვისება და შეყვარება, თუ მისი დევნა, შეუწყნარებლობა, შეუგუებლობა-შეუთვისებლობა და მძულვარება ურწმუნოების სასტიკი ფარ-ხმალით, სისხლის სმის და კაციჭამიობის მდომით? საღმრთოსაეკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდან სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითები გაგვცემენ სწორ პასუხს ამ დასმულ კითხვებზედ...“

დეკანოზი დავითი მეუღლესთან და შვილებთან ერთად. დგანან შოთა (მარცხნივ) და არჩილი (მარჯვნივ)

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში # 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: ს/ს. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი #1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

თურქეთის ხელისუფლება სომხური ტაძრის გახსნის ნებართვას გასცემს

სურბ ხაჩის ეკლესია (წმინდა ჯვარი), რომელიც კუნძულ ახტამარზე მდებარეობს, ღვთისმსახურებისათვის ა.წ. სექტემბერში გაიხსნება და ეკლესიაზე ჯვარიც დაიდგმება. ამის შესახებ „ერთურამ" თურქულმა გაზეთმა თურქეთის კულტურის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა.

სამინისტრო მალე დაასრულებს ყველა აუცილებელი დოკუმენტის მომზადებას და სომხეთის ეკლესიის წარმომადგენელს უფლება მიეცემა, წელიწადში ერთხელ სურბ ხაჩში ღვთისმსახურება აღასრულოს.

სურბ ხაჩის ეკლესიას 2007 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და მუზეუმად გადააკეთეს. თურქეთის კანონებით, რელიგიური რიტუალების მუზეუმში აღსრულება დაუშვებელია, შესაბამისად — ეკლესიის შენობას მოხსნილი აქვს ჯვარიც. თუმცა რეკონსტრუქციის დროს დაამზადეს ტაძარზე ადრე არსებული ჯვრის ასლი და იგი სომხეთის პატრიარქ მესროპ II-ს გადასცეს. სამომავლოდ სწორედ ამ ჯვრის აღმართვას გეგმავენ განახლებულ ტაძარზე.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

ოსეთში სახარების თავგამოდებული მქადაგებელი მღვდელი ნესტორ ბაკურაძე 1861-1931

მღვდელი ნესტორ ნიკოლოზის ძე ბაკურაძე 1861 წელს, ქვემო რაჭის მთიან სოფელში, ზნაკვაში დაიბადა. ეკუთვნოდა სასულიერო ოჯახს. რვა წლის ნესტორი უფროს ძმებს წამოუყვანიათ კახეთში, სოფელ კისისხევში. მალე იგი აღსაზრდელად მიაბარეს შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა წერა-კითხვა, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. 1878 წლის 2 ივლისს კავკასიაში ქრისტიანობის ამღდგენელ საზოგადოებამ სოფელ აბანოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესა. 1881 წლის 1 ოქტომბერს ვლადიკავკაზის ეპარქიაში გადაიყვანეს და სოფელ ხუმლაგის სამრევლოს მედავითნედ დაინიშნა. 1886 წლის 2 იანვარს ვლადიკავკაზის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა დიაკვნად აკურთხა. ამავე წლის 16 მარტს მღვდლად დაასხა ხელი და ხუმლაგის სამრევლოს წინამძღვრად დაინიშნა. 1887 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1889 წლის 1 სექტემბერს ამავე სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1890 წლის 15 თებერვალს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1894 წელს იმპერატორ ალექსანდრე III სახელობის სამახსოვრო ვერცხლის მედალი უბოძეს. 1895 წლის 20 თებერვალს ვლადიკავკაზის ეპარქიის X ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დაინიშნა. 1896 წლის 30 სექტემბერს ტალიბანის (სანების) სამრევლოს წინამძღვრად გადაიყვანეს. 1898 წლის აღდგომას ხავერდისფერი სკუფიით დააჯილდოვეს.

მღვდელი ნესტორ ბაკურაძე

ჩრდილო ოსეთში მამა ნესტორის ნაყოფიერი მოღვაწეობა წლების განმავლობაში ფართოდ შუქდებდებოდა გაზეთ „ივერიაში". აი, რას წერდნენ ისინი თავის ერთ-ერთ ნომერში: *„სწორედ ორი წელიწადი შესრულდა, რაც სანების სამრევლოში მ[illegible] ხურებდა მღვდელი მამა ნ. ბაკურაძე. ეს მღვდელი პირველად სოფელ ხუმელაგში იყო, იქიდან აქ გადმოიყვანეს, ხუმელაგელებმა სახსოვრად გულის ჯვარი მიართვეს, ადრესი ოსურს ენაზედ და სოფლის განაჩენი. გადმოვიდა თუ არა სანებაში მამა ბაკურაძე, თავისი მამობრივი ყურადღება მიაქცია „რენეგატებს" (მიქცეულნი). მოძღვარი ყველას თავმდაბლად ესაუბრებოდა და ყველასთვის დაუზარელი იყო ჭირსა თუ ლხინში. ამიტომაც ბევრს მიქცეულთ და მაჰმადიანთ მოულბო გული და შემოუერთა მართლმადიდებელს ეკლესიას. დღეს მისისავე თხოვნით მ. ნ. ბაკურაძე გადაიყვანეს ქრისტიანის სოფელში. სანებლებმა მიართვეს მას ვერცხლით შეჭედილი კვერთხი ზედ წარწერით: „ჩვენს ძვირფას მოძღვარს, მამა ნესტორ ბაკურაძეს, მისი მოსიყვარულე სანებლებისაგან, 1898 წ. დეკემბრის 25-სა დღესა".*

ეს პატივცემული მოძღვარი ქრისტიანებზედ ნაკ-

ლებ არ უყვარდათ მაჰმადიანებსაც. სხვა სოფელში მისი გადასვლა რომ გაიგეს, ერთი ორმოცდაათის წლის დედაკაცი, გეკა თორჩინოვი, მივიდა იმისთან და სთხოვა: „მამაო, შენმა ტკბილმა მოძღვრულმა სიტყვებმა ისე მიმიზიდა, რომ მსურს მართლმადიდებელ ეკლესიას შემოვუერთდე. ამიტომ, გთხოვ, არ დამტოვოთ ისე, რომ წმინდა ნათლისღება არ მიმაღებინოთ. იმასაც-კი გეტყვი, რომ თუ შენის ხელით არ მოვინათლე, შემდეგ ისევ ჩემსავე უწინდელს რჯულს არ გადავალო“. 25 დეკემბერს მ. ნ. ბაკურაძემ ეს მანდილოსანი შემოუერთა მართლმადიდებელ ეკლესიას და უწოდა სახელად დარია. გაცილების წინა დღეს სოფელმა გაუმართა სადილი თავისს მოძღვარს. სადილ ზედ მოიწვიეს დარღავსის მღვდელი ილია გახოკიძე და ხიდიყურისა — ესტატე ჯანუევი. სადილის მეორე დღეს დიდიან-პატარიანად სანებლებმა გამოაცილეს მ. ნ. ბაკურაძე და უსურვეს დღეგრძელობა. მოძღვარმაც თავისის მხრით დალოცა მრევლი, დაარიგა და გაეგზავნა ახალ მრევლში.

დეკანოზი ნესტორ ბაკურაძე

1898 წლის 27 ნოემბერს სოფელ ნებითი-ქრისტიანის სამრევლოს წინამძღვრად განამწესეს. გაზეთმა „ივერიამ“ ეს მოვლენად გააშუქა თავის ფურცლებზე, სადაც წერდნენ: „ეს სოფელი ქ. კავკაზიდან 46 ვერსით მოშორებულია, ბარი ალაგია და შესდგება ათასი კომლისაგან. მცხოვრებნი გვარ-ტომობით დიგორელი ოსები არიან, ასე რომ, იმათს ენასა და სხვა ოსების ენას შორის დიდი განსხვავებაა. სწავლა-განათლების მხრივ მთელს ოსეთში ამ სოფელს პირველი ალაგი უჭირავს. შუა სოფელში ვებერთელა ორკლასიანი ვაჟების საეკლესიო-სამრევლო სკოლაა და ქალებისა — ერთკლასიანი. ამ სოფელს აგრეთვე აქვს ორი წერა-კითხვის სკოლა, რომელთაც ცალკე მასწავლებელი ჰყავს. როგორც ზეპირი გადმოცემა ამბობს, აი, რათ ეძახიან ამ სოფელს „ნებითი-ქრისტიანის“ სოფელს: უწინდელს დროს, რასაკვირველია, ყველა ესენი მთაში ცხოვრობდნენ. როცა დიგორის მთებიდგან გადმოსახლდნენ ბარად, მაშინდელმა მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება მისცეს თურმე გადმოსახლებულთ: „ვის გსურთ ქრისტეს რჯული და ვის მაჰმადისაო“. ხალხი შუაზედ გაიყო. ამ სოფელმა თავისის ნებით ისურვა ქრისტიანობა და ამიტომ შერჩა სახელწოდება: „ნებითი ქრისტიანი“ (ვოლნო-ხრისტიანსკოე სელენიე), მეორე ნახევარს უსურვებია მაჰმადიანობა, დასახლებულა ამ სოფლიდგან ოცის ვერსის მოშორებით და დარქმევია: „მახამედის სოფელი“ (მახამეთ ყაუ).

1899 წლის მაისში მამა ნესტორს უბედურება ეწვია. ყელის ტკივილისა და გაციების შედეგად გარდაიცვალა მისი 11 წლის ქალიშვილი ნინო. მამა ნესტორი ამ სამრევლოში მსახურობდა 1902 წლის 24 ოქტომბრამდე. წამოსვლისას ადგილობრივმა მოსახლეობამ მოუწყო გაცილება და მიუძღვნა ოსური სახარება წარწერით: „ოსეთში სახარების თავგამოდებულ მქადაგებელს მადლობელი ოსი ხალხისაგან“. ოსეთში ყოფნისას მამა ნესტორი ყოფილა მთასვლელთა საზოგადოების წევრი და მონაწილეობა მიუღია მთასვლელთა ექსპედიციებში.

1902 წლის 24 ოქრომბერს საქართველოში დაბრუნდა და ლარსის სამრევლოში დაადგინეს. 1904 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს. 1906 წლის 26 ნოემბერს ისევ აირჩიეს X ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად. 1909 წლის 20 იანვარს ერწო-თიანეთის მხარეში განამწესეს და სოფელ საყარაულოს (იგივე სოფელი ახადონოჯიხეთის) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1910 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1911 წლის 16 ნოემბერს თიანეთის მაზრის I ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1916 წლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მამა ნესტორი სასულიერო საკითხების გარდა დიდ ყურადღებას უთმობდა საერო განათლების საკითხსაც. ამას მოწმობს მისი კორესპონდენციები, როგორც ბარის ოსეთიდან, ასევე ლარსიდან და ერწო-თიანეთიდან. ეს მჟღავნდებოდა მის პრაქტიკულ საქმიანობაშიც. თავისი გულისხმიერებით, მოსახლეობისადმი კეთილგანწყობით, მუდამ იმსახურებდა ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ იგი ჩარეულა მოსისხლეთა შერიგების საქმეში. რჩევა-დარიგებას აძლევდა სწავლა-განათლების მსურველთ, ზრუნავდა მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამხელდა ცრუმორწმუნეობის მქადაგებელ მკითხავებსა და ექიმბაშებს. ამ თვისებებით იყო აღჭურვილი მისი ოჯახის წევრებიც, ამას მიგვითითებს მისი ასულების — ეფროსინესა და ანას ქველმოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც ლარსში, ასევე ერწო-თიანეთში. სოფელ საყარაულოში მისვლისთანავე მამა ნესტორისა და მისი ასულის ანას თაოსნობით გაიხსნა სამრევლო სკოლა. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მათ შეძლეს სკოლის შენარჩუნება და ბავშვებისათვის წერა-კითხვის შესწავლა. მამა ნესტორმა შეძლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყურადღების მიქცევა და ამ საზოგადოების დახმარებით სკოლის სათანადო ინვენტარითა და საჭირო მასალებით აღჭურვა. სკოლას დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე შიო მღვიმელმა.

მამა ნესტორის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ხალხური პოეტური შემოქმედების შეკრება-გა-

მოქვეყნება. შეკრებილ მასალებს სისტემატიურად გზავნიდა ჟურნალ-გაზეთებში. ამასთანავე აკვირდებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს და პერიოდულად ბეჭდავდა კიდეც. იგი ორმოცი წლის განმავლობაში კრებდა ამ ხასიათის მასალებს. დღეს ამ მასალების დიდი ნაწილი დაცულია ფოლკლორის ცენტრალურ არქივში. ჩანაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბეჭდა პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ 1937 წელს და 1964 წელს, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია.

მამა ნესტორს მიმოწერა და ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, მათ შორის ქართული ხალხური კულტურის დიდ მოამაგე ვახტანგ კოტეტიშვილთან. პირადად ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ საქმიანი მიმოწერა კი აკავშირებდათ. მას აუსრულებია ვახტანგ კოტეტიშვილის თხოვნა და მთელი თავისი მასალა გაუგზავნია მისთვის. ვახტანგს კი მადლობის წერილით მიუმართავს: „*დიდად პატივცემულო მამაო ნესტორ! მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი თექვსმეტი რვეული, რისთვისაც უდიდეს მადლობას გიძღვნით. ღრმად ბრძანდებოდეთ დარწმუნებული, რომ ისევე გაუფრთხილდები, როგორც თქვენ*“ — წერილი თარიღდება 1929 წლით.

ლარსის ხეობა

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

1920 წლის 23 მარტს მღვდელი ნესტორი თხოვნით მიმართავს ალავერდელ ეპისკოპოს პიროსს (ოქროპირიძე) — „*თელავის მაზრაში სოფელ ბუშატის სამრევლოში უკვე განთავისუფლდა მღვდლის ადგილი. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მეუფებავ, ზემოხსენებულ მრევლისგნით მღვდლის არჩევნების დროს მეც ნება დამრთოთ არჩევნებში მონაწილეობა მივიღო*“. იმჟამად სოფელ ბუშატში არ მოხერხდა მისი გადაყვანა, თუმცა მალევე გათავისუფლდა ქვემო ხოდაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრის ადგილი და მამა ნესტორიც იქ დაინიშნა.

მალე დადგა ავად სახსენებელი 1921 წელი. საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება, რასაც მოჰყვა ტაძრების დახურვა, სიწმინდეების შეურაცხყოფა, სასულიერო პირთა განუკითხავი დევნა-შევიწროება და ლიკვიდაცია. გამონაკლისი ამ მხრივ არც მამა ნესტორი ყოფილა, თუმცა მრავალი შეურაცხყოფისა და ტანჯვის მიუხედავად მან არ მიატოვა ეკლესია, შემოფანტული მრევლი და მღვდელმსახურება. იგი ბოლომდე ღირსეულად აღასრულებდა თავის მოვალეობას ღვთისა და დედა ეკლესიის წინაშე.

მღვდელი ნესტორი 1931 წლის 13 იანვარს, 70 წლის ასაკში ღვაწლმოსილი აღესრულა. ოჯახის წევრებმა და სამღვდელოებამ იგი დიდი პატივით დაასაფლავეს 16 იანვარს, სოფელ ქვემო ხოდაშენის საერო სასაფლაოზე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაველიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნინა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაყრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

რიარქო გააუქმეს. ეპისტოლეში ნათქვამია, რომ მრავალ თანამედროვე საეკლესიო მოვლენას უნდა მიეცეს სამეცნიერო შეფასება. ისინი ძალიან მნიშვნელოვანია ბულგარეთის ეკლესიისათვის, რადგან არა მარტო მისი ისტორიის ნაწილს წარმოადგენს, არამედ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამომავლო არსებობის საფუძველსაც.

საინტერესოა, რომ ამ დღესთან დაკავშირებით ბულგარეთის ეროვნულმა ბანკმა საიუბილეო ვერცხლის მონეტაც მოჭრა.

ჩერნოგორიის მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ უფლებებს იცავს

ჩერნოგორიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელისუფლებას მოუწოდა, არ დაამახინჯოს მისი სახელწოდება, დაიცვას რუმიის მთაზე მდებარე წმინდა სამების ტაძარი და მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს აღუთქვანს თავისუფალი გადაადგილების უფლება ჩერნოგორიის ტერიტორიაზე.

27 თებერვალს შედგა ჩერნოგორიის ეპისკოპოსთა კრება, რომელზეც შეიმუშავეს საგანგებო მიმართვა. თავდაპირველად ეპისკოპოსებმა საზოგადოებას შეახსენეს, რომ სერბეთის წმინდა სინოდის სხდომის განჩინების თანახმად (2006 წელი), სერბეთის ეკლესიის საეკლესიო ინსტიტუცია ჩერნოგორიაში უნდა იწოდებოდეს, როგორც „მართლმადიდებელი ეკლესია ჩერნოგორიაში“ და არა ისე, როგორც ამას პოპულარულ ჟურნალებში წერენ: „ჩერნოგორიის მიტროპოლია“ ან „მართლმადიდებელი ეპარქია ჩერნოგორიაში“.

ჩერნოგორიის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში შედის ჩერნოგორია-პრიმორიის მიტროპოლიები და ეპარქიები: ბუდიმლან-ნიკშიჩის (ჩერნოგორიის ტერიტორია), ზახუმსკო-ჰერცოგოვინის (ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ტერიტორია) და მილეშევის (სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაწილი).

ჩერნოგორიის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს აიღოს წმინდა სამების ტაძარი მთა რუმიაზე, თითქოსდა, მისი არაკანონიერად აგების გამო. ეკლესიამ გადაწყვიტა, ეს საქმე მიანდოს იურისტებს, რომლებიც ჩერნოგორიის მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს დაიცავენ. ქვეყნის კანონის მიხედვით, ამ ტაძრის აღდგენა სავსებით კანონიერია, რადგან იგი ძველი ტაძრის ადგილზეა აღდგენილი. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეკლესია ეროვნული ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს.

საეპისკოპოსო საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, 25 მარტს გამართოს მრგვალი მაგიდა თემაზე — „ჰიდროელექტროსადგურები და მორაჩის მონასტრის საფრთხე“, რადგან ხელისუფლება აპირებს მდინარე მორაჩზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის აგებას. ამან კი შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს არა მარტო მორაჩის XIII საუკუნის ტაძარი, არამედ მთელი მიმდებარე ტერიტორია.

ეპისკოპოსებმა კვლავ მოუწოდეს ხელისუფლებას, შეასრულოს საკუთარი მოვალეობები ეკლესიის წინაშე და იზრუნოს იმ ქონების დაბრუნებაზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს უკანონოდ ჩამოართვეს; ასევე, შეიტანონ საეკლესიო დისციპლინები სასკოლო პროგრამებში.

ცალკე განიხილეს ის ფაქტი, რომ მილშევის ეპისკოპოსი ფილარეტი ვერ ესწრებოდა სხდომას, რადგან დღემდე მისი ჩერნოგორიაში თავისუფლად გადაადგილება შეზღუდულია. მიმართვაში ეპისკოპოსები იმედს გამოთქვამენ, რომ ჩერნოგორიის შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე სასულიერო პირთა და, ზოგადად, მოსახლეობის უსაფრთხო, თავისუფალად გადაადგილების საკითხს დადებითად მოაგვარებს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

„მაღლა ეჭირათ ჩვენში საეკლესიო დროშა“

წულაძეების სამღვდელო გვარი

მღვდელი იოანე ნიკოლოზის ძე წულაძე 1836 წელს სოფელ ჭანჭათში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოსა და დედაეკლესიას.

საქართველოს საეგზარქოსოს არქივში დაცულია ცნობა სოფელ ჭანჭათის ეკლესიისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ, სადაც ვკითხულობთ (საბუთი დაწერილია 1839 წელს):

„სოფელ ჭანჭათის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია — აშენებულია ხით. სიძველის გამო აშენების წელი არაა ცნობილი. განახლებულია 1780 წელს. სამრევლო შედგება 66 კომლისაგან. ეკლესია მდებარეობს საბატონო სოფელში. შეწირული აქვს მამული — ვენახიანი, ორი ქცევა და 240 ქცევა ტყე.

მღვდელი იოანე წულაძე — 91 წლის, ქვრივი. ჰყავს ორი ძე: დიაკონი ნიკოლოზი — 31 წლის და ლაზარე — 29 წლის. წარმომავლობით სახაზინო ყმა, სასულიერო წოდების. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გურიის უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წი-

ნამძღვარ, არქიმანდრიტ იობთან ისწავლა. 1770 წელს **ხინოწმინდელმა** ეპისკოპოსმა იოანემ (წუწუნავა) დიაკვნად აკურთხა. 1783 წლის 9 მარტს ჯუმათელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (თაყაიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი. მღვდლად კურთხევის სიგელი არა აქვს.

დიაკონი ნიკოლოზ წულაძე — 31 წლის, ცოლიანი. ჰყავს ორი ძე: პორფირი — 10 წლის და იოანე — 4 წლის. წარმომავლობით სახაზინო ყმა, სასულიერო წოდების. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი თავის მამასთან ისწავლა. 1822 წლის მარტში ჯუმათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (შარვაშიძე) დიაკვნად აკურთხა. დიაკვნად კურთხევის სიგელი არა აქვს."

როგორც ვხედავთ, მამა იოანე ამ დროს ჯერ კიდევ 4 წლის ბავშვია. იგი დიდი სასულიერო ტრადიციების მქონე ოჯახში იზრდებოდა და არცაა გასაკვირი, თუ რატომ აირჩია მან ეს მძიმე, მაგრამ ტკბილი უღელი. როდესაც იგი წამოიზარდა, მამამ სასწავლებლად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომლის დასრულების შემდეგ მედავითნედ დაიწყო მსახურება. XIX საუკუნის 60-იან წლებში გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) მედავითნე იოანეს დიაკვნად, შემდეგ კი — მღვდლად დაასხა ხელი და მშობლიურ სოფელში განამწესა. მამა იოანე ნახევარი საუკუნე ღირსეულად ემსახურა უფალს და 1912 წლის 21 ივლისს ღვაწლმოსილი აღესრულა. მისი გარდაცვალების შესახებ საკმაოდ ვრცელი წერილი დაიბეჭდა მაშინდელ პრესაში, კერძოდ, გაზეთ „თემში", სადაც დაწვრილებით არის აღწერილი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა დედაეკლესიის საკეთილდღეოდ:

მღვდელი იოანე წულაძე

„21 ივლისს, სოფელ ჭანჭათში (გურია) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 76 წლის მოხუცი მღვდელი იოანე ნიკოლოზის ძე წულაძე, რომელმაც მთელი 50 წლის განმავლობაში ღირსეულად ატარა პატიოსანი ჯვარი ქვეყნისთვის თავდადებულისა, პირნათლად ემსახურა მრევლს და ვალგადახდილი მიეშურება საუკუნო მოსასვენებლად. ამ პატიოსანი მოძღვრის მეტად მიმზიდველი პიროვნება, როგორც ქრისტეს მცნების თანახმად განვლილი ცხოვრება, მაიძულებს კალამი ავიღო ხელში და მის თანამოსაქმეთ მიუთითოთ იმ იშვიათ თვისებებზე, რომლებიც შეადგენენ მისი პატიოსანი სულის ღირსეულ სამკაულს და ანდამატივით იზიდავენ მისკენ ნაცნობისა და მოკეთის გულს. განსვენებული წარმოადგენდა მეტად იშვიათს ტიპს ძველი მღვდლებისას, რომელთაც ადრე ისე მაღლა ეჭირათ ჩვენში საეკლესიო დროშა და რომელნიც დიდად განსხვავდებოდნენ ახალი დროის მღვდლებისაგან. „ძველსა და ახალს მღვდლებს შორის ის განსხვავება არის, რომ ახლების შენახვა უფრო ძვირად უჯდებაო მრევლსაო", — იოხუნჯა ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ამ პატიოსანი მოძღვრის დასაფლავებას დაესწრო და ეს ოხუნჯობა, ჩემი აზრით, ნახევრად მართალი მაინც არის. მართლა და განსვენებული ამ მხრივ დიდად განირჩეოდა სხვა თავის თანამოსაქმეებისაგან. 50 წლის სამსახურით საეკლესიო სარბიელზე და გასაოცარი შრომისმოყვარეობით ერთი გოჯითაც არ გაუფართოებია თავისი მამაპაპეული და ღარიბი ქოხმახების და კეთილი სახელის გარდა სხვა სიმდიდრე არა დაუტოვებია რა ამ ქვეყნად. მამა იოანეს არ მოუხვეჭია სახელი საეკლესიო მჭერმეტყველებით, მაგრამ რათ ვთხოვთ ცარიელ სიტყვებს იმ კაცს, რომლის ხანგრძლივი მოღვაწეობა მრევლში და თვით კერძო შინაური ცხოვრება ერთ შეუწყვეტელ უმჭერმეტყველეს ქადაგებას წარმოადგენდა. განსვენებული არც ჩვენს მწერლობაში იყო ცნობილი. მისი „ანბანთქება" და ორიოდე ლექსი ცალკე წიგნად გამოცემული მაინც და მაინც დიდს განძს არ წარმოადგენ ჩვენი მწერლობისათვის, მაგრამ მისი უსწავლელ კაცად ჩათვლა იმას შეუძლია, ვისაც მეცნიერად ასამაღლებლის რუსულად მთქმელი მღვდელი მიაჩნია და ვინც ფიქრობს, რომ ქართულ მწერლობას არ ძალუძს კაცის აყვანა სასურველ გონებრივ და ზნეობრივ სიმაღლემდეო. თავდავიწყებამდის შრომისმოყვარე მამა იოანე მოიცლიდა თუ არა საეკლესიო და საოჯახო საქმეებისაგან, მაშინვე წიგნს ან გაზეთს მივარდებოდა, ხარბად ეწაფებოდა ჩვენს საეკლესიო და საერო მწერლობას, კუბოს კარამდე წიგნი არ გაუგდია ხელიდან და კიდევაც გამოართვა მშობლიურ მწერლობას ის, რისი მიცემაც ამ უკანასკნელს შეეძლო, მაგრამ გამორთმევა არის და გამორთმევაც! ზოგი თუ წიგნს უგემურად, დროის მოსაკლავად კითხულობს, ან იმ მოსაზრებით, აქაო და ნაკითხს კაცს დამიძახებენო, მამა იოანე წიგნების საშუალებით გონებასა და გულს იფაქიზებდა და ყოველთვის იმას ცდილობდა, წაკითხული მეორე ბუნებად ექცია, შეესისხლხორცებია, შეეთანხმებია წაკითხულთან, რათა მის სიტყვასა და საქმეს შორის წინააღმდეგობა არ ყოფილიყო. საშინლად ეჯავრებოდა, სწუხდა, როცა ნასწავლი კაცი რამე უმსგავსოებას ჩაიდენდა და სამართლიანად ნათლავს ერთს თავის ლექსში ამგვარად განსწავლულ „მეცნიერებს" „თვალხილულ ბრმებათ და ყურმახვილ ყრუებად". წიგნების კითხვას კიდევ მისთვის ის აზრი ჰქონდა, რომ სურდა ცხოვრებას კუდში არ მოქცეოდა, ამა თუ იმ მოვლენას მოუმზადებელი არ დახვედროდა. ამიტომაც იყო, რომ წასული თავისუფლების დღეებში, როცა ზოგი მისი თანამოძმენი დაიბნენ, ცალის თვალით მარცხნით იყურებოდნენ და ცალს კი მარჯვნივ აცეცებდნენ, მამა იოანე სრულიად არ შეშფოთებულა, მეტად დინჯად ეჭირა თავი, თითქო მის თვალწინ რაღაც ჩვეულებრივი ამბავი ხდებაო და მხოლოდ ხანდახან ეს უსწორო ომი შიშში ჩააგდებდა და მის დაღარულს, მუდამ ზრუნვით აღბეჭდილს

შუბლს ნაოჭი მოემატებოდა.

თავდაპირველად, როგორც მოძღვარი, ის იყო ღრმად მორწმუნე ადამიანი და რაც უნდა მახლობელი ყოფილიყავი, ძნელად თუ გაპატივებდა მცირეოდენ იჭვიანობას სარწმუნოების სფეროში. როგორც ქართველი, ის იყო იშვიათი სტუმართმოყვარე, მისი სახლის კარები ყოველთვის და ყველასთვის ღია იყო, არავისაგან პასპორტს არ ითხოვდა და მთელი თვეობით, გინდა წლობით რომ დარჩენილიყავით მასთან, ერთხელაც წარბებშეკრული არ შემოგხედავდა. ის იყო მეტისმეტად თავდაჭერილი, უმაღლესად ზრდილი, მეტად მშვიდობიანი ხასიათის მექონი, რაც უნდა შევიწროება მიგეყენებინა, როგორც ხორციელი აღელდებოდა, მაგრამ ძნელად თუ იმისთანა სიტყვა წასცდებოდა, რომ ბოლოს სანანებლად დარჩენოდა. თითოეული მისი სიტყვა, ყოველი მისი ნაბიჯი, ათასჯერ აწონილ-გაზომვილი, წინდაწინ მოფიქრებული იყო და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რამდენიც უნდა ეცადო, რაც უნდა აფათურო ხელი შენს მეხსიერებაში, ვერ მოძებნი ვერც ერთ უშვერ სიტყვას, ვერც ერთ უმსგავსო საქციელს, რომლითაც მამა იოანეს ვისმესთვის ოდესმე გული დაეჭრას. სრულიად მოკლებული პატივმოყვარეობას, ის ყველაფერში სასტიკ ზომიერებას იცავდა. თუმცა კარგი განწყობილება ჰქონდა მღვდელმთავრებთან, რომლებიც ხშირად მისას ზაფხულს ატარებდნენ, მაგრამ აზრად არ მოსვლია რაიმე ჯილდო ეთხოვა. 50 წლის უმწიკვლო სამსახურმა მისი მკერდი ორდენებით ვერ დაამშვენა. არასოდეს მინახავს მის ტანზე შრიალა ანაფორა, აბრეშუმის ახალუხი; სტუმრის უზომო პატივისმცემელი, პურ-მარილზე გადაგებული, ძნელად თუ ოდესმე ჭამა-სმაში თითონ ზომიერებას გადასცდებოდა, მაგრამ რაც ყველაზე უფრო ამშვენებდა მას, ეს იყო მისი უსაზღვრო რწმენით განმსჭვალული, მოძმის მეტად მოყვარული გული, რომელიც ხელმძღვანელობდა მას მთელს მის ცხოვრებაში, მადლით რწყავდა ყოველ მის ნაკვალევს და ნებას აძლევდა შინაურთან თუ ახალგაზრდასთან ყოველთვის მეგობრული განწყობილება ჰქონოდა. ასეთი სიყვარულით ეპყრობოდა ის ყოველს სულიერ არსებას. არაფრის გულისათვის არ გაპატივებდა პირუტყვებთან უდიერად მოქცევას და საშინლად აღელდებოდა, როცა მისი ოჯახის რომელიმე წევრი მის თვალწინ მოსაკლავად გაიმეტებდა ჩიტებს, რომელთაც მამა იოანე სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნასუფრალით საგანგებოდ დამზადებულ ლისტებზე. უნდა გენახათ მამა იოანე, როცა მას რომელიმე მძიმე ავადმყოფის საზიარებლად მიიწვევდნენ. აუტანელი სევდის შავი ღრუბელი მოიცავდა მის მადლიან სახეს, საშინელი სიბრალული, უსაზღვრო მწუხარება შეიპყრობდა მთელს მისს არსებას და ისიც სწრაფად გაქანდებოდა ავადმყოფისაკენ. არა მარტო ზიარებით, არამედ მთელი საშინაო აფთიაქით და სხვადასხვა საჭირო წამლებით და შესაფერი საშუალებით თავდაპირველად იმას შეეცდებოდა ავადმყოფისათვის ღონე დაებრუნებინა, გაემხნევებინა; სნეულიც მის მიახლოვებაზე რაღაც შვებასა და ნუგეშს გრძნობდა. ასე ქრისტიანულად, ადამიანურად დალია თვისი ამქვეყნიური ცხოვრება ყოვლადპატიოსანმა მამა იოანემ და ამან მოუყარა მის დასაფლავებაზე თავი აუარებელ ნაცნობსა და პატივისმცემელთ. მეც სხვებთან ერთად გზას გილოცავ, პატიოსანო მოძღვარო და ჩემო საუკეთესო მეგობარო მამა იოანე! თან ვისურვებ შენს სულიერ სიმდიდრეს ამ სოფლად მემკვიდრე გასჩენოდეს და ისე არ გაურბოდნენ ასეთ განძს ზოგი შენი თანამოსაქმენი, როგორც შჩედრინის გმირები ემალებოდენ ყველასაგან მოძულებულს ჩვარში გახვეულს სინდისს“.

დეკანოზი ლავრენტი წულაძე

მამა იოანეს დასაფლავებას 2000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. წარმოთქვეს სიტყვებიც, მათ შორის: მღვდელმა ეპიფანე ჩხეიძემ, მღვდელმა ეპიფანე ხონელიამ, მასწავლებელმა არ. წითლიძემ და სხვებმა.

მამა იოანეს საქმე ღირსეულად გააგრძელა მისმა შვილმა, ცნობილმა მოძღვარმა, დეკანოზმა ლავრენტი წულაძემ. იგი 1867 წლის 30 სექტემბერს დაიბადა. ოჯახში მამის მეთვალყურეობით მიიღო პირველდაწყებითი განათლება, რის შემდეგაც დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი და სოფელ ჭანჭათის ეკლესიაში მედავითნედ დაიწყო მსახურება.

1887 წელს მამა ლავრენტიმ სოფელ სურებში დააარსა დაწყებითი სკოლა, სადაც დიდი რუდუნებით ემსახურებოდა ბავშვების განათლებისა და აღზრდის საქმეს.

1890 წელს ქ. ფოთის საქალაქო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაიყვანეს. XIX საუკუნის 90-იან წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) ახალგაზრდა მასწავლებელს მღვდლად დაასხა ხელი. 1918 წლამდე მამა ლავრენტი ღირსეულად მოღვაწეობდა ამ სასწავლებელში, ხოლო სამღვდელო მსახურებას იგი ქ. ფოთის ერთ-ერთ ეკლესიაში აღასრულებდა.

მამა ლავრენტი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასთან“, „ცნობის ფურცელთან“ და სხვა გაზეთებთან, სადაც სხვადასხვა თემა-

ტიკაზე აქვეყნებდა თავის სტატიებს, საუბრობდა ეკლესიასა და ქვეყანაში იმჟამად არსებულ მრავალ პრობლემაზე, განსაკუთრებით კი სწავლა-განათლების საკითხზე, რომელიც მწვავედ იდგა XIX საუკუნის საქართველოში. თავის ერთ-ერთ ქადაგებაში იგი აღნიშნავდა:

„გული კაცისა ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა განათლებულიაო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა. რაკი ასეა, ჩვენ ამ თქმიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერიცა და ქვეყანაც მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როცა ბევრი ნასწავლი და განათლებული კაცი ჰყავს. სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა, ჩვენს ერსა და ქვეყანას არა თუ ნასწავლი და განათლებული კაცი არა ჰყავს ბლომად, არამედ უხეიროდ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც მცირედ მოიპოვება. დიაღ, ჩვენი ქვეყანა ღარიბია განათლებულის და განვითარებულის კაცებით, ჩვენი ერი ღატაკია უანგარო და ეჭვმიუტანელ პატიოსნების მქონე ადამიანებით, ჩვენი მამული უპოვარია მხნე და მუყაითის მუშაკებით და ნუთუ ამის შემდეგ შესაძლოა, ადამიანს არ აუშფოთდეს სული, არ აუჩუყდეს გული და არ აუცრემლიანდეს თვალები“.

სოფელი ჭანჭათი

იგი ასევე გახლდათ სამეცნიერო-პედაგოგიურ და ლიტერატურულ ჟურნალ „განათლების“ აქტიური თანამშრომელი. გაწევრიანებული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ საზოგადოებაში.

მამა ლავრენტი მონაწილეობდა 1917 წლის 11-17 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე. 1918 წლიდან სიკვდილამდე იგი მსახურობდა თავის მშობლიურ სოფელში და ასევე ასწავლიდა სოფელ აკეთის სკოლაში ქართულ ენას. 1922 წელს ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით იქაურმა კომკავშირლებმა დაარბიეს და დაწვეს ჭანჭათის ეკლესია. ამ დროს მამა ლავრენტი თავის შვილებთან ერთად დაპატიმრებული იყო და მეტეხის ციხეში იმყოფებოდა. ციხიდან გაათავისუფლეს და რამდენიმე თვეში მოძღვარი კვლავ თავის სოფელში დაბრუნდა, სადაც უშიშრად აგრძელებდა მღვდელმსახურებას. 1923 წლის 4 ნოემბერს, ღამით, როდესაც იგი სახლში ბრუნდებოდა, ბოლშევიკური პარტიის წევრთა დავალებით, ადგილობრივმა კომკავშირლებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

დეკანოზი ლავრენტი დიდი პატივით დაასაფლავეს სოფელ ჭანჭათის ეკლესიის ეზოში, საგვარეულო სასაფლაოზე, წინაპრების გვერდით. იგი გახლდათ წულაძეების იმ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ჭანჭათის ეკლესიაში.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ჯარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ცვლილება შეიძლება იყოს *სრული ან ნაწილობრივი*.

სრული ცვლილების შემთხვევაში კანონი უქმდება მთლიანად და კარგავს იურიდიულ ძალას (anairhsij, abrogatio). ეს შეიძლება მოხდეს საკანონმდებლო მითითებით, ან იმის გამო რომ კანონი გამოსულია პრაქტიკული გამოყენებიდან (acrhsia, desuetido).

ნაწილობრივი ცვლილების შემთხვევაში ძალას კარგავს კანონის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, რომელიც შეიძლება შეივსოს (ან არც შეივსოს), ახალი დანამატებით. ასეთ შემთხვევაში კანონმა შეიძლება შეინარჩუნოს სავალდებულო ხასიათი ისე, რომ მისი გაუქმებული ნაწილის გამო ესა თუ ის პირი გათავისუფლდეს მსჯავრისაგან. ეკლესიაში კანონების გაუქმება მოითხოვს შემდეგი აუცილებელი პირობების არსებობას:

ა) კანონი უქმდება მაშინ, როცა უფლებამოსილი საკანონმდებლო ორგანო გამოსცემს ახალ კანონებს და ცვლის მანამდე არსებულს. ამ დროს მოქმედებს lex posterior derogat priori პრინციპი. კანონის შეცვლაზე უფლებამოსილია ის ორგანო, რომელიც მისი წინამორბედის თანაბარი ან აღმატებული ძალაუფლების მქონეა.

ბ) თუ კანონს გააჩნია მოქმედების წინასწარდადგენილი ვადა, მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ.

გ) კანონი კარგავს ძალას მაშინ, როცა უქმდება ის მიზეზები რის გამოც ის გამოსცეს. ამ შემთხვევაში ითქმება: cessante ratione legis, cessat lex ipsa.

დ) საეკლესიო ხელისუფლება კანონს აუქმებს მაშინ, როცა ის აღარ შეესატყვისება დროის ახლებურ მოთხოვნებსა და იმ გარემოებებს, რომელშიც ეკლესიას არსებობა უწევს. მაგალითისათვის შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ: მოც. მე-5 და ტრულის მე-12 კანონები; ასევე, I მსოფლ. 5-ე და IV მსოფლ. მე-19 კანონები; ტრულის მე-8 და VII მსოფლ. მე-6 კანონები და სხვა.

II. პრივილეგირებული კანონი

პრივილეგირებული კანონი ეწოდება ისეთ საეკლესიო დადგენილებას, რომელიც ერთჯერადი გამოყენებისაა. იგი ითვლება გამონაკლისად და გულისხმობს კანონის ძირითადი ნაწილიდან განსაზღვრულ გადახვევას. ასეთ შემთხვევაში ძირითადი კანონი კი არ უქმდება, არამედ განსაკუთრებული მიზეზების გამო ხდება მისი დროებითი შეჩერება. ამ წესს მყარი კავშირი აქვს ბერძნულ-რომაულ jus singulare-სთან და იგი გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს. პრივილეგირებული კანონის გამოცემის უფლება აქვს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას. პრივილეგიას აუქმებს და ძალადაკარგულად აცხადებს იგივე სახელისუფლებო ორგანო, რომლის მიერაც ხდება მისი მიღება. პრივილეგიის გაუქმების მიზეზად ჩაითვლება იმ იურიდიული ურთიერთობების, ან მიზეზების დაძლევა, რომლისთვისაც დაიშვა ეს პრივილეგია.

პრივილეგიის ერთ-ერთი ფორმაა „იკონომია“, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წინა თემაში. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „იკონომიით“ ხდება კანონიდან გადახვევა ისე, რომ ძირითადი კანონი არ უქმდება, რჩება ძალაში, მაგრამ მისი სამიზნე პირები „იკონომიით“ თავისუფლდებიან კანონით დადგენილი სრული მოთხოვნებისაგან. იკონომია ადამიანის უძლურებისადმი დროებით თანაგრძნობის გამო დაიშვება და გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ მას შეუძლია მეტი სულიერი კეთილდღეობის მოტანა, ვიდრე კანონის ზედმიწევნით აღსრულება.

ვლადიმერ ნარსია

წოდომაციანე

მიტროპოლიტი რომანოზი (ერისთავი)

მიტროპოლიტი რომანოზი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, არაგვის ერისთავთა — გიორგი ოთარის ძისა და თამარ თამაზის ასულ ყაფლანიშვილის ოჯახში დაიბადა და ზუსტი თარიღი არაა ცნობილი. მისი და, ანა ერისთავი, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უფროსი ძის, ბაქარის მეუღლე გახლდათ. ამის გამო რომანოზს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამეფო კართან. გადმოცემის თანახმად, იგი დაოჯახებული გახლდათ. თუმცა მისი ბერად შედგომის მიზეზი ცნობილი არ არის. დაახლოებით 1710-11 წლებში, რომანოზის სახელით, დავით გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა. რამდენიმე წლის შემდეგ არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1722 წლის დასაწყისში რუსეთში, წმიდა ადგილების მოსალოცად გაემგზავრა. ჩრდილო

დონის მონასტერი

კავკასიაში, ქ. ყიზლართან იგი მაჰმადიანებმა გაძარცვეს და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. 1722 წლის 9 ივნისს მამა რომანოზი უკვე მოსკოვშია, დარეჯან არჩილის ასულთან. აქ მას დაენიშნა დახმარება — წელიწადში 100 მანეთის ოდენობით და ნება დართეს დონის ქართველთა მონასტერში ეცხოვრა. შემდეგ გადაიყვანეს ბოგოიავლენსკის მონასტერში. 1722 წლის ბოლოს მან რუსეთის მთავრობას სთხოვა: პასპორტის გაცემა მის სახელზე, ფულადი დახმარება და შეიარაღებული დაცვა — სამშობლოში დასაბრუნებლად. 1723 წლის თებერვალში მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, ამასთან, დაუნიშნეს დახმარება — თვეში 30 მანეთი, რის გამოც იგი კვლავ რუსეთში დარჩა. მთავრობა ყოველთვის დროულად არ ეხმარებოდა მამა რომანოზს და მას დიდი გაჭირვების გადატანა უწევდა. იგი თავის მოგონებებში წერს: **„ისე მიჭირდა, რომ იძულებული გავხდი ჩემი საარქიმანდრიტო ქუდი გამეყიდაო“.**

1724 წელს ოსმალეთმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო და ქართლის მეფე ვახტანგ VI, მთელი თავისი სამეფო კარით, იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია მამა რომანოზმა, რომელიც მოსკოვში, მეფის ბრძანებით, რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა.

1725 წლის ოქტომბერში, ვახტანგ VI-ის დავალებით, იგი საქართველოში დაბრუნდა, ვითომდა, თავისი დედისა და ნათესავების მოსანახულებლად. სინამდვილეში მის ჩამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მას უნდა შეემზადებინა ნიადაგი მეფის უკან დასაბრუნებლად და გავლენიანი თავადები გადაებირებინა. მამა რომანოზი თბილისში ცხოვრობდა, სადაც მცირე ქვის ეკლესია ააშენა და იქვე მონასტერი დაარსა. იმ პერიოდში მთელი აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ჩათვლით, დაკავებული ჰქონდა თურქეთის არმიას. მალე მათ მამა რომანოზის აშენებულ მონასტერში სამხედრო რაზმი განათავსეს, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა თბილისს გასცლოდა. დავით გარეჯის მონასტერი ამ დროს ლეკების თავდასხმებისაგან დიდ გასაჭირში იყო, ამიტომ ვერც იქ დაბინავდა და 1729 წელს იძულებული გახდა უკან, რუსეთში დაბრუნებულიყო.

მოსკოვში ჩასულ მამა რომანოზს წმინდა სინოდმა, სხვა ქართველ სასულიერო პირებთან ერთად, ჯამაგირი დაუნიშნა. მას თვეში 70 მანეთი ეძლეოდა სახარჯოდ, თუმცა იგი რუსეთში დიდხანს არ დარჩენილა.

1730 წლის მაისში მან კვლავ ითხოვა საქართველოში, დედის მოსანახულებლად გამგზავრება და სამშობლოში დაბრუნდა. ამავე წელს იგი ანანურის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

1731 წლის იანვარში ქართლის თავად-აზნაურთა წარდგინებით, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა ბესარიონმა (ორბელიანი), სხვა ქართველ მღვდელმთავართა თანამწირველობით, არქიმანდრიტ რომანოზს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და სამთავროსა და გორის ეპარქია ჩააბარა. მხოლოდ სამი თვე განაგებდა იგი თავის კათედრას. ამავე წლის აპრილში მოძღვარი თურქებმა გორიდან განდევნეს და იძულებული გახდა ანანურის ციხისათვის შეეფარებინა თავი, სადაც სექტემბრამდე იმყოფებოდა. შემდეგ კვლავ რუსეთში გაემგზავრა და 1732 წლის თებერვალში უკვე მოსკოვში ჩავიდა.

რუსეთში დაბრუნებულ მეუფე რომანოზს არ ჰქონდა მღვდელმთავრად კურთხევის სიგელი, რადგანაც საქართველოს ეკლესიაში ამ სახის ტრადიცია არ არსებობდა და ამიტომ, თავდაპირველად, მის ხარისხს არ სცნობდნენ. მხოლოდ ვახტანგ VI-ის ჩარევის შემდეგ აღიარა იგი რუსეთის წმინდა სინოდმა, დაუნიშნა 150 მანეთი ჯამაგირი და წმიდა საბას მონასტრის ნახევარი საცხოვრებლად დაუთმო.

1733 წლის 12 სექტემბერს მიტროპოლიტი რომანოზი, მთავარეპისკოპოს იოსებთან (ქობულაშვილი) ერთად, მეფის ასულ ეკატერინეს, მეკლენბურგის ჰერცოგინიას პირად სამსახურში განამწესეს. მათ უნდა ემსახურათ სანკ-პეტერბურგის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის მონასტერში, სადაც ამავე წლის 21 ოქტომბერს ჩავიდნენ და 1000 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნეს. 1734 წლის 15 მარტს კი ოფიციალურად ჩაირიცხნენ შტატის სამსახურში.

1734 წლის 26 აგვისტოს მეუფე რომანოზი მოსკოვში გადაიყვანეს და იქაური მიტროპოლიტის თანაშემწედ დანიშნეს. მას დაევალა სამღვდელოდ და სადიაკვნედ მომზადებულ პირთა შემოწმება. ამასთან, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან შედარებით, ჯამაგირიც მოემატა, თუმცა მას წმინდა სინოდის ნებართვის გარეშე უფლება არ ჰქონდა ეკურთხებინა ქართველი სასულიერო პირები, გაეცა პასპორტი მათ სახელზე, დაეჯილდოებინა ისინი და ა.შ. სახელმწიფომ მეუფე რომანოზს აჩუქა ეტლი — ოთხი ცხენით, რითაც მას გადაადგილება შეეძლო.

1735 წლის 2 მაისს წმინდა საბას მონასტრიდან მას შესთავაზეს ივერიის მონასტერში გადასულიყო, რაზედაც უარი განაცხადა. ამიტომ იგი კრემლში, კირილე-ბელოზერსკის მონასტერში გადაიყვანეს. 1736 წლის მარტში ამ მონასტრიდანაც წამოვიდა და ქართ-

ველთა დასახლებაში, წმინდა სინოდის ნებართვის გარეშე ააშენა ხის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვებს ატარებდა და სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთში მყოფ ქართველებს.

1738 წელს იგი კვლავ საქართველოში გამოემგზავრა და ანანურში დაბინავდა, თუმცა ფეოდალური დაპირისპირების შედეგად აქ დამკვიდრება საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო. საქმე ისაა, რომ 1739 წელს შანშე ქსნის ერისთავმა ლეკების დახმარებით ანანურის ციხე-სიმაგრე აიღო და სასტიკად გაუსწორდა ბარძიმ არაგვის ერისთავის ოჯახს. მეუფე რომანოზი იძულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო, სადაც ალექსანდრე მეფის კარზე რვა თვე გაატარა. აქედან იგი ყიზლარში გადავიდა და თავისი დის, ანას რეკომენდაციით, ისევ თავშესაფარი სთხოვა რუსეთის მთავრობას. 1741 წლის ივნისში მეუფე რომანოზი უკვე მოსკოვშია, სადაც წმინდა სერგის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ლავრაში მსახურობდა, 1743 წლიდან კი, თავისი თხოვნის საფუძველზე, ჩუდოვის მონასტერში განამწესეს. 1744 წლის 11 ივლისს მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში აღვლენილ საზეიმო წირვაში, რომელიც გერმანელებთან ზავის დადების გამო აღესრულა.

ვახტანგ VI

1748 წლის 26 აგვისტოს მეუფემ ნებართვა ითხოვა, რათა საქართველოში გამომგზავრებულიყო. ბოლო წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა და გადაწყვეტილი ჰქონდა — თავისი სიცოცხლე დავით გარეჯის მონასტერში დაესრულებინა. 1749 წლის 16 იანვარს წმინდა სინოდისაგან უარი მიიღო, რადგანაც მას ბოლო ჩასვლის შემდეგ პირობა ჰქონდა დადებული, რომ სამუდამოდ რუსეთში დარჩებოდა. ამავე წლის 10 მაისს ყიდევ ერთხელ გაიმეორა თხოვნა. ამჯერად ნებართვა მიიღო და სასწრაფოდ სამშობლოში გამოემგზავრა.

როგორც შემდეგში გაირკვა, მისი უკანასკნელი ჩამოსვლის მიზეზი წმინდა ნინოს ჯვარს უკავშირდებოდა. მან ქართლ-კახეთის მეფეების, თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს II-ის და საქართველოს ეკლესიის ნებართვის გარეშე, წმინდა ნინოს ჯვარი უჩუმრად რუსეთში წაიღო და სიკვდილის პირას მყოფ მეფე ბაქარს ჩაუტანა. თუმცა არსებობს ვერსია, თითქოს ჯვარი ვაზისა მეფე არჩილმა 1688 წელს წაასვენა რუსეთში, თუმცა ეს ვერსია არცერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება.

მიტროპოლიტი რომანოზი 1753 წლის 30 იანვარს, ქ. ჩორნი იარაში გარდაიცვალა. საკუთარი ანდერძის თანახმად იგი 13 მარტს, ქ. ასტრახანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დაასაფლავეს.

მეუფე რომანოზი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. ჯერ კიდევ ბერობაში, 1715 წელს, მან გადაწერა ფსალმუნნი. ხოლო 1738 წელს, მოსკოვში, ქართველ წმინდანთა: წმინდა ევსტათის, წმინდა ტრიფონის, წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრებანი. შემდეგში გადაწერა იოანე სინელის — „კლემაქსი“. მონაწილეობა მიიღო 1744 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული ბიბლიის გამოცემაში, რომელიც „ბაქარისეული ბიბლიის“ სახელითაა ცნობილი. 1745 წელს დაუწერია თხზულება: „წინწილა ღაღადებისა“. ეს წიგნი, როგორც თავად ამბობს: „ტეხილია მეხიანი მათთვის, რომელთა მტკიცედ არ უპყრიეს სიტყუანი ქრისტესნი და მამათა და მოწამეთანი, არამედ თვისთა მუცლითა მეზღაპრობენ და გარეშეთ წიგნებთა იმოწმებენ დაეძიებენ და გამოეძიებენ ცუდთა და ამაოთა საძიებელთა“ და ის, რაც მე დავწერე, ჩემი მოგონილი კი არ არის, არამედ სახარების, სამოციქულოს, ფსალმუნნისა და წინასწარმეტყველთაგან ამოკრებილ ადგილებს შეიცავს. თხზულება მიმართულია თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ, რომელმაც ქართველთა მოწინავე წრეებში XVIII საუკუნეში გაიდგა ფესვი.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 3608515555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de**
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

მილიონი ქრისტიანი იდევნება ერაყში, სუდანში, ჩრდილოეთ კორეაში. ვატიკანის მიერ მომზადებული სტატისტიკის თანახმად, 2009 წელს 37 მოძღვარი, ბერმონაზონი და მისიონერი დახოცეს, — ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე 2008 წელს. თუმცა, სინამდვილეში, მათი რიცხვი გაცილებით მაღალია. „მოწამეთა ღამე" მოწოდებულია სწორედ იმისთვის, რომ საზოგადოებას გაახსენოს: ქრისტიანები დღესაც ეწირებიან და იღუპებიან რწმენისთვის.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მთავარეპისკოპოსი იოანე (ქარუმიძე) 1762-1803

მთავარეპისკოპოსი იოანე ოთარის ძე ქარუმიძე 1762 წელს ქართლში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. მამამისი ოთარ ქარუმიძე წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სამეფო კარს, რის შემდეგაც დავით გარეჯის მონასტერში განმარტოვდა საბერო მოღვაწეობისთვის. ბერობაში ერქვა ონოფრე, დიდ სქემაში კი — ონისიფორე (გარდაიცვალა 1786 წლის 6 იანვარს, შერაცხულია წმინდანად ქართული ეკლესიის მიერ). პატარა იოანეც სიყრმიდანვე იზრდებოდა გარეჯის მონასტერში, სადაც ღირსი და ღმერთშემოსილი ბერებისაგან საფუძვლიანი საერო და სასულიერო განათლება მიიღო. XVIII საუკუნის 80-იან წლებში იგი ბერად აღკვეცეს და სახელად იოანე უწოდეს. მალევე აკურთხეს ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად. აი, რას წერს [illegible]ის შესახებ იოანე ბატონიშვილი: **„ესე აღიზარდა გარეჯის მონასტერსა შინა სიყრმითგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი. იყო მშვენიერი მოუბარი და მამათ ცხოვრებისა მცოდნე. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს-ყოფილი, რომელმან მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენასა ზედა კონდაკი და ლოცვანი. და მრავალნიცა დაიმოწაფნა და პატივიცა მიიღო მათგან".**

ანტონ II

1792 წლის მარტის თვეში წილკნელი ეპისკოპოსი ამბროსი (მიქაძე) მანგლისის კათედრაზე გადაიყვანეს. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ახალი მღვდელმთავრის გამორჩევა. 1793 წელს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მოთხოვნით, კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ მღვდელ-მონაზონ იოანეს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და წილკნის ეპარქია ჩააბარა. ახალგაზრდა და ენერგიულმა მღვდელმთავრმა წილკნის ეპარქიაში დანიშვნისთანავე დიდი მისიონერული მოღვაწეობა გააჩაღა და მრავალი მოაქცია სარწმუნოებაზე. ერთ-ერთ საბუთში მეუფე იოანე იხსენიება სამთავროსა და წილკნის მთავარეპისკოპოსადაც. რუსი გენერლის, კრონინგის სიტყვით მან ***„თავი გამოიჩინა ერთგული სამსახურით საქართველოში ჯანყისა და სხვა შემთხვევების დროს,"*** რისთვისაც იგი რუსეთის წმინდა სინოდმა 1802 წლის 25 აგვისტოს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ვინმე გრიგოლის მიერ 1799 წელს გადაწერილ ბასილი დიდის „სუფევაზე" არის შემდეგი წარწერა: ***„წიგნი ესე არს მათის უგანათლებულესობის მეფის ასულის გაიანესი, რომელი მიართვა თვისმა ნათლიამ, ყოვლად სამღუდელომ წილკნელ არხიეპისკოპოსმა იოანემ".***

მთავარეპისკოპოს იოანეს ეკუთვნის „ლოცვა, რომელი აღმოსთქვა ანანურს, რა ჟამს მიეგება ჯუარსა ნინოსას, წელს 1802 წლის 6 აპრილს." ეს ჯვარი რუსეთში გაიტანა რომანოზ მიტროპოლიტმა და რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააბრუნა საქართველოში:

„ჰოი, ოქროისა ცისა მზეო, ნინა ქადაგო ევმანუილისაო. სხივნი გუასხივენ ბევრ ნათლოვანნი. წმიდისა ჯუარისა შენისანი. ერთა შენ მიერ განათლებულთა, მანათლად ხჰშირ-ბინდულთა ამათ. რომლითაცა განათლებულთა აღვიხილოთ. ზესთ-საჭვროისადმი სამ-ნათლისა უცნოისა ერთისა. მის, ვისგან განკიდულნი არ ჰშთებიან არსულად ნაბადნი. რომლისადმი მიმხედთა აღვიცისკროთ მზითა მეცნიერებისათა, და აღვიმენაკოთ ზესთ-კეთილობისადმი სიბრძნისა. და მიმღე მისა აღვიქმნეთ ნაწილ-კეთილობად. და აქაითთა ბგერათა განკიდულთა, აღვიტრფოთ ზესთ სანეტაროისადმი სოფლისა. რომლითა ვიქმნეთ განწმედილ სათნოებითა. და ვეხოთ საცნოთა ამათ. და ვლოთ სათნოდ ღმრთისა სრბა ჩვენი. მეოხებითა შენითა. ამას ზედა ცრემლით გევედ-

რებით. ისმინე ნავედრი ესე. ცად აღსრულო მზეთა მზეო, წმიდაო მოციქულო ქრისტესო, უკეთილმსახურესსა და უთვითმპყრობელსა დიდსა ხელმწიფესა ჩვენსა. იმპერატორსა ალექსანდრეს. მოანიჭე ძლევა ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა. და მიეც მშვიდობა და სიმართლე. და აღამაღლე მარჯუენა მისი, ზედა მტერთა მისთა. და დამუსრენ ყოველნი მბრძოლნი. ქვეშე ფერხთა მისთა. და მარადის განაძლიერენ ყოველნი მხედრობანი მისნი ძლიერითა შეწევნითა შენითა. და ჩვენ ყოველთა მოგვმადლე კურნება და დღე-კეთილობა, ყოველთა შენდამი შევედრებულთა, ერთა ივერიელთა. რამეთუ ღვთისა ჰშუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა. უკუნითი უკუნისამდე, ამინ".

მთავარეპისკოპოსი იოანე 1803 წლის 25 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაასაფლავეს 27 იანვარს თბილისის კვირაცხოვლის (ეს ტაძარი მიწერილი იყო ანჩისხატის ეკლესიაზე) სახელობის ეკლესიაში. წირვა ჩაატარეს და წესი აუგეს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ და თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა (ნადიბაიძე-ბაგრატიონი).

მთავარეპისკოპოსმა იოანემ დაგვიტოვა თავისივე ხელით დაწერილი მოხსენება, რომელშიც აღწერილია მისი მოღვაწეობა და წილკნის ეპარქიის იმჟამინდელი მდგომარეობა. ეს წერილი მან 1800 წლის 1 მარტს მიართვა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს.

„ოდეს ინება გამოყუანება ჩემი მონასტრით უკეთილმსახურესმან მეფემან ირაკლი ყოვლისა ზემოისა საქართველოისამან, ძემან ყოვლად კეთილის ცხებულის მეფისა თეიმურაზისამან, თნებითა და ჯერჩინებითა თქვენისა უწმინდესობისათა და წმინდათა მღვდელმთავართა, ცხებულ ვიქმენ მე საცხებელითა მღვდელთმთავრობისათა (რომელ არს აწ მერვე წელი), მეორესა წელიწადსა მიბრძანა მე ყოვლად მოწყალემან ხელმწიფემან ჩემმან და წარმავლინა ზემოხსენებულთა ხეობათა შინა ოსთა და ფშავთანა მისვლად და სწავებად სჯულსა, ქრისტიანობისასა და მიბოძა ნიჭიცა სახმარად, უწმინდესო მეუფეო.

მიევედ პირველად გუდამაყარს სამწყსოსა ჩემსა და მიერ მოუწოდე ბრძანებითა მეფისათა და მოვიდნენ ათხუთმეტნი კაცნი კაწალხეველნი და ვეზრახე მათ სიტყვითა სამოციქულოისაითა და არ რაი ვიხილე მათ შორის წინა აღმდეგი ჩემისა მოძღვრებისა და შემდგომად ითხოვეს დიდისა სურვილითა ჩემგან მღვდელნი და მივეც და თანა წარვატანე ორნი მღვდელნი მთიულნი, რომელნიცა დღესაც იქ არიან და მოძღვრიან, და სულ მთლად მოაქციეს კაწალხევი რომ იქნება კომლად ასი, და მიერ წარვედ ზემო კერძო გუდამაყრისა ბაკურხევს და მივედ ფშაველთა თანა და ვასწავე მათ სიტყვითა სამოციქულოთა, და არა რაი თქვეს წინა აღმდეგი, დავყავ სამი დღე და მოიქცნენ და შემდგომად მოვიდა სხუა სოფლიდამ ერთი კაცი, თქუეს: ეს არის ჩვენი მღვდელიო. მოუპოებიათ რამდენიმე ლექსნი ფსალმუნისა უწიგნოდ ზეპირად და სწავლიან. იმას იტყვის, ორს-სამს მინუტსა ღვინოს დასდგამს და ამას წირვას ეძახიან, ნახშირსა სცხებს, იმავე ფსალმუნს იტყვის და ამას ნათელს ეძახიან. შემდგომად სამისა დღისა და მოძღვრებისა ჩემისა ნათელს იღო და ახლა იმწყსებიან ჩვენთა მღვდელთა მიერ. ეგრეთვე ღუდას და თრუსოსა მოიქცნენ მრავალნი, იმარხვენ ოსნი წმინდად დიდ მარხვ და მრავალნი წმინდათ სახელესი დახსომებიათ და სწამთ და მოძღვრებასა შინა ჭეშმარიტებისასა არა რასა წინა აღმდგომსა იტყვიან.

არა მაქვს შეძლება შემოსავალთაგან ეკლესიისათა რათა თითოსა ხეობასა შინა განვაწესო სამღვდელონი და ხარჯითა ჩემითა გამოვზარდნენ და შვილნი მათნი აღვზარდო სამღვდელოითა სწავლითა და მივსცე წიგნი საეკლესიონი და მუნ აღშენებულნი ეკლესიანი ვაკურთხო და სამღვდელოთა სამკაულითა განვაშენო და რაოდენ ჩემგან შეიძლება, როდესაც მივალ ვმოძღვრი მადლითა ყოვლადწმინდისა სულისათა, უწმინდესო მეუფეო.

ეკლესიასა ჩემსა აქუს მამული საკომლო ხუთასი და მრავალჯერ აგარიანთაგან აოხრებითა და აღწყვდითა ბევრისაგან მცირედი არის დაშთომილი ორმოცდა ათი კომლი მემკვიდრე და ხიზანი, რომელნი მსახურებენ ეკლესიასა. მღვდელნი მყვანან: ერთი დეკანოზი, ორი მღვდელი, ორი დიაკონი, ერთი დიაკონ-მონაზონი, ოთხნი იპოდიაკონნი მგალობელნი, ოთხნი მსახურნი ერის კაცნი, ოთხნი, რომელთა ვასწავებ მეცნიერებასა და აწ ლოღიკასა იკითხვენ და ესე ყველანი ხარჯითა ჩემითა იზრდებიან.

შემომივა ყმიდამ ღალა პურისა ორასი კოდი, ხან მეტი მოვა, ხან ნაკლები, ხოდაბუნს მომივა ორასი კოდი, ხან მეტი მოვა ხან ნაკლები; ქერი და ფეტვი მომივა ღალა ორასი კოდი, ხან მეტი მოვა, ხან ნაკლები; ეკლესიის ვენახს გამოუვა ღვინო ოთხმოცი კოკა, ხან მეტი მოვა, ხან ნაკლები; კულუხი მომივა ორმოცი კოკა, ხან მეტი მოვა, ხან ნაკლები; სამწყსოდამ მესამე წელიწადს სახუცო მოიკრიფა თორმეტი თუმანი მთისა და ბარისა და ამას გარდა მეფისაგან მებოძებოდა ოცი თუმანი წარსაგებელად სამწყსოთა კავკასიანთა.

სანატრელსა მეფისა ჩემისა ირაკლისაგან მებოძა მონასტერს ყოფასა ჩემსა ერთი ჭაბუკი ოსისა წლისა ათორმეტისა და მიბრძანა ოქმითა, რათა ვასწავო წიგ-

ნი, წერა და მეცნიერება სრულად, რომელიცა აღვასრულე ბრძანება ხელმწიფისა ჩემისა და შემდგომად მღვდელთმთავრად კურთხევისა ჩემისა მევე მიბოძა, რომელიცა განვაწესე დუშეთს დაბა-ქალაქსა შინა და შეუკრიბენ სამწყსონი ჩემნი სულნი ოცდა ათნი, რათა ასწაოს მათ წიგნი სრულად და წერა, რამეთუ ვიხილე არა მცირედი ნაკლებობა სამღვდელოთა კავკასიისა მთასა შინა სამწყსოსა ჩემსა; იგი ჩემითა ხარჯითა იზრდება და მუნ შეკრებულნი დიაკონნი სახლეულთა თვისთაგან იზრდებიან.

სამწყსონი ჩემნი ბარისა და კავკასიისა მთისანი ყოველნი ქრისტიანენი მართლმადიდებელნი იქმნებიან ვგონებ ვითარმედ სამი ათასი კომლი, მარა არა გვაქვს აღრაცხვაი სულად ანუ კომლად, უჩვეველობისათვის ქუეყანისა ჩუენისა.

ანანური

მღვდელნი სამწყსოისა ჩემისანი არიან რიცხვით სამოცნი, ხოლო დიაკონნი ხუთნი და ესე ყოველნი თვისითა მამულითა და სამწყსოთი იზრდებიან.

არს ეკლესია გუნბათიანი ხევს, თამარ მეფისაგან აღშენებული ყოვლადწმინდისა სამებისა, მთასა გერგეტისასა და თვით სოფელი იგი გერგეტი არს შენირული მის ეკლესიისა, და აღმოსავლით კერძო მთასა ქუეშე მყინვარისასა სენაკები და ეკლესია კლდისა გამოკვეთილი, რომელი ჰყოფილა მონასტერი მამათი. აწ არღარა არს და დიდსა მას ეკლესიასა სჯდომია არხიმანდრიტი და აწ არღარა უზის; აქვს ხატნი და ჯვარნი ვერცხლისა და ოქროთი მოჭედილი. აბარია ერთსა მღვდელსა, რათა ყოველთა დღესასწაულთა სწირვიდეს.

არს ეკლესია მთიულეთს წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისა, რომელი არს მთასა ლომისისასა, სამძღუარსა ზედა არაგვისა და ქსნისასა; აქვს ჯვართა და ხატთა სიმრავლე მოჭედილი ოქროთა და ვერცხლთა და აბარია ორთა მღვდელთა, სწირევენ დღესასწაულთა შინა.

არს ეკლესია მთასა ალევისასა, შუენიერი უგუნბათო ყოვლადწმინდისა სამებისა, რომელი ყოფილა პირველ მონასტერი მამათა და სჯდომია არხიმანდრიტი, რომელი მოაოხრა შააბაზ ყეენმა და წარიხვნა მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქროსა და ვერცხლისანი, მრავლითა ნაწილთა აღსავსენი და სასწაულისა რაისამე მხილველმან, უქმნა კარნი ოქროისანი ეკლესიასა მას და წარმოგზავნა ყოველნი, რაიცა წარიხვნა, დიდითა პატივითა. ყავს ყმათ ალევის ხეობა ქრისტიანენი და ოსნი; აქუს ვენახი და მამული; აბარია დეკანოზსა მისსა შემოსავალი მისი ეკლესიისათვის და სწირვენ დღესასწაულთა შინა.

არს მონასტერი ნათლისმცემლისა მთათა შინა, ხოლო აწ უშენ არს, რომელსა ეწოდება ხოფა, უზის არხიმანდრიტი და აქუს სოფელი ერთი თეზი, ვენახი და ხოდაბუნი.

არს ეკლესია გუნბათიანი მთავარანგელოზთა მჭადიჯვარს საიღუმნო, ხოლო აწ უზის დეკანოზი; აქუს მამული და ყმა სულ მცირედ.

არს ეკლესია ანანურს გუნბათიანი საარხიმანდრიტო, ხოლო აწ უზის დეკანოზი, რომელსა შინა მოიხსენიება მათი უწმინდესობა.

არს ეკლესია ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა, რომელსა ეწოდება ბოდორნა, რომელ ყოფილა პირველ დედათ მონასტერი, ხოლო აწ არღარა არს, ჰყავს ყმა ათი კომლი, ვენახი ერთი და მღვდელი ერთი წრს გახნწესებულ.

არიან მრავალნი სოფელნი აოხრებულნი სამწყსოსა ჩუენისანი აგარიანთაგან. არიან მრავალნი ეკლესიანი კავკასიისა მთათა შინა, მწვერვალთა ზედა ბორცუთასა აღშენებულნი, და სხენან ხატნი და ჯვარნი ვერცხლითა და ოქროითი მოჭედილნი, აქუსთ ჩვეულება ერთა ერთგზის აღსვლად წელიწადსა შინა და დღესასწაულობად, და მე ვგონებ, ვითარმედ ადგილთა მათ შინა იყვნეს საკერპონი და მათ წილ აღაშენნეს ეკლესიანი, და მცირენი ეკლესიანი სოფლებთა შინა არიან მრავალნი, რომელთა შინა არის მარადის წირვა და ლოცვა მოუკლებელად პატიოსანთა მღვდელთაგან.

არის ხეობასა ალევისასა ოსნი დამკვიდრებულნი მრავალნი, რომელსა ეწოდების საფაშეთი, საშუალ ჭართლისა და ალევისა, რომელთა სწავლითა და მოძღვრებითა ჩვენითა მრავალთა მიიღეს ნათლისღება და არს მუნ ეკლესიანი სამნი მცირენი, ნაკუთითა შუენიერნი.

და მარჯუენით კერძო ხევისა არიან ქისტნი ნათესავნი მრავალნი და ყოველნი წარმართნი და თუ ვინმე ამათგანი გარდამოსახლდება ხევსა, იქნებიან ქრის-

ტიანედ და მრავალნი მათგანი სახლობენ გუელეთს, სოფელსა ხევისასა, მახლობელად ჩიმისა, უმოწყალესო ხელმწიფეო ჩემო.

მოხევენი, მთიულნი, გუდამაყრელნი, ხანდოელნი, ჭართალელნი, ესენი არიან ხეობანი მთისა კავკასიისანი, რომელთა შინა არს ფრიადი სიმრავლე ერისა და გარდა ამისა სხვანი სოფელნი; დაბა-ქალაქი ანანური, ზემო ქაზისხევი, ქვემო ქაზისხევი, ციხისძირი, აფხავი, არღუნი, მთიულიანთკარი, ტონჩა, გრემისხევი, ებნისი, ჭილურტი, ბაზალეთი, გრიგოლიანთკარი, ჩრდილელიანთკარი, აში, ყვავილი, იორი, ლაბაურთკარი, ერთვალისი, არანისი, არაგვისპირი, ქვემო არაგვისპირი, ბოდორნა, ხიდა, საშაბურო, ბაგა, წინდუშეთი, კობიანთკარი, თვარელიანთკარი, ჭიაბრიანთკარი, კარიაულთკარი, დაბა ქალაქი დუშეთი, ზენალევი, ქვენალევი, კორინთა, იკოთი, ზემო იკოთი, დაბა ქალაქი ახალგორი, ძეგლევი, ოძისი, ქერენა, ქსოვრისი, დამპალა, მჭადიჯვარი, მუხრანი, წილკანი, რომელსა შინა არს სობორო საეპისკოპოსო. ესე ყოველნი სოფელნი შენნი არიან და ერთა მიერ აღსავსე.

დავითგარეჯა

ყოველნი სამართალნი სასულიერონი განისჯებიან ჩემ-მიერ, თანა დასწრებითა პატიოსანთა მღვდელთა სამწყსოსა ჩემისათა.

წერილ არს ძველთა მატიანეთა შინა, ვითარმედ ბაქარ მეფისა შემდგომთა მეფეთა, რომელთა აღაშენნეს ეკლესიანი, დასვეს ეპისკოპოსნი და მისცეს პირველობა უწინარეს მჯდომისა ეპისკოპოსისა და ამის გამო ვარ მე ახლა მეოთხე ეპისკოპოსი ქართლსა შინა, უწინარეს ჩემსა ყოფილი ეპისკოპოსი ქრისტეფორე მოიხსენებოდა მიტროპოლიტად, რომელიცა უბოძეს მას წერილი სანატრელმან მეფემან ცხებულმან თეიმურაზ და სანატრელმან ხელმწიფემან ჩემმან მეფემან ირაკლი მიტროპოლიტობისა, რომელიცა გამოეცხადა უწმინდესსა სინოდსა, პეტერბუხს ყოფასა მისსა.

აქუს ეკლესიასა ჩემსა სამღებრო იჯარა ორმოეციასა თუმნისა, რომელიცა მიმძლავრებულ არს ვიეთთაგანმე. აქუს კვალად მინდვრისა შემოსავალი საბალახე ასი სული ცხვარი და მთისა საბალახე ათორმეტი ღორი, ხან მეტი ხან ნაკლები, აქუს ვარდისუბანს ორი საკომლო და ძალისს ოთხი საკომლო და მუხრანს ერთი საკომლო. ჰყავს ყმა ერთი კომლი გრემს სოფელსა კახეთისასა, რომელსა აძევს წელიწადში ორი თუმანი ეკლესიისა. ესე არს სრული მოხსენება, რომელიცა ცხადმიყოფიეს პუნკტსა შინა 24, ეკლესიისა ჩემისა, ყმისა და მამულისა და სამწყსოისა, რომელიცა გუჯართა შინა ჩვენთა წერილ არს. თუესა მარტს 1, წელსა 1800.

ყოვლადსამღვდელო წილკნელ არხიეპისკოპოსი, ძე სქემოსნის ონისიფორესი, სქესით ქარუმოვი კეთილშობილი, წლისა ოცდაათვრამეტისა იოანე".

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას" ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუწვრთნილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

თა და ქალთა დაცვა, ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლება, სოლიდარობის გამოვლენა, ურთიერთობის თავისუფლება და თვითგამოხატვა, როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის რელიგიური თავისუფლების დაცვა, კანონის უზენაესობა და სხვ.", — ნათქვამია დოკუმენტში.

სამომავლოდ კომიტეტი გეგმავს გამართონ ბრიფინგები, კულტურული საუბრები, სემინარები, თემატური კონფერენციები, ასევე ექსპერიმენტული ფორმატების შექმნას და ამით ყველა დაინტერესებული პირის მოზიდვას, მათ შორის მოქმედი მართლამდიდებელი პოლიტიკოსების, ექსპერტების, სამართლადამცველების, კულტურის წარმომადგენლებისა".

საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენა თურქეთში

თურქმა არქეოლოგებმა განცხადეს, რომ აღმოაჩინეს უძველესი ტაძრის ნანგრევები, რომლის ასაკი 12 ათასი წელია. აღმოჩენა მთა გებელკი-ტეპეს მახლობლად უძველეს ქალაქ ჰარანთან, შანლიურფასთან ახლოს, თურქეთ-სირიის საზღვარზე მოხდა.

გებელკი-ტეპეზე ტაძარი ადრე აღმოაჩინეს, თუმცაღა, ცოტა ხნის წინ ნაპოვნმა ქანდაკებებმა მეცნიერებს გაუმყარა ის ვარაუდი, რომ ეს ადგილები ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი რელიგიური კულტის ნაშთებია. აქამდე ამ სტატუსს კუნძულ მალტაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI—V საუკუნეების მიჯნაზე აგებული ტაძარი ფლობდა.

მეცნიერებს უჭირთ დადაგინონ, რომელ კულტურას მიეკუთვნება ეს ტაძარი.

ჰარანის რაიონი და შანლიურფი დედამიწაზე ადამიანებით დასახლებულ ერთ-ერთ უძველეს ადგილად ითვლება. ადგილობრივი (არაბაბილონური) ლეგენდის თანახმად, აქ ცხოვრობდნენ ადამი და ევა. ბიბლია მოგვითხრობს, რომ ჰარანში ცხოვრობდა აბრაამი. მუსლიმთა წარმოდგენით, წინასწარმეტყველი იბრაჰიმი (აბრაამი) ურფიდან (ამ მხარეს ქრისტიანები ედესს უწოდებენ, ახლანდელი შანლიურფი) და გარკვეული დრო ჰარანში დაჰყო. ჰარანთან ახლოს შემორჩენილია ჭა, რომელშიც ისევ მუსლიმთა აზრით, ძმებმა იოსები ჩააგდეს. ჩვენს წელთააღრიცხვამდე VII საუკუნეში ჰარანი იყო ასირიის ღმერთ სინას თაყვანისცემის ცენტრი. აქ ასევე შემორჩენილია უძველესი სკოლის ნანგრევები, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი მსოფლიოში უძველეს უნივერსიტეტსაც კი უწოდებს.

კვიპროსის ეკლესიის მეთაური კვიპროსის სიწმინდეების დასაცავად იბრძვის

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოს II-მ, 1974 წლის შემდეგ პირველად მოილოცა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მონასტერი, რომელიც კუნძულის თურქულ მხარეს მდებარეობს.

მოციქულ ანდრიას მონასტერი ერთ-ერთი უძველესი სიწმინდეა კვიპროსის ბერძნული მოსახლეობისათვის.

მთავარეპისკოპოსის ვიზიტი მიზნად ისახავდა — კუნძულის თურქულ მხარეს არსებული მართლმადიდებლური მონასტრებისა და ტაძრების უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე მიექცია საზოგადოების ყურადღება. გამგზავრების წინ მან წერილი გაუგზავნა თურქეთის პრემიერ-მინისტრს, რომლითაც ნებართვას სთხოვდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის მონასტერში სარემონტო სამუშაოების დასაწყებად, ასევე სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზეც, რომლებიც თურქების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

ამას გარდა, ქრიზოსტომოს II აპრილში თურქეთში გამზგავრებას გეგმავს, რათა ხელისუფლების მეთაურებს იმ 520 ეკლესიის, მონასტრის, სამლოცველოს სია გადასცეს, რომლებიც გაძარცული ან წაბილწულია კვიპროსის გაყოფის შემდეგ. ბევრი მათგანი სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს.

კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაცია თურქეთმა 1974 წელს მოახდინა. მას შემდეგ კუნძული ორადაა გაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსი 2004 წელს ევროკავშირში მიიღეს, მისი გაერთიანების საკითხი კვლავ გადაუჭრელია.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

შოტომატიანე

ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე) 1874-1922

ეპისკოპოსი პიროსი — ერისკაცობაში მათე ოქროპირიძე 1874 წლის 1 ნოემბერს, გორის მაზრაში, სოფელ დისევში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. მამა — იოანე ანდრიას ძე ოქროპირიძე წლების განმავლობაში მსახურობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სხვადასხვა ტაძრებში (ბოლოს იკორთის ეკლესიის მედავითნე იყო), ხოლო დედა — ეკატერინე იოანეს ასული, დიასახლისი გახლდათ.

7 წლის პატარა მათე აღსაზრდელად მიაბარეს ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა ბიძამისი, მღვდელ-მონაზონი სილიბისტრო (ოქროპირიძე), გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) უფროსი ძმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ასკეტური და სულიერი ცხოვრებით. 1886 წელს მან სწავლა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა. 1890 წელს თბილისის სემინარიაში ჩაირიცხა, საიდანაც 1894 წელს სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში

გადავიდა, რომელიც 1896 წელს დაამთავრა და ამავე წელს კიევის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. 1900 წლის 7 მაისს მათე ოქროპირიძემ აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა.

თავისი ბიძის, ეპისკოპოს ალექსანდრეს ლოცვა-კურთხევით, განათლებული და ენერგიული ახალგაზრდა სწავლის დამთავრებისთანავე საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება სამშობლოსა და ეკლესიის სამსახურში. 1900 წლის 14 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ბერად აღკვეცა და ღირსი მამის, პიროს ბრეთელის პატივსაცემად სახელად პიროსი უწოდა. ამავე თვის 20 სექტემბერს გორის ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო 25 სექტემბერს — მღვდლად დაასხა ხელი. 1900 წლის 14 ნოემბერს მღვდელ-მონაზონი პიროსი დროებით კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად დაინიშნა, ხოლო 1901 წლის 22 იანვარს ოფიციალურად დამტკიცდა ამ თანამდებობაზე. 1900 წლის 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) საგვერდულით დააჯილდოვა. 1902 წლის 22 მაისს გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ დაინიშნა. 1905 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. ამავე წლის 9 ივლისს იმერეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. 1907 წლის 14 იანვარს, გორის ეპისკოპოს პეტრეს (კონჭოშვილი) წარდგინებით, არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. ამავე წლის 30 იანვარს იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესად დაადგინეს. 1907 წლის 23 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) სამღვდელო კადრების მოსამზადებელი კომისიის თავჯდომარედ დანიშნა.

1909 წლის 13 ივნისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამავე წლის 29 სექტემბერს, ქართლ-კახეთის ეპარქიაში სამღვდელო კადრების მოსამზადებელი კომისიის წევრი გახდა, ხოლო 31 ოქტომბერს — სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის განახლების კომიტეტის წევრი. 1910 წლის 4 თებერვალს ქართულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების შესწორებისა და გამოცემის კომისიის თავჯდომარედ აირჩიეს. ამავე წლის 21 აგვისტოდან საეკლესიო მუზეუმის საზოგადოების წევრია. 1911 წლის 7 დეკემბრიდან 1915 წლის 16 თებერვლამდე შიომღვიმის მონასტერსაც წინამძღვრობდა. 1914 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1915 წლის 10 დეკემბერს გამოირჩიეს ალავერდის ეპარქიის მმართველად, ხოლო 1916 წლის 17 იანვარს პეტერბურგის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად დაასხეს ხელი.

კიევის აკადემიის სტუდენტი მათე ოქროპირიძე

შემორჩენილია მეუფე პიროსის სიტყვა, რომელიც მან მღვდელმთავრად კურთხევის დღეს წარმოსთქვა: *„ლმობიერად თავს მოვიდრეკ რა წინაშე ღვთის განგებისა, მე მთელი ჩემი არსებითა ვმადლობ უფალსა, რომ მან გადამიწყვიტა შევწირო ჩემნი დღენი დიდსა სამღვდელმთავრო ხარისხში ამ კათედრასა, რომელიც სახელგანათლებულია ქრისტიანული, თავდადებული ღვაწლითა ჩემის სამშობლოს მოსაქმე ადამიანთა. ჭეშმარიტად, კათედრა იგი მდიდარია ბრწყინვალე მშრომელებითა, რომელნიც სხივმოსილ გზამაჩვენებელ ვარსკვლავივით მიუძღოდნენ ჩემს თანამემამულეებს სასუფეველისაკენ ღვთისა. აი, ჩემს თვალწინ დიდების ბრწყინვით მეხატებიან ღირსი მამა იოსებ ალავერდელი, რომელმაც მეექვსე საუკუნეში დანერგა კახეთში ქრისტიანობა, ასაფლავია ალავერდის ტაძარში, ეპისკოპოსი იოანე, რომელმაც მიიღო მოწამებრივი სიკვდილი ლეკთაგან 1480 წელს, ეპისკოპოსი ბარსანოფი, რომელმაც მეთხუთმეტე საუკუნეში უქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება ლეკთა, რომელთაგან ბევრი მოაქცია ქრისტიანობაში, ეპისკოპოსი ზენონი, რომელმაც მოიარა ადგილი მაცხოვრის ვნებათა და ჯვარზე სიკვდილისა და რომელიც უკან დაბრუნებისას თურქებმა დაატყვევეს, მაგრამ მაინც ღირსი იქმნა ამავე ტაძარში დასაფლავებისა.*

ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც მეთექვსმეტე უკუნეში ცხოვრობდა და რომელმაც მოიტანა ალავერდის ტაძარში რუსეთის პატრიარქის იობისაგან შეწირულნი წმიდა ხატები და საეკლესიო სამკაული. ჩემსავე თვალთა წინა მე მეხატებიან მოწამეობრივი გვირგვინით გასხივოსნებულნი კეთილმორწმუნე დედოფალი კახეთისა ქეთევანი, რომელიც აწამა შაჰ-აბასმა სპარსეთში, 1624 წელს, ქრისტეს სარწმუნოების მტკიცედ დაცვისათვის, მეფე ალექსანდრე — ძე ლევანისა, რომელიც ვერაგობით მოკლეს.

ვიგონებ რა იმ დიდებულ და ღვაწლ შემოსილებს, დიდებულთ სარწმუნოებით, თავდადებით და ვადარებ რა ჩემს თავს იმათ, მე ცხადად ვგრძნობ ჩემ უძლურებას და უღირსებას, მე ვგრძნობ, რომ ჩემი მცირე ძალითა და მცირე ცხოვრების გამოცდილებით, ვერ შევძლებ იმ დიდს და პასუხისმგებელ საქმეს, რომელსაც მავალებს მე ჩემი ახალი სამსახური. მე ვიცი, რომ ამ სამსახურის გზაზე მე გადამეღობებიან ის ბოროტი ვერაგობანი, რომელიც გაშლილია და კვლავ გაიშლება ამ გზაზე ბოროტი სულისა და სიბნელისაგან დასაღუპავად ეკლესიის შვილთა. ვითვალისწინებ რა ყველა

ამას და სხვაგვარ დაბრკოლებათა ჩემი სამსახურის ასპარეზზე, წყნარად გევედრებით თქვენ, ღვთივგაბრძნობილნო, აღვსილნო ცხოვრების გამოცდილებით მწყემსმთავარნო ეკლესიის ღვთისა, აღავლინეთ უმაღლესი მწყემსმთავარის უფლისა იესო ქრისტესადმი წმიდა ლოცვანი თქვენნი, რათა გამაბრძნოს მე და გამხადოს მე, ულირსი მსახური მისი, ძლიერი, სამართლიანი და წყნარი, სადიდებელად წმიდისა მართლმადიდებელ ეკლესიისა და სასარგებლოდ ან ტანჯულის ჩემის ძვირფასი სამშობლოსი".

არქიმანდრიტი პიროსი

ეპისკოპოსად კურთხევის პირველივე წელს მეუფე პიროსმა თითქმის მთელი კახეთი შემოიარა და პირადად მოინახულა თავისი სამწყსო. სადაც კი მივიდოდა მეუფე, ყველგან წირვას ატარებდა, ქადაგების დროს მარტივად განუმარტავდა ხალხს სარწმუნოებრივ საკითხებს, სულიერად დააპურებდა და ნუგეშს სცემდა მღვდელმთავრის ხილვას მონატრებულ მრევლს. 1916 წლის ივნისის თვეში მეუფე პიროსმა იმოგზაურა ფშავში და მოილოცა იქაური ეკლესიები. ამის შესახებ გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა ვინმე ფ. სხვიტორელის (მღვდელ ფარნაოზ ზაბახიძის ფსევდონიმი) წერილი, სადაც მოკლედ არის აღწერილი ეს მომლოცველობა. ვითარების სიცხადისათვის მოგვყავს ციტატა ამ წერილიდან: „4 ივნისს, დილით გაემგზავრენ „ლაშარის ჯვარისაკენ". ლაშარში აუარებელი ხალხი დაუხვდა. შეკრებილ მლოცველთ მისმა მეუფებამ შესაფერი დარიგება მისცა და შემდეგ დაათვალიერა ღირს შესანიშნავი ადგილები ლაშარისა. იმავე დღეს მისი მეუფება მიბრძანდა თამარის მონასტერში. მეორე დღეს მწირველი ბრძანდებოდა. ნაწირვებს დაურიგა მლოცველთ „ლოცვანები, წმიდა გიორგის ხატები და წმიდა თამარის ცხოვრება", რომელიც გამოცემულია მისი მეუფების საფასით. თავის სიტყვაში, სხვათაშორის, აღნიშნა, რომ ეს ხატობა ძველ დროსთან არის დაკავშირებული და ყველასაგან პატივით მოპყრობას მოითხოვსო. შემდეგ უსურვა ხალხს, „ღმერთმა ინებოს ბარელთ მთიელთაგან (თქვენგან) ესწავლოს თამარის პატივისცემაო". თამარის მონასტრის მდუმარება მისს მეუფებას ძალიან მოეწონა და ბევრნაირი აზრები გამოსთქვა. თამარიდან მისი მეუფება უკან დაბრუნდა და გზადაგზა ინახულა შუქორ ეკლესია. შუქოდან შებრძანდა შუაფხოში. იმავე საღამოს შუაფხოს ეკლესია ინახულა. მეორე დღეს, წირვის შემდეგ გრძნობიერი დარიგება მისცა ხალხს. იმავე დღეს, სადილის შემდეგ, ყოვლადსამღვდელო გამოემგზავრა ქვევით. ორწყალში მის მეუფებას შეხვდნენ ხევსურებისაგან დაძარცვული ფშაველები. გაეძარცვათ ოცი კაცი და შვიდი ცხენი წაერთმიათ. იმავე დროს, ამტკიცებდნენ, რომ გზა შეკრული იყო ავაზაკებისაგან. ბოქაული და ხალხი შეჩოჩქოლდნენ და ბჭობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მაგრამ მისმა მეუფებამ გამოიჩინა გულადობა — „მომეცით ჩემი პანაგია და კუნკული, წავალ წინ და მესროლონო". ღვთის მადლით, გავიარეთ მშვიდობიანად, არა მომხდარა რა.

ხევსურეთისაკენ მისი მეუფება ველარ წაბრძანდა, რადგან ახალი ნაწვიმი იყო და გზები გაფუჭებული. ამიტომ ფშავიდან პირდაპირ ერწოში გაემგზავრა. ეს მეორე შემთხვევაა მღვდელმთავრის მოგზაურობისა ამ კუთხეში". (1912 წელს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) იმოგზაურა ფშავ-ხევსურეთში).

მეუფე პიროსი სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად მონაწილეობდა 1917 წლის 25 მარტს სვეტიცხოველში ჩატარებულ საგანგებო წირვაში, სადაც აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1917 წლის 11-17 სექტემბერს გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ იგი დაამტკიცა ალავერდის ეპარქიის მმართველად, ალავერდელი ეპისკოპოსის სახელწოდებით.

ალავერდი

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი, ზაქარია ჭიჭინაძე მის შესახებ წერდა: „ეპისკოპოსი პიროსი ცხადლივ მბაძველია თავის წინაპრების, განსვენებულის ალექსანდრესი და აწ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის. ეს ორი წინაპარი მას სარკედ უდგას თვალწინ, ერთს ჰბაძავს საქმიანობით და მეორეს სიტყვით, ენერგიით, კალმითა და სხვაც კეთილ სამაგალითო კარგის მოქმედებით.

ალექსანდრე ეპისკოპოსი რომ მოსწრებოდა მის მღვდელმთავრობას, მაშინ იგი წელში გაიშლებოდა, გამაგრდებოდა, მით უფრო, რადგან პიროსის დაინახავდა ლეონიდის მსგავს მოღვაწედ.

დიახ, ჭეშმარიტად რომ პიროსი არის სრული სახე და განხორციელება ალექსანდრე ეპისკოპოსის და ლეონიდის. ბევრს სასიკეთო მხარეთა გარეშე პიროსმა კალმით შრომაშიაც ადრე გამოიჩინა ნიჭი და არქიმანდრიტობის დროს, ქართულ ენაზედ დასტამბა მრავალი წიგნი, მათ შორის — სახელმძღვანელო ძველი აღთქმის საღვთო წერილის შესწავლისა" (მოსეს ხუთწიგნეული), „მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმის შესწავლა", „განმარტება პავლე მოციქულის ეპისტოლეთა", „განმარტება მათეს სახარებისა", „განმარტება მარკოზის სახარებისა", „ათი მცნება", „სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში" და სხვა. გარდა ამისა იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმ პერიოდში გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „მწყემსი", „შინაური საქმეები" და სხვა".

ეპისკოპოსი პიროსი

1921 წელს საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ძალადობით დამყარების შემდეგ სამღვდელოებასა და ეკლესიას უმძიმესი წლები დაუდგა. ძლიერ შეავიწროვეს ალავერდის ეპარქია და მისი მმართველი, ეპისკოპოსი პიროსი. 1922 წლის გაზაფხულზე ალავერდის მამათა მონასტერში დასვენებული წმინდა გიორგის ოქროს ხატი პირწმინდად გაძარცვეს. თვალ-მარგალიტი და შეწირულობა წაიღეს. მილიციამ ტაძრის ხაზინადარს, მღვდელმონაზონ ზენონს (სუმბაძე) ბოროტმოქმედებთან თანამზრახველობაში დასდო ბრალი, რადგანაც გასაღები მასთან ინახებოდა. მამა ზენონი თელავის კომისარიატში წაიყვანეს და ოთხი დღე-ღამის განმავლობაში საპყრობილეში ამყოფეს, მეხუთე დღეს, მისდა გასაკვირად, გაათავისუფლეს. მამა ზენონი მაშინვე მეუფე პიროსის სანახავად გაეშურა, მაგრამ გზაზე მეტად შემაშფოთებელი პროცესია იხილა. ოცი შეიარაღებული საბჭოთა მილიციელი შვიდ ფაეტონს უკან მიჰყვებოდა და თან დატუსაღებული მღვდელთმთავარი მიჰყავდათ. მათ მამა ზენონსაც უბრძანეს, უკან გაყოლოდათ. ალავერდის ტაძარში მისულებს საშინელი ვითარება დახვდათ — საგანძურის სამალავის კედელი გამოენგრიათ და სიწმინდეებს იქვე მაგიდაზე ახარისხებდნენ. ამ პროცესს თბილისიდან ჩამოსულ პარტიულ ხელმძღვანელთა გარდა მიმდებარე სოფელთა კოლექტივის თავჯდომარეებიც ესწრებოდნენ. შემდგომში მთელი ეს საგანძური თელავში გადაიტანეს და მეორე დღეს ეპისკოპოს პიროსს მოსთხოვეს ხელი მოეწერა ამ სიწმინდეთა სახელმწიფოსათვის გადაცემის აქტზე, რაზედაც ალავერდელი მღვდელთმთავრისაგან მტკიცე უარი მიიღეს. ალავერდის სიწმინდეები თბილისში გადააგზავნეს, ხოლო მეუფე პიროსი ჯერ კომკავშირელებს აცემინეს, შემდეგ კი სისხლიანი და დასახიჩრებული, კიბის ქვეშ დაამწყვდიეს. ეს მოხდა 1922 წლის 23 აპრილს. ამბა ალავერდელი პიროსი, პატრიოტი და უაღრესად განათლებული პიროვნება — შეურაცხყოფილი და ნაგვემი კიბის ქვეშ აღესრულა. საქართველოს ეკლესიაში იგი იყო პირველი მღდელთმთავარი, რომელიც კომუნისტების ხელით საჯაროდ აღესრულა ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკლესიის ერთგულებისათვის.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას" ახალი ნომერი

„საპატრიარქოს უწყებანის" მკითხველს!

„საპატრიარქოს უწყებანი" შეეცადა გაეზარდა საგაზეთო გვერდების რაოდენობა, მაგრამ ფინანსური სირთულეების გამო ვერ ხერხდება გაზეთის ამ მოცულობის შენარჩუნება, რის გამოც გიხდით ბოდიშს. ეპარქიებს კი ვთხოვთ, დროულად დაფარონ დავალიანება.

სარედაქციო კოლეგია

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 3600851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა პოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ჯარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

კვირის ლიტურგია, კერძოდ — დიდი ორშაბათის. ორშაბათის მსახურებიდან შემორჩენილია საგალობლები, კვეთისა და ზიარების ადგილების საკითხავები. სამშაბათის მსახურებიდან შემორჩენილია ფსალმუნნი, მოკლე ლოცვა, ნაწყვეტი წმინდა წერილიდან, საგალობლები და ქადაგების ნაწილი.

ისრაელის ხელისუფლებამ ტაძრის მთაზე ასვლა შეზღუდა

იერუსალიმის ალ-აქსას მეჩეთი მუსლიმთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდეა, რომელიც ტაძრის მთაზე მდებარეობს. ებრაეულ პასექთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ტერორისტების აქტივობას ვარაუდობენ, ხელისუფლებამ მეჩეთთან მისვლა შეზღუდა.

პოლიციამ განაცხადა, რომ ალ-აქსას მეჩეთში შესვლა დაიხურება 50 წელზე ქვევით მუსლიმი მამაკაცებისა და ყველა სხვა კონფესიის წარმომადგენლისათვის. ოფიციალურად არაა ცნობილი, როდის მოიხსნება შეზღუდვა. ამას გარდა, დღესასწაულის კვირას, ტრადიციულად, დაბლოკილია მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც სამედიცინო დამხარებას საჭიროებს, ასევე აკრედიტებული ჟურნალისტების, ექიმების, იურისტების ან ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ვისაც საგანგებო ნებართვა ექნებათ.

ებრაელთა დღესასწაულის დროს პალესტინის ტერიტორიის ბლოკირების პრაქტიკა ჩვეულებრივია, თუმცაღა, უკანასკნელ პერიოდში კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა, რადგან მარტში, ალ-აქსას მეჩეთის გამო, რამდენჯერმე შეტაკებაც მოხდა. კომპლექსი აგებულია ტაძრის მთაზე და რადიკალი იუდეველები ცდილობენ, იქ ლოცვა აღავლინონ. პალესტინელთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ისრაელი მეჩეთის აღებას აპირებს.

მეცნიერთა აზრით, მუსიკა და ინტერნეტი რელიგიას ენაცვლება

დღეს ბევრ ადამიანს მუსიკა, ტელევიზია და ინტერნეტი რელიგიას უცვლის, — თვლის ლესტერის უნივერსიტეტის ცნობილი აკადემიკოსი კ. მარში. მისი თქმით, საყვარელი სიმღერების მოსმენა და ფილმების ნახვა ბევრი ადამიანისათვის უკვე „ყოველდღიური სულიერი დისციპლინა“ გახდა, ხოლო ფან-საიტების მომხმარებლების დაინტერესება ამა თუ იმ სახის მუსიკით „თაყვანისცემის“ სახეს იღებს.

კ. მარში 15 წელია რელიგიისა და პოპკულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს იკვლევს. მის თქმით, ბევრი ადამიანი გამუდმებით უსმენს ფლეერს, თითქოს თავის საკუთარ „სამყაროში“ იკეტებიან. კვლევის ფარგლებში, მარში მივიდა დასკვნამდე, რომ ამა თუ იმ ჟანრის მუსიკის თაყვანისმცემლები, ძირითადად, „ მუსიკას ან ვიდეოს არა უბრალოდ განიხილავენ ერთმანეთთან, არამედ ყვებიან, მათ მიერ მოსმენილი ან ნანახი როგორ ახდენს მათი ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური და პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებას“.

მეცნიერმა ასევე ჩაატარა ინტერნეტგამოკითხვა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის 200 მცხოვრებს შორის, რათა დაედგინა მუსიკის როლი და გავლენა თანამედროვე ადამიანთა მსოფლმხედველობაზე. ამ გამოკვლევის შედეგებს ის უახლოეს ხანებში წარუდგენს საზოგადოებას.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილი

მღვდელი ქრისტეფორე XVIII საუკუნის I ნახევარში სოფელ მარტყოფში დაიბადა. იგი ქართლ-კახეთის მეფეების — ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარის მოძღვარი იყო. გადმოცემის თანახმად, კეჟერაშვილები ადრე ბადრიძეები ყოფილან. ერთ-ერთი ბადრიძე მარტყოფში კეჟერაანთ საგლეხო მამულზე დასახლებულა და თვითონაც გაგლეხებულა. გიორგი XII-ის დროს მარტყოფის ნაცვლის სახელო მამა ქრისტეფორეს ძმას, ნიკოლოზს აქვს. გიორგი XII-ს ერთგულებისა და დიდი სამსახურისათვის მღვდელი ქრისტეფორე და მისი ძმა, ნაცვალი ნიკოლოზი წყალობის წიგნითა და სიგელით დაუსაჩუქრებია, ასევე შვილნი ქრისტეფორესნი: დიონისე და პანტელეიმონი, შვილიშვილი იოანე და ძმისწულნი: პეტრე, იოსებ, დავით, სოლომონ, აბრაამ და ჩამომავალნი მისნი.

ერევნის სახანოზე ერეკლე II-ს ლაშქრობისას მღვდელი ქრისტეფორე მეფის ლაშქარს თან გაჰყოლია და თავდაუზოგავად უმსახურია, როგორც მეფისთვის, ისე მისი ჯარისთვის.

ნორიოს ღვთისმშობლის ეკლესია

1780 წელს მღვდელმა ქრისტეფორემ სინას მთასა

და იერუსალიმში იმოგზაურა. სინას მთის ქართულ მონასტერში ხატზე გააკეთებინა ქართული ასომთავრული წარწერა: „ქ. ჟამსა მას, ოდეს განაგებდა მეფე ირაკლი მეორე სრულიად საქართველოსა, მის სიმაღლეს მოვახსენე მე, ცოდვილმან მისის კარის ხუცესმან, მარტყოფელმან კეჟერაშვილმან ქრისტეფორემ, წარმოსვლად სინას მთად... მოვედ და თაყვანი ვეც სულისა ჩემისა საოხად და პატრონისა ჩემისა... მეფის ირაკლის და თანამეცხედრისა მისისა... დარიას გასაძლიერებლად და ძეთა ამათთა... და ასულთა ამათთა... აღსაზრდელად... აღიწერა სინას მთას ოკტომბერს კვ ქორონიკოს უიც“. „კალმასობაში“ ბატონი ქრისტეფორე კეჟერაშვილს ეუბნება: „რადგან შენ გივლია ბაბილოვანსა, ეგვიპტეს, როდოს, იერუსალიმს, ეფესოს და სხვათა ადგილთა შინა მუნ მხრისათა ანუ ვითარ გენახოს და ან როგორ გსმენოდეს“.

გიორგი XII

მამა ქრისტეფორეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სტამბის დაარსებასა და მრავალი საეკლესიო წიგნების დაბეჭდვასა და გავრცელებაში. იმ პერიოდში სტამბის არქონა განაპირობებდა საეკლესიო ხელნაწერი წიგნების რიცხვის სიმცირეს. მამა ქრისტეფორეს შრომამ დიდი შედეგი გამოიღო, გიორგი XII ერთ-ერთ სიგელში მამა ქრისტეფორეს წერს: „12 000 სამღვთო წიგნი დაგვიბეჭდე“.

როცა ერეკლე მეფე „საოფლისგან ავად შეიქმნა“ ქრისტეფორე მღვდელი ორმოცი დღე და ღამე თავდადებით ემსახურა ავადმყოფ მეფეს. მალე საქართველოს აღა-მაჰმად-ხანის სახით დიდი განსაცდელი მოევლინა. 1795 წელს მან თბილისი აიღო, აიკლო და გადაწვა მთელი ქალაქი, მრავალი ქართველი დაატყვევა და განჯის სახანოში გააგზავნა. ამ დროს განადგურდა მამა ქრისტეფორეს გახსნილი სტამბაც.

1796 წელს მეფე ერეკლეს ბრძანებით, ბატონიშვილებმა განჯის სახანოზე ილაშქრეს, განჯა აიღეს და კვლავ ხარკი დაადეს. ამას გარდა, მეფე ერეკლემ განჯას გააგზავნა მღვდელი ქრისტეფორე და მისკარბაში იოსები, რათა მათ განჯის ციხეში გადამალული ტყვეები მოეძიათ. ამათი დამსახურებით 700 ქრისტიანი ტყვე ციხიდან გამოიყვანეს.

1797 წლის მიწურულს ქართლში სახადმა იმძლავრა — „დიდი ჭირიანობა გაჩნდა“. 1798 წლის 11 იანვარს ქ. თელავში ერეკლე II გარდაიცვალა. დიდძალი ხალხი გლოვითა და გოდებით მოასვენებდა საყვარელი მეფის ცხედარს, მაგრამ მცხეთაში კი მცხეთელებისა და მამა ქრისტეფორეს მეტმა ვერავინ გაბედა შესვლა.

გარდა ამისა, მღვდელი ქრისტეფორე ხელმეორედ აწყობს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დამწვარ სტამბას. ყველა ამ სამსახურის სანაცვლოდ გიორგი XII-მ მის ოჯახს ბადრიძეობა და აზნაურიშვილობა განუახლა. ამასთან, ზემო ნორიოში უბოძა: ხუთი საკომლო მამული, ნავენახებები, სახნავი, სათესი, წყალი, ნისქვილი, მთა, ბარი, „თავისი სამართლიანის სამძღვრებით“. სიგელში აგრეთვე დამოწმებულია: „როგორც კურთხეულს მამა ჩვენს მეფე ერეკლეს, მარტყოფის ნაცვლობა ორსავე ხევისა თქვენთვის უბოძებიაო, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია, და გვიბოძებია სიგელით, რომ არასოდეს შენის სახლიდგან ნაცვლობა არ მოიშალოსო“.

გარდა ამისა, გიორგი მეფე ქრისტეფორე მღვდელს ავალებს: „რათა სამსახურად დაიდვას: წლითი-წლად თერთმეტ იანვარს, რომელ დღესაც მეფე ერეკლე მიიცვალა, ბადრიძის ჩამომავლობა მივიდეს მცხეთას, იმ დღეს ორ მღვდელს და ერთს მთავარ დიაკონს აწირვინოს მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად, მწირველთ ჯეროვანი სადილი აჭამოს და სამივეს რვა აბაზი საწირავი მისცეს“. ეს წყალობის წერილი მეფე გიორგი XII-ს მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძისთვის 1798 წელს, დეკემბრის 22-ე დღეს, საშვილიშვილოდ უბოძებია. წერილი მეფისა და დედოფლის ხელმოწერით, მათი შვილების: დავითის, იოანეს, ბაგრატისა და თეიმურაზის ბეჭედთა დასმითაა დამოწმებული.

აქტების II წიგნში (2055) დაბეჭდილია ყორღანაშვილი დავით მუშრიბის წერილი ციციანოვისადმი, 1803 წლის 12 აპრილის თარიღით, რომელშიც ის თბილისის სტამბის ისტორიას მოგვითხრობს, კერძოდ, მისი და კეჟერაშვილის როლს ამ სტამბის ისტორიაში. მოხსენიებულ სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“ და „ღენერალ კნორინგისაგან მეფობის გაუქმების გამო „განცხადება ქართველთადმი“.

კახეთის 1801-02 წლის აღწერაში შეტანილია „ნორიოს სახასო მემკვიდრენი, ბატონის კარის მღვდელი

ბადრიძეების კოშკი

ბადრიძე, აზნაურიშვილი ქრისტეფორე, ძმა მისი მარტყოფის ნაცვალი ნიკოლოზი და ძმისწული დიონოსი". 1800 წლის 12 თებერვლის საბუთით, ქრისტესია კეჟერაშვილი ცხოვრობს თბილისში, მოძღვრიანთ ქუჩაზე.

გადმოცემით, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მღვდელი ქრისტეფორე დაბრუნებულა სოფელ ნორიოში, რომელიც მის დროს რამდენიმე კომლისგან შედგებოდა და მდინარე ნორიოს ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში ამ გზაზე იდგა კოშკი, სახელწოდებით — „ჯვარა". დაქცეული შენობები ცხადად მოწმობს, რომ აქ ერთ დროს ხალხს უცხოვრია. ეს სახელწოდება კი იმის გამო მიუღია, რომ ამ ადგილზე გზები ორად იყრება და კოშკთან ჯვარედინდება. ერთი ამ გზათაგანი ტყისაკენ მიდის და „ლეკების გზა" ეწოდება. ამ გზაზე უვლიათ ლეკებს და მრავალი ტყვე წაუყვანიათ, როგორც ნორიოდან, ისე სოფელ მარტყოფიდან და აქაურობა მრავალჯერ მორწყულა ქართველების სისხლით. ეს კოშკი ლეკიანობის დროს ნორიოელების სიმაგრე ყოფილა. მამა ქრისტეფორეს აქ კოშკის მაგიერ ტაძრის აშენება მოუნდომებია, მაგრამ მარტყოფის უკანასკნელ მიტროპოლიტ სტეფანეს, ენისელთ მოურავის ძე ჯორჯაძესა და მღვდელ ქრისტეფორეს შორის დიდი განხეთქილება მომხდარა და მიტროპოლიტს ნორიოში ტაძრის აშენების ნება არ მიუცია. გადმოცემა ამბობს, რომ მამა ქრისტეფორე მეუფე სტეფანეს მღვდლობიდანაც დაუყენებია. მცირე ხნის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა.

1813 წლის 7 მარტს გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანს მარტყოფელი მღვდლის ქრისტეფორე კეჟერაშვილისათვის ჩვენების ჩამორთმევა უბრძანებია, რათა გაეგო, მართლა მან დაწერა თუ არა გიორგი XII-ის სიგელი — სოფიოსადმი ბოძებული. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ დროისთვის მარტყოფელი მღვდელი უკვე გარდაცვლილი იყო.

მღვდელ ქრისტეფორეს ჰყავდა ორი შვილი. უფროსი დიონოზი, რომელიც მამასავით წიგნის ბეჭდვის ოსტატი იყო (*1790 წელს ის მონაწილეობს „დაუჯდომლის" დაბეჭდვაში: „აღესრულა ოქტომბერს, ქორონიკონს უოც, ხელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა, მწერლობითა ქრისტესია ხუცის ძის დიონოზისათა... და დაზგის მმართველობითა... კარის ხუცის ქრისტეფორესითა*") და უმცროსი პანტელეიმონი, იგი მამასავით მღვდელი გახლდათ (*„ტიფლისკიე ვედემოსტის" 1829 წლის 20 სექტემბრის 38-ე ნომერში დაბეჭდილია: „მღვდელი პანტელეიმონ ბადრიძე მოიკლა ბრძოლაში*").

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას" ახალი ნომერი

„ქართული დოლის" პურის ახალი ნაწარმი

„სასარგებლო ტკბილეული"

შეიცავს მხოლოდ ნატურალურ პროდუქტებს და რაც მთავარია ქატოს (უჯრედისს), ეს კი — მას უნიკალურ, დიეტურ და პროფილაქტიკურ თვისებებს ანიჭებს

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ზემოხსენებული ნახატი მუზეუმმა 1970 წელს ლონდონში, Sotheby's აუქციონზე 150 ათას დოლარად შეიძინა. დღეს მისი ღირებულება დაახლოებით 600 ათასი დოლარია. თუკი ნახატის უტყუარობა დადასტურდა, მისი ფასი 230 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

პოლონელები ვარშავაში მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებენ

აპრილის დასაწყისში ვარშავის ერთ-ერთი უბნის 150-ზე მეტმა მცხოვრებმა ქალაქში ისლამური კულტურის ცენტრისა და მეჩეთის მშენებლობა გააპროტესტა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ: „მოდით, ნუ გავიმეორებთ ევროპის შეცდომებს! ბრმა ტოლერანტობა ანადგურებს ჯანსაღ აზრს". ისინი ძირითადად მოითხოვდნენ, რომ ისლამურ სამყაროში პატივს სცემდნენ ქალების უფლებებსა და აღმსარებლობის თავისუფლებას.

მეჩეთი „ისლამური ლიგის" ორგანიზებითა და პოლონეთის ხელისუფლების ნებართვით იგება. იგი ვარშავის ცენტრიდან 30 წუთის სავალზეა.

პოლონეთში 38 მილიონი მოსახლეობიდან, სხვადასხვა მონაცემებით, 15-დან 30 ათასამდე მუსლიმი ცხოვრობს (მათ შორის — ბევრი ჩეჩნეთიდან დევნილი). მოსახლეობის 90%-ზე მეტი კათოლიკეა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი კირილე ღვთისავარიშვილი
1861-1931

დეკანოზი კირილე ღვთისავარიშვილი 1861 წელს ქიზიყში, სოფელ ზემო მაჩხაანში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1880-84 წლებში თელავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1884-90 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სემინარიის დასრულებისთანავე დაქორწინდა მარიამ გრატიშვილზე. ჰყავდა ხუთი შვილი: ვლადიმერი, არჩილი, ილია, პლატონი და თამარი. 1890 წელს კირილე ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაადგინეს ხელი და საინგილოში, ყორაღანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1893 წლის 6 აგვისტოს ზემო მაჩხაანის მეორე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1894 წლის 24 ოქტომბერს სიღნაღის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1895 წლის აღდგომას საგვერდულით დააჯილდოვეს, 1898 წელს კი — სკუფია უბოძეს. 1897 წლის 15 დეკემბერს მირზაანის ქალთა სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1898 წლის 20 სექტემბერს მამა კირილეს მღვდელმთავრული მადლობა გამოეცხადა ზემო მაჩხაანის ეკლესიის გარემონტებისათვის, რომელიც მან თავისი ხარჯებით შეაკეთა, ტაძარს შესწირა სახარება, კანდელი და ორი სასანთლე.

დეკანოზი კირილე

მამა კირილე აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა ეკლესიის ცხოვრებაში. იმ პერიოდში ქიზიყში არ მომხდარა არც ერთი სასიკეთო საქმე, მას რომ არ მიეღოს მონაწილეობა. 1899 წლის 12 აგვისტოს სოფელ ქვემო მაჩხაანში დაარსდა ქსენონი, რომლის კურთხევაც მამა კირილემ შეასრულა და შესაბამისი ქადაგება წარმოთქვა: *„კაცი გვირგვინია ქმნილებისა. ღმერთმა ყველა კაცს მისცა ნიჭი განვითარებისა, რომლითაც იგი გაირჩევა ცხოველისაგან. ყველა ერმა ერთნაირად როდი გამოიყენა ეს ღვთისაგან მინიჭებული მადლი. ზოგი მეტად განვითარდა, ზოგი კი ნაკლებად. პირველნი მისაბაძავნი არიან მეორეთაგან. პირველებმა, სხვათა შორის, შეიმუშავეს და განავითარეს სამკურნალო მეცნიერება.*

მნიშვნელობა სამკურნალო მეცნიერებისა განათლებულ ერთა მიერ ძლიერ კარგად არის შეგნებული. რომაელნი იტყოდნენ: „საღ სხეულში საღი ჭკვა არისო", ქრისტიანობაც კაცობრიობის ჯანმრთელობისათვის საჭიროდ რაცხდა მკურნალობას და პატივს სდებდა მას, ვინაიდან ჯანმრთელ კაცს შეუძლიან უფრო მეტად გასწიოს შრომა თვის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იყო მკურნალი, ბრმებს თვალებს უხელდა, კუტებს ფეხებს ადგმევინებდა, წყალმანკებს არჩენდა, განრღვეულებს და სხვა გვარ სენით შეპყრობილთ კურნავდა, სულით ავადმყოფებს და ეშმაკეულთ სრულს ჭკვა-გონებას აძლევდა.

გონივრული მკურნალობა ჩვენი ქიზიყისათვის იყო და არის ფრიად საჭირო, მაგრამ ნაცვლად ასეთის

მამა კირილე და სავარაუდოდ — მღვდელი იოსებ ტუკუშაშვილი

წამლობისა და მეცნიერებით შეიარაღებული ექიმებისაგან დარიგების მიღებისა, აქ ასრულებენ და სავსებით მისდევენ მკითხავებსა და მატყუარა ექიმბაშების მოძღვრობა-ქადაგებას.

ვინ არ იცის, რამდენი ადამიანი შექმნილა მსხვერპლი ამისთანა უმეცარი პატრონობა-წამლობისა; რამდენი უბედურება დატრიალებულა მათის რჩევა-დარიგებით, მათის, ვითომცდა, უებარი წამლობით; რამდენს ავადმყოფს თელეთის და გავაზის გზაზედ ამოსვლია უდროოდ სული; რამდენი უძლური გამოსალმებია ამ წუთისოფელს სოფელ ანაგის მთავარანგელოზის ეკლესიასთან, ზღუდეში.

ესეც ხომ ცხადია, რომ ყოველ წლობით ქიზიყიდგან 100-300 ურემი, გაჭედილი თეთრ კაბა, გულზედ შანაშებმულ დედაკაცებით, მიდის თელეთს, ეგრეთ წოდებულ სადეკანოზო ჯვრებით მკერდზედ ჩამოკიდებულ დედაკაცების წინამძღოლობით. რამდენი იღებს ამ დღისთვის ცხვარ-კურატების საყიდლად, რომელნიც თელეთს უნდა დაჰკლან! რამდენი ადამიანი სცდება დღიურ ლუკმა-პურის საშოვარ სახსარს — მუშაობასა! ამგვარად ქიზიყს ყოველ წლობით ათი ათას თუმნობით მოსდის ზარალი და აკლდება ცხოვრების წყარო. ეს ფული რომ ქიზიყშივე დატრიალდეს, მაშინ დიდი შეღავათი მიეცემა ხალხს. ისიც ხომ მართალია, როცა კაცს აქვს შეძლება — ფული, მაშინ შეუძლიან სწავლა მიიღოს და მეტად განვითარდეს გონება-ზნეობრივად. მართალია, ავადმყოფობა ხშირად შედეგია, მაცხოვრის სიტყვისამებრ, სულიერი დაძაბუნებისა, ცოდვებისა და ამის მოსანანებლად ძალიან კარგია და ფრიად საჭირო ლოცვა-ვედრება ღვთისა და წმიდანების წინაშე, რაიცა (ლოცვა) შეიძლება ასრულდეს ადგილობრივ ეკლესიაშიც, მაგრამ ამასთანავე საჭიროა სამკურნალო დახმარებაც, გონივრული წამლობა, თორემ თუ სნეულს მარტო მკითხავის მიერ ნალოც კენჭების ნარეცხი წყალი ასვეს და წარა-მარა ატარეს აქეთ-იქით შორს გზაზედ კურატების დასაკლავად, მაშინ ხორციელ უძლურებას და გადამდებ სენის გავრცელებას ფართო გზა ეძლევა.

მართალია, ჩვენი ქიზიყი სხვა საქართველოს კუთხეებს ცოტათი მაინც სჯობია მითი, რომ გომები შინ, სოფელში, არა აქვთ, საქონელთან ერთად ერთს ოთახში არა სცხოვრობენ, მაგრამ თავისი წმინდა კარეზოებით და ოჯახური სუფთა ცხოვრებით ვერ დაიკვეხნის, და თავს ამით ვერ იმართლებს, რომ ჭუჭყიანი ცხოვრება სიღარიბის ბრალიაო, რადგან შეიძლება კაცი ღარიბი იყოს და სუფთად კი იცხოვროს, ოღონდ კი იშრომოს და მოისურვოს ცოდნის შეძენა სუფთად ცხოვრების შესახებ.

დროა გამოვფხიზლდეთ ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში მაინც, დავეწაფნოთ განათლებასა, ვიხმაროთ ჩვენი კეთილდღეობის და ჯანმრთელობის საშუალებანი. დროა ავმართოთ დროშა ძმობა-სიყვარულისა, მხნეობისა, საქმისადმი მუყაითობისა და ერთობისა, ვინაიდგან იქ, სადაც ერთს კაცს ვერ ძალუძს გაკეთება, აღსრულება და დადგინება რაიმე კეთილი სასარგებლო საქმისა, იქ შეერთებულ ძალას, მთელს საზოგადოებას, შეუძლიან მრავალი სასიქადულო საქმე განახორციელოს.

ასაცილებლად ხორციელთა ტანჯვა-უბედურებათა, ჩვენ, ქიზიყელებს, დღეს ღვთისა და მთავრობის და ზოგიერთ აქაურთა უანგარო მუშაკთა წყალობით დაგვიარსდა სამკურნალო, რომლის კურთხევა-გახსნისთვის არიან ეხლა შეკრეფილნი სამღვდელონი და საერონი. აქ დაესწრო თვით თბილისის გუბერნატორი, გუბერნიო მკურნალი ტიტე სიმონის ძე ქიქოძე (წმ. მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის ძმისშვილი — რედაქცია) და მაზრის უფროსი, რომელთა შემწეობით და დახმარებით იხსნება ეს ქსენონი. ამ პატიოსან გვამთა, ხალხის ცხოვრების სათავეში მდგომთა დასწრება დღევანდელ დღესასწაულზედ მომასწავებელია იმისა, რომ მათ შესტკივად გული მდაბიო ხალხისათვის, რომლისათვისაც ჰსურს წარმატება და კეთილდღეობა. მაშასადამე, ეს გარემოებაც ერთი საბუთია იმისი, რომ, ჩვენდა სასიხარულოდ, იდღეგრძელებს ჩვენი ქსენონი, რომლის მახლობელ გამგედ დაგვენიშნა ახალგაზრდა, სანდო, განათლებული, დაუზარელი მხნე და კეთილსინდისიერი კაცი ექიმი თავადი ალ. სანდრე ნიკოლოზის ძე დიასამიძე.

იმედია, ამის შემდეგ ეს დაწესებულება მოგვცემს ჩვენ დიდს შველასა და შვებასა. გვიხსნის უდროოდ, ულმობელ და შეუწყნარებელ სიკვდილისაგან და ამით ქიზიყს ბევრს გამრჯე და მუშა ხელს შეჰმატებს.

მაშ, ჭეშმარიტად, დღევანდელი დღეს დიდად შესანიშნავი და სასიხარულო ყოფილა მთელის ქიზიყისათვის, რომლის მატიანეში ქსენონის გახსნას ექნება მუდმივი ხსენება და აღიბეჭდება მისი დაარსება მსხვილის ასოებით.

მთელი ქიზიყის განათლებული საზოგადოება და მდაბიო ხალხი მოვალეა ხელი შეუწყოს ქსენონს, მის გაფართოებას და გაძლიერებას.

ზოგიერთ განათლებულ ქვეყნებში, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, თვითოეულ ექიმზედ მოდის იმდენი სული, რამდენიც აქ მრევლი მოსდის თითო მღვდელს ე. ი. 1400 — 1800 სული. რა თქმა უნდა, იქ რაოდენობა სნეულობისა და სიკვდილისა ნაკლები იქნება, ვიდრე ჩვენში, სადაც ბრძოლა სენთან უფრო ძნელია და გაუნდომელი. რადგან აქაურ მკურნალს მოსაველელად ხვდა 33 000 სული. ამისათვის დიდად სასურველია, რომ აქაურმა შეერთებულმა, განურჩევ-

ლად სქეს-წოდებისა, საზოგადოებამ მოიწვიოს კიდევ თუ ექიმი არა, რაიც დიდად სასურველია, ორი ფერშალი და უსათუოდ ექიმი ქალი-ბებია, რომლის გადაუდებელი და დაუყოვნებელი საჭიროება ჩვენთვის ეგოდენ ცხადია, რომ განმარტება აღარ უნდა. ავასრულებთ რა ამას, მაშინ მეტს ჯანმრთელობას შევსძენთ ჩვენსავე თავს, ჩვენს სხეულს.

ამისთანავე, ისიც უნდა აღვნიშნოთ და ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რაც გინდ უმაღლეს ხარისხის მექონენი გავხდეთ, რაც გინდა ხორციელი სიამოვნება მოგვეცეს, რაც გინდ სიმდიდრეში და განცხრომით ცხოვრებაში ვიყვნეთ, არ უნდა დავივიწყოთ ღმერთი და მისი წმიდა სჯულის მოთხოვნილება. არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სულიერი მდგომარეობა, შინაგანი გულის ნადებნი, მოძრაობა-მისწრაფებანი და მიდრეკილებანი, რომელნიც უკეთუ ჩვენ მიერ განსჯაანონ-დაწონისა შემდეგ ცუდნი და წინააღმდეგნი გამოდგა ქრისტიანული ცხოვრებისა, უნდა განვიშოროთ გულიდგან და არ უნდა ვიყვნეთ შურიანი და არა-მოწყალენი, არამედ მოყვასის მოყვარენი, ვითარცა თავისა თვისისა. არ უნდა მოვინდომოთ სხვისთვის ის, რაც ჩვენი თავისთვის არ გვინდა, უნდა ვიყვნეთ ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, და ამგვარად, ხორციელ ზრუნვასთან ერთად ვიქონიოთ ზრუნვა მომეტებულად სულიერ განსპეტაკებაზედ. თუ ამას შევასრულებთ, მაშინ იქნება ჩვენი არსების ჰარმონიული მსვლელობა, მწყობრი ცხოვრება, მაშინ შევიქმნებით ღვთისა და კაცის მასიამოვნებელნი, გავხდებით ბედნიერნი სულიერად და ხორციელად, რანაირი ცხოვრებაც ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა დედისა თვისისა, მფარველისა ივერიისა და ქართველთ განმანათლებელის წმიდა ნინოსითა, მოგანიჭოსთ თქვენ ყოველთა, ამინ“.

მამა კირილეს მეუღლე მარიამ გრატიშვილი

1900 წლის 11 მაისს მამა კირილეს დიდი მონდომებითა და მეცადინეობით ზემო მაჩხაანში ქალთა სამრევლო სკოლა გაიხსნა, რისთვისაც მას მღვდელმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1901 წლის 6 მაისს მამა კირილე კამილავკით დააჯილდოვეს, ხოლო 1911 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1916 წლის 6 მაისს მას დეკანოზის წოდება მიენიჭა.

1907 წლის 15 დეკემბერს მამა კირილე მონაწილეობდა თბილისში გამართულ აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოების საეპარქიო სხდომაში, როგორც ქიზიყის ოლქის ერთ-ერთი მთავარხუცესი. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა დაბეჭდა სოციალისტური მიმართულების გაზეთმა „ისარმა“; აქ მას ბრალი დასდეს, თითქოს მამა კირილე მომხრე გახლდათ სამრევლოებზე გადასახადების მომატებისა და პოლიციის ძალით მის აკრეფისა. შემდეგ ნომერში მან ამ ბრალდებას პასუხი გასცა, სადაც ჩამოყალიბებული გახლდათ მისი შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: *„სახელმწიფო ხაზინა, სადაც ჩვენი ეკლესიის აუარებელი ქონება-მამული გადავიდა, მოვალეა დაუნიშნოს ქართველ სამღვდელოებას გადაწყვეტილი ჯამაგირი და თუ ეს, სამწუხაროდ, ყოლად შეუძლებელია, მაშინ უზრუნველყოფილ უნდა ვიქმნეთ შეძლებისა და გვარად მრევლებიდგან, თუ ჩვენ მათთვის საჭირონი ვართ, რის განსახორციელებლად მშვიდობიანის გზით, ყველა მაზრაში უნდა შესდგეს კომისიები, მღვდლებისა, გლეხებისა და სამოქალაქო უწყების მოხელეთაგან. მე წინააღმდეგი ვიყავი და დღესაც ვარ ყოველნაირი რეპრესიულ ზომების ხმარებისა, მე გახლავართ კომისიის წევრი, რომელსაც მინდობილი აქვს გამოკვლევა და პროექტის შედგენა მღვდლების დაკმაყოფილების შესახებ, საიდანაც და აგრეთვე კრების დადგენილობებიდან ცხადად სჩანს, თუ რა მიმართულებისა ვარ და რა სიტყვა ვთქვი. ვიმეორებ: მე ის სიტყვები არ მითქვამს, რომელიც ზემოსხენებულ #279-ში იყო მოხსენებული“.* მამა კირილეს ამ წერილს ხელის მოწერით ადასტურებდა კრების მონაწილე 20 მღვდელი და ერისკაცი.

1917 წლის გაზაფხულზე, სოციალისტი აგიტატორების წაქეზებით, ათეისტურად განწყობილმა რამდენიმე გლეხმა მამა კირილე რევოლუციის მტრად გამოაცხადა და იმპერატორისა და მისი მოხელეების ერთგულებაში დასდო ბრალი. მათ ცილისმწამებლური ნერილი გაუგზავნეს საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) და მისი წინამძღვრობიდან გადაყენება მოსთხოვეს. მამა კირილე მდგომარეობის გამწვავებას მოერიდა და მეუფე ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით სხვა სამრევლოში გადავიდა.

1925 წლის 1 ივნისს ალავერდელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) მამა კირილე კელმეჩურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. მასვე დაევალა ამავე ეკლესიაზე მიწერილი ბოდბის კალოების ღვთისმშობლის მიძინებისა და წმინდა გიორგის ეკლესიების წინამძღვრობაც.

1925 წლის 10 ოქტომბრის საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, ალავერდის ეპარქია ორ ნაწილად, ალავერდისა და ბოდბის ეპარქიებად დაიყო. ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავრად დაინიშნა დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი (ბერად აღკვეცის შემდეგ ეპისკოპოსი სტეფანე). იმავე წლის 14 ნოემბრით დათარიღებულ წერილში დეკანოზი კირილე მას დაწინაურებას ულოცავს და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს ეკლესიის საკე-

თილდღეოდ: *„აქაური სამღვდელოება მოხარულია თქვენის დანიშვნით ჩვენს წინამძღვრად. თქვენი ცოდნა, გამოცდილება და უმთავრესად მიდრეკილება სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდებია იმისა, რომ სხვებთან ერთად შედარებით თქვენ უფრო მარჯვედ და მიზანშეწონილად აწარმოებთ ჩვენი დაობლებულ-დაავადებული ეკლესიის საქმეებს. ჩვენ ვსდებთ ფიცს და საღმრთო მოვალეობადაც მიგვაჩნია გაგინიოთ ნამდვილი ერთგული და პირუთვნელი თანაშემწეობა თქვენს სამძიმო ეკლიან სამსახურში. ღმერთია მოწყალე, მივაღწევთ სანეტარო და საბედნიერო ნავთსადგურს ზოგადი სიკეთის დასამყარებლად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იქნებით თანაშემწეებთან და საზოგადოდ ყველასთან ისევ ის გულკეთილი, თავმდაბალი და მზრუნველი მოსიყვარულე ვასო კარბელაშვილი, რომელიც ჩვენს უწყებაში ცნობილია ფრიად საუკეთესო მხრივ... თქვენგან შორს იქნება მედიდურობა, მიუკარებლობა, განდიდების სენი და იდეა „ფიქსი“. თქვენი აქ მობრძანება ფრიად საჭიროა, საქმე ანწილ-დაწეწილია. არა გვაქვს სადაც ჯერ არს დიპლომატიური მიწერ-მოწერა ნაბოძებ უფლებათა შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. მღვდლები არა ვართ წესიერად განწესებულნი თავთავის ადგილას. მატერიალური მხარე ეს უმთავრესი ფაქტორი არსებობისა არ არის“...*

1926 წლის 10 მაისს მეუფე სტეფანე წერილს წერს მღვდელ მელიტონ ბეგიაშვილს: **დეკანოზ კირილეს**

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

მარცხნიდან: მღვდელი ილია კოშაიძე, დეკანოზი კირილე და სავარაუდოდ — მღვდელი მიხეილ ბეგიაშვილი

აეკრძალა ორი კვირით მღვდელმოქმედება ურჩობისათვის, მოციქულთა 55 კანონის თანახმად. თუ კიდევ იმავეს გააგრძელებს, დააყენებულ იქნება სამი თვით, ხოლო თუ კიდევ არ დაემორჩილება ბრძანებას, საერთოდ განიკვეთება სამღვდელო ხარისხიდან. საეკლესიო წესების შესრულებას ვავალებ მღვდელ ვასილ მესტიაშვილს. შემოსავლის ნახევარი მისცეს მამა კირილეს, ნახევარი თვითონ დაიტოვოს“.

მამა კირილე დამორჩილდა მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევას და ერთი თვით მღვდელმოქმედება შეწყვიტა. იმავე წლის 10 ივნისიდან კი კვლავ განაგრძო ეკლესიაში სამსახური.

დეკანოზი კირილე აქტიურად მონაწილეობდა 1920 წლის 27 ივნისის, 1921 წლის 1-5 აგვისტოსა და 1927 წლის 21-27 ივნისის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის II, III და IV საეკლესიო კრებებში. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან მრავალი დევნა-შევიწროებისა და ზეწოლისა, ანაფორა არ გაუხდია და ღვთისმსახურება არ მიუტოვებია. დეკანოზი კირილე 1931 წელს გარდაიცვალა. იგი სოფელ ზემო ბოდბეში, საერო სასაფლაოზე დაასაფლავეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილებლობით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დაჭაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

წმუნე კათოლიკეები უფრო მეტად ტრადიციული შეხედულების არიან, ვიდრე იტალიასა და ესპანეთში.

სერბეთში მილანის ედიქტის 1700 წლისთავისათვის ემზადებიან

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ირინეოსმა ნიშში გამართულ პრესკონფერენციაზე უპასუხა კითხვებს, რომელიც 2013 წელს მილანის ედიქტის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ეხებოდა.

პატრიარქმა განაცხადა, რომ ქრისტიანობისთვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებზე ყველა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურს ელოდებიან.

„ლოგიკური იქნებოდა რომის პაპის ჩამობრძანებაც, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი არ განიხილება", — აღნიშნა მან. თავის დროზე, პატრიარქად არჩევის შემდეგ, სერბეთის პატრიარქმა განაცხადა, რომ აუცილებლად მოიწვევდა რომის პონტიფიკატს 2013 წელს დაგეგმილ ღონისძიებებზე ნიშში. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, მიიღონ გადაწყვეტილება, თუ კონკრეტულად ვის მოიწვევენ. დღეისათვის არც ერთ ოფიციალურ პირს მოსაწვევი არ დაგზავნია. ჯერ კიდევ საკმარისადაა დრო, რათა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია სათანადოდ მოემზადოს და აწრამოოს მოლაპარაკებები მილანის ედიქტის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა კათოლიკებმა უკვე გამოთქვეს კეთილგანწყობა. ისინი იწონებენ ნიშს, რადგანაც ეს ადგილი არც აღმოსავლეთშია და არც დასავლეთში, არამედ მათ შორის მდებარეობს.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ნიშის ღონისძიება ქრისტიანულ ეკლესიათა შორის განხეთქილების დაძლევის დასაწყისი გახდეს, პატრიარქმა განაცხადა: „ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ღონისძიება არის საუკეთესო საბაბი ჩვენთვის, მართლმადიდებლებისა და ჩვენთან ახლოს მყოფ ყველა რელიგიის წარმომადგენლისათვის — შეხვედრის, გაცნობისა და ქრისტიანული აზროვნების უდიდეს საწყისებთან დაბრუნებისათვის".

მოამზადა თამარ ასათიანმა

წოწომაწიანე

დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე 1867-1929

სტუდენტი იოსები

დეკანოზი იოსებ თეოფანეს ძე ჩიჯავაძე 1867 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამა — მღვდელი თეოფანე იოსების ძე ჩიჯავაძე (1836-1883 წლები) — თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური იყო, ხოლო დედა — ოლღა ზანდუკელი გახლდათ. პატარა იოსებმა ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო 1885-91 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სწავლის დასრულების შემდეგ იგი დაქორწინდა. ჰყავდა სამი შვილი: დიმიტრი, ელენე და შოთა (მამა იოსების მეუღლე 1896 წელს ადრეულ ასაკში გარდაიცვალა).

1891 წლის 7 ივლისს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) იოსები დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი და თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1897 წლის აღდგომას საგვერდულით, ხოლო 1900 წელს სკუფიით — დააჯილდოვეს.

1911 წლის თებერვალში მამა იოსებს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებით, საეკლესიო წესების დარღვევის გამო დროებით შეუჩერდა მღვდელმოქმედება და რამდენიმე თვით გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში განამწესეს სასჯელის მოსახდელად.

1915 წლის 6 მაისს მამა იოსები კამილავით დააჯილდოვეს. 1916 წელს იგი რუსეთში გაემგზავრა და სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. მასვე დაევალა სანკტ-პეტერბურგის ქართული სამრევლოს ჩამოყალიბება და წინამძღვრობა. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „სამშობლო": **„კვირას, 31 იანვარს, პეტროგრადის ცენტრალური ბანკის დარბაზში მოხდა პეტროგრადის ქართველთა ახალშენის კრება. თავმჯდომარეობდა თავადი ვ. ს. მიქელაძე. კრება ნებადართული იყო პეტროგრადის ქალაქის უფროსისაგან. კრებას უნდა განეხილა საკითხი ქალაქში ქართული ეკლესიის აგებისა. თავმჯდომარემ საუცხოო მხატვრულ ფერადებით დაასურათა გარემოებანი, რამაც პეტროგრადის ქართველთა შორის დაჰბადა აუცილებლობა სატახტო ქალაქში ყოფილიყო ქართული ეკლესია. შემდეგ კრებას მოახსენა შარშან, 15 დეკემბერს საგანგებოდ არჩეულ რწმუნებულთა მოქმედების ანგარიში.**

ეს კომიტეტი უპირველესად ეახლა პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტს პიტირიმს, ითხოვა მისგან ლოცვა-კურთხევა ამ წმინდა საქმე-

ში დასახმარებლად.

მეუფე პიტირიმი გული სავსებით მიეგება ამ შუამდგომლობას და აღუთქვა დახმარება პეტროგრადში ქართული ეკლესიის აგების საქმეში. რადგანაც ქვეყანა დღეს მძიმე პირობებში იმყოფება და ეკლესიის აგებაც ძალაუნებურად გაჭინაურდება. მეუფე პიტირიმი გულმხურვალედ მოეკიდა საქმეს, მით უმეტეს, რომ პეტროგრადის ქართველობას და განსაკუთრებით პეტროგრადში მყოფ ქართველ დაჭრილ მეომრებს ხშირად სჭირდებათ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რადგან სლავიანური წირვა-ლოცვა მათ არ ესმით.

მღვდელი იოსები

ამის გამო მიტროპოლიტმა პიტირიმმა რწმუნებულებს შესთავაზა ერთ-ერთი ეკლესია, სადაც დროებით თავს შეაფარებს ქართული კრებული და წირვა-ლოცვას ქართულად მოისმენს.

ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაავალა თავად ვ. ს. მიქელაძეს, უღრმესი და უგულითადესი მადლობა გადასცეს მეუფე პიტირიმს იმ მხურვალე თანაგრძნობა-მონაწილეობისათვის, რომელსაც იჩენდა საქართველოს სამწყსოს მიმართ ეგზარქოსობის დროს, რითაც ჩვენი ერის უდიდესი და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

კრებაზე გამოირკვა, რომ უმაღლეს წრეებში თანაგრძნობით ეგებებიან პეტროგრადში ქართული ეკლესიის აგების საქმეს. კრებამ დაადგინა, დროებით რომელიმე ორსაკურთხევლიან ეკლესიაში მოხერხებულიყო ქართული წირვა-ლოცვის მოწყობა.

ხანგრძლივ თათბირში მონაწილეობას იღებდნენ გენერალ-მაიორი, თავადი ი. ა. ნაკაშიძე, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ამალის წევრი, თავადი ზურაბ ავალიშვილი, ა. დ. ქორქია, თავადი ი. გ. თარხნიშვილი და სხვანი.

კრებამ მადლობა გადაუხადა კომიტეტის გამოცდილ ქართველ მოღვაწეს თავად ვ. ს. მიქელაძეს თავდადებულ და ერთგულ საქმიანობისათვის პეტროგრადის ქართული ეკლესიის დაარსებაში.

ჩვენ განსაკუთრებით სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებამ უგულითადესის პატივისცემით მოიხსენია „პეტერბურგის ვედომოსტის“ დიდი ხნის თანამშრომელი, ცნობილი კანონისტი ნიკოლოზ დურნოვო, რომელიც დიდი ხნის მეგობარია ივერიის ეკლესიისა“.

1917 წლის 14 იანვარს აღნიშნული ეკლესია წმინდა ნინოს სახელობაზე იკურთხა. მწირველნი ბრძანდებოდნენ: პოლოცკის ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), სტარო-რუსიის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და პეტროგრადის ქართული სამრევლოს წინამძღვარი, მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი იოსები სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. წირვის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო ტრაპეზი, სადაც ქართველმა სასულიერო პირებმა და მრევლმა დიდი მადლობა მოახსენეს მეუფე პიტირიმს, რომელსაც ბევრი უსიამოვნება გადახდა ქართველებისათვის ამ ეკლესიის გახსნის გამო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერია დაინგრა. ამით ისარგებლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა და ამავე წლის 12 მარტს (ახ. სტ. 25 მარტს) სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მღვდელმთავრებმა და სამღვდელოებამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადეს. 1917 წლის 11-17 სექტემბერს გამართულ პირველ საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქად ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) აირჩიეს. 1917 წლის 16 ნოემბერს უწმინდესმა კირიონმა საკათოლიკოსო საბჭოში დასვა საკითხი საეკლესიო ჟურნალის გამოცემისათვის „სვეტიცხოველის“ სახელწოდებით. რედაქტორობა თავდაპირველად შესთავაზეს დეკანოზებს — კალისტარტე ცინცაძესა და კორნელი კეკელიძეს, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. ამის შემდეგ უწმიდესმა კირიონმა წამოაყენა მამა იოსების კანდიდატურა, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. მან მაშინვე გაუგზავნა დეპეშა მამა იოსებს და საქართველოში დაიბარა. ამავე წლის ბოლოს იგი სამშობლოში დაბრუნდა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა ჟურნალის რედაქტორად და თავის პირად მდივნად დანიშნა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჟურნალის რედაქტორად იგი ფორმალურად ითვლებოდა, მისი მთავარი იდეოლოგები იყვნენ დეკანოზები: ილია შუბლაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი და ილარიონ ჯაში. 1918 წლის 11 თებერვალს მამა იოსებს დეკანოზის წოდება მიენიჭა.

XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში მამა იოსები რუსეთში არსებული „ცოცხალი ეკლესიის“ საქმიანობაში აღმოჩნდა ჩართული. 1922 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში იგი (კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევის გარეშე, რის გამო მას დროებით შეუჩერეს მღვდელმოქმედება) მოსკოვში გაემგზავრა იქაურ კრებაზე დასასწრებად, აირჩიეს „ცხოველი ეკლესიის“ ჯგუფის ცენტრალურ კომიტეტის წევრად, აღიჭურვა სათანადო რწმუნებე-

ბით და საქართველოში ჩამოვიდა. მამა იოსებმა ამ საქმეში მხარდამჭერები ვერ მოძებნა და მალევე ჩამოშორდა აღნიშნულ მოძრაობას. მან შენდობა ითხოვა თავისი საქციელის გამო და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შუამდგომლობით მალევე აღუდგინეს მღვდელმსახურება. შემდგომ წლებში მამა იოსები უკვე ერთგულად ემსახურებოდა დედაეკლესიას და მიუხედავად კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის დევნისა, ანაფორა არ გაუხდია, უშიშრად ქადაგებდა სარწმუნოებას, ანუგეშებდა წმინდა ბარბარეს ეკლესიის მრევლს და დიდი სიყვარულითაც სარგებლობდა მორწმუნეთა შორის. 1927 წლის 21-27 ივნისს დეკანოზი იოსები მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IV საეკლესიო კრებაში. 1928 წლის აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) იგი ენქერით დააჯილდოვა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დეკანოზი იოსები ხშირად ავადმყოფობდა. 1932 წლის აგვისტოში წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის სამ-

მარცხნიდან: მღვდელი იოსები და მღვდელი ანტონ თოთიბაძე

რევლო საბჭო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) სთხოვს ახალი წინამძღვრის დანიშვნას: **„მთხოვნელს ჩვენ პირადად არ ვიცნობთ. უკეთუ მისი უწმიდესობა ჰრაცხს მას შესაფერ კანდიდატად, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვეთქმის. ერთს კი მოგახსენებთ — წმ. ბარბარეს ყოფილი წინამძღვარი, აწ განსვენებული დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე ორი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, ხოლო მისმა დროებითმა შემცვლელებმა კეთილად ვერ წარმართეს ეკლესიის საქმე და მრევლი შემოიფანტა“.** როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მამა იოსები, ავადმყოფობის გამო, უკანასკნელი ორი წელი სისტემატიურად ვერ ახერხებდა ტაძარში სიარულს. იგი 1929 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა. იგი 15 იანვარს ნათლულის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

დეკანოზ იოსების ნეკროლოგი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“

იოსებ (სოსო) თოფურიას ძე ჩიჯავაძე

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჭურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგვლიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჭურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ნადო განათლება.

ის პაციენტები, რომლებსაც სერიოზული სამედიცინო დამხმარება არ დასჭირდებათ, არატრადიციული მეთოდებით იმკურნალებენ. პირველ რიგში, ეს ეხება ალჟირში ბოლო დროს ძალიან პოპულარულ ჯადოს მოხსნას, გათვალვას, ეშმაკეულით შეპყრობას.

სავარაუდოდ, კლინიკაში იმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც, რომელიც არატრადიციული მეთოდებით მკურნალობას გამოიკვლევს. აქვე ასევე იმუშავებს ამა თუ იმ მეთოდის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისაგან შემდგარი საერთაშორისო სადისკუსიო კლუბი.

ევროპა სიწმინდეების დაცვის კოდექსს იღებს

თურქეთში გამართულ ევროსაბჭოს რელიგიურ ლიდერთა სხდომაზე განიხილეს წმინდა ადგილების დაცვის კოდექსი. ეს დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და ქვეყნის რელიგიური წრეების ერთობლივი ინიციატივით მომზადდა, 2009 წელს ტრონჰეიმში მიიღეს. კოდექსი მომზადდა ქრისტიანების, ისლამისტების, იუდაისტებისა და ბუდისტების წმინდა ადგილებთან დაკავშირებული სიტუაციების დარეგულირების მიზნით.

დოკუმენტში არის წმინდა ადგილების ცნების განმარტების მცდელობა: „წმინდა ადგილი — ეს არის რელიგიური მნიშვნელობის ადგილი ცალკეული რელიგიური ერთობისათვის. იგი წარმოადგენს არა მარტო თაყვანისცემის ადგილს, არამედ სასაფლაოებსა და მათ ირგვლივ არსებულ სიწმინდეებსაც, რომლებიც ამ ადგილების განუყოფელი ნაწილებია". აღნიშნული კოდექსით, წმინდა ადგილი განისაზღვრება თითოეული რელიგიური ერთობის ტრადიციის მიხედვით. ასევე, კოდექსი აღიარებს, რომ ესა თუ ის ადგილი შეიძლება სიწმინდე იყოს სხვა ერთობებისთვისაც.

დოკუმენტის ცალკეული ნაწილი ეხება წმინდა ადგილების დაცვასა და მათთან მიახლების უზრუნველყოფის საკითხებს. მასში ასევე განხილულია იმ სიტუაციის დარეგულირება, რომლის დროსაც ერთი ადგილი ერთზე მეტ რელიგიურ ერთობას ეკუთვნის ან სიწმინდე შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში ხვდება. კოდექსი განიხილავს იმ წმინდა ადგილების აღდგენის წესსაც, რომლებიც კონფლიქტის შედეგად დაზიანდა. ამას გარდა, დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და სამეცნიერო პროგრამების განვითარებას, რომლებიც წმინდა ადგილებს ეძღვნება.

აღნიშნული კოდექსის პრინციპების რეალიზაციისათვის დოკუმენტში შემოთავაზებულია საერთაშორისო ორგანოს შექმნა. სავარაუდოდ, მისი სამუშაო იქნება: წმინდა ადგილების სიის ჩამოყალიბება, ამ ადგილებთან დაკავშირებული მონიტორინგი და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება შესრულებული სამუშაოები კოდექსს. ამ კოდექსმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მსოფლიოს ცხელი წერტილების კონფლიქტების მოსაგვარებლად.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

შტრიხპორტრეტი

დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე 1859-1933

დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე 1859 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში, სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა. XIX-XX საუკუნეებში ოქროპირიძეების ცნობილი გვარიდან მრავალი ღირსეული სასულიერო პირი გამოვიდა. მათ შორის იყო მამა იროდიონიც. იგი საკმაოდ განათლებული ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა და გასაკვირი არცაა, რომ მამა-პაპათაგან ნამემკვიდრებ სასულიერო გზას დაადგა.

ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ პატარა იროდიონი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1878 წელს მან თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1884 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1885 წელს დაქორწინდა ნინო ბოჭორაძეზე (1864-1942). მათ 8 შვილი აღუზარდეს სამშობლოს: **ბესარიონი** (1886-1964; ცნობილი ექიმი, პროფესორი, ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ტროპიკულ სნეულებათა ექიმი; მეუღლე — იულიანა ლიუტენბერგერი), **გიორგი** (1888-1961; ჰიდროინჟინერი), **ზინა** (1890-1963; მეუღლე — ალექსანდრე ლომთათიძე, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილე), **ანდრო** (1892-1955: ეკონომისტი, მეუღლე — ნინო წულუკიძე), **თამარი** (1898-1974; — ექიმი-ფტიზიატრი), **ელენე** (1894-1987; მეუღლე — მიხეილ აბულაძე), **ქეთევანი** (1906-1994; მეუღლე — ავქსენტი მეგრელიძე, ყოფილი მღვდელი, ცნობილი ლოტბარი) და **ეკატერინე** (1908-1996).

მღვდელი იროდიონი

1885 წელს სემინარიის კურსდამთავრებული იროდიონი დიაკვნად აკურთხეს, ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხეს ხელი და ერევნის გუბერნიაში, დიდი არარატის მთის ძირში განლაგებულ სამხედრო ნაწილში, დაბა იგ-

დირის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1889 წელს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1891 წლის მაისში, თავისი ნათესავის, საინგილოს მისიონერის, მღვდელ-მონაზვნის ლეონიდეს (ოქროპირიძე) თხოვნით, მამა იროდიონი კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. 1897 წლის აღდგომას სკუფიით დაჯილდოვდა.

მამა იროდიონის თავდაუზოგავი მოღვაწეობის შედეგად მრავალი ინგილო დაუბრუნდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. გარდა ქადაგებისა და ხალხის რწმენაში განმტკიცებისა, მამა იროდიონს ტაძრების მშენებლობის მეთვალყურეობა ჰქონდა დაკისრებული. იმ პერიოდში აშენდა ქურმუხისა და თასმალოს ეკლესიები. ორივე ეკლესიის მშენებლობა 1893 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 1895 წლის შემოდგომაზე საკურთხებლად მზად იყო. ყოველივე ამან ფრიად დაძაბა მდგომარეობა მეზობელ ლეკებთან. ოსმალეთიდან მოსული ემისრები სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და ხალხს ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ. ინგილოებში გავრცელდა ხმა, რომ ლეკებს მათი ოჯახების აწიოკება და სახლ-კარის დარბევა ჰქონდათ განზრახული. ეს ხმა მამა იროდიონამდეც მივიდა. შემდეგ ამ ამბავს იგი თავის ჩანაწერებში ასე იხსენებდა: **„შეშინებულმა მეორე დილითვე გადავწყვიტე ჩავმჯდარიყავი „ტროიკაში“ და ცოლ-შვილი გორში წამეყვანა. სიღნაღამდე გავყვებოდი** (ოჯახს — რედ.), **მარტო რომ ვიქნებოდი და ცოლ-შვილზე ზრუნვა აღარ დამჭირდებოდა, მრევლს უფრო კარგ პატრონობას გავუწევდი. ცხენოსანი რაზმის შედგენას ვაპირებდი, მაგრამ მეორე დილას, სანამ წასასვლელად მოვემზადებოდი, ჩემთან მოვიდნენ მასწავლებლები — ბათო ხუციშვილი და თომა პაპიაშვილი. გასაქცევად მზადება შეგვატყვეს და გვითხრეს: თქვენი გაქცევით ხალხი უფრო შეშინდება, სასოწარკვეთაში ჩავარდება და უფრო უარესია, სულ დაიღუპებიანო. მათ ჩემი განზრახვა ავუხსენი, მაგრამ ამით რას დავაჯერებდი? მაშინ მოვიფიქრეთ, დეპეშა გაგვეგზავნა მეფისნაცვალთან. საჩქაროდ შევატყობინოთ აქაური მდგომარეობა-თქვა. ამ დეპეშას სამივემ მოვაწერეთ ხელი.**

იმჟამად მეფისნაცვლის მოვალეობას გენერალი ივანე ამილახვარი ასრულებდა. მან მაშინვე გააგზავნა ბრძანება დედოფლისწყაროში და ნიჟეგოროდის ცხენოსან პოლკს უბრძანა, სასწრაფოდ წასულიყვნენ ზაქათალის ოლქში. სამი დღის შემდეგ კახში შემოვიდა გრენადერთა ცხენოსანი პოლკი. პოლკის უფროსი პოლკოვნიკი არჯევანიძე და შტაბის სამი ოფიცერი ეკლესიის ეზოში შემოვიდნენ და მომიკითხეს: ბლაღოჩინო ოქროპირიძევ, ეს რა დეპეშა გაგიგზავნიათ მეფისნაცვლისათვის, რაშია საქმეო? მდგომარეობა ავუხსენი. მათ დამამშვიდეს, რაკი ჩვენ აქ დაგვინახეს, მუსულმანები ვეღარაფერს გაბედავენო.

მეორე დილით ათ ოფიცერს სადილი გაუმართეთ ეკლესიის ეზოში, როცა პოლკის მეომრები სადილობდნენ, სასულე ორკესტრი უკრავდა. გარშემო ხალხი მოგროვდა. განსაკუთრებით ლეკები მოგროვდნენ და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, ჩვენ ამათთან რას გავხდებით, ცხენებით გაგვსრესენო. პოლკმა სამ დღეს შემოიარა თათრებისა და ინგილოების სოფლები. ამით ლეკებს გულში ჩაუკლეს განზრახვა, რამაც ქრისტიანები გაამხნევა. მეც დავმშვიდდი და ჩემი მრევლიც დავამშვიდე. ამჯერად ასე ავიცილე თავიდან მოსალოდნელი განსაცდელი“.

დეკანოზი იროდიონი ოჯახის წევრებთან ერთად. ფოტო გადაღებულია 1918 წელს ქ. გორში

1904 წლის 3 მარტს მამა იროდიონი ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს და გორის მაზრის III ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. მოძღვარი ქალაქის ცენტრში მდებარე ეკლესიის გვერდით, ორსართულიან სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. იმჟამინდელი დაბა ცხინვალი წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის უმეტესობა ქართველები იყვნენ. ერთ უბანში ცხოვრობდნენ გაქართველებული სომხები და ე. წ. ქართველი ებრაელები. ოსების მხოლოდ 3-4 ოჯახი ცხოვრობდა და ისინიც ქართველ ქალებზე იყვნენ დაოჯახებულნი. მათ ცხინვალში ფართლის მაღაზია და მანუფაქტურა ჰქონდათ გახსნილი.

მამა იროდიონის ქალიშვილი, ქეთევან ოქროპირიძე-მეგრელაძისა, იგონებს: **„მაშინ ცხინვალი აყვავებულ ბაღს ჰგავდა და გამორჩეული ინტელიგენცია ჰყავდა. ჩვენს სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით კასრაძე, ნიკო ლომოური. ცხინვალშივე იზრდებოდა, ისიც მღვდლის, ვასილ ხიდაშელის ოჯახში მომავალი აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი. ცხინვალში მაშინ სასტუმრო არ იყო და აქ ჩამოსული ყველა გამორჩეული პიროვნება, კათალიკოსი** (გულისხმობს საქართველოს ეგზარქოსს — რედაქცია) **იქნებოდა იგი, გუბერნატორი თუ სკოლების ინსპექტორი, ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდნენ და იყო გაუთავებელი სტუმრიანობა ჩვენს სახლში“.**

1904 წლის 6 მაისს მამა იროდიონს კამილავკა ეწყალობა. ამავე წლის 26 ივლისს იგი გორის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა. 1905 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი უბოძეს. 1908 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. 1915 წლის 24 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პიტიმირმა (ოკნოვი) მამა იროდიონს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1917 წლის სექტემბერი. პირველი საეკლესიო კრება. ხალიჩაზე წინა პლანზე მარცხნიდან მამა იროდიონი

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში საყოველთაო არეულობა დაიწყო. 1917 წლის გაზაფხულზე ცხინვალში ძალიან ბევრი წითელარმიელი მოგროვილა (მეტი წილი ოსები იყვნენ) და მეფის წინააღმდეგ გამოსულან. გამოუძახიათ რუსეთის იმპერიის ყაზახები, ზღუდრის გვერდზე ჩამოსასვლელ ზემო გზაზე ზარბაზნები დაუყენებიათ და სულ უნდა ამოებუგათ თურმე ქალაქი. ცხინვალის მოსახლეობას ყაზახებთან მოსალაპარაკებლად დელეგატად აურჩევიათ დეკანოზი იროდიონი, რომელიც საუკეთესოდ მეტყველებდა რუსულად. მას ტრიბუნიდან იმდენი ულაპარაკია, რომ რუსი ჯარისკაცები დაურწმუნებია, უკან დაბრუნებულიყვნენ — აქ არავითარი საშიშროება არ არისო. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამით ისარგებლეს წითელარმიელებმა და ადგილობრივ თავად-აზნაურობას დაერივნენ. მაჩაბლები, ფალავანდიშვილები, ფავლენიშვილები, ციციშვილები და სხვა მრავალნი — დაიჭირეს და ლენინის სახელით დახვრიტეს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ძალადობრივად დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება. ქვეყანაში მთლიანად შეიცვალა ვითარება. დაიწყო ეკლესიებისა და სამღვდელოების განუკითხავი ტერორი. არაერთი სასულიერო პირი ფიზიკურად გაანადგურეს, მრავალმა მათგანმა თავისა და ოჯახის გადარჩენის მიზნით სასულიერო წოდებაზე უარი თქვა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. მიუხედავად მრავალი ზეწოლისა, მამა იროდიონს არ მიუტოვებია ეკლესია და ღვთისმსახურება. მართალია, იგი აიძულეს ცხინვალი დაეტოვებინა, მაგრამ თავის მშობლიურ სოფელში, დისევში დასახლდა და იქ განაგრძო მღვდელმსახურება. მოძღვარი ძველებურად განაგრძობდა მრევლის ნუგეშისცემასა და მათ სარწმუნოებაში განმტკიცებას.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

XX საუკუნის 20-იან წლების ბოლოს დეკანოზი იროდიონი ხელისუფლებამ მეტისმეტად შეავიწროვა; იგი არაერთხელ დააპატიმრეს. უკანასკნელად 1928 წელს დაიჭირეს და სნეული მოხუცი ცხრა თვე ციხეში ამყოფეს. 30-იან წლებში განკულაკების დროს დაწყებულ რეპრესიებს ვერც ოქროპირიძეების სასულიერო ოჯახი გადაურჩა. თებერვლის ნამქერში სპეციალურმა ბრიგადამ მამა იროდიონი ოჯახიდან გამოასახლა. დადამბლავებული კაცი აივანზე, სკამზე დასვეს ისე, რომ ზემოდან თოვლი დასდიოდა, სახლი კი დაულუქეს. ყველა ხატი, საეკლესიო საბუთები და სამღვდელოების სურათები მის თვალწინ დაწვეს. ყველაფერი, რაც ცხინვალიდან გადარჩა (საქონელი, ავეჯი, ჭურჭელი), მისცეს მეზობელს, დიაკვნის გოგოს, რომელიც ავადმყოფ მოძღვარს უვლიდა. თანაც დასცინოდნენ — სახლში მოსამსახურე გყოლიაო. ამდენ ტანჯვასა და დამცირებას ღირსებააყრილი მოძღვრის გულმა ვეღარ გაუძლო და 1933 წელს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მამა იროდიონი დიდი პატივით დაასაფლავეს მშობლიურ სოფელში, საგვარეულო სასაფლაოზე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუწართხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 3608515555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე.
გარეკანზე: ცარო ვარდოშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი ალექსი გულისაშვილი 1862-1951

დეკანოზი ალექსი ნიკოლოზის ძე გულისაშვილი 1862 წელს გარე კახეთში, სოფელ ნინოწმინდაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება პატარა ალექსიმ ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. შემდგომ იგი სასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, აქედან კი 1879 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1885 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. ამავე წელს დაქორწინდა პატარძეულში მცხოვრებ რაქიელ ზუკაკიშვილზე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა. არჩილი (1888-1971, ცნობილი ინჟინერ-მეტალურგი, პროფესორი) ნინო და მანია (ეს უკანასკნელი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა).

დეკანოზი ალექსი

1885 წელს სემინარიის კურსდამთავრებული ალექსი საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) დიაკვნად აკურთხა, ერთი კვირის შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და საქართველოს მთიანეთში, სოფელ მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. ამავე წელს აირჩიეს დუშეთის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესად. 1890 წლის დეკემბერში ერწო-თიანეთის მხარეში, სოფელ სვიმონიანთხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. აქ მოღვაწეობის პერიოდში მამა ალექსის საფუძვლიანად უზრუნია სწავლა-განათლების შუქი შეეტანა სოფელში და დიდადაც იღვაწა ამ სოფელში სამრევლო-საეკლესიო სკოლის დაარსებისათვის. აი, რას წერდა ამის შესახებ 1899 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" — **„აგერ ერთი წელიწადია, რაც სკოლა დაარსდა სოფელ სვიმონიანთ ხევში. ჯერ კარგად მიდის მისი საქმე. მონაფენი ბლომად დადიან სკოლაში, მაგრამ სამწუხარო ერთი რამ არის. თუმცა საკუთარი სკოლა გვაქვს, არტანის ხევის სკოლის ფულსაც გვახდევინებენ და ეს მით უმეტეს არ არის სასიამოვნო, რომ არტანის ხევის მასწავლებელი ტყუილად სცდება, სრულიად უსაქმოდ არის. ძალიან კარგს ინებებდნენ, ვისიც ჯერ არს, რომ ამ მასწავლებელს სვიმონიანთ ხევში გადმოიყვანდნენ, რადგან აქ მოწაფეთა სიმრავლე მეორე მასწავლებელსაც მოითხოვს.**

დეკანოზი ალექსი ოჯახის წევრებთან ერთად ერწო თიანეთში სოფელ თვალხევში სამების საყდართან 1914 წ.

სკოლაში წერა-კითხვას მამა ალექსი გულისაშვილი ასწავლის. მამა ალექსის დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის თავის მრევლისა და ახლად გახსნილი სკოლის წინაშე. **ერთი წლის სკოლის მოწაფეებისათვის მას გალობა შეუსწავლებია და მოწაფეებმა კიდეც მშვენივრად იგალობეს დღესასწაულზე — ეკლესიაში. დიდი მადლობის ღირსია ყოველივე ამისათვის მამა ალექსი".**

ერწო-თიანეთში მსახურების დროს მამა ალექსის (მასთან ერთად ამ საქმეში ასევე დიდი წვლილი შეიტანა მღვდელმა გრიგოლ წიკლაურმა) განსაკუთრებულად უზრუნია ნადოკრის ძველი მონასტრისა და იქ მდებარე წმინდა არჩილ მეფის საფლავის აღსადგენად. ქართველთა სამარცხვინოდ, მეფე არჩილის საფლავი, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს და ქრისტეს სარწმუნოებას, იმ პერიოდში სრულიად მივიწყებული და მივარდნილი იყო. საქმე იქამდე მისულა, რომ ტაძარი პირუტყვთა სადგომად იყო გადაქცეული. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) პირველმა იზრუნა მონასტრის განახლებაზე. 1893 წელს მან ზედაზნის მამათა მონასტრიდან იქ მუდმივად განამწესა ბერ-მონაზონი ეფრემი (დიდებაშვილი), რომელმაც ეკლესიის ეზო და ტაძარი დაასუფთავა და შეძლებისდაგვარად გაალამაზა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მამა ეფრემი 1898 წელს გარდაიცვალა და ტაძარი კვლავ უპატრონოდ დარჩა. სწორედ ამ დროს მამა ალექსიმ და მამა გრიგოლმა ითავეს მონასტრის მოვლა-პატრონობა. აი, რას წერს ამის შესახებ მამა ალექსი გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე: **„1899 წლის 21 ივნისს, ერთი-ორი კაცის თაოსნობით, არჩილ მეფის საფლავთან შეიკრიბნენ თიანეთის მაზრის მოწინავე საზოგადოება: მომრიგებელი მოსამართლე ა. ს. გამრეკელი, მაზრის მკურნალი ე. ა. ჯავახიშვილი, მთავარხუცესი, მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი, ბოქაულები — გ. დეკანოზიშვილი და ვ. ბარათაშვილი, ადგილობრივნი მღვდელნი, მემამულენი და მრავალნი სხვანი. სამღვდელოებამ არჩილს მეფის საფლავზე გადაიხადა პარაკლისი, შემდეგ პანაშვიდი გარდაცვლილი ბერის, ეფრემის**

საფლავზე, სადაც მღვდელმა ნიკოლოზ კახიშვილმა წარმოსთქვა მცირე ქადაგება. ამის შემდეგ გაიმართა საუბარი, თუ რა ღონისძიებანი გაეტარებინათ ეკლესიის გადასარჩენად. საზოგადოებამ ერთხმად დაადგინა: 1) ეთხოვოს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარქოსს ფლაბიანეს, რომ ნება დაგვრთოს არჩილის ეკლესიის განახლებისათვის, შემოწირულობა მოგროვდეს საქართველოს ყველა კუთხეში, რადგან არჩილ მეფის საფლავი ეკუთვნის არა რომელსამე კერძო ადგილს, არამედ მთელ საქართველოს. 2) ვიდრე ნებართვა იქნება აღებული, ეთხოვოს დახმარება მეუფე ალექსანდრეს, როგორც პირველ მზრუნველს არჩილის წმინდა საფლავისა. რადგანაც მეუფე სხვა ეპარქიაში გადაბრძანდა, მისი სურვილი შეუსრულებელი დარჩა. 3) ჯერ-ხანობით, ვიდრე შორიდან შემოწირულობა მოგროვდება, ახლავე არჩილ მეფის ეკლესიის თავსახურავზე (ბანზე) ხეები გადაიკაფოს და კრამიტით გადაიხუროს, რომ ეკლესიის თაღი წვიმისა და თოვლისგან არ ჩამოიქცეს. 4) მომრიგებელმა მოსამართლემ ა. გამრეკელმა სთქვა: ფრიად საჭიროა, რომ ეკლესიას თავისი საკუთარი ეზო ჰქონდეს. რას ემგვანება, ეკლესია გავამშვენოთ და იქ მისვლა კი არ შეგვეძლოსო?

დეკანოზი ალექსი მეუღლესთან ერთად

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის ეზოს ვიღაც ჰაოსიანთ გვარის ოჯახი დაპატრონებია. „ყორღანი“ (სამანი) შიგ ეკლესიის კედლის ძირშია ჩავარდნილი. მემამულემ რომ მოინდომოს, ფეხს არ მიგვადგმევინებს ეკლესიასთან. პატივცემულმა მემამულემ ი. ს. ოზიაშვილმა საზოგადოებას აღუთქმა დაუდვა: არჩილის ეკლესიის ეზოს ისევ ეკლესიას დავუბრუნებო. ამის სამაგიერო ადგილს ჰაოსიანთ გვარისას ერთი ორად მივცემო. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ ოზიაშვილს. შემდეგ გაიმართა ქართველური ნადიმი, შემკობილი მამულიშვილურის სიმღერებით და მრავალი სადღეგრძელოთი.

ვისურვებთ, ყველა ის, რაც სიტყვით წარმოითქვა, განხორციელებულიყოს და ჩვეულებრივ ქართველურ დავიწყებას არ მისცემიყოს“.

1899 წლის 1 სექტემბერს მამა ალექსი სოფელ ვაქირში განამწესეს, სადაც მან მცირე ხანს დაჰყო. მალე იგი თავის მშობლიურ სოფელში, ნინოწმინდაში გადაიყვანეს. 1902 წლის 12 დეკემბერს თბილისის III ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. ამავე წლის აღდგომას სკუფიით დააჯილდოვეს, ხოლო 1910 წლის 6 მაისს — კამილავკით. 1914 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1916 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენი გადასცეს, 1922 წელს კი დეკანოზის წოდება მიანიჭეს.

1921 წლის 25 თებერვლიდან, საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამღვდელოების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ბევრმა მოძღვარმა ვერ გაუძლო ტანჯვა-წამებას, დევნა-შევიწროებას, რეპრესიებსა და ცილისწამებებს. მამა ალექსიც მრავალჯერ დადგა განსაცდელის წინაშე. თავისი ოლქის მდგომარეობის შესახებ იგი 1923 წლის 1 აპრილს ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციციშვილი) წერს: **„ამა წლის 25 მარტს III ოლქში ნინოწმიდის, თოხლიაურის, გიორგიწმიდის და საგარეჯოს ეკლესიები დაკეტეს. 26 მარტს საგარეჯოს აღმასკომის განკარგულებით ეკლესიები გაძარცვეს, კანკელები დაამხეს, ხატები დაამტვრიეს, შესამოსლები თეატრში წაიღეს და მღვდელმოქმედება აგვიკრძალეს. ესეთი ძალმომრეობა, შელახვა სარწმუნოებისა და სვინდისისა არც გაგონილა და არც თქმულა საქართველოში. 1 აპრილს საგარეჯოს დიდ მიტინგზე ხალხმა, ერთი მხრივ, მოითხოვა: „ეკლესიები გაგვიღეთ და ჩვენს სარწმუნოებას ნუ შეეხებითო“. ამის შემდეგ პასუხი მისცეს: „თქვენმა საბჭომ, სადაც თქვენი წარმომადგენლები იყვნენ თქვენი სურვილით გადაწყვიტესო“. სოფლიდან სამი-ორი საბჭოს ურწმუნო წევრი არ შეადგენს მთელ სამრევლოს და იმათი გადაწყვეტილება სარწმუნოებრივ დარგში არავითარ კომპეტენციას არ წარმოადგენს. გთხოვთ, თქვენო მეუფებავ, პროტესტი შეიტანოთ უმაღლეს საბჭოს მთავრობაში, რომ ეკლესიები ეკუთვნის მორწმუნე ხალხს და არა ურწმუნოებს, რომ გამოძიება მოხდეს, მართლა ხალხს სურს დაკეტვა ეკლესიებისა, თუ რამდენიმე ურწმუნო პირს“.**

მამა ალექსის და — სოფიო გულისაშვილი, გათხოვილი იყო სოფელ პატარძეულში, მღვდელ ნიკოლოზ ლეონიძეზე. მათი შვილი ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე — გიორგი (გოგლა) ლეონიძე, მამა ალექსის დისშვილი გახლდათ. გულისაშვილების საოჯახო არქივში შემორჩენილია რამდენიმე წერილი, სადაც გიორგი ბიძას სთხოვს, თბილისის საისტორიო და საეთნოგრა-

მღვდელი ნიკოლოზ გულისაშვილი ოჯახის წევრებთან ერთად. მარჯვნივ ზის მამა ალექსი. ფოტო გადაღებულია XIX საუკუნის 80-იან წლებში

ფიო მუზეუმს გამოუგზავნოს ნინოწმინდის ეკლესიაში დარჩენილი ისტორიული ღირებულების საეკლესიო ნივთები და სიგელ-გუჯარები, რათა ისინი განადგურებას გადაურჩეს. მოგვაქვს ამონარიდი ამ წერილიდან: **„ძია, გარდა ამისა, მომწერე, სად იმყოფება ეხლა ნინოწმინდის სიძველენი: ა) დაფარნები ირაკლი II-ის დედის — თამარის შეწირული; ბ) ძველი ხატი — არჩილ მეფის შეწირული; გ) საბა მიტროპოლიტის ნაქონი ხატი.**

საქმე იმაშია, რომ ეს ნივთები არ აღმოჩნდა თბილისში ჩამოტანილ სიძველეებში. ერემიამ კი წინათ მითხრა, რევკომიდან ქალაქში გავგზავნეთო. მაცნობეთ, რომ მივიღო ღონისძიება მათი ან ეკლესიისთვის დაბრუნებისა და ან კიდევ სიძველეთა საცავისათვის. დღეს ხდება ცენტრალიზაცია სიძველეებისა. ჩამოტანილია ყველაფერი დავით გარეჯიდან, შიომღვიმიდან და სხვა ადგილებიდან. აგებულია ფოლადის სახლი საგანგებოდ და ყველაფერი იქ ინახება. აგრეთვე თქვენსა და ნინოწმინდაში, ეკლესიაში თუ ოჯახებში ხომ არ გეგულებათ ძველი ნივთები, ხელნაწერები, სიგელები? გადავწერთ მაინც ტექსტებს...“

1935 წლის 12 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

დეკანოზი ალექსი ოჯახთან ერთად. 1933 წელი

კალისტრატემ (ცინცაძე) დეკანოზი ალექსი ეკლესიაში 50 წლის ერთგული სამსახურისათვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა, აი, რა წერია ამ სიგელში: **„სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სინოდმა მოისმინა მოხსენება მღვდლობის ხარისხში შენი ორმოცდაათი წლის კეთილ-ნაყოფიერი სამსახურისათვის და მოგვანდო ჩვენ გადმოგვეცა შენთვის ლოცვა-კურთხევა. გულმოდგინედ ვეუდრებით ზეციერ მამას, მშობლიური ეკლესიის ერთგულის და ხანგრძლივი სამსახურისათვის დაგიცვას შენ ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა და მოგანიჭოს დღეთა სიგრძე, სიხარული, მშვიდობა, სიტკბოება და მყუდროება“.**

შემდგომ წლებშიც ძველებური შემართებით განაგრძობდა მხცოვანი დეკანოზი ეკლესიაში სამსახურს. ვინ მოთვლის, რამდენი ანუგეშა, რამდენი მონათლა ან გააპატიოსნა უფალს მინდობილმა მოხუცმა მოძღვარმა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხშირად ავადმყოფობდა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მან კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს საჩუქრად გაუგზავნა ოჯახში შემორჩენილი ძველებური ხატი და სთხოვა, სიონის საპატრიარქო ტაძრისათვის შეეწირა. 1949 წლის 10 სექტემბერს უწმინდესი კალისტრატე ამის თაობაზე აცნობებს: **„მაღალღირსო მამა, დეკანოზო ალექსი! მოგიძღვნი რა ლოცვა-კურთხევას და გულითად მადლობას, გაცნობებ, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ხატი დასვენებულია სიონში, სამკვეთლოში, შესასვლელი კარების მარჯვნივ. მარად თქვენთვის მლოცველი, კ. პ. კალისტრატე“.**

დეკანოზი ალექსი 1951 წლის 21 იანვარს, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. იგი 25 იანვარს დიდი პატივით მიაბარეს ნინოწმინდის საკათედრო ტაძრის ეზოს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაეალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ეკატერინა ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ლარიზმის ზენოლას", — წერია რუმინეთის პატრიარქ დანიელის განცხადებაში, რომელიც პატრიარქსა და აღმოსავლეთის ეკლესიის საქმეთა კონგრეგაციის პრეფექტს, კარდინალ ლეონარდ სანდირის შორის ბუქარესტში გამართული შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნდა.

„ქრისტიანთა შორის თანამშრომლობა — არა ახირება, არამედ ყველა მისიონერის მორალური ვალია", — ბრძანა პატრიარქმა და კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, განაახლოს დიალოგი რუმინეთის კათოლიკურ ეკლესიასთან, რათა „იპოვონ უთანხმოების აუცილებელი პრაქტიკული გადაწყვეტილება, რომელიც საეკლესიო ქონებას ეხება".

აღნიშნული პრობლემა წამოიჭრა რელიგიური ორგანიზაციებისათვის შენობების დაბრუნების დროს. 1948 წლამდე, სანამ ეს შენობები, კომუნისტური ხელისუფლების ბრძანებით, მართლმადიდებლების ხელში გადავიდოდა, კათოლიკეებს ეკუთვნოდათ.

2005 წელს რუმინეთის პატრიარქმა შეაჩერა ურთიერთობა რუმინეთის კათოლიკურ ეკლესიასთან, შეწყვიტა დიალოგი და ერთობლივ კომისიაში მუშაობა მას შემდეგ, რაც რუმინეთის უნიატმა ქონების დასაბრუნებლად რიგ ღონისძიებებს მიმართა.

ამჯერად პატრიარქმა დანიელმა ბრძანა, რომ ურთიერთობის აღსადგენად ეს საკითხი სინოდის სამომავლო სხდომის დღისწესრიგში შევა. სავარაუდოდ, სხდომა ივლისის დასაწყისში გაიმართება. პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ თუ რუმინეთის სინოდი დათანხმდება, შესაძლოა რომის პაპი ბენედიქტე XVI ქვეყანაში მოიწვიონ.

აღმოაჩინეს რაფაელის უცნობი ნამუშევარი

იტალიის ქალაქ მოდენში რაფაელის ნახატი აღმოაჩინეს. დიდხანს ითვლებოდა, რომ სურათი შეიქმნა XIX საუკუნეში რაფაელის „წმინდა ოჯახის" საფუძველზე, რომელსაც სხვაგვარად „მარგალიტი" ჰქვია. თუმცაღა, მეცნიერებმა თანამედროვე მეთოდების წყალობით შეძლეს დაედგინათ, რომ ნახატის ავტორი რაფაელია.

ტილოზე გამოსახულია ქალის თავი. მისი მოცულობა 30X40 სანტიმეტრზეა. როგორც ჩანს, ნამუშევარი რაფაელის ერთ-ერთი პირველი ეტიუდი იყო „წმინდა ოჯახის" შექმნისას ან გაცილებით მოზრდილი გამოსახულების შემორჩენილი ნაწილია, ცნობილი ნახატის პირველი ვარიანტი.

„წმინდა ოჯახის" ხატვა რაფაელმა დაიწყო, მაგრამ 1520 წელს გარდაიცვალა და ტილო რაფაელის ერთერთმა ნიჭიერმა მოსწავლემ, ჯულიო რომანომ დაასრულა. სურათი შეიძინა კარდინალმა იპოლიტო დ'ესტემ, მოგვიანებით მან ნახატის ნაწილი გაყიდა და ამჟამად იგი მადრიდის მუზეუმში ინახება. კარდინალმა მხოლოდ ფრაგმენტი დაიტოვა, რომელიც თავად რაფაელის შექმნილი იყო. მის ჩანაწერებში ეს ფრაგმენტი დაახლოებით 4 საუკუნის შემდეგ აღმოაჩინეს.

მეცნიერების თქმით, შესაძლოა ნახატს რესტავრაცია ჩაუტარდა XVII ან XIX საუკუნეებში და მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებმა მისცა მათ იმის საშუალება, რომ მლებავთა დაუდევარი ნამუშევრის ქვეშ რაფაელის ხელწერა ამოეკითხათ. ამჟამად რაფაელის ნახატის ფრაგმენტი 30 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ტურინის სუდარას ბოტანიკური ანალიზი ჩაუტარდა

12 მაისს ვატიკანის ოფიციალურ გამოცემა „სერვატორე ღომანო"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში შეჯამდა კვლევის შედეგები, რომელიც ისრაელის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. დანინმა ტურინის სუდარაზე აღმოჩენილ ბოტანიკურ ობიექტებზე დაყრდნობით ჩაატარა. „ასობით ყვავილიდან დანინმა ყურადღება გაამახვილა მათზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად სასარგებლოა, როგორც გეოგრაფიული ინდიკატორები, ასევე მათზე, რომლებიც ყვავილობის სპეციფიკური დროით ხასიათდება", — აღნიშნულია სტატიაში. მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი, სადაც სამი ინდიკატორი მცენარე იზრდებოდა და ერთდროულად მოხვდა სუდარაზე, მოიცავს იერუსალიმსა და ქებრონს შორის ტერიტორიას. რაც შეეხება მათი ყვავილობის დროს, დანინი ასკვნის, რომ მარტი-აპრილი სწორედ ის პერიოდია, როცა სუდარაზე აღმოჩენილი დაახლოებით 10 მცენარე ყვავილობას იწყებს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

შოტომატიანე

დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი
1940-1992

დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი 1940 წლის 2 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ სასირეთში დაიბადა. როგორც თავად მოძღვარი ჰყვდებოდა, ლაფერაშვილების გვარში მრავალი სასულიერო პირი აღზრდილა. მისი დიდი ბაბუები — სოლომონი და ფილიმონი — სასულიერო პირები იყვნენ და გორის ეპარქიაში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე მსახურობდნენ. მათი ოჯახის ნათესავი გახლდათ ასევე მღვდელი თეოფილაქტე ლაფერაშვილი, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სიძე, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისი მშობლებიც — გიორგი ლაფერაშვილი და თამარ გელიტაშვილი — მორწმუნე ადამიანები იყვნენ. გიორგი ხელობით კალატოზი ყოფილა. XX საუკუნის 10-იან წლებში მას მონაწილეობა მიუღია სოფელ სასირეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, რომელიც ამავე სოფლის მკვიდრის, ცნობილი ქართველი გენერლის, გი-

ორგი მაზნიაშვილის დაფინანსებითა და ხელშეწყობით აშენდა. გიორგიმ და თამარმა ექვსი ვაჟკაცი აღუზარდეს სამშობლოს, რომელთა შორის მამა არჩილი ყველაზე უმცროსი, ნაბოლარა ყოფილა.

1957 წელს არჩილმა დაამთავრა სოფელ სასირეთის საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იგი ოთხი წლის განმავლობაში შავი ზღვის საზღვაო ფლოტში რიგით მეზღვაურად მსახურობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა; იქორწინა გვერდითა სოფელ ყარაღაჯში მცხოვრებ ცისანა ბერიაშვილზე, რომელთანაც ორი ვაჟი — ზაზა და ზურაბი ეყოლა (ქალბატონი ცისანა დეკანოზ ნოდარ ბერიაშვილის და გახლავთ. მამა ნოდარი სამთავისისა და გორის ეპარქიის მღვდელმსახურია, სოფელ მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი). ეკონომიკური განათლების მიღების შემდეგ არჩილმა მუშაობა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ადმინისტრატორად დაიწყო. შემდგომ წლებში იგი ავჭალის ლითონგადასამუშავებელ ქარხანაში ეკონომისტად მუშაობდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში არჩილმა პერიოდულად დაიწყო ეკლესიაში სიარული. იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სოკრატეს (ჭულუხაძე), რომლის ლოცვა-კურთხევითაც მან მცხეთის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. სემინარიის დასრულების შემდეგ, 1978 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არჩილი დიაკვნად აკურთხა. 1979 წელს კი მღვდლად დაასხა ხელი და დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად განამწესა. 1980 წლის 1 ოქტომბერს თბილისის მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს

დეკანოზი არჩილი ფოკის მონასტრის ღია ტრაპეზთან

და ამავე წლის 14 ოქტომბერს ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. 1981 წლის 14 ივნისს დეკანოზის წოდება მიანიჭეს და საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების თავჯდომარედ დანიშნეს.

1984 წელს მამა არჩილის მოთავეობით დაიწყო მამა დავითის ტაძრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გამშვენება და გალამაზება. ამ საკითხთან დაკავშირებით 1986 წელს ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" წერდა: *„ორი წლის წინ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მთაწმინდაზე დაიწყო წმინდა დავით გარეჯელის ეკლესიის ძირეული აღდგენა-გამშვენიერება. ამ საშურ საქმეს სათავეში ჩაუდგა ამავე ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი. გაიწმინდა და აღდგა კედლის ფერწერა, რესტავრაცია გაუკეთდა ხატებს, მოწესრიგდა ტაძრის ინტერიერი. მოიხსნა ძველი და დაიდგა ახალი ქვის კანკელი, ჩაისვა ახალი ხატები, მარმარილოთი მოპირკეთდა ამბიონი და სამკვეთლო ადგილი. შეკეთდა გუმბათი, მთლიანად შეიცვალა, როგორც დიდი, ასევე პატარა ტაძრის ყველა სარკმელი. ისინი შეიმინა არმირებული მინით. შეიცვალა სამი მთავარი კარი. კარე-*

უწმინდესი და უნეტარესი ილია II აჯილდოებს დეკანოზ არჩილს

ბი დამზადებულია საუკეთესო ხის მასალისაგან, რომელსაც გადაეკრა სპილენძი და მოიჭედა. გაიყვანეს გათბობა. ტაძრის ეზოში, სადაც ქართველი ერის მარად სალოცავი შვილები განისვენებენ, კლდიდან მოჟონავს წყარო, რომელიც ზამთარ-ზაფხულზე ნალექების მიხედვით მატულობს. ბოლო დროს, წყაროს გამტარი მილი დაზიანებული იყო, რის გამოც წყალი კედლებში მოჟონავდა. გამოიღეს წყაროს თაღში არსებული კედელი, გამოცვალეს მილი.

სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ასევე ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დახმარებითა და თანადგომით.

პატრიარქის სტუმრობა მამა დავითის ტაძარში 1991 წელს.

დღეისათვის, ღვთის მადლითა და ძალით, ეკლესიას მიეცა მყუდრო სახე, რათა ტაძარსა შინა შემსვლელმა აღავლინოს წმიდა ლოცვა ჩვენი სამოციქულო ეკლესიისა, ერისა და ქვეყნისათვის. ამინ“.

1980-იან წლებში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის დეკანოზი არჩილი ენქერითა და გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.

განსაკუთრებული წვლილი და დამსახურება მიუძღვის მამა არჩილს ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან ღია ტრაპეზის მშენებლობის საქმეში.

სიცოცხლის უკანასკნელ წელს მამა არჩილი მძიმედ დაავადდა. ექიმებმა მას ფილტვზე კიბოს დიაგნოზი დაუდგინეს. 1992 წლის იანვრიდან მძიმე ავადმყოფობის გამო ტაძარში სიარულს იგი სისტემატურად ველარ ახერხებდა. რამდენიმე თვის შემდეგ, 1992 წლის 15 მაისს დეკანოზი არჩილი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ იგი აზიარა თავისმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა სოკრატემ. 18 მაისს სიონის საპატრიარქო ტაძარში დასვენებულ დეკანოზ არჩილს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, სამღვდელოების თანდასწრებით, წესი აუგო და პანაშვიდი გადაუხადა. ამავე დღეს იგი თავის მშობლიურ სოფელში გადაასვენეს და მეორე დღეს საგვარეულო სასაფლაოზე, მშობლების გვერდით დაკრძალეს.

ინფორმაციისა და ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა არჩილის შთამომავალს, მამა დავითის ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზ დავით რევაზიშვილს.

გამოვიდა ჟურნალ „ალილუიას“ ახალი ნომერი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 3608515555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე,
გაყრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ყველა მონასტრის წინამძღვართან. არქიმანდრიტმა მადლობა გადაუხადა მთელ საბერძნეთსა და სერბეთს ფინანსური დახმარებისათვის, რომელიც ამ ქვეყნებმა ქილანდარს 2004 წლის ხანძრის შემდეგ გაუწიეს და იმედი გამოთქვა, რომ ისინი კვლავაც შეუწყობენ ხელს მონასტრის სწრაფად აღდგენას.

ბოლოს ახალმა წინამძღვარმა საგანგებო მადლობა გადაუხადა ათონის მთაზე მოღვაწე ყველა იერარქსა თუ ბერს, რადგან მას ასეთი ნდობა გამოუცხადეს — არქიმანდრიტი მეთოდი ყველაზე ახალგაზრდა იღუმენია ათონის მონასტრების წინამძღვართა შორის.

საინტერესოა, რომ ცერემონიიდან რამდენიმე დღეში სერბეთის ხელისუფლებამ კვლავ გამოყო თანხა — 80 მილიონი დინარი (დაახლოებით 800 ათასი ევრო) ქილანდარის მონასტრის აღსადგენად. ამ პროექტის ფარგლებში თანხის ნაწილი დაიხარჯება მონასტრის საძმოს კორპუსის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც 1816-1821 წლებშია აგებული, ასევე გაგრძელდება 1635 წლის კანკელის რეკონსტრუქცია და მთავარ ტაძარში არსებული ფრესკების რესტავრაცია.

სერბეთის კულტურის მინისტრის თქმით, ქილანდარისთვის აუცილებელია უფრო ხშირად „იმყოფებოდეს“ სერბეთში, რათა საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს იგი, მაგალითად — მრავალი გამოფენის წყალობით, რომლებიც ასევე იქნება მისი რეკონსტრუქციის შედეგების წარმომაჩინებელი.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი

„მომაკვდავებს სიცოცხლეს უბრუნებ“

დეკანოზი ნიკოლოზ გიორგის ძე ოქრომჭედლიშვილი 1861 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები ოდითგან გარეკახეთის დიდი სოფლის, გიორგიწმინდის მკვიდრნი, სამეფო ყმები იყვნენ. მამაკაცებს საოჯახო პროფესია ჰქონდათ — ხატებს წერდნენ, ამიტომ მეზობლები მათ შთამომავლებს დღესაც მხატვრიაანთს ეძახიან. ნიკოლოზის პაპის მამა, გიორგი, მეფეების — თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის კარის ოქრომჭედელი იყო. მათ ოსტატობასა და ხელგარჯილობას მოწმობდა შინდის ხის კოხტად გამოჩარხულ ჯოხზე თეიმურაზისა და ერეკლეს ბეჭდებით დამოწმებული 27 სიგელ-გუჯარი, რომლებიც მამა ნიკოლოზის რეპრესირების შემდეგ ოჯახმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა.

დეკანოზი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი

პატარა ნიკოლოზს ადრეული ასაკიდანვე ჰქონია წიგნების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული. მშობლებმა განათლების მისაღებად თავდაპირველად იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც 1876-80 წლებში სწავლობდა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ კიევში, საერო განათლების მისაღებად გაემგზავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზმა იქორწინა ეკატერინე ფაღნოზიშვილზე, რომელმაც მოძღვარს 10 ქალ-ვაჟი გაუზარდა. შემდგომში მათი შვილები დედას ასე იხსენებდნენ: „დედა ნაკითხი, ენაწყლიანი ქალბატონი გახლდათ. ძალიან უხდებოდა ჩიხტიკოპი და ქართული კაბა-ჯუბა. თავისი დედისაგან ნასწავლი ასობით ზღაპარი ზეპირად იცოდა, დიდ დავთარში ჰქონდა ჩაწერილი და როცა ბავშვებმა წერა-კითხვა ვისწავლეთ, გვაკითხებდა ხოლმე“.

1886 წელს ნიკოლოზი პანკისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს. 1890 წლის 2 თებერვალს დიაკვნად აკურთხეს და სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურად დანიშნეს. 1892 წლის იანვარში თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში მედავითნედ შტატში დაადგინეს. 1897 წელს თელავის „ღვთაების“ სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 189[illegible] წლის 20 დეკემბერს თბილისში, დიდუბის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში უშტატო დიაკვნად განამწესეს. 1901 წლის 6 თებერვალს დიაკვნის შტატში დაამტკიცეს. დიდუბის ეკლესიაში მსახურების დროს დიაკონი ნიკოლოზი 1900 წლის სექტემბრიდან 1901 წლის დეკემბრამდე საეკლესიო გალობას ასწავლიდა ადგილობრივ ერთკლასიან სამრევლო სკოლაში.

1902 წლის 10 სექტემბერს ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს, ხოლო 1904 წლის 5 მარტს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შტატგარეშე მედავითნედ დაინიშნა. 1907 წლის 5 მაისს შტატის დიაკვნად დაამტკიცეს. ქაშვეთის ეკლესიაში მოღვაწეობის პერიოდში მამა ნიკოლოზი აქტიურ მონაწილეობდა ქაშვეთის ახალი ეკლესიის მშენებლობაში და ტაძრის მშენებლობის კომიტეტის წევრიც იყო.

1913 წლის 26 ოქტომბერს მღვდლად დაასხეს ხელი და გარეკახეთში, სოფელ გიორგიწმინდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1914 წლის 6 სექტემბერს საგვერდულით დააჯილდოვეს.

დეკანოზი ნიკოლოზი წინაპართაგან გადმოცემული ხალხური მედიცინის ბრწყინვალე მცოდნეც იყო. საოჯახო ფოტოზე, რომელიც ამ სტატიას ერთვის, მის ოჯახის წევრებთან ერთად, ასახულია ორი ფერეიდნელი ქართველი, რომლებიც მან უმძიმესი სნეულებისაგან განკურნა. მამა ნიკოლოზი სიცოცხლის ბოლო წლებში თბილისში, ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, დეკანოზის წოდებით მსახურობდა. ქაშვეთის ეკლესიაში მსახურების პერიოდს მისი მეუღლე ასე იხსენებდა: „ეკლესიის ეზოში ცხოვრობდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). როცა მას რაიმე საბუთი ჰქონდა შესადგენი, მოვიდოდა და ჩემს მღვდელს ეტყოდა: ბიჭო პაკავ, ერთი ქაღალდია შესადგენი, კალამი შენ უკეთ გიჭრის და მოდი, დაწერეო. ერთხელაც, რაღაც საქმეზე მისულიყო და საწერ მაგიდასთან ძველი ბიბლიის ჩასწორებაზე მომუშავე მამა ნიკოლოზს დასდგომია თავზე. უწმინდეს კალისტრატეს ყურადღება მიეპყრო უცნაურ სამელნეს, რომელშიც დროდადრო აწობდა კალამს მოძღვარი. სამელნე მისივე გაკეთებული იყო, ძალზე ორიგინალური მექანიზმი ჰქონდა; დაპატიმრებისას ისიც წაიღეს. შუშის სამელნეს ზევიდან ზამბარაზე წამოცმული რეზინის რგოლი ჰქონდა, როცა კალამს ჩააწობდა და რეზინს დააწვებოდა, ზამბარა ჩაიწევდა, მელანი მაღლა ამოვიდოდა და კალმის წვერს დაასველებდა. პატრიარქ კალისტრატეს გაჰკვირვებია და ეთქვა: „რას არ მოიგონებ, ნამდვილი ჯადო ხელი გაქვს. უბრალო სასმელი წყალი „უკვდავების წამლად“ აქციე, მომაკვდავებს სიცოცხლეს უბრუნებ, ახლა ეს ჯადოსნური მექანიზმი გამოგიგონიაო“. მას მერე მამა ნიკოლოზს „ჯადო მღვდელი“ შეარქვეს და სახელითა და გვარით აღარავინ იხსენიებდა“.

რაც შეეხება „უკვდავების წყალს“, მისი ისტორია ასეთია. მამა ნიკოლოზი კიევში სწავლის პერიოდში ეგზემითა და ფსორიაზით დაავადებულა. მთელ ტანზე მოსდებია მუწუკები, ფხანით კანს იტყავებდა; უზომოდ შეწუხებულს ვისთვის აღარ მიუმართავს, მაგრამ ვერავინ განკურნა. მერე, ბედად, სანკტ-პეტერბურგელი პროფესორის ს. სმირნოვის სქელტანიანი წიგნი — „ელექტროჰომეოპათია“ ჩავარდნია ხელთ. წაუკითხავს და გახარებია, რომ იმ დროში უკურნებელი ათაშანგის, ჭლექისა და სხვა მძიმე სნეულებებთან ერთად, კანის ყოველგვარ დაავადებათა მკურნალობაც იყო აღწერილი. სმირნოვისათვის უმალ ბარათი უფრენია: მიშველე, წამლები გამომიგზავნე, საფასურს სამმაგად აგინაზღაურებო. პროფესორმა წამლები არ გამოუგზავნა, თვითონ ჩამოვიდა, შინ ეახლა, უმკურნალა და განკურნა. საფასურიც კი არ გამოართვა, მხოლოდ სთხოვა: მკურნალობის ეს მეთოდი რთული არ არის, უკვე თავად გამოსცადე, უმტკივნეულო, ნაღდი და უებარია. შეისწავლე, ხალხს უმკურნალე და ჩემი „ჰონორარიც“ ეგ იქნებაო. თავად პროფესორს მკურნალობის ეს მეთოდი იტალიაში, ქ. ბოლონიაში, იქაურ ექიმ-ფარმაცევტ, გრაფ მატეისთან ჰქონდა შესწავლილი.

დეკანოზმა ნიკოლოზმა საფუძვლიანად შეისწავლა ელექტროჰომეოპათიური მკურნალობა. იტალიაში, გრაფ მატეისაც გაუგზავნა ფული და წერილი, აუხსნა, თუ რატომ იწამა მკურნალობის მისეული მეთოდი და სთხოვა, წამლები გამოეგზავნა. გახარებულ გრაფს, ჩემს მკურნალობის მეთოდს საქართველომდეც ჩაუღწევიაო, დიდი ხნის სამყოფი წამლები გამოეგზავნა, ფულიც უკან დაებრუნებინა — როცა პაციენტებს და შემოსავალს გაიჩენ, წელში გაიმართები, ხარჯები იქიდან ვიანგარიშოთო. ახალმოვლენილმა მკურნალმა ხალხის მისაზიდად მაშინდელ თბილისურ პრესაში სტატიებიც გამოაქვეყნა, წიგნიც დაწერა — „ელექტროჰომეოპათია“, რომლის

სოფელი გიორგიწმინდა

რამდენიმე ეგზემპლარი ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც ინახება.

XX ს-ის 30-იან წლებში მამა ნიკოლოზი თვითონ დადიოდა ხოლმე ავადმყოფებთან, უფასოდ კურნავდა. შედეგს ყველა ხედავდა, მაგრამ ჯადო მღვდლის „უკვდავების წყლის“ მაგიური ძალა მაინც ბოლომდე ვერავინ ირწმუნა. ალოპათია, თანამედროვე მკურნალობის მეთოდი, ხალხს ძვალ-რბილში საუკუნეების მანძილზე ჰქონდა გამჯდარი და იმ პერიოდში ექიმებიც უკვე მრავლად იყვნენ.

1930 წელს დეკანოზ ნიკოლოზს გრაფ მატეისათვის უკანასკნელად გაუგზავნია საჩუქრად საოჯახო ვერცხლის კოვზები და ოქროს პორტსიგარი. რამდენიმე ხნის შემდეგ „ჩეკაში“ დაიბარეს, უთხრეს, იტალიიდან რაღაც საწამლავებით სავსე ყუთი ჩამოგვიდა, ხალხი რომ არ დაწამლულიყო, ფეხსადგილში ჩავყარეთ, მეტი აღარაფერი გაგზავნო ბოლონიაში, თორემ დაგიჭერთო.

მართლაც, 1937 წელს დაიჭირეს, ოღონდ სულ სხვა მიზეზის გამო. როგორც მისი შვილიშვილი იხსენებს, ეს ამბავი ასე მომხდარა: „მამა ნიკოლოზი პირადად იცნობდა სტალინს. ჯერ კიდევ რევოლუციამდე სტალინი მოსახლეობასთან შესახვედრად ხშირად ჩადიოდა გიორგიწმიდაში, ღამეს კი მამა ნიკოლოზის სახლში ათევდა. პაპისეულ მარანში მუხის კოჭს ახლაც ამჩნევია ორი ნატყვიარი. ეს სოსოს ნასროლიაო, გვითხრა ერთხელ პაპამ. როცა სოფლად კოლექტივიზაცია დაიწყო, 30-იან წლებში, პაპამ ძველ ნაცნობს ბარათი გაუგზავნა, მისი აზრით, უწყინარი და მეგობრული: „სოსო! გლეხებს კოლმეურნეობა არ მოსწონთ და ძალას ნუ დაატანთო“.

ეს გამოხმაურება „მეგობრებმა“ შესანიშნავად დაუ-

ფასეს, ხელი სტაცეს და იმ პაპანაქება ზაფხულში ბამბის საკრეფად ალაზანზე უკრეს თავი. მეორე ზაფხულსაც მიაკითხეს 73 წლის მოხუცებულ მოძღვარს და კვლავ სამუშაოდ უკრეს თავი კოლმეურნეობაში. იქიდან დაბრუნებული მოხუცი ტიროდა — კომკავშირლები წვერებს მაგლეჯდნენ, დამცინოდნენ და მაწამებდნენ, თუ ღმერთი არსებობს, რატომ არ გშველის, ჩვენს ხელში რათ ჩაგაგდოო. ისღა მოახერხა, ლავრენტი ბერიას მისწერა: „ბატონო ლავრენტი! როცა შენ გიჭირდა, სტუდენტობისას, მე გიშველე, გიმკურნალე და მოგარჩინე. ახლა მე მიჭირს და გადამარჩინე — კომკავშირლები ჩამომხსენი, ლამის სული ამომხადონო“. თურმე, ბერიას ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას ათაშანგი შეჰყროდა და პაპაჩემს მოერჩინა. ამდენი წლის შემდეგ იმ უბრალო ბარათმა ჯალათს თავისი ჭაბუკობისდროინდელი ცოდვები გაახსენა და „მოწმე ისევ ცოცხალი ყოფილაო“, სტაცა ხელი და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის ბრალდებით გადასახლებაში უკრეს თავი. დაპატიმრების დროს მთელი სახლი გაჩხრიკეს. ერთი სატვირთო მანქანა გაავსეს უძვირფასესი წიგნებით, ტყავის ყდებში აკინძული ჟურნალ-გაზეთების წლიური შეკვრებით, საეკლესიო ინვენტარით, ხატებით, ხელს საოჯახო ვერცხლეულით, პაპაჩემის ოქროს ჯიბის საათი და ძეწკვიც გააყოლეს.

დიაკონი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი ოჯახთან და ფერეიდნელ ქართველებთან ერთად XX ს-ის 10-იანი წლები.
ცენტრში: მამა ნიკოლოზი და მისი მეუღლე ეკატერინე ფანოზიშვილი.
მარჯვენა და მარცხენა განაპირა მხარეს სხედან ფერეიდნელი ქართველები: ხუციშვილი და ონიკაშვილი.
მამა ნიკოლოზის შვილები: უკანა რიგში, მარცხნიდან: ერეკლე, თამარი, ნინო. **წინა რიგში:** მარიამი, გიორგი, ქეთევანი.

დეკანოზი ნიკოლოზი გადასახლებიდან სამშობლოში ველარ დაბრუნდა. დარდისა და ავადმყოფობისაგან დასნეულდა და იქვე გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის მისი გარდაცვალების წელი და საფლავის ადგილმდებარეობა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს წამებული დეკანოზ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილის სული და ილოცოს ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

სტატიაში გამოყენებულია მამა ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილის შვილიშვილის, ბატონ დიმიტრი გულისაშვილის ნარკვევი — „მხატვრიაანთ ჯადომღვდელი“.

ჟურნალ „ალილუიას“ შემდეგი ნომერი გამოვა აგვისტოში

გარეკანზე — წმინდა გიორგის ხატი. ხატმწერი — გიორგი ეგნატაშვილი.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გვრიცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე) 1910-1992

დაბადებიდან 100 წლისთავი

მიტროპოლიტი გრიგოლი, ერისკაცობაში გიორგი ალექსანდრეს ძე ცერცვაძე, 1910 წლის 18 მაისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში (ყოფილი ურიათუბანი), ალექსანდრე და სოფიო ცერცვაძეების კეთილმორწმუნე ოჯახში დაიბადა.

მეუფე გრიგოლის ამქვეყნად მოვლინებამდე მის მშობლებს ოთხი ბავშვი გარდაცვლილათ. ამით დამწუხრებულ დედას ღვთისთვის აღუთქვამს, რომ თუ ახალშობილი ჯანმრთელი იქნებოდა, მას უფლის მსახურად აღზრდიდა. ასეც მოხდა, დაიბადა ვაჟი, რომელსაც სახელი წმინდა გიორგის პატივსაცემად უწოდეს. ახლადშობილი ამავე წლის 24 ივნისს ურიათუბნის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა სევერიან გუგუტიშვილმა მონათლა. პატარა გიორგის სიყრმიდანვე კეთილგონიერებითა და ღვთისადმი სარწმუნოებით ზრდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმებრძოლთა დროში გაატარა სიყმაწვილე, ეკლესიისა და ლოცვის სიყვარული თანატოლთაგან მას ყოველთვის გამოარჩევდა. ერთხელ, როდესაც კომკავშირლებმა სოფლის ეკლესია დაარბიეს და წმინდა წიგნები ცეცხლში ჩაყარეს, იქვე დამალულ პატარა გიორგის გადარჩენილი წიგნები თან წამოუღია და დაუმალავს.

სწავლა-განათლება ვაზისუბნის ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო. გიორგი ბავშობიდან მშობლების დამხმარე და უსიტყვო მორჩილი იყო. სკოლაში სწავლის გარდა, დროს ძირითადად ნახირში ატარებდა, კამეჩებისა და ძროხების მწყემსად. მძიმე, ყოველდღიურ შრომაში განვლო ბავშვობის წლებმა და როდესაც 18 წელი შეუსრულდა, დედამ ღვთისადმი აღთქმული პირობა გაუმხილა. გადაწყვიტეს, ჭაბუკი აწყურის „თეთრი გიორგის“ სახელობის ეკლესიაში, ერთი წლით მორჩილად მიებარებინათ. 1928 წელი იდგა, უმძიმესი პერიოდი ჩვენი დედაეკლესიის ისტორიაში. ხელისუფლება გამალებით ცდილობდა ღვთისმსახურთა შევიწროებასა და დამცირებას. ყოველივე ამის ფონზე, საკვირველია ახალგაზრდა გიორგის სიმხნევე, ღვთისადმი სასოება და მშობლების სიყვარული, როცა მან თანატოლთაგან მოკვეთისა და დაცინვის ფასად, დევნილ ბერებთან მსახურება აირჩია. იმ დროს წმინდა გიორგის მონასტერში მოღვაწეობდნენ გამოცდილი და მრავალჭირნახული ბერები: იღუმენი მელქისედეკი (ცელაძე) და მღვდელ-მონაზონი კირილე (ცინცაძე). ჭაბუკი გიორგი მართლაც ღვთის ნუგეშად მოევლინა ყოველმხრივ შევიწროებულ მოღვაწეებს. მთელი მონასტრის მეურნეობა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება მისი საზრუნავი გახდა. „თეთრი გიორგის“ ბერები ძველი სამონაზვნო ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ და ღვთისმსახურების წეს-განგებასაც შესაბამისად აღასრულებდნენ. მათი ზედამხედველობის ქვეშ გიორგიმ მალევე შეისწავლა ტიპიკონი, წიგნის მკითხველობა და გალობა. ძველი ბერების მსგავსად, უამრავი ლოცვა ზეპირად იცოდა.

მორჩილებაში გაიარა აღთქმულმა წელიწადმა, მაგრამ გიორგის ისე შეუყვარდა სათნო ბერები და მონასტრული გარემო, რომ ეძნელებოდა მშფოთვარე ერში დაბრუნება. მონასტერში კიდევ რამდენიმე წელი დარჩა, სანამ ჯარში სამსახურმა არ მოუწია.

1933 წელს სამხედრო სამსახურისათვის თბილისში გაამწესეს. მან ორი წელი იმსახურა ცხენების მომვლელად. თურმე ლოცვის დრო რომ მოვიდოდა, თავისთვის დადგებოდა და ჩუმად ბუტბუტებდა, ამისი თავის სხვა ჯარისკაცებს ჭკუასუსტი ეგონათ. ორი წლის შემდეგ ჯარგამოვლილი გიორგი ისევ მონასტერს დაუბრუნდა.

1936 წელს „თეთრი გიორგის“ ტაძარში მედავითნედ დაადგინეს. XX საუკუნის 30-იან წლებში უმძიმესი სულიერი ვითარება შეიქმნა სრულიად საქართველოში და, მათ შორის, კახეთში. უღმერთო კომუნისტების ძალდატანებით ხალხი თანდათან შორდებოდა ეკლესიას, ახალი თაობაც უგულო ათეისტებად იზრდებოდა. აღდგომის დღეებში ტაძარში მთვრალები შედიოდნენ, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეებს, დასცინოდნენ სასულიერო პირებს, საწიგნობელიდან საღვთისმეტყველო წიგნებს იტაცებდნენ, ხევდნენ, აბურთავებდნენ. ალავერდის დღესასწაული სამდღიან ღრეობად იყო ქცეული. წმინდა ადგილისათვის შეუფერებელი აყალმაყალის დაშოშმინება-დაწყნარებაც მორჩილ გიორგის უწევდა.

განვლო კიდევ რამდენიმე წელმა. რადგან გიორგის ბერობა გადაწყვეტილი არ ჰქონდა, მშობლების თხოვნითა და ბერების ლოცვა-კურთხევით, დაოჯახება გადაწყვიტა, რათა თეთრი სამღვდელოების ხარისხში გაეგრძელებინა ღვთისმსახურება. ჯვარი დაიწერა მორწმუნე ასულ მარიამ მღებრიშვილზე, რო-

მელთანაც 1946 წელს ვაჟიშვილი ალექსი შეეძინა.

1945 წლის 7 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით გიორგი ცერცვაძე ოფიციალურად დაინიშნა შტატის მედავითნედ ახმეტის რაიონის სოფელ ხოდაშენისა და აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიებში. 1946 წლის 27 იანვარს წიგნისმკითხველი გიორგი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ იპოდიაკვნად დაადგინა. 1947 წლის 1 მარტს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ სიონის ტაძარში დიაკვნად აკურთხა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 8 მარტს წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში მღვდლად დაასხა ხელი და აწყურის „თეთრი გიორგის" სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად განამწესა. დაიწყო მამა გიორგისათვის ახალი, არანაკლებ მძიმე პერიოდი — დაბეჩავებული მრევლის გამხნევება და მათი შერყეული რწმენის განმტკიცება, ეკლესიის შენობის მოსავლელად სახსრების გამონახვა, ათასობით მოუნათლავი ადამიანის მონათლა. იმ დროს განსაკუთრებით მძიმე იყო მოძღვრის ისედაც მძიმე ჯვარი.

1951 წლის 30 მარტს ალავერდელმა და ბოდბელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა და დაავალა ახლომდებარე სოფლებში, ყვარელში, ჭიკაანსა და გავაზში სამღვდელო წესების შესრულება. 1952 წლის 27 ივლისს კვლავ აწყურის სამრევლოში დააბრუნეს. 1954 წლის 30 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) თელავის „ღვთაების" სახელობის ეკლესიაში მეორე მღვდლად გადაიყვანა. 1955 წელს მამა გიორგის ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის კამილავკა უბოძეს, ხოლო 1957 წლის 31 მაისს, სულთმოფენეობის დღესასწაულზე, სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. 1960 წლის 19 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1969 წლის 19 აგვისტოს ალავერდელმა ეპისკოპოსმა რომანოზმა (პეტრიაშვილი) ენქერით დააჯილდოვა. 1973 წლის ივნისში, ყოველთა წმიდათა კვირიაკეში, უწმინდესმა და უნეტარესმა დავით V-მ (დევდარიანი) მიტრა უბოძა. ათეული წლების უანგარო მსახურებამ მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მოსახლეობაში. „გიორგი მღვდელი" — ასე იცნობდნენ თელაველები და იმ დროისათვის ხალხის ეკლესიისადმი ჩვეული, აგდებული დამოკიდებულების მიუხედავად, მისთვის ზედმეტი არასოდეს შეუბედავთ. ვინ იცის, რამდენი ადამიანი უნუგეშებია, რამდენი ადამიანი უზიარებია, რამდენი სული შეუმოსავს ქრისტეს ნათლისღებით.

1976 წლის მაისის დასაწყისში, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ალავერდელ ეპისკოპოსად გამოირჩია. ამავე წლის 22 მაისს, დავით გარეჯის მონასტერში, წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა (კერატიშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად გრიგოლი უწოდა. მეორე დღეს, 23 მაისს, კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ, წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით, ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

უმძიმეს პერიოდსა და დროში მოუწია მეუფე გრიგოლს მღვდელმთავრობა. მიახლოებითი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ ალავერდის ეპარქიაში, მოვიყვანთ თელავის რაიალმასკომის თავმჯდომარის წერილს. ადრესატია სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული, ამხანაგი თ. დ. ონოფრიშვილი: ***„თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭო-აღმასკომთან არსებულ რელიგიურ კულტთა დარგში კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობმა კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია 1978 წლის განმავლობაში.***

კომისია თავის საქმიანობაში მთავარ ყურადღებას უთმობდა რაიონის რელიგიურ ქსელში მიმდინარე ყველა პროცესსა და მოვლენას, კულტის მსახურთა და აღმასრულებელ ორგანოს წევრთა პირადი დოკუმენტების მონესრიგებას, კულტის მსახურთა და მორწმუნეთა შორის საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე ახსნა-განმარტებათა მუშაობის მოწყობას, მოხეტიალე კულტის მსახურთა საქმიანობის აღკვეთას. კომი-

სიის სხდომაზე განხილულია „ღვთაების“ ეკლესიაში რიტუალებზე არასრულწლოვანთა დასწრების მდგომარეობის, აგრეთვე სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

რაიონის თითქმის ყველა სოფელში დაწესებული იყო რელიგიური დღესასწაული, მაგრამ ადგილობრივი საბჭოების ინიციატივით, მშრომელთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერებით, ბევრგან ნებაყოფილობით უარყვეს აღნიშნული დღესასწაული და დაწესდა ახალი თანამედროვეობის შესატყვისი დღესასწაულები, სახელდობრ: იყალთოში — „შოთაობა“, ლაფანყურში — „ვაჟაობა“, სანიორეში — „9 მაისობა“, შალაურსა და ფშაველში — „2 მაისობა“. კიდევ ერთ ახალ დღესასწაულს ჩაეყარა საფუძველი წელს სოკელ ართანაში, გიორგობის ნაცვლად ნოემბერში, დეკემბრის პირველ კვირას იზეიმებენ მოსავლის აღების დღესასწაულს. არც ერთ სოფელში აღარ ტარდება არავითარი რელიგიური დღესასწაული, გარდა თელავის „ღვთაების“ ეკლესიისა. სოფლებში არსებული ეკლესიების ეზოებში მიმდინარეობს მასობრივი გართობები, ოჯახების ერთ ნაწილში კი იმართება ნათესავების წვეულება. ძველებურ დღესასწაულებს მისდევენ მხოლოდ ხანშიშესული ადამიანები.

მიუხედავად აღნიშნულისა, კომისიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად დღესასწაულის ჩატარება, თუნდაც მხოლოდ გართობის თვალსაზრისით, რადგან მას მაინც რელიგიური სახელწოდება აქვს და ყველაფერი მის პატივსაცემად მოწყობილი გამოდის, იგი უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდობის აღზრდაზეც. ამასთან, რელიგიური დღესასწაულების უმეტესობა ემთხვევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდს და იგი იწვევს დიდძალი მუშახელის გაცდენას. ამიტომ ყველა სოფელში საჭიროა შემოიღონ ახალი დღესასწაული.

თელავის ფერისცვალების „ღვთაების“ ეკლესიაში შაბათ-კვირას იმართება წირვა-ლოცვა, სწარმოებს ბავშვების მონათვლა. იმ მიზნით, რომ შეგვესწავლა მასში მოსახლეობის რა ნაწილი იღებდა მონაწილეობას, ყოველ შაბათს დაწესებული გვაქვს კომისიის წევრთა მორიგეობა. როგორც შესწავლით გამოირკვა, თელავის „ღვთაების“ ეკლესიაში მოსულები ძირითადად ასრულებენ მიცვალებულების სახსენებელ რიტუალებს და ისმენენ ამ დღეების აღსანიშნავ ლოცვებს. კომისია ყოველწლიურად სწავლობს რაიონში საკულტო საქონლით ვაჭრობის მდგომარეობას, შეიმჩნეოდა, რომ გარდა ფერისცვალების ეკლესიისა, რომელიც რეგისტრირებულია, საკულტო საქონლით ვაჭრობას ადგილი არ ჰქონია. თელავის საკოლმეურნეო ბაზრის მიდამოებშიც, კერძოდ, იყიდებოდა სანთლები, რომლებიც აღკვეთილ იქნა ჩვენი ჩარევით. ორი მათგანის შესახებ კი საქმე განიხილა ადმინისტრაციულმა კომისიამ. კომისიამ შეამოწმა კულტის მსახურთა დოკუმენტაცია და იგი წესრიგშია კანონმდებლობის შესაბამისად. კულტის მსახურთა და მორწმუნეთა მიერ დარღვევას არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი.

თელავის რ-ნის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის რელიგიური კულტურის კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიის თავჯდომარე ვ. მამულაშვილი“.

მიუხედავად არსებული მძიმე მდგომარეობისა, მეუფე გრიგოლმა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია, გამოცდილება და სულიერება გამოიყენა, რათა ალავერდის ეპარქიაში გამოცოცხლებულიყო და მწყობრში ჩამდგარიყო საეკლესიო ცხოვრება. ამას დაერთო ისიც, რომ 1977 წლის 25 დეკემბერს, ქართული ეკლესიის ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი ამბავი: საპატრიარქო ტახტზე აბრძანდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). საყურადღებოა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში გამართულ ინტრონიზაციაზე სწორედ ალავერდელმა მიტროპოლიტმა გრიგოლმა გადასცა საზეიმოდ საპატრიარქო მიტრა უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

1978 წლის 4 იანვარს, ეკლესიაში ხანგრძლივი და ერთგული სამსახურის გამო, ეპისკოპოსი გრიგოლი მიტროპოლიტის წოდებით დააჯილდოვეს. თავისი აღსაყდრების პირველსავე წელს, 1978 წლის 27 სექტემბერს, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა ალავერდის საკათედრო ტაძარში, რის შემდეგაც ეს ყოველწლიური ტრადიცია გახდა.

1992 წლის 2 თებერვალს მიტროპოლიტი გრიგოლი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. 6 თებერვალს ალავერდის ტაძარმა მეუფე გრიგოლის ცხედარი მიიბარა.

ალავერდის ტაძარში განსვენებულის სახელზე სამეუფე პანაშვიდები შეასრულა ბათუმ-შემოქმედელმა და მანგლელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ (მელიქიძე). დაკრძალვას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ბოდბელი მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი), აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი), არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი), არქიმანდრიტი დანიელი (დათუაშვილი), არქიმანდრიტი იობი (აქიაშვილი), იღუმენი ანდრია (კბილაშვილი), ბოდბისა და ალავერდის ეპარქიების სამღვდელოება.

გამოსათხოვარ სიტყვაში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა: **„საქართველოს ეკლესია დღეს უკანასკნელ გზაზე აცილებს მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ გრიგოლს. თითქმის მთელი საუკუნე იცოცხლა ამ დიდებულმა**

მღვდელმთავარმა და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ერის კეთილდღეობასა და მის სულიერ აღორძინებას მოახმარა.

მინდა მოგახსენოთ, რომ მეუფე გრიგოლი ეკლესიის სამსახურს მაშინ შეუდგა, როცა სამღვდელოებას ციხეში სვამდნენ. მან მოღვაწეობა მონასტერში დაიწყო და იქიდან მოკიდებული სიკეთისა და ბოროტების მუდმივ ბრძოლაში ყოველთვის მტკიცედ იდგა სიკეთის მხარეს.

მრავალი განსაცდელის მიუხედავად, კახეთმა რწმენა და ქართული სული შეინარჩუნა, მაგრამ ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ეკლესიურობა დაიკარგა. ჩვენს ხალხს დაავიწყდა, რომ მხოლოდ შრომა როდია საკმარისი. უფალმა ბრძანა: ექვს დღეს იშრომე, საქმეს იქმოდე, ხოლო მეშვიდე დღე ჩემი არისო. ჩვენ, სამწუხაროდ, დავივიწყეთ ეს დღე; დღეს ქართველი კაცი ისე მიეჯაჭვა საქმეს, რომ ხშირად საეკლესიო დღესასწაულებიც კი არ ახსოვს, წმიდა მამები კი გვასწავლიან, რომ ვისაც შრომა უფლის სადიდებელს ავიწყებს, მასთან ბარაქა და მადლი არ იქნება.

ჟურნალ „ალილუიას“ შემდეგი ნომერი გამოვა აგვისტოში

დღეს ჩვენ მიტროპოლიტს ვასაფლავებთ და, სამწუხაროდ, ხალხი ამას არ ესწრება. ყველა თავთავისი საქმითაა გართული: ზოგი რას აკეთებს და ზოგი — რას. აი, როგორები გავხდით. ამიტომაც იქცა დღეს ჩვენში ჩვეულებრივ მოვლენად მკვლელობა, დაუნდობლობა, ღალატი. ამ მძიმე დღეებში ერთი ასეთი საშინელი ამბავიც მოვისმინე. ბრძოლაში დაღუპული შვილის ცხედარი, როცა ის სოფელში ჩაასვენეს, მშობლებმა არ მიიღეს, რადგან სხვა პარტიას ეკუთვნოდა. მშობელმა შვილის სიყვარულს პოლიტიკა არჩია! ჩვენ ხომ ასეთნი არ ვიყავით, ამას ხომ ჩვენი წინაპარი არ ჩაიდენდა. მაგრამ მე მწამს, რომ ქართველი ერი განიწმინდება ამ ცოდვებისაგან და მისი სულიერება კვლავ ამაღლდება. მე მწამს, რომ ამისთვის ილოცებს მეუფე გრიგოლიც, რომლის გარდაცვალებაც განსაკუთრებით მძიმეა ჩემთვის. მე ხომ მან დამადგა გვირგვინი ჩემი პატრიარქად აღსაყდრების დროს.

მე თანაგრძნობას ვუცხადებ მის ოჯახსა და ყველა მის ახლობელს. ღმერთმა აცხონოს მეუფე გრიგოლის სული და მისი ლოცვა შეგვეწიოს ჩვენ და სრულიად საქართველოს“.

მეუფე გრიგოლი დაკრძალულია ალავერდელი მღვდელმთავრების: პეტრეს (კონჭოშვილი), პიროსისა (ოქროპირიძე) და დავითის (ბურდულაძე) გვერდით.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისაგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო.
220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი) 1836-1909

„საღმრთო ვალად ვრაცხ, გამოვხატო საჯაროდ, წინაშე ქართველი ერისა, რომ მე გულითადი, მხურვალე მომხრე ვარ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისა“

საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი გამორჩეული მღვდელმთავარი ჰყოლია. ზოგი მათგანი კარგად ახსოვს ქართველ ხალხს, ხოლო ზოგი, სამწუხაროდ, ნაკლებად...

მომავალი ეპისკოპოსი პეტრე დაიბადა კახეთის ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ სოფელ საბუეში (დღევანდელი ყვარლის რაიონი) 1836 წელს. მამამისი, მღვდელი დავითი, საბუის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური იყო (გარდაიცვალა 1846 წელს). უფროსი ძმა მათეც ამავე ეკლესიის მედავითნე გახლდათ. დედა მარიამი (შესაძლოა, გვარად გოგიტაშვილი) ოთხ შვილს — მათეს, პეტრეს, სოლომონს და მელანიას ზრდიდა და ცდილობდა, არაფერი მოეკლო მათთვის. აგრეთვე აშკარაა, რომ ამ უბრალო ქართულ ოჯახს ჰქონდა ძლიერი თვითნაბადი, ხალასი ნიჭი და ქვეყნის სიყვარული. ასეთ გარემოში ჩამოყალიბდა პატარა პეტრეს პიროვნება. მოგვიანებით, 1899 წელს, დეკანოზი პეტრე წერდა: **„სიყრმიდგან ჩემიდგან, რაც კი თავის ცნობაში მოვსულვარ, რაც კი ჩემ საყვარელ მშობელთაგან შემისწავლია პირჯვრის გამოსახვა და შევიძელ ხსენება და გამოთქმა სახელისა ყოვლად ტკბილისა უფლისა იესო ქრისტესი... იმ დროიდან, მარად-ჟამს ჩემთვის სანატრელი შეიქმნა მიმოხილვა და მოლოცვა წმინდა ადგილთა“.**

ეს ნატვრა მან მართლაც აისრულა და ქართულ სამოგზაურო ჟანრს შესანიშნავი წიგნიც შესძინა.

პეტრე კონჭოშვილმა დაამთავრა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1859 წელს — თბილისის სასულიერო სემინარია, რის შემდეგაც თელავის სასულიერო სასწავლებელში დაბალი კლასების მასწავლებლად განამწესეს. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით შესანიშნავად შეისწავლა წმინდა წერილი, ქრისტიან მამათა ნაწერები, კარგად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მან ყველაზე მეტად ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია შეიყვარა და მთელი სიცოცხლე მშობლიური ენის და სარწმუნოების უფლებებისათვის იღწოდა. ამიტომ ისმის გულიდან ამოძახილივით მისი სიტყვები: **„მშობლიურ ენაზე უტკბილესი ხომ არა რომელიმე სხვა ენა იქმნების“.**

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს პეტრე კონჭოშვილი დაქორწინდა მართა მახვილაძეზე. 186[illegible] წელს იგი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და ლიახვის ხეობაში, სოფელ ჯავის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ამავე ოლქის მთავარხუცესად დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ ჯავაში მამა პეტრე შეხვედრია ცნობილ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, იმ დროს კოლეგიის ასესორს. იგი პეტრე კონჭოშვილს მოიხსენიებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე „ნიჭიერსა და სანდო“ პიროვნებას კავკასიის ამ რეგიონში მოღვაწე სამღვდელო პირთა შორის.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საინგილოში ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის ძლიერ დაიძაბა მდგომარეობა (ლეკებმა მოკლეს გენერალი შალიკაშვილი, გაანადგურეს მისი რაზმი, ზაქათალის ოლქში მოქმედი 12 სამრევლოდან დარჩა მხოლოდ სამი: კახის, ალიბეგლოს და ყორაგანის). ამასთან დაკავშირებით 1865 წლის 16 ნოემბრიდან მღვდელი პეტრე კონჭოშვილი საინგილოში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. ამ გადაყვანით ჩანს, რომ მამა პეტრეს იქ განსაკუთრებული მისია უნდა შეესრულებინა. მართლაც, საინგილოში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და იქ მსახურების სამი წლის განმავლობაში მამა პეტრემ შეძლო დაძაბულობის განმუხტვა და მდგომარეობის დასტაბილურება. ორიოდე სიტყვით გვინდა მოვიხსენიოთ მისი მეუღლე მართა მახვილაძე (გარდაიცვალა 1896 წელს, დასაფლავებულია ვერის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში). იგი ნამდვილი მაგალითი იყო ქრისტიანი, მისიონერი დედებისა. მან მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, მეუღლესთან ერთად, ქართულ საქმეს და ქრისტიანობის გავრცელებას შესწირა. საინგილოში, კერძოდ, სოფელ კახში,

მას თურმე „დედა მართას“ ეძახდნენ პატარა ინგილო ბავშვები, რომელთაც იგი ასწავლიდა პირჯვრის გამოსახვას, ლოცვას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, გეოგრაფიას, არითმეტიკას, და რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულს. მართა მახვილაძე-კონჭოშვილზე პატარა მოგონება შემოგვინახა მისმა ერთმა ყოფილმა მოწაფემ, შემდეგში ცნობილმა ინგილო ისტორიკოსმა, მოსე ჯანაშვილმა.

1868 წლის 11 ივნისს მამა პეტრე თბილისში გადმოჰყავთ და სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად ინიშნება. ამავე წლის 1 სექტემბერს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მოძღვარი და მასწავლებელი ხდება, სადაც მთელი 37 წლის განმავლობაში ღირსეულად იღვაწებს. აქ იგი საღვთო სჯულის სწავლებასთან ერთად მტკიცედ იბრძვის, რათა ქართველი მოწაფეები დაიცვას რუსიფიკატორი ბერების „მზრუნველობისაგან“. თუმცა მამა პეტრე იმასაც ჩივის, რომ ხშირად სხვა მღვდლები სათანადოდ ვერ უჭერენ მხარს და იგი უმცირესობაში ექცევა ხოლმე.

ამ პერიოდში დაიწყო მამა პეტრემ განსაკუთრებული, უანგარო ქველმოქმედება. უპირველესად კი თავისი კუთხე, კახეთი არ ავიწყდება. საბუის ეკლესიას მან ძვირფასი საეკლესიო ინვენტარი შესწირა, აწყურის წმინდა გიორგის ეკლესიას — სახარება და ბარძიმ-ფეშხუმი. ამავე სოფელში ააგო ეკლესია და სახალხო ბიბლიოთეკა (სამკითხველო) დააარსა. უშურველად ზრუნს თავისი მეუღლის ნათესავებისა თუ სხვა მოყვასთათვის. საინგილოში, სოფელ კახის ქალთა სკოლას, სადაც მისი ძმისშვილი — სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისა მოღვაწეობდა, ათეულობით ძვირფასი წიგნი შესწირა. პეტრე კონჭოშვილმა ანდერძშიც არ დაივიწყა მშობლიური სოფელი საბუე და იქ ეკლესიის ასაგებად 6 000 მანეთი დატოვა. მის ანდერძში სხვადასხვა ოდენობის თანხაა გამოყოფილი თითქმის ყველა ეროვნული საქმისათვის: მოსწავლეთა სტიპენდიებისთვის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის და ა. შ.

მამა პეტრეს ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ჯილდოები: 1880 წელს მას დეკანოზის წოდება მიენიჭა, 1894 წლის 15 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი, 1896 წლის 5 აგვისტოს სასწავლო დარგში გამოჩენილი ყურადღებისათვის ქართული „ბიბლიით“ დაჯილდოვეს, 1898 წლის 6 მაისს ენქერი უბოძეს, 1903 წლის 6 მაისს — წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენი. გარდა ამისა, დეკანოზი პეტრე ასევე დაჯილდოებული იყო წმინდა ანას III და II ხარისხის ორდენებით, იასამნისფერი კამილავკით, სამკერდე ოქროს ჯვრით, საგვერდულით, წმინდა ნინოს ვერცხლის მედლით, იმპერატორ ალექსანდრე III-ის სამახსოვრო ვერცხლის ჯვრითა და 1897 წლის 2 მაისს იმპერატორ მარიამის სახელზე მოჭრილი ასწლიანი საიუბილეო მედლით.

1905 წლის 6 ოქტომბერს უკვე მხცოვანი მოძღვარი წმინდა სინოდმა ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად გამოარჩია. ამავე წლის 13 ნოემბერს (საინტერესოა, რომ მამა პეტრეს წმინდა სინოდისათვის და პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ ანტონისათვის (ვადკოვსკი) პირადად უთხოვია, რომ გამონაკლისის სახით, ძველი ტრადიციის თანახმად, ბერად აღკვეცის გარეშე ეკურთხებინათ ეპისკოპოსად, მხოლოდ ანაფორის კურთხევით) სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მას ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. ქიროტონიის წესი შეასრულეს: საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ნალიმოვი), იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) და გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ელიაშვილი). აღსანიშნავია, რომ სინოდისა და მიტროპოლიტის დიდი დათმობის მიუხედავად, ეპისკოპოსად ხელდასხმიდან სამი დღის შემდეგ (1905 წლის 16 ნოემბერს) მეუფე პეტრემ ხელი მოაწერა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პეტიციას (სამ ქართველ ეპისკოპოსთან ერთად), რითაც ყველას მიანიშნა, რომ მიუხედავად ოფიციოზის კეთილგანწყობისა, იგი არ აპირებდა ქართული საქმისათვის ღალატს. ეს აზრი მეუფემ ნათლად გამოხატა 1906 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში. იგი წერდა: **„საღმრთო ვალად ვრაცხ, გამოვხატო საჯაროდ, წინაშე ქართველი ერისა, რომ მე გულითადი, მხურვალე მომხრე ვარ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისა“.**

1906 წელს მეუფე პეტრე დროებით ასრულებს იმერეთის ეპარქიის მმართველის მოვალეობას (ეპისკოპოს ლეონიდეს პეტერბურგში გამგზავრებასთან დაკავშირებით). ქუთაისში ჩასვლისთანავე, მეუფეს, უპირველესად, გუბერნატორისათვის მოუთხოვია, შეეწყვიტათ ქუთაისის აწიოკება და გადაწვა, რაც ახლად გაჩაღებულ რევოლუციას უკავშირდებოდა. იმერეთში ყოფნისას აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მეუფემ პერსონალურად გასცა ნებართვა დაბეჭდილიყო მელიტონ კელენჯერიძის პოლემიკური წიგნი: „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“

(რუსულ ენაზე). ავტორმა ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა და წიგნი დაიბეჭდა „ტონკმელისის“ ფსევდონიმით. ამგვარად, მთელი პასუხისმგებლობა წიგნზე, რომელშიც დასამარებული იყო რუსული ოფიციოზის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში, ცენზორმა, ე. ი. მეუფე პეტრემ აიღო თავის თავზე.

1908 წელს კი მეუფემ კიდევ ერთ დიდ საქმეს შეასხა ხორცი. მან შეასწორა და საკუთარი სახსრებით გამოსცა დიდტანიანი ხუცურად ნაბეჭდი „სამღვდელმთავრო კონდაკი“ (წიგნის შესავალში ეპისკოპოსი პეტრე თანამშრომლობისათვის მადლობას უხდის იმხანად დეკანოზ კორნელი კეკელიძეს და იმ დროისთვის მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს).

1907 წლის 6 აპრილს ეპისკოპოსი პეტრე გორის ეპისკოპოსად დაინიშნა. იგი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1909 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა და, ანდერძისამებრ, ალავერდის ტაძარში დაასაფლავეს.

ცოტა ადრე მან რუსულიდან თარგმნა პ. სმირნოვის „მართლმადიდებელთა სახელმძღვანელო“ („კატეხიზმო“), რომელსაც ქართულ პრესაში დადებითი რეცენზიებით გამოეხმაურნენ.

მეუფე პეტრე აქტიურად თანამშრომლობდა ქართული გალობის აღმდგენ კომიტეტშიც, ახალი კრიტიკული გამოცემისათვის ასწორებდა ძველი აღთქმის ტექსტსაც, იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, საოლქო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ.

ეპისკოპოს პეტრეს შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია იერუსალიმსა და ათონზე მოგზაურობის წიგნი, რომელიც 1901 წელს დაიბეჭდა თბილისში (ახლდა წმინდა მიწის საილუსტრაციო შესანიშნავი 16 ლითოგრაფია). გადასახლებაში მყოფ ეპისკოპოსს კირიონთან (საძაგლიშვილი) მიწერილი მისი წერილები ცხადჰყოფს, რომ 1901 წლის შემდეგ მეუფე პეტრე ცდილობდა მეორედ, შევსებული სახით გამოეცა „მოგზაურობის“ წიგნი, მაგრამ, სამწუხაროდ, მის განზრახვას აღსრულება არ ეწერა.

ეპისკოპოსმა პეტრემ იერუსალიმისა და ათონის ეკლესია-მონასტრების გარდა, მხურვალედ მოილოცა სმირნის (იზმირის) წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია, კიევო-პეჩორის ლავრა და სხვა მრავალი წმიდა ადგილი. რას ევედრებოდა იგი უფალს? ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ვივარაუდოთ: მშობლიური ეკლესიის, ხალხის, მამულის სიცოცხლესა და აღორძინებას შესთხოვდა უფალს!

ჩვენ კი პავლე მოციქულის სიტყვებით კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ეს შესანიშნავი მოძღვარი, რომელიც ალავერდის დიდებულ ტაძარში განისვენებს: **„ამიერითგან მომელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მომცეს მე უფალმან“** (ტიმ. 4. 8).

ჟურნალ „ალილუიას“ შემდეგი ნომერი გამოვა აგვისტოში

მოამზადა
ვაჟა კიკნაძემ

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გამოდის საპატრიარქოს გამომცემლობის ბეჭდით. დაბეჭდილია გამომცემლობის ბეჭდით. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ გადახდილი შეტყობინების ასლის ფაქსზე ან ელ-ფოსტაზე.
საბანკო ანგარიში: ეროვნული ბანკი, კორსაქართველო, ანგარიში № 36085588 ბანკი, 220 101 406 მიმღები: სს „საქართველოს საპატრიარქოს ეკლესია
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა პოლუმიე
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), ხარიან ჯაფუა, ნინო ჯაფარიძე, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, ხათუნა ცირეკიძე, ეკატერინე დარი ვარდიშვილი, დეკანოზი ელეფთერ ჯულუკა, ილარიონ ზოია კობახიძე.

ბრიტანეთში სასულიერო პირები აბორტის წინააღმდეგ ილაშქრებენ

ბრიტანეთის პროტესტანტული ეკლესია აპირებს აბორტების საწინააღმდეგო კამპანიის გამართვას. ამისთვის მან მეტად უცნაურ ხერხს მიმართა: ღვთისმშობლის წიაღში შარავანდედით გამოსახული ჩვილის გამოსახულება ქვეყნის სარეკლამო აბრებზე შობის დღესასწაულის პერიოდში გამოიფინება წარწერით: „იგი გზაშია. შობა ქრისტეთი იწყება“.

ეს რეკლამა ანგლიკანების, მეთოდისტების, ბაპტისტების ეკლესიების თანამშრომლებმა მოიფიქრეს. მაცხოვრის გამოსახულება შექმნილია სხვადასხვა ბავშვის ექოსკოპიის ფოტოს მიხედვით.

მართალია ეს სარეკლამო გამოსახულებები შობის პერიოდში გამოიფინება, მაგრამ დაინტერესებულ ადამიანს მათი ყიდვა ინტერნეტით უკვე შეუძლია. „ეს რეკლამა ძლიერი გზავნილია ბრიტანეთის ყოველი მოქალაქისათვის, სადაც წელიწადის 365 დღეს 570 მილიონ ახლშობილს ასალმებენ სიცოცხლეს ჯერ კიდევ დედის საშოში. ყოველ ჯერზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ დაუბადებელ ჩვილს ვკლავთ, ვკლავთ იესოს“, — განაცხადა დაუბადებელ ბავშვთა დაცვის საზოგადოების დირექტორმა ჯონ სმიტმა.

ამერიკელები ტყუპი ცათამბჯენების ადგილას მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებენ

ნიუ-იორკის ათასობით მოქალაქე გამოვიდა აქციაზე, რომლითაც ისინი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ადგილას 15-სართულიანი მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებდნენ.

მიტინგის მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია — „შევაჩეროთ ისლამი ამერიკაში“. მოქალაქეები თვლიან, რომ მომავალი ისლამური ცენტრი შეურაცხყოფს იმ 2976 დაღუპულის ხსოვნას, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქების შედეგად დაიხოცნენ. ეს საკულტო შენობა გახდება იმ ადამიანების გამარჯვების სიმბოლო, ვინც დღემდე ცდილობს დაატერორონ ამერიკელი ხალხი. „აფეთქების ადგილი სამხედრო მემორიალი, სასაფლაოა. ჩვენ მოვითხოვთ კეთილგონიერების გამოჩენას,“ —¬ აცხადებენ აქციის მონაწილენი.

ამასთან, მეჩეთის მშენებლობის ინიციატორები საზოგადოებას პირდებიან, რომ მეჩეთი იქნება მეცნიერულ-კულტურული ცენტრი ნებისმიერი ადამიანისათვის, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და აღმსარებლობისა, ისინი შეეცდებიან ეს შენობა თანაგრძნობისა და ტოლერანტობის სიმბოლოდ აქციონ.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

„მარტო შენი თავი არ უნდა გიყვარდეს“ დეკანოზი გენადი წივწივაძე 1899-1976

დეკანოზი გენადი — ერისკაცობაში ნესტორ ნესტორის ძე წივწივაძე — 1899 წლის 14 იანვარს (მეორე ვერსიით, 1898 წლის 6 აპრილს), დაბა ხონში დაიბადა. მამამისი — ნესტორ პავლეს ძე წივწივაძე — ვაჭრობით არჩენდა ოჯახს, ხოლო დედა — ნატალია იოსების ასული წივწივაძე — დიასახლისი გახლდათ. პატარა ნესტორმა პირველდაწყებითი განათლება დაბა ხონის ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო. 1914 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. ვლადიკავკაზის სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა. 1915 წელს ავადმყოფობის გამო საქართველოში დაბრუნდა და სწავლა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გააგრძელა, რომელიც 1917 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1917-19 წლებში თბილისის უმცროს მეთაურთა სამხედრო სკოლაში სწავლობდა. 1920 წელს, მენშევიკური მთავრობის მმართველობის პერიოდში, ქუთაისის ქვეითთა ლეგიონში უმცროს მეთაურად დაინიშნა. 1921 წელს მეორე ბრიგადის შტაბში სატელეფონო სადგურის უფროსად გადაიყვანეს. 1922 წელს თავისივე თხოვნით გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. 1923 წელს ბათუმის ერთერთ სასწავლებელში საქმეთა მმართველად დაიწყო მუშაობა. 1923 წლის 18 დეკემბერს ავადმყოფობის გამო სამსახურს ჩამოშორდა და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

1924 წელს ნესტორმა მსახურება დაიწყო სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სადაც მომდევნო წელს კერძო დიაკვნად დაადგინეს. 1927 წელს ბოდბის ეპარქიაში, ეპისკოპოს სტეფანესთან (კარბელაშვილი) განამწესეს, სადაც უფროს კერძო დიაკვნად და საქმეთა მმართველად დაინიშნა. 1928-30 წლებში ისევ სიონის საპატრიარქო ტაძრის იპოდიაკონია. ამასთან, ნესტორი თბილისის საბალეტო სკოლაში აგრძელებს სწავლას, რომლის დასრულების შემდეგ, 1930 წელს, აზერ-

ბაიჯანში, ქ. ბაქოს ქართულ თეატრში საბალეტო გუნდის ხელმძღვანელად იწყებს მუშაობას.

1933 წელს იგი თბილისში დაბრუნდა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით, სიონის საპატრიარქო ტაძარში აგრძელებს კერძო დიაკვნად მსახურებას. 1937 წელს უწმინდესმა კალისტრატემ თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანა. ამავე წელს შავი ხავერდის სკუფიით დააჯილდოვეს. ეკლესიაში მსახურებასთან შეთავსებით, 1938 წელს, ანტირელიგიურ მუზეუმში მეცნიერ მუშაკად და საფონდო განყოფილების გამგედ იწყებს — მუშაობას. 1940 წელს თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დაინიშნა. 1942 წლის 13 მაისს მეორე მსოფლიო ომში რიგით ჯარისკაცად გაიწვიეს. ნესტორი ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა. 1943 წელს მძიმედ დაიჭრა და სამკურნალოდ თბილისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში დააწვინეს. 1944 წელს, როგორც სამამულო ომის ინვალიდი, ჯარიდან გაათავისუფლეს და ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს (ხოლო უკვე სასულიერო ხარისხში მყოფი მამა გენადი, 1965 წელს, გერმანიასთან გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით, სამახსოვრო მედლით დაჯილდოვდა).

1946 წელს გამოჯანმრთელებული ნესტორი ისევ დედაეკლესიას დაუბრუნდა და წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში განაგრძო ღვთისმსახურება. 1950 წლის იანვარში უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ალავერდელ ეპისკოპოსად აკურთხა არქიმანდრიტი გაბრიელი (ჩაჩანიძე) და კერძო დიაკონი ნესტორი მის პირად მდივნად დაინიშნა. 1952 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო დროებით თავი გაანება სასულიერო სამსახურს და როგორც სამამულო ომის ინვალიდს, პენსია დაენიშნა.

1955 წლის 10 ოქტომბერს, თავისი მოძღვრის რეკომენდაციით და ლოცვა-კურთხევით, სამღვდელო კომისია გაიარა და ამავე წლის 30 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) იგი ჯერ დიაკვნად აკურთხა, ხოლო 4 ნოემბერს — მღვდლად დაასხა ხელი, სახელად გენადი უწოდა და თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ ასურეთში მოსიარულე მღვდლად განამწესა. თავდაპირველად, მამა გენადი წირვა-ლოცვებს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კონსტანტინოვკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აღასრულებდა. 1956 წლიდან კი მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში გადაყვანის გამო, იგი პერიოდულად სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩადიოდა ღვთისმსახურებებზე დასასწრებად. 1958 წლის მარტში იისფერი სკუფიით დაჯილდოვდა.

მამა გენადის თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თბილისის მაშინდელ სამღვდელოებასთან. ძირითადად, მას ბოლნისში ყოფნა უწევდა და მათთან ურთიერთობას წერილების საშუალებით ახერხებდა. მის პირად არქივში შემორჩენილია რამდენიმე წერილი, სადაც ის წარმოჩინდება, როგორც მეტად უბრალო მოძღვარი და კარგი ადამიანი:

მარცხნიდან: მღვდელი ალექსანდრე გულიაშვილი (ამჟამად არქიმანდრიტი ანტონი) და დეკანოზი პახუმ ოგოლაძე. ცენტრში: დეკანოზი გენადი ნიჟნიკაძე

„დეკანოზო, მამაო პახუმ! გისურვებთ ცოლ-შვილით ყოველივე კარგს. მე წერილი გამოგიგზავნეთ, რატომ პასუხს არ იძლევით. ნეტავი ვიცოდე, რა ქვის გული გაქვს, არა კაცი არ გაინტერესებს თქვენი თავის მეტი. არც ასე არ ვარგა, ჩემო პახუმ. ავ-კარგიანი უნდა იყო, სუყველა უნდა მოიკითხო, მარტო შენი თავი არ უნდა გიყვარდეს. მამაო პახუმ, ძალიან მაინტერესებს მაქაური ამბები. როგორ ბრძანდებით? მისი უწმინდესობა გადმოვიდა მაქ თუ არა? მამა ირაკლის წერილი მივწერე, პასუხი არ მომცა. ხომ იცი, ჩვენი კაცი დიდობას რომ მიიღებს, მერე არა კაცი არ უნდა. ჩემი აზრით, სასულიერო დარგში ადამიანმა რაც დიდობა მიიღოს, უფრო კადრებიანი, ლმობიერი და მოსიყვარულე უნდა იყოს. სხვა როგორ ხარ, ჩემო პახუმ, როგორ ჩატარდა შენი სანყენებო (ალბათ დაბადების დღეს გულისხმობს) ძალიან მაინტერესებს. მომიკითხე ჩემი მამობილი, მამა ალექსანდრე, ირაკლი და სუყველა. იცოდე, წერილი მოიწერე, სვეტიცხოვლობას თუ ვინმე აკურთხეს. იყავი სულ კარგად. პახუმ, მე ძალიან ავათ ვიყავი, ეხლა კარგათ ვარ. მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. თქვენი კეთილის მდომი მღვდელი ნესტორ წივწივაძე. ბოლნისი, 1959 წლის 12 სექტემბერი“.

XX საუკუნის 60-იან წლებში კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) მამა გენადი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1973 წლის დასაწყისში დეკანოზი გენადი კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ (დევდარიანი) ქ. ბორჯომში განამწესა. ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირში ჩვეულებრივი ამბავი იყო მორწმუნეთა დარბევა

და წირვა-ლოცვის დროს ეკლესიებიდან ახალგაზრდების გამორეკვა. ეკლესიის მსახურებს არაერთხელ გამოუთქვამთ პროტესტი ამგვარი უკანონობისა და უზნეობის გამო, მაგრამ ეს პროტესტი იმპერიული უზნეობის აღზევების წლებში მუდამ რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მეტიც, ყოველი ამგვარი დაუმორჩილებლობის შემდეგ მოკლე ხანში ხდებოდა რომელიმე ეკლესიის, მღვდელმთავრის ან რიგითი სასულიერო პირის დარბევა, დაწიოკება, რომელთა ინიციატორები ყოველთვის დაუდგენელნი რჩებოდნენ. გამონაკლისი არც მამა გენადი ყოფილა. ბორჯომის რაიონში ჩასულ მოძღვარს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მტრულად დაუწყო ყურება, გახშირდა დასმენები, ცილისმწამებლური გამოხდომები, რის შემდეგაც მამა გენადი იძულებული გახდა მომდევნო წელს ქალაქ ხონში (იმჟამად ქ. წულუკიძე), მშობლიურ სახლში დაბრუნებულიყო და იქ გაეგრძელებინა მოღვაწეობა.

მარცხნიდან: დეკანოზი გენადი ნივნივაძე, დეკანოზი პახუმ ოგოლაძე, დეკანოზი გრიგოლ ცერცვაძე, დეკანოზი ალექსანდრე ერაძე, დეკანოზი ნიკოლოზ ბერიკაშვილი.

მისი ეს გადაადგილება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ათეისტური ხელისუფლებისათვის. ამასთან დაკავშირებით, 1975 წლის 18 მარტს წულუკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე გ. კუხალეიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს წერდა:

„წულუკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე გასული წლიდან მოქმედებს არარეგისტრირებული რელიგიური კულტმსახური ნივნივაძე ნესტორ ნესტორის ძე, რომელიც მორწმუნეებთან ეწევა კულტმსახურებას. რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებიდან მიმდინარე წლის 1 იანვრიდან წარდგენილი აქვს რელიგიური წესების შესრულებიდან საშემოსავლო გადასახადი, მისი შემოსავლების მიხედვით“.

დეკანოზ გენადის აღსასრული დღემდე ბუნდოვანია. იგი რამდენიმე დღე არ გამოჩნდა ქალაქში, ნათესავებმა და მეზობლებმა მოიკითხეს და ვერსად იპოვეს. ამის შემდეგ სახლში მიაკითხეს და როდესაც შიგნით შევიდნენ, იგი გარდაცვლილი იპოვეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მამა გენადის უკვდავი სული.

ნაშრომი საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უძველეს, ალავერდის ეპარქიის ისტორიას 1917-2007 წლებში. იგი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის.

ავტორია თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის თანამშრომელი, გიორგი მაჩურიშვილი. წიგნის რედაქტორია თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ისტორიის კათედრის დეკანოზი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

გვატემალის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა

ცოტა ხნის წინ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მიიღეს ე.წ. „გვატემალის მართლმადიდებლურ-კათოლიკური ეკლესია“, რომელიც „ამერიკის მართლმადიდებლურ-კათოლიკური ეკლესიის“ ერთ-ერთი ფრთა იყო. იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაარსდა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციაში არ იმყოფებოდა. „თუმცაღა, ბოლო თვეებია იგი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში მოქმედებს“, — აცხადებს მექსიკაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტი, სწორედ ამ მიტროპოლიის შემადგენლობაშიც შევიდა გვატემალის ეკლესია.

მრავალი გვატემალელის მართლმადიდებლობისაკენ მოქცევაში განსაკუთრებული როლი სერბმა არქიმანდრიტმა ანდრიამ ითამაშა. მართლმადიდებელ გვატემალელთა ეკლესია ნახევარ მილიონზე მეტ მორწმუნეს ითვლის. მათი დიდი ნაწილი ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობაა. სულ გვატემალასა და სამხრეთ მექსიკაში 334 ეკლესია და 12 ღვთისმსახურია. რაც არ უნდა საოცარი იყოს, სოციოლოგიური დაკვირვებით, ინდიელიები მალე გახდებიან ამერიკის ორივე ნაწილის მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი ეთნოსი. „პირადად მე ეს ძალიან გამიხარდება“, — განაცხადა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა იონამ. მან ასევე აღნიშნა, რომ კათოლიკური ეკლესია მოსახლეობის დაბალ ფენასთან ზედაპირული დამოკიდებულებით კარგავს თავის გავლენას ლათინურ ამერიკაში, არადა რეგიონში უმეტესად ღარიბები ცხოვრობენ. ისინი იმედგაცრუებულნი არიან კათოლიციზმით და ამიტომ სულიერი საზრდოს ძიებაში არიან.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

შოტომატიანე

სქემმთავარეპისკოპოსი ანტონი (აბაშიძე) 1867-1942

სქემმთავარეპისკოპოსი ანტონი, ერისკაცობაში დავით ილიას ძე აბაშიძე, დაიბადა 1867 წლის 2 ოქტომბერს, კახეთში, სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში, თავადის ოჯახში. იგი ეკუთვნოდა აბაშიძეთა გვარის კახეთის შტოს. მეუფის მამა იყო ილია ზურაბის ძე აბაშიძე, დედა — მარიამ ალექსანდრეს ასული ავალენიშვილი. მათ ჰყავდათ 6 შვილი: 3 ვაჟი და 3 ქალიშვილი. უფროსი ვაჟი იყო დავითი. პატარა დავითი თავდაპირველად თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. შემდეგ სწავლა რუსეთში, ქალაქ ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც 1891 წელს წარჩინებით დაამთავრა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ შეძლებულ თავადური გვარის წარმომადგენელს საერო ასპარეზზე არაფერი ეღობებოდა წინ. მას თავისუფლად შეეძლო წარჩინებული სამხედრო და პოლიტიკური კარიერა დაეწყო, მაგრამ დავითმა სულ სხვა გზა აირჩია და 1892 წელს კიევის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა.

1892 წლის 16 ნოემბერს სასულიერო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი დავით აბაშიძე ბერად აღიკვეცა და სახელად დიმიტრი ეწოდა (წმინდა დიმიტრი როსტოველის სახელობაზე). ამავე წლის 21 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს.

1896 წელს ბერ-დიაკონმა დავითმა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა. ამავე წლის ზაფხულში მღვდლად დაასხეს ხელი და 16 აგვისტოს თბილისის სასულიერო სემინარიაში საღმრთო წერილის მასწავლებლად დაინიშნა. 1897 წლის 19 მარტს ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად გადაიყვანეს და საგვერდულით დააჯილდოვეს. 1898 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. ამავე წლის 21 ივლისის მღვდელ-მონაზონი დიმიტრი თბილისის სემინარიის ინსპექტორად დაინიშნა. 1900 წლის 10-13 იანვრის წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, ჩრდილო ოსეთში მდებარე ალექსანდროვის არდონის სამისიონერო სემინარიის რექტორად დაადგინეს და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს. 1902 წლის 16 მარტს რუსეთის წმინდა სინოდის სხდომაზე არქიმანდრიტი დიმიტრი ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად გამოირჩიეს. ამავე წლის 23 აპრილს თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) ეპისკოპოსად დაასხა ხელი. ქიროტონიის დროს ეგზარქოსის თანამწირველნი იყვნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), სოხუმის ეპისკოპოსი არსენი (იზოტოვი), იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) და გორის ეპისკოპოსი ბენიამენი (ბორნუკოვი).

1903 წლის 6 [illegible] წმინდა ვლადიმერის III ხარისხის

ორდენით დააჯილდოვეს. 1903 წლის 4 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიის კათედრაზე გადაიყვანეს. ახალგაზრდა, ენერგიული და განათლებული მღვდელმთავრის შემომატებას დიდი სიხარულით შეხვდა ქართული საზოგადოება. მასზე დიდ იმედებს ამყარებდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე). 1902 წლის 8 მაისს, მცხეთაში, წმინდა ნინოს ეკლესიის კურთხევის დღეს წარმოთქმულ ქადაგებაში მან ბრძანა:

„საქართველოს შეგნებული ჰქონდა, რომ მის დანიშნულებას კაცობრიობის ცხოვრებაში შეადგენდა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანაში და ამიტომ ჩვენმა სამშობლომ თავისი ცხოვრება მთლად უმსხვერპლა ქრისტეს სამოციქულო და მსოფლიო, ესე იგი კათოლიკე ეკლესიის გამტკიცებას. საქართველომ არ იცოდა, რა იყო დაღლა, რა იყო მოსვენება, დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე იგი ღმერთს ემსახურებოდა და მას ადიდებდა. საქართველო არა ქვეყნიურსა, არამედ ზეცისასა ზრახავდა (კოლ. 3, 2.). საქართველო გრძნობდა და თავისი ცხოვრებით ეუბნებოდა მთელს ცისქვეშეთს: *„არა მაქვს ჩვენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“* (ებრ. 13, 14) და ამიტომ თვით მოციქული უთხრობს ივერიის ძეთა: *„მოსრულხართ თქვენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისა, იერუსალიმსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა, და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა“* (ებრ. 12, 20.).

წმიდა დიდებულნი საქართველოს ტაძარნი დაცულ არიან და ძმური შიდა რუსეთიდგან გადმოცემულ შეწირულებით ჰშვენდებიან, ენა ჩვენი მოისმის საქართველოს ყველა კუთხეებში. წმიდა ჩვენს მონასტრებსა და ტაძრებში ქართველთა შორის მოისმის ღვთის ვედრება ჩვენ მშობლიურ ენაზე. ჩვენი მღვდელმთავარნი, ეპისკოპოსები ევედრებიან ქართველთა მოძღვართა, რათა ყველგან ეკლესიებში, სახლში, სასწავლებელში მშობლიურ ქართულ ენაზე ექადაგოს ქართველ ერს ჭეშმარიტებანი ქრისტეს მოძღვრებისა და მისი მაღალი ზნეობრივი სწავლა, რომ ჩვენს წმიდა ტაძრებში ყველგან მოისმოდეს ტკბილი ქართული გალობა“.

მეუფე დიმიტრი ერთგულად ემსახურებოდა დედაეკლესიას, მეფის ტახტს, ებრძოდა სოციალისტური იდეების შეღწევას საზოგადოებაში. აქტიურად ებრძოდა სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ ამოუდგა მხარში ქართველი სამღვდელოების ბრძოლას ავტოკეფალიის მოსაპოვებლად და არ თანაუგრძნობდა მათ ამ ეროვნული საქმის განხორციელებაში. ეს კარგად ჩანს არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი) წერილში, რომელიც 1905 წლის 30 მაისს გაზეთ „რუს“-ში გამოქვეყნდა ეპისკოპოს დიმიტრის წერილის საპასუხოდ. აი, რას წერდა მამა ამბროსი:

„კარგად უნდა იცოდეთ, რომ მე, მთელი ორ-ნახევარი წელიწადი ვსცდილობდი, ადგილი მეშოვნა საქართველოში, სადაც მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა ხალხისათვის. თუმცა მე, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, გადამიყვანეს სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მე მოხელეს თვალით არ ვუყურებდა საქმეს, არ თანავუგრძნობდი იმ სამღვდელო პირთ, რომელნიც ხალხის გარუსებას სცდილობდნენ და ამხედრებდნენ ხალხს ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ხალხი დარწმუნდა, რომ სამღვდელო პირნი, რომლებიც ებრძოდნენ მკვიდრთა სამშობლო ენას, ვერ გაუძღვებოდნენ ბავშვების აღზრდას. ხალხის გარუსების მოსურნეთ იმდენად თვალი არ უჭრის, რომ შეიგრძნონ მათ მიერ არჩეულ საშუალებათა მავნებლობა. იმ ხალხს, რომელთაც ათასი წლის ისტორია აქვს, რასაკვირველია, ძალაც შესწევს იმდენად, რათა დაიცვას თავისი ეროვნული სახე და სამშობლო ენა. გარუსების წადილი ვნების მეტს არაფერს მოუტანს ხალხს. ცუდი ქართველი კარგ რუსად ვერ გადაიქცევა. ყველას სჯობს ზნეობრივ ნიადაგზე ხალხთა დაახლოება, რეპრესიული, ხალხის მჩაგვრელი ზომები ყოველთვის არასასურველ შედეგს გამოიწვევს ხოლმე. ამგვარ ზომებით საქართველოს ეკლესია უფსკრულის კიდემდის მიიყვანეს. ეს ყველაზე უფრო ცხადად გამომჟღავნდა ყოვლადსამღვდელო დიმიტრის ეპარქიაში, რომელმაც გაჭირვების დროს დატოვა თავისი სამწყსო და პეტერბურგს გაემგზავრა“.

ცნობილი ავტოკეფალისტი, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის მოგონებებში ეპისკოპოს დიმიტრის შესახებ წერდა: **„იგი იყო დიდი მოყვარული რუსებისა, მას ქართული და ქართველობა არ სწამდა, თვითონ გარუსებული იყო, არც კი ეხერხებოდა ლაპარაკი ქართულად. იგი იყო რუსეთის ბატონობის ჭეშმარიტი იდეოლოგი“.** 1906 წელს, როდესაც პეტერბურგში იმართებოდა რუსეთის ეკლესიის სინოდის სპეციალური სხდომები, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს განიხილავდნენ, მეუფე დიმიტრიმ აშკარად დაიჭირა რუსეთის მხარე და განაცხადა: დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაზე საუბარიც შეწყდებაო.

1905 წლის 16 აპრილს ეპისკოპოსი დიმიტრი, მისივე თხოვნით, კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში, ბალტის ეპარქიის ქორეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1906 წლის 20 იანვარს თურქისტანისა და ტაშკენტის ეპარქიის ეპისკოპოსია. შუა აზიაში მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი, როგორც კარგმა მქადაგებელმა და მისიონერმა. თურქისტანის ეპარქიაში მის გადასვლამდე 80 სამრევლო მოქმედებდა. 6 წლის შემდეგ მეუფის ენერგიული ხელმ

ძღვანელობის შედეგად კი მათმა რიცხვმა 160-ს გადააჭარბა.

1912 წლის 25 ივნისს იგი ყირიმში, ტავრიდისა და სიმფეროპოლის კათედრაზე განამწესეს. მისი რეზიდენცია ორ ნაბიჯზე მდებარეობდა ლივადიის სასახლიდან, სადაც მეფის ოჯახი დიდი ხნით ცხოვრობდა ხოლმე. იმპერატორის ოჯახის წევრები ხშირად იწვევდნენ მას რჩევის საკითხავად. არისტოკრატულ წრეებში მეუფეს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა.

1913 წლის 13 მაისს იგი ძვირფასი თვლებით შემკული პანაღიით დააჯილდოვეს.

1914 წელს მეუფე დიმიტრი I მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა და სამხედრო გემზე „პანტელეიმონზე“ რიგით მოძღვრად მსახურობდა. 1915 წლის 6 მაისს მას მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა.

1917 წლის აგვისტოდან იგი მოსკოვში, სრულიად რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრების მუშაობაში მონაწილეობს. კრება გაიხსნა 1917 წლის 15 აგვისტოს. კრების მთავარი საკითხი გახლდათ პატრიარქობის აღდგენა რუსეთში. პატრიარქის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო. მეუფე დიმიტრი ემხრობოდა პატრიარქობის აღდგენას. იგი ამბობდა:

„ტყუილად ხომ არ ვლაპარაკობთ პატრიარქობის აღდგენაზე რუსეთში? რა, იგი არ არსებობდა? კოლეგია არასოდეს რჩებოდა თავმჯდომარის გარეშე, არანაირი ხელისუფლება არ დარჩებოდა დაუკავებელი... და ხელში ჩაიგდეს ეს ხელისუფლება ხარბმა ადამიანებმა. ხელისუფლების გადაცემა მოხდა არა კაბოსნებისათვის, არამედ ფრაკოსნებისა და მუნდიროსნებისათვის, აშკარად სარწმუნოებიდან განმდგარი ურწმუნო ადამიანებისათვის, რომლებიც თავისი წარმოშობითა და აღზრდით არ ეკუთვნოდნენ რუს ხალხს. ასეთები არიან თავადი გოლიცინი, მელისინი და სხვები. იყვნენ მორწმუნეებიც, მაგრამ ისინი იყვნენ რუსეთის ეკლესიის უკანონო პატრიარქები, იმიტომ, რომ — საშინელია სათქმელად — ისინი რუსეთის პატრიარქები კი არ იყვნენ, არამედ რომის პაპები პატრიარქების ტახტზე!“

თავადი ი. ვ. ვასილჩიკოვი, რომელიც სათათბიროდან (დუმა) იყო მიწვეული კრებაზე, მას იხსენებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე პიროვნებას, რომელიც ყურადღებას იქცევდა თავისი გამოსვლებით. კრების მასალები ადასტურებს, რომ პირადად მისი კანდიდატურა სახელდებოდა იმ იერარქებს შორის, რომელთა კანდიდატურებიც კრებამ თავდაპირველად პატრიარქის ტახტზე წამოაყენა. 1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოსკოვში დაიწყო ძმათამკვლელი ბრძოლები. ქუჩებში ასობით მოკლული და დაჭრილი ეყარა. იხსენებენ, რომ მეუფე დიმიტრი და კამჩატკის ეპისკოპოსი ნესტორი (ანისიმოვი) ქუჩებში პირველადი დახმარების ჩანთებით დადიოდნენ და ბრძოლაში დაჭრილებს ეხმარებოდნენ. იგი იყო ერთ-ერთი იმ მღვდელმთავართაგანი, რომლებმაც არ მიიღეს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ.

1918 წლის ბოლოს მეუფე დიმიტრი დაბრუნდა თავის კათედრაზე ყირიმში. რევოლუციური შფოთის დროს მას ნამდვილად გმირულად ეჭირა თავი. მთავარეპისკოპოს დიმიტრის ტაძარი არაერთხელ გაჩხრიკეს, ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. ტაძარში შედიოდნენ ქუდდახურულები, ხელში პაპიროსებით, ხიშტით გახვრიტეს სამსხვერპლო და ტრაპეზი. სევასტოპოლში მან წესი აუგო მღვდელ ჩერპანოვს, რომელიც მატროსებმა მოკლეს იმის გამო, რომ სიკვდილმისჯილი აზიარა წმინდა საიდუმლოს.

სამოქალაქო ომის დროს ქვეყნის სამხრეთი რაიონები თითქმის მთლიანად მოწყდა ცენტრალურ რუსეთს. ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორ ათეულზე მეტი სასულიერო იერარქი, რამდენიმე ეპარქია. 1919 წლის დასაწყისისათვის გენერალ დენიკინის არმიის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე უკვე 500 სასულიერო პირი იყო. 1919 წლის მაისში სამხრეთ რუსეთში მოიწვიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 11 მღვდელმთავარი ესწრებოდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დონისა და ნოვოჩერკასკის მთავარეპისკოპოსი მიტროფანე (სიმაშკევიჩი) და მთავარეპისკოპოსი დიმიტრი. კრებამ დაარსა დამოუკიდებლად მოქმედი და თვითმმართველი დროებითი უმაღლესი საეკლესიო სამმართველო, რომელიც ჯერ დენიკინს ემორჩილებოდა, მისი გაქცევის შემდეგ კი — გენერალ პ. ვრანგელს. დასაწყისში სამმართველოს უფროსი იყო მეუფე მიტროფანე, 1920 წლის მარტიდან კი, ბარონ ვრანგელის დაჟინებული თხოვნით, გახდა მთავარეპისკოპოსი დიმიტრი. ამ ახალ ასპარეზზე მან თავი გამოიჩინა, როგორც თეთრი მოძრაობის აქტიურმა ქომაგმა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგემ. თეთრი მოძრაობის დამარცხების შემდეგ, 1921 წლის 14 სექტემბერს, მეუფე დიმიტრიმ დაწერა თხოვნა გადადგომაზე და დროებით დატოვა ეპარქიის მმართველობა. იგი თეთრ არმიასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა.

1922 წელს, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, მეუფე დიმიტრი დროებით თეოდოსიის ეპარქიის მმართველად დაინიშნა და ტავრიის გუბერნიაში, თეოდოსიის მაზრაში არსებულ ტოპლოისკის დედათა მონასტერში დასახლდა. 1923 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ იგი დააპატიმრა და ორი თვე სიმფეროპოლის ციხეში გაატარა. გათავისუფლების შემდეგ მას აუკრძალეს ყირიმში ცხოვრება და იძულებული გახდა, ქ. კიევში გადასულიყო

საცხოვრებლად.

1923 წლის მაისიდან მეუფე დიმიტრი კიტაევის ყოვლადწმინდა სამების სახელობის უდაბნოში დასახლდა, რომელიც კიევ-პეჩორის ლავრას ეკუთვნოდა და მისგან 9 კილომეტრით იყო დაშორებული. 1928-29 წლებში იგი დიდ სქემაში აღკვეცეს და სახელად ანტონი უწოდეს. 1930 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ კიევ-პეჩორის ლავრაც დახურა და მეუფე ქ. კიევში დასახლდა. 1933 წლის მარტში იგი მეორედ დააპატიმრეს და ქ. კიევის ლუკიანოვის ციხის სპეცკორპუსში მოათავსეს. ამავე წლის 22 ივლისს მეუფე დიმიტრი საპატიმროდან ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები. ცენტრში სხედან: სემინარიის ლექტორი არქიმანდრიტი ბენიამინი (ბორნუკოვი), და ინსპექტორი — მღვდელ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე)

კიევში მას პატივს სცემდნენ, როგორც დიდ ასკეტს, მლოცველ პიროვნებას და მაღალი სულიერების მატარებელს, სულიერი ჭვრეტის ნიჭით დაჯილდოებულ ბერს. კიეველები მას „წმინდანს“ ეძახდნენ. მართლმადიდებლები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და საქართველოდან მრავლად ჩადიოდნენ მასთან რჩევის საკითხავად. მეუფე დიმიტრი ცხოვრობდა ძალიან უბრალოდ, წირვა-ლოცვას აღასრულებდა სახლში, სადაც პატარა ეკლესია ჰქონდა მოწყობილი.

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. მალე ქ. კიევი გერმანელებმა დაიკავეს. მათ გარკვეული პოლიტიკური გათვლების შედეგად ნება დართეს ხალხს, ტაძრები და მონასტრები გაეხსნათ. 1941 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, მეუფე ანტონმა საზეიმოდ აკურთხა კიევის ლავრა და თვითონაც იქვე დასახლდა სამოღვაწეოდ.

1942 წლის 1 ნოემბერს, 75 წლის ასაკში, სქემმთავარეპისკოპოსი ანტონი გარდაიცვალა და იგი დიდი პატივით დაასაფლავეს კიევი-პეჩორის ლავრის ტერიტორიაზე (მეორე ცნობით, იგი 1943 წლის დეკემბერში გარდაიცვალა).

გამოვიდა ახალი წიგნი „ალავერდის ეპარქია 1917-2007 წლებში“. ნაშრომი საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უძველეს, ალავერდის ეპარქიის ისტორიას 1917-2007 წლებში. იგი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის.

ავტორია თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის თანამშრომელი, გიორგი მაჩურიშვილი. წიგნის რედაქტორია თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ისტორიის კათედრის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

პრობლემებს.

29 ივნისს კი იმ მართლმადიდებელი ქვეყნების მსგავსად, რომლებიც ახალი კალენდრით აღასრულებენ ღვთისმსახურებებს, აღინიშნა წმინდა თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენება.

სირიაში ქრისტიანი მოსახლეობა მცირდება

მიუხედავად იმისა, რომ სირიის ხელისუფლება ადგილობრივი ქრისტიანებისადმი ძალადობის მცდელობებს მკაცრად აკონტროლებს, ქვეყანაში ნელა, მაგრამ მაინც მცირდება ქრისტიანთა რაოდენობა. პარალელურად კი შერეული ქორწინებებისა და ქვეყნის განათლების სისტემის წყალობით, საგრძნობლად იზრდება ისლამის მიმდევართა რიცხვი.

„მოსწავლეებმა გაცილებით მეტი იციან ყურანისა და მუჰამედის შესახებ, ვიდრე იესო ქრისტეზე. ჩვენ ვცდილობთ მათ ყველაფერი მივცეთ კატეხიზმოს სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში. თან ჩვენვე უნდა გავგზავნოთ ავტობუსი ან ავტომობილი, რათა მოვიყვანოთ და ისევე უკან წავიყვანოთ ისინი“, — ასე აღწერს დამასკოს მთავარეპისკოპოსი სამირ ნასარი იმ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია ქრისტიანთა ოჯახების ბავშვებისათვის საღვთო სჯულის სწავლებასთან. „ზოგჯერ მოსწავლეები ჩამოდიან, ზოგჯერ — არა, მაგრამ კვირაში კატეხიზმოს მხოლოდ ერთი საათი ნებისმიერ შემთხვევაში არ კმარა“, — ამბობს იგი.

სირიის ხელისუფლება ქვეყნის ქრისტიანებისადმი შემწყნარებლობას იჩენს, თუმცა მუსლიმის გაქრისტიანებას სასტიკად დევნის: ეს უკანონობაა, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი ქმედება კანონის ძალით ისჯება.

სხვადასხვა მონაცემებით, სირიის 2-დან 8%-მდე (მოსახლეობის საერთო რაოდენობა 19,2 მილიონია) მართლმადიდებლობის ან ძველი ქალკედონიის კრებამდელი ეკლესიის მიმდევარია, ხოლო მეორე 2% — კათოლიკე.

მოამზადა თამარ ასათიანმა

წმინდანები

ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი)

1871-1951

ეპისკოპოსი ტარასი, ერისკაცობაში გიორგი იაკობის ძე კანდელაკი, 1871 წელს, გორის მაზრაში, სოფელ კავთისხევში აზნაურის ოჯახში დაიბადა. პატარა გიორგი მშობლებმა სწავლა-განათლების მისაღებად თბილისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში შეიყვანეს, რომელიც მან 1890 წელს დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ მისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა დედაეკლესიას. ბერად შედგომის სურვილმა ახალგაზრდა და ნიჭიერი ყმაწვილი ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში მიიყვანა, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. 1891 წლის 4 აგვისტოს იგი ამავე მონასტერში მორჩილად



მღვდელ-მონაზონი ტარასი

განამწესეს. 1899 წლის 6 აპრილს მორჩილი გიორგი საინგილოში, ზაქათალის ოლქში, სოფელ ქოთუქ-ჭალის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მედავითნედ გადაიყვანეს. 1900 წლის 5 თებერვალს ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის საძმოში მიიღეს. მეორე დღეს ალავერდელმა ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად ტარასი უწოდა. აქედან მოყოლებული მამა ტარასი მუდმივად და განუშორებლად იმყოფებოდა მეუფე კირიონთან და მათი ესეთი მჭიდრო ურთიერთობა 1918 წლამდე არ შეწყვეტილა.

1900 წლის 24 აპრილს ეპისკოპოსმა კირიონმა ბერმონაზონი ტარასი დიაკვნად აკურთხა, ხოლო 12 მაისს — მღვდლად დაასხა ხელი და შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტრის საძმოში დაადგინა. ამავე წლის 17 აგვისტოს ამ მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. 1901 წლის 8 აპრილს მამა ტარასი კეთილსინდისიერი სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. 1902 წლის 22 ივლისს ალავერდისა და თეთრი გიორგის მონასტრების ხაზინადრად გადაიყვანეს, ხოლო ამავე წლის 25 სექტემბერს ხირსის წმინდა სტეფანეს სახელობის მონასტერში განამწესეს. 1903 წლის 2 აპრილს ხირსის მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. ამავე წლის 4 სექტემბრიდან რუსეთში მყოფმა ეპისკოპოსმა კირიონმა მამა ტარასი თავისთან იხმო. მეუფე იმჟამად ხერსონისა და ოდესის ეპარქიას მართავდა. მამა ტარასი, როგორც გამოცდილი ბერი და მასთან დაახლოებული პირი, სამღვდელმთავრო სახლის ხაზინადრობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა. 1904 წლის 13 იანვარს ოფიციალურად დამტკიცდა ხაზინადრად.

არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი)

1904 წლის 10 მაისიდან ეპისკოპოსი კირიონი ორიოლის ეპარქიაში გადაიყვანეს. მამა ტარასი აქაც მის გვერდითაა. ამავე წლის 8 ივნისს იგი სამღვდელმთავრო სახლის ხაზინადრად დაინიშნა, ხოლო 29 ივნისიდან მეუფე კირიონმა ეკონომოსობაც მას ჩააბარა. ამასთანავე, დაევალა საეკლესიო-არქეოლოგიური მუზეუმის ზედამხედველობაც.

1904 წელს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, წმინდა სინოდის ბრძანებით, ქუთაისში გაუქმდა სასულიერო სემინარია. სწავლა-განათლებას მოწყურებული ქართველი სტუდენტები რუსეთის სემინარიებს მიაწყდა, რადგან თბილისის სემინარიამ ყველა მათგანის მიღება ვერ შეძლო. მეუფე კირიონის მიწვევით მრავალი მათგანი ორიოლის ეპარქიაში ჩავიდა, სადაც მეუფის აქტიური ჩარევის შედეგად ადგილობრივ სემინარიასთან დაარსდა მეორე პარალელური კლასი, რომელიც, ძირითადად, ქართველი სტუდენტებისგან დაკომპლექტდა. მღვდელ-მონაზონი ტარასი თავისი მხრიდან დიდ ყურადღებას იჩენდა მათ მიმართ და თავის მამობრივ მზრუნველობას ერთნაირად უნაწილებდა ყველა მოწაფეს. იგი მათ როგორც მატერიალურად, ისე სულიერად ეხმარებოდა და ამხნევებდა. ეს სტუდენტები იყვნენ: იროდიონ ალავერდაშვილი, ანდრია ახმეტელაშვილი, მოსე დაქიშვილი, ალექსანდრე კალანდარიშვილი, იოსებ ცუცუნაშვილი, გიორგი ხატისკაცი, ერმოლაოს ჯობავა, ანდრონიკე კეკელიძე, იასონ ცხომელიძე და გიორგი ქოქოშვილი.

იმ პერიოდში მეუფის ლოცვა-კურთხევით მამა ტარასიმ იმოგზაურა მოსკოვში, მოილოცა რუსეთის წმინდა ადგილები და ეკლესია-მონასტრები. გაეცნო იქაურ სამონასტრო ცხოვრებას და ფრიად კმაყოფილი დარჩა იქ მოღვაწე სასულიერო პირებით, მათი სიმრავლით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი დიდად სწუხდა საქართველოში ბერმონაზვნების შემცირებაზე და სამონასტრო ცხოვრების დაუძლურებაზე. შემდგომში მამა ტარასი ამ მოგზაურობის შესახებ გაზეთ „ივერიაში" წერდა:

„მოსკოვი იგივეა რუსეთისათვის, რაც მცხეთა იყო ქართველებისათვის, სანამ ახალ სატახტო ქალაქს დაარსებდა იმპერატორი პეტრე დიდი. მოსკოვს ამ ორასი წლის მანძილზე არ დაუკარგნია თვისი მნიშვნელობა და იგი დღესაც გულია რუსეთისა. ჩვენს მეფეებს მისვლა-მოსვლა და ელჩობის გზავნა რუსეთში იმ დროს, ძირითადად, მოსკოვში ხდებოდა. ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვაც, ჩვენის ბატონიშვილების წყალობით, მოსკოვის ახლოს დაიწყო. მთელი ახალშენი იყო აქ ქართველებისა. „ქართველების მოედანზე" თავისი ეკლესიაც ჰქონდათ ქართველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც გაუგებარ მიზეზების გამო, დღეს იგი სომხების ხელშია.

სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, რომ პეტერბურგის ქართველებს განუზრახავთ საკუთარ ეკლესიის აშენება ქართულ წირვა-ლოცვითაო. მოსკოვშიც ბევრია ქართველობა და დიდად საჭიროა აქაც ქართული ეკლესია. განსვენებული ჩვენი თანამემამულე (გობრონი) მიხეილ საბინინი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ჩვენს სამშობლო ეკლესიას, ამ სასარგებლო და დიდ მნიშვნელოვან საქმეს ადვილად დააგვირგვინებდა, ცოტა კიდევ რომ ეცოცხლა. საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა. ერთი უბრალო ხის ჯვარი ადგია. ქართველობა მოვალეა ამ საქმეში, საწყალს ანდერძად ჰქონდა ნათქვა-

სხედან მარცხნიდან - წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი, უწმინდესი კალისტრატე (ცინცაძე) და მისი ოჯახის წევრები. მცხეთა, 1949 წელი.

მი — „ნუ დამტოვებთ რუსეთშიო". თუმცა ფული და ნივთეულობა საკმარისი დარჩა, მაგრამ მემკვიდრეებმა ქონება ჩაიბარეს და ეს უკანასკნელი მისი თხოვნა კი არ შეიწყნარეს. აღსრულდა გულთამხილავ შოთას სიტყვები: „ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი".

მას დიდი ამაგი და ღვაწლი მიუძღვის, როგორც ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის წინაშე, აგრეთვე დავით გარეჯის უდაბნოს წინაშეცა. გარეჯის ლავრას ბევრი რამ შესძინა: კანკელი, მარმარილოს ტრაპეზი, ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმები, ხატები, მრავალი შესამოსელი და ყოველივე სამკაული ეკლესიისა. მან ბრძანა: ეს რა არისო, პატარა დამაცადეთ. ეს მონასტერი უნდა ავაყვავო და ჩემი ძვლებიც აქ უნდა ჩავყაროო. მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ აცალა, ადრე მოუსპო სიცოცხლე. ძველად ათასობით ბერი იყო ამ მრავალმთის უდაბნოში და ვაი, ჩვენს დაუძლურებას და ვაი ჩვენს დაკნინებას, რომ დღეს ერთი ბერიც აღარ არის იქ, რომ ოლარი დაიკიდოს და ილოცოს. სულ სხვა მნიშვნელობა აქვს უდაბნოში წირვა-ლოცვას, როგორც თვით უფალი ბრძანებს დავით წინასწარმეტყველის პირით: „ესრეთ წმიდასა შინა უდაბნოსა, უგზოსა და ურწყულსა შინა გეჩვენო შენ".

1906 წლის დასაწყისში ეპისკოპოსი კირიონი სოხუმის ეპარქიაში განამწესეს, რომელმაც მამა ტარასი თავისთან გადაიყვანა და ამავე წლის 21 მარტს სამღვდელმთავრო სახლის ეკონომოსად დაადგინა. 1906 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და საკურთხეველად მომზადებულ მღვდელთა, დიაკონთა და მედავითნეთა გამოსაცდელი კომისიის წევრად დაინიშნა. ამავე წლის 6 ივლისს სოხუმის ეპარქიის მზრუნველობა მოკლებულ სასულიერო პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ კომისიის წევრად დაინიშნა. 1907 წლის 19 ოქტომბერს გათავისუფლდა ეკონომოსის თანამდებობიდან. 1908 წლის 7 ოქტომბერს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში ბერ-დიაკვნის შტატში დაინიშნა. 1911 წლის 7 ნოემბერს მღვდელ-მონაზვნის შტატში დაადგინეს. 1912 წლის 12 თებერვლიდან — 1913 წლის 13 მაისამდე ამავე მონასტრის ხაზინადარია. 1914 წელს, თავისი თხოვნის საფუძველზე, რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზზე სამხედრო საავადმყოფოს ეკლესიის მოძღვრად განამწესეს, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. 1917 წლის 9-17 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება. საქართველოში დაბრუნებული მღვდელ-მონაზონი ტარასი კრების მონაწილეა და აქტიურად უჭერს მხარს ეპისკოპოს კირიონს, რომელიც ხმების უმრავლესობით ამ კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. უწმინდესმა და უნეტარესმა კირიონმა, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის, მღვდელ-მონაზონი ტარასი გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1918 წლის 26 ივნისს არქიმანდრიტი ტარასი თან ახლდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონს, მაშინ როდესაც იგი მუხანათურად მოკლა მტარვალის ხელმა. არქიმანდრიტი ტარასი დაუყონებლივ გამოემგზავრა თბილისში და ყოველივე შეატყობინა საკათოლიკოსო საბჭოს.

1925 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ დახურა წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერი და არქიმანდრიტი ტარასი უადგილოდ დარჩა. 1925 წლის 25 ოქტომბერს ალავერდელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) იგი კახეთში, სოფელ საქობაოს წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და სიღნაღის მაზრის II ოლქის მთავარხუცესად დანიშნა. ამავე წელს ალავერდის ეპარქია ორად გაიყო და არქიმანდრიტი ტარასი ბოდბის ეპარქიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. მალე ბოდბელ ეპისკოპოს სტეფანესა (კარბელაშვილი) და არქიმანდრიტ ტარასის შორის ურთიერთობა გამწვავდა. კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) იგი ჯერ თბილისის კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად, შემდეგ კი — 1931 წლის 29 ნოემბერს, ვლადიკავკაზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა.

ვლადიკავკაზში ჩასული არქიმანდრიტი ტარასი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას, მაგრამ წინა-

აღმდეგობები კიდევ უფრო გაძლიერდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. 1933 წლის 7 იანვარს სწორედ მან მონათლა ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი, მომავალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

1938 წლის 24 თებერვალს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახურა ვლადიკავკაზის ქართული ეკლესია და მამა ტარასიც სამშობლოში დაბრუნდა. ამავე წლის 27 მარტს, უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვაკურთხევით, არქიმანდრიტი ტარასი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა. 1939 წლის 19 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატემ, ურბნელი მიტროპოლიტ მელქისედეკისა (ფხალაძე) და ნინოწმინდელი ეპისკოპოს იეროთეოზის (აივაზაშვილი) თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხა ხელი და წილკნის ეპარქია ჩააბარა.



მღვდელი გიორგი კალანდარიშვილი ოჯახით. ფეხზე დგას - ოჯახის მეგობარი - მღვდელ-მონაზონი ტარასი

ეპარქიაში ახლად დანიშნულ მღვდელმთავარს მეტად მძიმე მდგომარეობა დახვდა. 1939 წელს ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირების დაბეგვრის არსებულ წესში შეიტანეს ცვლილება, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებდა მოქმედი ეკლესიების მდგომარეობას. უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე კანდიდ ჩარკვიანისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირ აცხადებდა:

„ფინანსთა სახკომის ინსპექტორის ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში ბოლოს მოუღებს ათასექვსასწლოვანს საქართველოს ეკლესიას, მღვდლები იძულებულნი იქნებიან თავი გაანებონ სამსახურს... სანამ საბჭოთა კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი 124-ე მუხლი, ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული და ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს ეკლესია, მით აღგვილი პირისგან ქვეყნისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი“.

1941 წლის 4 მაისს განმეორებით წერილში კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე კ. ჩარკვიანს წერს — „გადასახადების გადაუხდელობის გამო დახურულ ეკლესიათა შორის არის მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესია. გამოიძახეს მისი წინამძღვარი ეპისკოპოსი ტარასი და უბრძანეს 48 საათის განმავლობაში ტაძრის დაცლა. უწმინდესი კალისტრატე მოითხოვდა: 1) ჩაითვალოს სვეტიცხოვლის კრებულის შრომა და ღვაწლი ტაძრის მოვლა-პატრონობისათვის მასზე შეწირული გადასახადის ანგარიშში; 2) დაუყოვნებლივ გახსნილ იქნეს სვეტიცხოველი; 3) ჩამოეწეროს ტაძრის წინამძღვარს გადასახადები“.

XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ეპისკოპოს ტარასის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა, ხშირად ავადმყოფობდა, ერთხანს წყალტუბოშიც მკურნალობდა.

1951 წლის 12 დეკემბერს, 80 წლის ასაკში, წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი გარდაიცვალა. იგი 16 დეკემბერს სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში დაკრძალეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გამოსცემს საპატრიარქოს მასმედიის დეპარტამენტი მასალების გამო გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: საბანკო ბანკი. კრწანისის შე-2 ფილიალი. ანგარიში №: 340851555 მფო. 220 101 406 მიმღები: სს. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მისამართი: ვერკლე III-ს მიედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარინე გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, ფაშარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ცხუმელი ეპისკოპოსის 1906 წლის 18 ნოემბრის შუამდგომლობა მეფისნაცვალის წინაშე ეხება 10 წლის ნამსახურობის მქონე სასულიერო პირთათვის სოხუმის ოკრუგის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მინიჭებას. ასეთი სტატუსი კი ღვთისმსახურებს მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებას აძლევდა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა მათ მატერიალურ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით, 1907 წლის იანვარში მეფისნაცვალის კანცელარიამ დასკვნა მოამზადა. მასში აღნიშნულია, რომ კავკასიის მთავრობის მიერ 1881 წელს „განსაკუთრებული გამონაკლისის წესით" მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთში საბოლოოდ დამკვიდრებული სასულიერო პირებისთვის, აგრეთვე გარდაცვლილ ღვთისმსახურთა ოჯახებისთვის 30 დესეტინა მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ (ეს გადაწყვეტილება სოხუმის ეპარქიის მაშინდელი მმართველის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის 1879 წლის 28 აგვისტოს შუამდგომლობის საფუძველზე მიიღეს) სოხუმის ოკრუგში თავისუფალი სახაზინო მიწების სიმცირის გამო უკვე აღარ მოქმედებდა. ამასთანავე, მეფისნაცვალის კანცელარიამ შესაძლებლად მიიჩნია ეპისკოპოს კირიონის წერილში მითითებული სასულიერო პირების სოხუმის ოკრუგის მკვიდრ მოსახლეობად აღიარება სასოფლო თემებზე მათი მიწერის გზით; კუთვნილი მიწის ნაკვეთებიც მათ შესაბამისი თემებისგან უნდა მიეღოთ.

დიდია ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი სოხუმის ეპარქიის, მისი მრავალეროვანი მრევლის წინაშე. ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებმაც პირველად იხილა მზის სინათლე, ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
მთავარი სპეციალისტი
დინარა დარსალია

ფოტომატიანე

იოანე მაისურაძე ათონელი, ბეთანიელი არქიმანდრიტი

1955 წლის 10 ნოემბერი

XX საუკუნის 20-50-იან წლებში ბეთანიის მონასტერში მოღვაწეობდნენ ქართული ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილნი: არქიმანდრიტი იოანე (მაისურაძე) და არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე). ამ ადამიანებს მეტად მძიმე და არეულ პერიოდში მოუწიათ მოღვაწეობა. მათი სიცოცხლე ბევრჯერ დადგა საფრთხის ქვეშ, მრავალგზის დაარბიეს, გაძარცვეს და მოსვენებას არ აძლევდნენ ხელისუფლებისგან მიგზავნილი გონებაარეული ადამიანები. თუმცა ერთი წამითაც არ დაუხევიათ უკან, არ შეუშინდნენ ბოროტის მანქანებას და წლების განმავლობაში სულიერების სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებზე ადიოდნენ. ბეთანიის მონასტერზე და მათ მიერ აღსრულებულ სასწაულებზე უკვე მრავალჯერ დაიბეჭდა ჩვენს პრესაში, გამოიცა არქიმანდრიტ ლაზარეს (აბაშიძე) წიგნიც ბეთანიის მონასტერზე, სადაც საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ამ ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამჟამად, გთავაზობთ აქამდე გამოუქვეყნებელ მოგონებებს, რომელიც თავად მამა იოანემ შეადგინა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ, რადგან, ვფიქრობთ, ის მრავალმხრივი განსჯის საფუძველს სწორედ ამ სახით იმსახურებს.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. არს ქართლში სოფელი, რომელსაც ეწოდების ერედვი. სოფელსა ამას შინა სცხოვრობდა ანდრია მაისურაძე და ჰყავდა ძე, რომელსაც ერქვა ვასილი. იყო ესე ვასილი ათთორმეტი წლისა, ოდეს წარმოგზავნა თბილისში ოჯახში ვისიმესა მსახურად.

ისმინეთ, აწ თუ ვითარ იქნა ბეთანიის მონასტრის განახლება. იყო ბერი ვინმე და სახელი მისი სპირიდონ. თვით სპირიდონ ბერი იყო ხონელი, გვარად კეთილაძე. მამასა ერქვა პეტრე, დედასა მარინე. ამ ბერმა სპირიდონმა მოისურვა ბეთანიის მონასტრის შეკეთება. სპირიდონ ბერი ბეთანიის მონასტერში ათას რვაას ოთხმოცდა თოთხმეტში, მარტის თვეში მოვიდა. გავიდა ხმა გარემოს, ბერი ვინმე მოსულა ბეთანიაში და ამბობსო: უნდა განვაახლოვო. თითონ რითი უნდა განაახლოსო, ტანთ არ აცვია და ფეხთა, საჭმელი იმას არა აქს და სასმელი, მოდიან სოფლები, უყურებენ შორიდან. გაუხდა ცოლი ავად ვანო აფციაურსა (ღვეველს), რომელიც მოვიდა და სთხოვა ბერს, რომ ელოცა იმ ვანო აფციაურის ცოლისათვის, რო მორჩენილიყო. ულოცა და მორჩა. ამიერიდან მეტი მოწყალე იყო ვანო აფციაური ბეთანიის მონასტრისა. ბეთანიის მადლითა სხვანიც იკურნებოდნენ. ესრეთ ღვთის შემწეობითა, ბეთანიის საქმემ წინ დაიწყო წასვლა. ამისა შემდგომად, ვისაც უნდოდა ბეთანიაში ბერობა, მოდიოდნენ ნელ-ნელა, სამუშაო ბევრი იყო, მუშაობდნენ მაგრად, მადლი ღვთისაო გვაიძულებდა, თუ არა სპირიდონ ბერი ხელფასს არავის გვაძლევდა. არაფერი ნოყიერი საჭმელი არა გვქონდა, კარტოფილი, ხანდიხან ლობიო და ჩაი, ხოლოდ ისიც უნდა კრი-

პუსკით. ზოგიერთები მარხულობით თავს იკლავდნენ და ისინი რა სუქან საჭმელს მოითხოვდნენ. ეხლა ისინი მოვიხსენოთ, თუ ვინ იყვნენ ბეთანიის მონასტრის შემომწირველნი: კოწია მუხრანიშვილი — 20 ფუთი ჟესტი, სოფელ ღვევიდან, ამირანიანთ ოჯახი წყლულეთიდან, თეზელაშვილები ნახშირგორიდან, ქალბატონი ბებუთოვის ცოლი — სახლისათვის მუხები, სოფელ პრიუტიდან ალექსანდროვის ოჯახი — რუსები, საერთოთ, თუ კი ვისთანმე მივიდოდით, ყველანი მოწყალენი იყვნენ, თბილისიდანაც — დეპოს მუშები, მათ შორის უფრო ივან ივანიჩი და ტოკმაჩოვ მიხაილი, ზოგიერთები ბენათიისა სახელზე მოგვინგროებდნენ ფულს და მოგვცემდნენ. ეს ჩამოთვლილი ხალხი ზოგი ფულით, ზოგი პურით გვეხმარებოდნენ... ანდრია და ძმა მისი აკურისელები, ფანჯაკიძეები. ისე კიდევ, ეგზარქოსის ნება-დართვით თბილისში, გორში, ცხინვალში, ხაშურში, სურამში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისში და ამ ქალაქების სოფლებში, კიდევ ბეთანიდან მანგლისის გზაზე აგვქონდა ხატი, ჯვარი, ქოხი გვქონდა და დღე-ღამე იქ ვიყავით ზაფხულობით, მგზავრებს ვთხომდით ფულს. კვირაში ხუთი მანეთი, ექვსი შვიდი მანეთამდე გროვდებოდა.

ეხლა კიდევ ისმინეთ ჩემი ბეთანიაში მოსვლა; რომელიც სოფელ ერედვი ვახსენე თავში და ანდრია მაისურაძე და შვილი მისი ვასილი ვიყავით თბილისში. ვხედავდი ბერი სპირიდონი რო ჩამოდიოდა და ჩემ მეგობრებთან რო მიდიოდა, იმ დროებში იბეჭდებოდა წმიდანების ცხოვრება. ვყიდულობდი და ვკითხულობდი უფრო ბერულ წიგნებსა. ჩამებეჭდა მეც ბერობის სურვილი ღრმათ, დავიწერე პირიჯვარი და შევდექი ბეთანიის მონასტრის გზაზე. ცოტა იყო თუ ბევრი ვიარე და მოვედი ბეთანიაში, გამიჭირდა მშიერ-მწყურვალეს, მაგრამ მაინც მოვედი, პური მაჭამეს და აბა, ჩემო ვასო, ეხლა მობრძანდი ჩვენთან, უნდა იმუშაოო იმ დროს აშენებდნენ სახლსა. რასაკვირველია, მივედი. ვასო, აი, ის დიდი ქვა როა, მომაწოდე, აი, ის პატარა ქვა მომაწოდე, ეხლა ტალახი მომიტანე, მეც, ხმა ამოუღებლათ. მალე დამეუჟუა ხელები, შებრალება არა სჩანს, რო ველარ აუვედი იმდენ მუშაობას. ახლა კი ვიტირე, აღარ შემიძლიან მეტი-თქვა, იმათ ჩემს სიტყვაზე გაიცინეს. ბეთანიაში რო მივედი თოთხმეტი წლისა ვიყავი, მაშინ ბეთანიის მონასტერში იყვნენ თითონ მამა სპირიდონი, დოსითე ბერი არევაძე, მიხეილ მღვდელმონაზონი მოლარიშვილი გურული, ზოსიმე ქოჩორაშვილი კუმელი სომეხი კალატოზი, დავითი ცალთვალა მეგრელი ღვაბერია, ალექსი სიდამონიძე გრდანელი, ვასო თბილისელი — გვარი არ ვიცი, იოსებ ხიზანაშვილი და მოსე ხიზანაშვილი. ვითომ ბერობდნენ, მოვიდოდნენ, ისევ წამოვიდოდნენ, ვინ იმუშავა ბეთანიაში, მოვიდოდნენ, ზოგიერთნი ისევ წამოვიდნენ. გვყამდა ხელოსანი, რომელმაც იცოდა დურგლობა და კალატოზობა, ვაძლემდით თვეში ხუთი თუმანს,

მარცხნივ — მღვდელ-მონაზონი სპირიდონი. მარჯვნივდან მეორე — ვასილ მაისურაძე (შემდგომში არქიმანდრიტი იოანე)

ეს ხელოსანი იყო ნიკოლოზ დაუშვილი, ჰყავდა მოწაფე ვანო რაჭველი, გვარი არ ვიცი.

ბეთანიის მონასტერი მიგდებულ-მივიწყებული იყო. მინამდინ სპირიდონ ბერი არ მოვიდა, ტაძარი ესრეთ მდგომარეობაში იყო. არავინ არ იყო მისი მსახური, ტყეში გახვეული ზედ სახურავზე ხეები იყო ამოსული. იყო დიდი, ქართული კრამიტითა. გუმბათი ჩახვრეტილი იყო, გუმბათის ორი სეტი გამოვარდნილი იყო, ტაძარი შუაზე იყო გახეთქილი და ტაძრის კედლები ზევიდან ჩამოშლით იყო. ტაძრის ნაწილობრივ გვერდებიც ჩამოშლილი იყო, წვიმის წყალი ჩადიოდა შიგნით, მხატვრობა ჩამორეცხილი იყო, კიდევ იყო გვერდი — კედლებზე მხატვრობა დარჩენილი, როგორც თამარ დედოფლის სურათი და მამისა და ძისა და სხვანი, როგორც ვიცით, ხუნდებიან და სადაც მხატვრობა არ იყო, ის ადგილი შევლესეთ გაჯითა. ეგაჯი დელისიდან მოგვქონდა. გამოივლიდა ბაგებსა, წყნეთსა, სამადლოსა, კვერეთსა და ჩამოვიდოდა ბეთანიაში. ეგრეთვე, მინამ დაიხურვებოდა, დიდი მწუხარება იყო. ბერი სპირიდონის გულში. რასაკვირველია, გაძნელდა, მაგრამ სუყველაფერი შევძელით. კარები არა ქონდა და ფანჯარა. თქვენ წარმოიდგინეთ, თითო ოროლა შაურით მოკრეფილმა, რამოდელა საქმე გააკეთა. შიგნით იატაკი იყო, დიდი ქართული აგურით დაგებული, სულ დამტვრეული. დავხურეთ ეკლესია, შიგნითაც გავლესეთ, კანკელი დავდგით, კარები შევაბით, ფანჯრები გაუკეთეთ. ეხლა როგორც უყურებთ, ესრეთ შევქმნენით. შიგნით იატაკი დავაგეთ. თითი-თითო, მოთხნილი ფიცრით უმადლო ნიკოლოზის სამღვდელოებამ არაფერი დაუმადლია, არც მენშევიკების სამღვდელოებამ, ერთი ჰექტარი მიწა არი იქვე, კორებზ, ისიც კი ჩამოართვეს, ჰო, ისიც ბეთანიის მონასტერსა არა ჰქონდა სახნავი მიწა, ვიმუშავეთ ჩვენ, მორჩილებმა, სახლი გავაკეთეთ, სახნავი მიწა გავაკეთეთ. ეზო გავწმიდეთ. ამ ეზოში ბევრი მიწა იყო დაგროვილი, ბევრი მუშაობა დაჰშჭირდა. ჩნდებოდა საფლავები: ადამიანისა და ძვლებს ვაგროვებ-

დით პადვალაში. ჰო, ეს დამავიწყდა თავის ადგილზე მეთქვა. ჯვარი რომელიც მონასტრის გუმბათს ადგია, თბილისის დეპოში გაკეთდა. დეპოს მუშებმავე მოიტანეს, დეპოს მუშებმავე დაადგეს. მეც ვეხმარებოდი, ვასო. ეს მუშები იყვნენ რუსები.

ეს ბეთანიის შეკეთება იმისთვის მოვიგონე და ავწერე, რომ ბეთანიას მოვიდა დიმიტრი გორდიევი, მკვლევარი; შევეკითხე: დიმიტრი პეტროვიჩ, ბეთანიის მონასტრის განახლების ისტორია როგორ იცით-მეთქი, ასე მითხრა: ვინმე იტალიელსა განუახლებიაო; მე შევეკითხე: ვინ გითხრა-მეთქი? დავითაშვილმაო; ჩამოვედი თბილისში და სიძველეთა დაცვის კომიტეტის დირექტორს შევეკითხე, დათიკო ლომაძეს, იმ ლომაძემაც აგრევე მითხრა, იტალიელმაო; ვინ გითხრათ ასეთი ტყვილი-მეთქი? — დავითაშვილმაო. მერე მე უთხარი: ბეთანიის მონასტერი არც ისე დიდი ხნის განახლებულია-მეთქი, თბილისიდან არც ისე შორს არის, თორო კარქა არ იცით განახლების ისტორია; მერე ლომაძემ მითხრა: აბა, ჩემო ივანეო, რამდენათ შენ იციო ბეთანის მონასტრის ამბავიო, დასწერეო, მეც გავიჭირვე და დავწერე. ჩვენი შრომა და წვალება, რათ უნდა მისჩემდეს იტალიელს. ჰო, ბეთანიის მონასტრის ისტორიაში დიდი დახმარება მიუძღვით კირიონ ეპისკოპოსს, ექვთიმე თაყაიშვილს, არისტო ქუთათელასა, სათავადაზნაურო შკოლის მასწავლებელსა.

ეხლა როდესაც გაკეთდა ყველაფერი, სხვადასხვა მიზეზების გამო დასტოეს მონასტერი და წავიდნენ სხვაგან. დავრჩით სპირიდონ ბერი და მე, ვასილი და მეც უკვე კენჭში გასავლელი ვარ, ვეთხოვები ახლა მეც ბეთანის მონასტერს, რჩება მარტი სპირიდონ ბერი და ერთიც ცალთვალა დავითი, მეგრელი მოხუცებული. ეხლა უკვე მეც უკვე ვეთხოვები ბეთანის მონასტერსა. მომცა სპირიდონ ბერმა ათი მანეთი და დამწერა ჯვარი და განმიტევა ლოცვა-კურთხევით. მეც დავიწერე პირიჯვარი, ვეთხვიე ხელზე და ვაკოცე მონასტრის კედლებს და წავედი. ბეთანის მონასტერში მოვედი მე, ვასო მაისურაძე, ათას რვაას ოთხმოცდა ექვსში, ეხლა უკვე მივდივარ ათას ცხრაას სამში. ეხლა მივდივარ ცხინვალში, კენჭის ამოსაღებლათა. შევედი როგორც სხანი. ეხლა მივიდა რიგი. უნდა ბერმა ამოიღოს კენჭი. ყველანი ინტერესით იყურებიან, აბა ბერს ერგება, თუ არა? მერგო ჯვარში წასასვლელი კენჭი, ყველას გაუხარდა, ყველამ გაიცინა. ახლა გაშინჯვამ მოიწია, გამშინჯეს, დამიწუნეს, არ ვიყავი ჯანმთელი, მომცეს სრული თავისუფლობის ბილეთი, თეთრ ქაღალდზე დაწერილი. ახლა ვინაიდან სპირიდონ ბერმა შეხედა, რომ აღარავინაა მონასტერში, მაშინ გლეხი კაცი შემოუშვა საცხოვრებლათ წყლეთიდან, გიორგი თხელაშვილი... მე, ვასო მაისურაძე ცხრაას სამში წავედი მთაწიდას ე.ი. ათონში, მოვბრუნდი სამშობლოში ცხრაას ოცში. ცხრაას ოცდაორში მომიხდა ისევ ბეთანიაში მოსვლა. ეს 4 გლეხი, რომელიც სპირიდონ ბერმა შემოასახლა, წავიდა თავის სოფელში.... მამა სპირიდონმაც შეხედა, ცხოვრება გაუჭირდა, წავიდა თავის სამშობლო ხონში და იქიდან ციხეში და ესრეთ დასრულდა სპირიდონ ღვდელმონაზონის სიცოცხლე.

ცხრაას სამში მე უკვე მივდივარ ათონის მთაზე, ავიღე ჩვენი მთავრობის ნებართვა, ესე იგი ბილეთი, ჩავედი ბათუმში, თათრის კონსოლმა შემიმოწმა ბილეთი და ჩავჯექი იტალიის დიდ პარახოტში და მივდივარ ტრაპიზონის მხრივა. შემიღონდა გული, რომ დავტიე სამშობლო, მეტირება, ჩემი გულისთვის ვინ მოაბრუნებს უკან პარახოდს. როგორც უნდა ვსთქვათ, ახალგაზდა ვარ, ოცი წყლისა ვარ, მარტო ერთი ქართველი პარახოდში, მენანება სამშობლოს დატოვება. მეხუთე დღეა ბოსფორში რო შევდივართ. პირველი **საელჩო სახლია, რუსეთის მარჯვნივ, ახლა ბევრი სხვა სახელმწიფო ელჩების სახლებიც**

ათონის მთის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ქართველთა სავანე

არიან, თითონ სულთანის საზაფხულო სახლიც. მივცურავთ ჩვენი დიდი პარახოდითა, ყველანი პარახოდის ბანზე არიან ამოსულები, იყურებიან აქეთ-იქით, შევედით ნამდვილათ სტამბოლში. ახლა ჩვენი პარახოდიცა ჩადგა თავის დანიშნულ ადგილს. დიდი გრძელი სანავთ სადგომი, მოსაწონი, ახლა ჩამოვდივართ პარახოდიდან, გვიშინჯამენ პასპორტებსა, გვკითხამენ, სად მიდიხარო, პანტელეიმონის პოდვორიაში, ეს პოდვორია ათონის მთაზე, რუსი მონასტერი არი და მისია. წამიყვანეს, ჩამაბარეს ამ რუსის პადვორიას. ამ პანტელეიმონის მონასტრის პოდვორიაში ჩამოსულიყო ათონიდან ვენედიქტე იღუმენი, გვარათ ბარკალაია, თანა ჰყამდა ბერი დანიელი. შეშჩიოდა ოსმალოს და რუსეთის საელჩოს რაიმე ყურათ ღება მიექციათ მისთვის, რომ ათონზე რო ივერის მონასტერია, იცნონ საქართველოს მონასტრათ. რასაკვირველია, ეს მე არ ვიცი, რა პასუხს აძლევდნენ; ეს ჩივილი პირველი არ იყო ვენედიქტე ბარკალაიასი. მთელი საქართველო შესძრა, რუსეთის მთავრობა, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. ეხლა რო მე, ივანე ბეთანის

გეთანიის მონასტერი

მორჩილმა ვნახე სტამბოლში, ეს იმისი უკანასკნელი შეჩივლა იყო და არც ახლა რამეს მიახწია და ჩამოვიდა ათონში და ათონიდან უკანასკნელი სასოდაკარქულმა წამოვიდა საქართველოში. ესრეთ დასრულდა ვენედიქტეს ჩივილი ათონის იერის მონასტერზე.

ეხლა კიდევ, როგორც ჩვენ, საქართველო რუსეთის ქვეშევრდომნი, პანტელეიმონის მონასტრის პოდვორია პატრონობას მიწევენ. მოვიდა რუსის პარახოდი და რომელიც მიდის პირდაპირ ათონში, მითხრეს რუსმა ბერებმა, აბა, ახლა ათონში მიდის პარახოდიო და წავედითო. წამიყვანეს, ამიღეს ბილეთი და ჩამსვეს საღამოთი და გათენდა და მივედით დარდანელში. იქ საღამო ჟამამდის დარდანელში იდგა. საღამო ჟამს უკვე წავიდა ათონისაკენ. გავედით დარდანელსაც, მივდივართ ათონისკენ, გამოჩდა ერთი დიდითევზი და გაუძღვა პარახოტსა, თითქოს გზის მაჩვენებელი იყოსო, იმას მეორე მიემატა. დიდი ხანი იცურეს პარახოტის წინა, თითქოს გვართობდნენ. ესრეთ მივცურდით ათონის ნავთ სადგურში; ღამეა უკვე, შემოვიდნენ პარახოდში სამი ბერი: ერთი პანტელეიმონის მონასტრისა, მეორე ანდრიას სკიტისა, მესამე ილიას სკიტისა. იძახოდნენ: კტო პანტელეიმონა, კტო ანდრეივსკ, კტო ილინსკის. ვინ სად უნდა წასულიყო, ის მას წაყვებოდა. მე ივანე პანტელეიმონის ბერს მოვკიდე ხელი. პანტელეიმონის მონასტერსა ჰქონდა პატარა საკუთარი პარახოდი და ჩამსვეს თავის პატარა პარახოდში, როგორც მე, ისე სხვები. პანტელეიმონის მონასტერი, შეიძლება ითქვას, სამი კილომეტრით იყოს ნავთსადგომიდან. მივედით, ღამეა, არ ვიცი რამდენი საათი იქნებოდა, მიგვრეკეს სასტუმრო სახლში, მიგვიღო მესტუმრე ბერმა, გაგვიმასპინძლდა, მოგვასვენა, დარეკეს ცისკრის ლოცვა. წაგვიყვანეს ეკლესიაში, გვალოცეს. გათენდა, წირვაზე დავესწარით. წირვა გათავდა, ტრაპეზში შევედით. ტრაპეზი დიდია, მთელი ტრაპეზი დახატულია. ტრაპეზი რო გათავდა, ისევ ეკლესიაში შებრუნდნენ, გმადლობი იქ, ეკლესიაში გადიხადეს. მერე მე გამოვედი მონასტრის გარეთ, შევეკითხე ერთ ბერს, ქართველების მონასტერი სად არი. ქართველებს მონასტერი არა აქვსთო. მაშ, რა აქვსთ — ქილიო. ეს ქილი სახელწოდებაა. ეს ქილიარი სამი, ოთხი ან ხუთი კაცის საცხოვრებელია. ვკითხე, სად არის მეთქი, შორს არისო, ოცდახუთი ვერსიაო, გზა ვკითხე, მიჩვენა. დავადექი ამ გზას და მოვედი, პატარა ბაზარია, დიდი აღმართი იყო ძველ რუსიკონშიც, გამოვიარე ამ პატარა ბაზარში, ვნახე ბერი ვინმე, ვკითხე ქართველების მონასტერი, გამომყვა, გზაზე დამაყენა, დამანახვა, ჯერ კიდევ შორს ჩანდა, მაგრამ შორიდანვე მომეწონა თითონ მონასტერი ივერია და სადაც ქართველების ახალი მონასტერია, ოცდაათი კაცის საცხოვრებელი. ბათუმიდან აქამომდის ქართველი კაცი აღარ მინახამს, ვჩქარობ, მინდა, ჩქარა ვნახო ქართველები. ვნახე, გავიხარე, ამ ქართველ ბერებსაც გაუხარდათ ჩემი ნახვა. ესენიც მონატურნი არიან ქართველი კაცის ნახვას. მართალია, ვნახე ქართველი ხალხი, მაგრამ გული მაინც იძახის — დედა მინდა. ვტირი, დედა მინდა, ესე იგი სამშობლო. დავწყნარდი, მაგრამ სამშობლოს მაინც რა დამავიწყებს. ახლა ჩემს თავს სასუფეველში ვგრძნობ, მაგრამ მაინც დედა მინდა. რა ვქნათ, რაც მოხდა მოხდა. მაინც ჩვიდმეტი წელიწადი გავატარე ამ ტყეობაში.

ჰო, მართალია, ვენედიქტე ბარკალაიამ დასტოვა ბერძნებთან ბრძოლა, მაგრამ ახლა მამა იონამ წამოავლო ხელი.

გაგრძელება
იხ. შემდეგ ნომერში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბეჭდვის, გაზების გაუფრთხილებლობით მასში დაშვებული მასალების გამო
გთხოვთ, დაუკავშირდეთ გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კონანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო.
220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მთოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგი კურსელიძე, გაგრეცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: კალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

იოანე მაისურაძე ათონელი, ბეთანიელი არქიმანდრიტი

1955 წლის 10 ნოემბერი

XX საუკუნის 20-50-იან წლებში ბეთანიის მონასტერში მოღვაწეობდნენ ქართული ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილნი: არქიმანდრიტი იოანე (მაისურაძე) და არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე). ამ ადამიანებს მეტად მძიმე და არეულ პერიოდში მოუწიათ მოღვაწეობა. მათი სიცოცხლე ბევრჯერ დადგა საფრთხის ქვეშ, მრავალგზის დაარბიეს, გაძარცვეს და მოსვენებას არ აძლევდნენ ხელისუფლებისგან მიგზავნილი გონებაარეული ადამიანები. თუმცა ერთი წამითაც არ დაუხევიათ უკან, არ შეუშინდნენ ბოროტის მანქანებას და წლების განმავლობაში სულიერების სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებზე ადიოდნენ. ბეთანიის მონასტერსა და მათ მიერ აღსრულებულ სასწაულებზე უკვე მრავალჯერ დაიბეჭდა ჩვენს პრესაში, გამოიცა არქიმანდრიტ ლაზარეს (აბაშიძე) წიგნიც ბეთანიის მონასტერზე, სადაც საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ამ ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამჟამად, გთავაზობთ აქამდე გამოუქვეყნებელ მოგონებებს, რომელიც თავად მამა იოანემ შეადგინა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე.

გაგრძელება

დასაწყისი იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“№25

ივერიის მონასტერსა მოსკოვში ქონდა შემოწირულობა და ივერიის მონასტერი შვიდ წელიწადში ერთხელა სცვლიდა მოსკოვში მოსამსახურეებსა. ეს შვიდი კაცი უნდა ყოფილიყო, ესე იგი ბერები. ამ დროს უპოვიდა მამა იონა დროსა და გადუდგებოდა გზაში ამ ივერიის მონასტრის გაგზავნილ ბერებს მოსკოვში. სტამბოლში რო რუსეთის საელჩო იყო, ამ საელჩოს უნდა სჩვენებოდნენ და ნებართვა აეღოთ მოსკოვში და ისე წასულიყვნენ. ამ დროს საელჩოში დახვდებოდა მამა იონა და საელჩოს შეჩიოდა, ივერიის მონასტერი ქართველებისა არიო, უბრძანე ან მონასტერში ძმათ მიგვიყონ, ან სადაც ვართ, სკიტობა მოგვცენო. ესრეთ საელჩოც აწვალებდა დიდხანსა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდოდა. მამა იონას ეტყოდნენ, არაფერს არ იძლევიანო და ერთხელაც იმდენი ხანი არ გაუშვა საელჩომა, რომ უკან მობრუნდნენ, ათონში. ივერიის მონასტრის ბერების პასუხი ის იყო, ქილიოტები არიან და მორჩა და მოისვენაო. მონასტერი ჩვენია, ვინცა ვართ მონასტერშიო, რასაკვირველია, აქ. ბერძნები ქრთამით კაცით და თავიანთ სურვილს მაინც ასრულებდნენ. ესეთი შენთხვევა სამჯერ მოხდა ჩემს იქით ყოფნას. ბერძნებიც თავიანთ დროს უცდიდნენ. როცა მამა იონა მოკვდებოდა, მერე თავიანთსასა იზამდნენ, ან ქილიოტი ან განდევნა. მაშინ უკვე ძალა აქთ, თუ არა ისე სამართალი არ მისცემს ნებას რო გამოვერეკეთ. ჩამოიარა ისპანკამა და მოკლა მამა იონა. ჩვენ მონასტერს არ შევატყობინეთ. როდემდინ იქნებოდა ფარულათ. გაიგეს მონასტერმა, ამოვიდნენ, შეგვეკითხნენ, რატომ არ შეგვატყობინეთო. ჩვენ უთხარით, თქვენ მაინც არ გიყვარდათ მამა იონა. აბა, ოც დღეს გაძლემთ დროსაო, იფიქრეთ და დაგვემორჩილეთო. ჩვენ ამ ოც დღეშიც არაფერი პასუხი არ მივეცით. ამ დროსაც მენშევიკები გამოეყვნენ რუსეთსა. მენშევიკებმაც, რაც მამულები ქონდათ საქართველოში, სულ ჩამოართვეს ივერიის მონასტერსა და ახლა რაღას მოგვეხათრებიან, იფეთქესდა. აბა, დაგვესხნენ თავსა. ათონის მთაზე ოცი თვით უფლებიან მონასტერია. ამ მონასტრებსა საერთო კრება აქვსთ და სამართალი. ეს ჩვენ შესახებ წარუდგინეს კრებას, ქართველები არ გვემორჩილებიანო და ჩვენ საერთო კანონი გვაქს, რომ უნდა განიდევნენ. აბა, ვინ იტყოდა უარსა, მაგრამ იქაც ისხდნენ ანა და კაიაფა და იმათთან ისხდნენ იმათი მსგავსები. ათონში მითხრეს მე, როდესაც ივერიის მონასტერში ქართველი ბერები შეცოტავდნენ, ორ ბერზელა დადგა, მაშინ მთელი მონასტრის საბუთები ჩააწყეს რკინის სკივრში და რომელიც ზემოთ ვახსენე, ათონის საერთო კრება და სამართალი, ამათ მოუტანეს და ჩააბარეს ეს მონასტრის საბუთები და გასაღებები. როცა ქართველები მოვიდნენო, მიეცითო. უეჭველად ხელწერილსაც ჩამოართმევდნენ, მაგრამ ვინ იცის, სად არის ეს ხელწერილი. უმისოთაც კარქა იციან, რო ივერიის მონასტერი ქართველებისაა, მაგრამ მაინც საჯეს, ჯვარს აცვით, ჯვარს აცვით ქართველები, ეს უსამართლება ჩვენზე და მთელი ათონის მთაზედა. რასაკვირველია, მთელი მათი უსამართლო დადგენილება მოიტანეს ივერიის ბერებმა და გამოგვიცხადეს. ჩვენ არ მივილეთ, მაგრამ ეხლა კი მიდგა იარაღის ძალაზე საქმე. მოუწოდეს მილიციას ვინტოვკიანებს. ხომ მილიციონერებს ჩვენ შევშინდით და გაუღეთ კარები. მერე როგორც მათ უნდოდათ, ჩამოგვართვეს ყველაფრის კლიტე-გასაღები და თუ ვინმე გარეთ გამოვიდოდით, სახლში

არქიმანდრიტი იოანე

მარცხნიდან - უცნობი ბერი, იღუმენი იოანე და მღვდელმონაზონი გიორგი 1920-იანი წლები

აღარ გვიშვებდნენ. ისეთ გუნებაზე იყვნენ, ერთი ცოტა და დარტყმის გუნებაზე იყვნენ. რას ვიზამდით, უცხო ქვეყანაში მთავრობა იმათია — სასულიერო და სახორციელო. ესეთი ავაზაკობა მოახდინეს ათას ცხრაას თვრამეტში, ცხრა მარტსა. უთხარით, აღდგომა მაინც გავათენოთ ჩვენს სახლში, მაგრამ არც ის ინებეს. მერე მე უთხარი, მე რო ჩვენში ბერძენს დავინახამდი—მეთქი, ისე გამეხარდებოდა, მეგონა ანგელოსი ვნახე-მეთქი; თქვენ როგორი ხალხი ყოფილხართ. ბერძნები ჩვენში ნახევარ მილიონი ხალხი ცხოვრობს, ჩვენ ოცი კაცი, ისიც ბერები, ბერებმა რა უნდა დაგიშავოთ. მაინც მათი გული იყო მოშხამული, რომ ივერიის მონასტერი საქართველოსი არი, ისე იყვნენ შურით დამხეჩვალები, რო აღდგომა რო ჩვენ სახლში გაგვეთია, ისიც ვეღარ გაგვიშვეს. თორნიკე ერისთავმა მთელი სახელმწიფო გაუმთავისუფლა და ეს ივერიის მონასტერი ააშენა, ესეც ყიდვითა, რას ვიზამთ, მოგვერივნენ. თავიანთი ქვეყანაა. არაფერი არ წარმოიდგინეს, სულ გამხეცდნენ. ასე იყო ჩვენს თავსა. რაც უნდოდათ, თვითონ ითვისებდნენ, დარჩათ სრულობით ახალი ეკლესია, სრულობით მოწყობილი. ამ ეკლესიაში დარჩა, რომელიც მთელი ათონის ლატარიაში გვერგო. ამ ხატის ისტორია ასეთია. ამ ათონის მთასა აქს პატარა ბაზარი, ესე რომა, ამ ბაზრის გარშემო მთელი ათონის ოც მონასტერსა აქთ სახლები თავიანთი, საერთო. სასამართლო მთავრობიდან დანიშნული კაციც აქ იმყოფება. ამ პატარა ქალაქში აქთ საკრებულო ეკლესია. ამ საკრებულო ეკლესიაში აქთ ძველი ღვთისმშობლის ხატი. ეს პატარა ქალაქის მაცხოვრებლები აღდგომის მეორე დღეს აასვენებდნენ და მიულოცამდნენ ახლო-მახლო მცხოვრებსა. ეს ხატი ძრიელ სიძველე ეტყობა. აღარ უნდათ რო ატარონ. მოილაპარაკეს და სხვა ახალი ხატი გააკეთეს, უფრო პატარა. ეს ახალი გაკეთებული ხატიც აღარ მოეწონათ. ახლა ლატარიაში უშვებენ, მთელი ათონი ხელს აწერს. ეს ხატი შევერცხლით, თორმეტ-ცამეტი ვერშოკი სიმაღლე, ათი ან მეტი, ან ნაკლები. ეს ხატი ჩვენ, ქართველებს გვერგო. არ შეგვატყობინეს კენჭის ამოღების დრო. ჩვენმა ერთმა ბერმა აიჩემა: დღეს კარიაში უნდა წავიდეო. ჩვენ ქართველებისაგან არ არი ისე შორსა. რო მივიდა ამ საკრებულო ეკლესიის ეზოში ჩოჩქოლია რაღაც. თურმე ამოუღიათ კენჭი, გვრგებია ჩვენ, ქართველებსა და აღარ იძლევიან. იძახიან ქილიოტიაო, პანტელეიმონის მონასტრის ბერმა წასტაცა ხელიდან და იძახის: „ქტი ზდეს გრუზინ.“ ეს ქართველი ბერი რო წავიდა თავის ნებითა კარიაში, ამან მიირბინა ბერთანა: „ია ზდეს. გრუზინ ნა ციბე იკონ ბოჟი.“ უნდოდათ ბერძნებსა წაერთმიათ, მაგრამ ვეღარ დაეწივნენ, მორბის ჩვენი ბერი, მოაპრიალებ იძახის ჩვენია ღვთისმშობელიო და ეს ღვთისმშობლის ხატია ჩვენს სავანეში, რო დავტოვოთ სხვა კიდევ კარქი ნახატი ხატები საკურთხეველში ჭერში: ადიდებს სული ჩემი უფალსა, მიძინების, წმინდა გიორგისა და სხვანი ბევრი კიდენ გვერგო. ბარძიმი ღვთისმშობლის ხატის წინ ისიც იქ დაგვატოებინეს. იმის მერე აღარ მიგვიღეს ლატარიაში. ეკლესია კიდევ კანელები, სახლები ზეით სართულში, ხუთი საცხოვრებელი ოთახი, ერთი სტუმრის მისაღები ოთახი და საძილო. ერთი კიდევ სტუმრის მისაღები ოთახი. საწინამძღვრო ოთახი ეკლესიის ქვეშ. ათი ოთახი ქვეით სართულში, ათი ოთახი ბალკონების ქვეშ, ხუთი ოთახი პატატირად წოდებული, ესე იგი საწნახელი, ზეთი იწურებოდა. ყურძენი გვედგა ამ პატატირში და ხორბალს ვინახამდით (რკინის ზეთის სახდელი დიდი ბოჩკა, ყურძნის საწურავი, არყის დიდი საქვაბე იქვე დარჩა). კარქი გაჭიმული სახლია, ერთსართულიანი, მხოლოდ მაღალი. ორი ოთახიც იმაზეა მიდგმული. მეორე — ძველი ეკლეს ისიც გამოწყობილი, ფურნე, ძველი სახლები და მას შინა სასეფისკვერე, იქვე ჩაი წყლის სადუღარი. ამ ძველ სახლებში საჯორე და სათივე, პადვალი და მისი მომართულობა, ბოჭკები, ჭურები, ტრაპეზი თავისი სტოლებით, საკუჭნავო თავისი ბოჭკებით და თავისი ზანდუკებით, სამზარეულო, ფეხის ადგილი მსგავსი ბაშნისა, საბოსტნეები, ზეთის ხილები ცხრა ასი. ვაზი, რომელიც ჩვენ გვყოფნიდა. წყალი გვქონდა შორიდან მოყვანილი, ერთი ვერსი მეტი იქნებოდა ხის გათლილ ღარებზე. ეს რო რკინის მილებით მოგვეყვანა, მონასტერი არ იძლეოდა. ვინაიდან ჩვენ, ქართველებს და ივერიის მონასტრის ბერძნებსა არა გვქონდა ერთი მეორეში თანხმობა. მაგისთვის ისინი აღარ გწყალობდნენ. ეკლესია გვქონდა საკურთხი, მღვდელი გვყამდა საკურთხი, არ გვიკურთხევდნენ. ეს საქმე უნდა მომხდარიყო მონასტრის ნებართვით. კიდევ ყოველ წლიურად უნდა შეშა მოეცათ ხოლმე და როგორც არ ვიყავით ტკბილათ, არც შეშას გვაძლემდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს შემოვიდა ერთი რუსი ოფიცერი სამოცი სალდათითა. ბერძნებს სულ დაუბნია მთავარი გონება. ჩვენ ქართველებმა შევთხოვეთ, რომ მონასტ-

რისათვის ებრძანებინა, რომ მონასტერს ეკურთხებინა ეკლესია და მღვდელი და შეშა მოეცათ. მაშინათვე დაიბარა და უბრძანა, აბა, ქართველები ასე თხოულობენო: „ბეზ რაზგავორა.“ ეს ოფიცერი იყო ლიტველი დიჩი. გვიკურთხეს ეკლესია, მღვდელი, მოგვცეს შეშა, მაგრამ როცა ოფიცერი წავიდა, მეორე წელს აღარ მოგვცეს შეშა. პირველი მსოფლიო ომის დროს შემოგველია სახარჯო და ივერიის მონასტერსა ყამდა ორისამი ქართველი თავიანთ ხარჯზე მონასტრის გარეთ და რომელიც იყო ილია ფანცულაია. ამ ილია ფანცულაიამ დაგვეხმარა და ივერიის ბერებისაგან გვასესხებინა სამასი ოქრო. ამ ივერიის ბერებსა ერქვათ: ერთსა გრიგოლიოს, მეორესა პართენი. გრიგოლისა იყო ორასი და პართენისა ასი. ამათ ორთავეს დაეკარქათ, გამოგვრეკეს და ვიღა მისცემდა. ეს სავანე როცა იყოდეს ქართველებმა, სამასი ოქრო მისცეს თურმე.

ამ ახალი სავანის ყიდვაც ასე მომხდარა. იმერეთიდან ვითომ წასულიყვნენ (მგონი უფრო მეგრელები) იერუსალიმში. იერუსალიმიდან გამოუვლიათ ათონში და ივერიის მონასტერში ყოფილა იმერეთის მეფის სოლომონ მეფის ნამოძღვრალი ვენედიქტე და ამ ვენედიქტეს რჩევით უყიდიათ ეს ახალი იოანე ღთისმეტყველის სავანე. ჩვენებს როცა ათონში შკოლა ქონიათ, ვითომ ეს იოანე ღთისმეტყველის სავანე ყოფილიყოს შკოლადა და ვითომც შოთა რუსთაველიც აქა ყოფილიყოს, ივერიის ბერძნის ბერმა ასე სთქვა. ივერიის მონასტერმა რო გამოგვრეკეს, პანტელეიმონის მონასტერსა ვთხოვეთ სადმე თავშესაფარი და მოგვცა წმიდა სტეფანეს ქილი, კარეის ახლო, მხოლოთ გადასახადის ქვეშ, მხოლოთ მარტო სახლები. ბერძნები ახლა იმის ცდას შეუდგნენ, რო ათონის მთაზედ არ ვიქნეთ. წარმოუდგენელია, თუ ვითარ მწუხარებაში და უნუგეშოთ, ვინც იქ დარჩნენ. მამა იონა რო არ მომკვდარიყო — აპირობდა დამორჩილებასა ბერძნებზე, ასე იგი ივერიის მონასტერზე. ჩვენ რო გამოგვრეკეს ბერძნებმა, ეს ამბავი გაიგო ჟორდანიამ და ორი კაცი გაგზავნა ათონში შესაკითხად და შეეკითხნენ: თურმე ქართველი ბერები რათ გამორეკეთო და პასუხი ასეთი იყო, კანონს არ ემორჩილებიანო. ეს იყო და გათავდა სუყველისფერი. რაში იყო ეს კანონის დაუმორჩილობა აღარც ის იკითხეს და აღარც სხვა, გამოიქცნენ და მოვიდნენ საქართველოში. არც აქედან გამოგვიარეს და არც იქიდან. ასრე გათავდა ჩვენი ამდენი მწუხარება. დაღაცათუ ძრიელ გულით მიყვარდა სამშობლო, მაგრამ მაინც არ წამოვიდოდი, რო არ გამოვერეკეთ. ბევრი რო არ ვილაპარაკო, უკვე ვქენით პირი საქართველოსაკენ. ილია ფანცულაია იყო უკვე ჩვენი ამ გზის წინამძღვარი. წამოვედით საქართველოში: ილია ფანცულაია, ივანე მაისურაძე, პეტრე აბაშიძე, იოაკიმ რამაზაშვილი, გიორგი მორჩილაძე, მელეტი თოფურია. ჩამოვედით საქართველოში ატირებულნი, გამოდევნილნი, გვგონია ვინმე ცრემლს მოგხოცამენთქვა. ჟორდანია თურმე ისიც მდევნელია ეკლესიებისა და ის რა ცრემლებს მოგვხოცამსა და ავირჩიეთ ვითომ არმაზში ცხოვრება, მაგრამ ვისაც გონება მახვილი ქონდა იმან არ ინება არმაზში ცხოვრება და ვინც გონება მარტივი ვიყავით, დავრჩით. ეს დამავიწყდა თავის ადგილზე მომეგონა. სავანის წიგნები ჩავაბარეთ ანდრიას სკიტესა, მხოლოთ აღურიცხავათ. ერთი წიგნი გვქონდა, სახელად თვენი ანუ გულვანი, სამათ შეკრული, გელათიდან ნათხოვარი. ეს კი ჩვენთანა გვქონდა ხელით ნაწერი იყო, ვინ იცის სად არი. ილია ფანცულაია ივერიის მონასტრის ბერათ ითვლებოდა და იმან კიდევ დასტოვა თავისი ბინა, რომელიც იყო მონასტრის გარეთ. ილია წინასწარმეტყველის პარაკლისათ წოდებული. ესრეთ ერთსა და იმავე დროს განთავისუფლდნენ ივერიის ბერძნები ქართველების რყევისაგან, შევიდნენ ნავთ საყუდელში, იშვებენ და იხარებენ მრავლითა სიხარულითა. ვინღაა მათი შემწუხებელი. როგორცა ვთქვი, ილია ფანცულაიამაც თავისი საკუთარი წიგნებიც ანდრიას სკიტესა ჩააბარა.

ახლა უკვე არმაზში ვართ: მე, იოანე მაისურაძე ღვდელმონაზონი, ათონში ძალით ნაკურთხი დიჩისაგან რუსის ოფიცრის ბრძანებით, იოაკიმე მთავარდიაკონი, პეტრე აბაშიძე. ვნახოთ, გარბის ჟორდანია საქართველოდან. შემოდიან უკვე ბოლშევიკები საქართველოში. აიღეს საქართველო, დაბანაკდნენ, ცხეთის სტანციაშიაცა არის ჯარი ბოლშევიკისა. არმაზში ვართ, ვნახოთ კარებსა რეკავენ, გავაღე კარები, ოთხი ვინტოვკიანი სალდათები. რა გინდათ? — პური. მივეცი პური. გზა გვიჩვენეო, მივდივარ წინ, მოდიან უკან. გავარდა ვინტოვკა, მომხვდა მარცხენა ბეჭის ბოლოში, გაიარა გვამი, წამომხეთქა პირიდან სისხლმა, ვაიმე მომკლეს, მომკლეს-მეთქი. გავჩანჩალდი, იმ ღამეს ტყეში ვეგდე, სიკვდილს ველი, გათენდა, ცოცხალი ვარ, კიდევ ავდექი, წამოვედი ცხეთაში. ჩემზე წინ ჩემი ამხანაგი ჩამოვიდა ცხეთაში, ისიც თავშია დაჭრილი.



არქიმანდრიტი იოანე და იღუმენი გიორგი

ეუბნევა ცხეთელებსა, წადით, ივანე მოკლეს, დამარხეთო. მე ივანე ცოცხალი ჩამოვედი ცხეთაში. სამი თვე სახლში ვიწექი, არ მოვკვდი, წამიყვანეს საავათმყოფოში, ჩირქით ვიმსებოდი. მომარჩინეს, ორჯელ ოპერაცია მიყვეს. რო ვრჩებოდი, ახლა ტიფი დამემართა სავათმყოფოში. ესეც გადავიტანე, მოვრჩი, აღარ წავედი არმაზში, არამედ წავედი მამა ანტონში ცოტა ხანი და ამოვიდა მარტყოფის საბჭო და გამოგვიცხადა, არ გვინდიხართო, სადაც გინდათ წადითო. ვაი ჩემს უბედურებას. ეს ერთი კაცი ველარ დამიტია ქვეყანამა. ჩამოვედი თბილისში, შევეფარე ამბროსი კათალიკოს. ეს ამბროსი კათალიკოსიც თავის სახლშია დაკრძალული, გარეთ გამოსვლის ნება არა აქს. ვიღაც ღამით შემოიპარა სასახლე ეკლესიაში, მოგვიკიდა ცეცხლი, ესე იგი როდესაც იყო ეგზარხოსისა. ახლა მივდივარ ბეთანიის მონასტერში ილია ფანცულაიას სანახავათ. თურმე სპირიდონ ბერს აღარ უნდა ბეთანიაში ყოფნა და ამბროსი კათალიკოსისათვის განცხადება მიუცია, მე აღარა ვდგები ბეთანიაში და ვინც გნებავს, გაგზავნეო. ამბროსი კათალიკოსმა ილია ფანცულაია გაგზავნა. ილიამ ჩაიბარა ბეთანია. მე რო ილია ვნახე. ილია გატყუებენ-მეთქი. მაინც ისე იქნა და მე რო ილიამ ბეთანიაში მნახა, მითხრა, დღეს აქ მომიცადეო და თბილისში საქმე მაქსო და ხვალვე ამოვალო. მართლა ამოვიდა, მაგრამ ჩემი დაგლეჯილი ლოგინი ბეთანიაში მომიტანა. მამა სპირიდონი ახლა წავიდა მონასტრიდან, მაგრამ ახლა გარედან იბრძვის რო ჩვენ არ დავრჩეთ მონასტერში, არამედ დავსტოვოთ მონასტერი და წავიდეთ. ეს სპირიდონ ბერსა ჯიშათ სჭირდა, ჯერ გადასცემდა სხვასა და მერე ჩივილით უნდა დაებრუნებინა მონასტერი. ილია ბერსაცა აგრე უყო. რომელი გლეხიცა რო სპირიდონსა ყამდა ჩასახლებული, წინათვე აჩივლა ის გლეხი და რაც გადასცა ილია ბერსა ისევ უკან ჩააბარა ამ გლეხსა, თვინიერ ეკლესიისა. ილია ბერმაც ბევრი არ იდარდა, როგორც იყო, სუყველთვის უკუღმართი და გაიძვერა, ადგა და წავიდა მრევლში მანგლისის ახალსოფელში. მე კი ჩავრჩი ბეთანიაში. ბევრი მებრძოლა მამა სპირიდონი, უნდოდა მეც წავსულიყავი, მაგრამ მე უკვე მთავრობამ ჩამაბარა, როგორც ძველი ნაშთი. მე ვეუბნებოდი, მოდი როგორც მამა-შვილი ვიყვნეთ ერთათ, მამა-შვილურათ, ბერულათ. თუ მაშინ გინდოდი, როცა დიდი მუშაობა იყო, ახლა აღარ გინდივარ. არა მე აღარ უნდივარ, არამედ გლეხი და სწორეთ ამბროსი კათალიკოსთან შეასმინეს რომაო გლეხი ჩამოასახლაო და ამისთვის კათალიკოსმა აყვედრა და სამაგიერო უნდოდა გადაეხადა კათალიკოსისათვის, მაგრამ არ წაუვიდა მოხერხებულათ საქმე. წავიდა თავის სამშობლო ხონში და იქედან ციხეში და იქედანაც საიქიოს და მე იოანე ბერი და ეს გლეხი მაცხოვრებელი. ამ გლეხ მაცხოვრებელს არ უნდოდი, რომ ბეთანიაში დავრჩენილიყავი, მიჩივოდა, მაგრამ მთავრობამ თითონ გლეხი გაიყვანა მონასტრიდან. დავრჩი მე, ივანე ბერი. მომემატა გიორგი ბერი მხეიძე მეთოდის ძე, კახეთის ხირსის ბერი, წმიდა სტეფანეს მონასტრისა. მამა გიორგი მოვიდა ათას ცხრაას ოცდაოთხში, მე კი მეორეთ რო მოვედი — ათას ცხრაას ოცდაორში მოვედი და ამ რიცხვის მერე ბეთანიის მონასტერში ვართ. მრავალი გაჭირვება გავიარეთ, რამდენჯერ გაგვრცარცვეს, რამდენჯერ აგვაწიოკეს, თუ ფუტკარი, თუ სახლში, თუ ძროხები, თუ მწყემსები. ძრიელ სულ მოკლებაში შევარდი. თუ მამა გიორგი არ მყოლიყო განმამხნევებელათ, აღარ შემეძლო ბეთანიაში დარჩენა, მაგრამ ჩემთვის სუყველგან ძნელი გახდა. ღმერთო, ამიერითგან მაინც მშვიდობა მომადლე, იყავნ, იყავნ!

იღუმენი გიორგი

იოანე მაისურაძე ათონელი, ბეთანიელი
არქიმანდრიტი
1955 წლის 10 ნოემბერი

მადლობას გუხდით მამა ნონ მადრი ვადაჭკორიას კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ყაზბეგსა და ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტოების მოწოდებისთვის.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, ვაზელის ვაუფრთხილდეთ ვასში დაბეჭდილი ვასალების ვავო
გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი, კრწანისის შე 2 ფილიალი, ანგარიში № 3600851555 შფო.
220 101 406 მიმღები: სმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: გრიგოლ II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98 95 41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
საredაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (თუმანიშვილი), მამამ გაგუა, მამა გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახანაშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახანაშვილი, ნელი ცერცვაძე, გავრილეტა: ცარა ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი; ოპერატორი: ნოდა კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი ბესარიონ ვაშაძე 1869-1937

დეკანოზი ბესარიონ ვაშაძე 1869 წლის 15 თებერვალს ჭიათურაში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. მამამისი — იაკობ სიმონის ძე ვაშაძე მღვდლის შვილი გახლდათ, იყო საშუალო ტანის კაცი, მოხდენილ წვერ-ულვაშს ატარებდა და წიგნიერი ადამიანი ყოფილა. დედა — პელაგია გველესიანის ქალი, თეთრი პირისახითა და ცისფერი თვალებით. ბესარიონი დედას ჰგავდა — ცისფერი თვალები ჰქონდა და ჭიათურაში ულამაზეს კაცად ითვლებოდა.

ბესარიონ ვაშაძე

ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაბადებული ბესარიონი სიყრმის ასაკიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას სწავლა-განათლებისადმი იჩენდა. მამამისმა იაკობმა, ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, იგი სწავლის გასაგრძელებლად ფოთის ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც ბესარიონმა წარჩინებით დაასრულა. ახალგაზრდა და მკვირცხლი გონების პატრონი უყურადღებოდ არ დარჩენილა. ერთხელ მღვიმევის მონასტერში სტუმრობისას იგი შემთხვევით ნახა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), რომელსაც ძალიან მოეწონა ეს თავმდაბალი, განათლებული და ლამაზი ახალგაზრდა და დაჟინებით მოსთხოვა მამამისს, იაკობს, სასულიერო ხაზით გაეგრძელებინა მისი მოღვაწეობა, თუმცა იმ ეტაპზე ეს ამბავი არ მოხერხდა. 1895 წელს ბესარიონმა იქორწინა ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ჩიკვილაძეზე, რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლა: გიორგი, იაშა, გრიგოლი და ბაბო. 1892 წელს მეუფე გაბრიელის ლოცვა-კურთხევით ბესარიონი ქუთაისის მაზრის, სოფელ სიმონეთის სასოფლო სკოლის პედაგოგად დაინიშნა. 1893 წელს მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ელენეს (ჭუმბურიძე) თაოსნობით მონასტერთან დაარსდა სამრევლო სკოლა, რომლის ხელმძღვანელად ბესარიონ ვაშაძე აირჩიეს. იგი დაუღალავად იღვწოდა იმერეთში სწავლა-განათლების გაძლიერებისათვის და გლეხობასაც აქტიურად მოუწოდებდა, თავიანთი შვილები არ დაეტოვებინათ ცოდნის მიღების გარეშე. იგი მთელ თავის ენერგიასა და გამოცდილებას იყენებდა, რათა მოსახლეობაში წიგნისადმი სიყვარული ჩაენერგა და განათლების შუქი შეეტანა მათ ოჯახებში. 1900 წლის 14 აპრილს ბესარიონს პედაგოგიურ დარგში თავდადებული მოღვაწეობისათვის წმინდა სინოდმა საგანგებო სიგელით მადლობა გამოუცხადა.

ბესარიონი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამად გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. ხშირად აქვეყნებდა იქ თავის მოსაზრებებს, რათა ყველასთვის უფრო უკეთესი და გასაგები ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი. იმ პერიოდში, საქართველოში, და კერძოდ იმერეთშიც არსებობდა ორი ტიპის სასწავლებლები: სამრევლო-საეკლესიო და საერო-სამინისტრო სკოლები. მოსახლეობაშიც ხშირად დაობდნენ, თუ რომელი სასწავლებელი უფრო უკეთესი იყო. ამის შესახებ, გაზეთ „ივერიაში“ 1901 წელს ბესარიონმა გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება, სადაც დახასიათებული აქვს ორი ტიპის სასწავლებელი. აი, რას წერდა იგი: **„საზოგადოებაში ხშირად შეჰხვდებით, რომ დავობენ ხოლმე — არა სამრევლო სკოლა სჯობია და არა სამინისტრო. ამ სკოლებიდან პირველი სასულიერო უწყებას ეკუთვნის, მეორე საერი განათლების სამინისტროს. ერთსაცა და მეორესაც მიზნათ აქვთ, რომ ხალხში სწავლა-განათლება გაავრცელონ, ხოლო განსაკუთრებით სამრევლო საეკლესიო სკოლების მიზანია განათლებასთან ერთად განამტკიცოს ხალხში სწავლა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა და ქრისტიანულ კეთილმსახურებისა, ზნეობრივად განასპეტაკოს და ახალგაზრდობა განუშორებლად წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას შეუკავშიროს. ამ რიგად ორისავე ტიპის სკოლას მეტად მაღალი და სასარგებლო მიზანი აქვს ხალხის საკეთილდღეოდ, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ რომ თავისს დანიშნულებას მტკიცედ ასრულებდენ. ეხლა მათს დღევანდელს მდგომარეობაზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვასა.**

სამრევლო-საეკლესიო სკოლები საერო სკოლებთან შედარებით ბევრად ნორჩნი არიან. (რასაკვირველია, ჩვენ არა გვაქვს სახეში ის საეკლესიო სკოლები, რომლებიც წარსულს საუკუნეებში ეკლე-

სიებთანა და მონასტრებთან იყვნენ გახსნილნი).

საერო-სახალხო სკოლები ჩვენში 1871 წლიდან დაარსდნენ და სამრევლო-საეკლესიო სკოლები კი 1884 წლიდან. ე. ი. საერო-სამინისტრო სკოლები 30-31 წლისა არიან, ხოლო სამრევლო — 16-17 წლისა. ამიტომაც საერო განათლების სამინისტრო სკოლები ჯერ ჯერობით უფრო უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე სამრევლო სკოლები და ეს ასეც უნდა იყოს. ამიტომაც ამა უზრუნველყოფილს სკოლებში უფრო კარგი და მომზადებული მასწავლებლები მიდიან, სპეციალურად საპედაგოგო მოღვაწეობისათვის სამასწავლებლო სემინარიებში მომზადებულნი, ვიდრე სამრევლო-საეკლესიო სკოლებში. ზოგან სამინისტრო ორკლასიან, ეგრედ წოდებულ ნორმალურ სკოლებში, სამასწავლებლო ინსტიტუტიდანაც კი არიან მასწავლებლად. ამისთვის საერო განათლების სამინისტრო სკოლები რომ უფრო კარგ ნიადაგზედ იყვნენ დაყენებულნი, მაინც გასაკვირვალი არ არის, რადგანაც ნივთიერი მდგომარეობა თუ მასწავლებელთ მომზადება, ყოველივე ხელს უწყობთ.

სამრევლო-საეკლესიო სკოლები კი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილნი არ არის, თუმცა ამ ბოლო დროს შესამჩნევად წინ მიდიან და თანდათან უმჯობესდებიან. ამიტომაც რიგიანი და საქმის მცოდნე მასწავლებლები იმ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში არასოდეს არ მიდიან, სადაც ჯამაგირი რიგიანი არ აქვთ, ნივთიერად სანახევროდ მაინც უზრუნველყოფილნი არ არიან.

სამრევლო-საეკლესიო სკოლებში უმეტეს ნაწილად მასწავლებლობენ სწავლა-დაუმთავრებელნი და ეგზამენებით უფლება-მოპოებულნი, მაგრამ უკიდურესს შემთხვევაში მასწავლებლობას ასრულებენ აგრეთვე უფლება-მოუპოვებელი მედავითნეებიც, რომელთაც ეს მეორე თანამდებობა, ეჭვი არ არის, პირველის შეძლებისამებრ პირნათლად შესრულებაში ხელს დიდად უშლის. ზოგან კი სასულიერო სემინარიებში კურსდამთავრებულნიც მიდიან მასწავლებლებად. მაგრამ დასაწყისს სკოლებში გული არ უდგებათ, რადგანაც უკეთესსა და თბილს სამსახურს მოელიან და დიდხანს არა რჩებიან. ამ მიზეზებისა გამო სასულიერო მთავრობა არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს, სკოლებს შესამჩნევად აუმჯობესებს, ნივთიერად ეხმარება, უზრუნველ ჰყოფს; ამას

გესარიონ ვაშაძე — მეუღლე მარიამ ჩიკვილაძე, შვილები გიორგი და გრიგოლი

გარდა, როგორც უკვე ჟურნალ-გაზეთებმა გვაუწყეს, სასულიერო მთავრობას განზრახული აქვს სასულიერო სამასწავლებლო სემინარია და ინსტიტუტები დააარსოს, საიდგანაც სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის სპეციალისტი მასწავლებლები გამოვლენ. ეს ორი გარემოება კი ცხადია სამრევლო სკოლებს კარგს ნიადაგზედ დააყენებს, მათს მომავალს განვითარებას ნორმალურ წრეში ჩააყენებს და შესამჩნევად ააყვავებს, განაკარგებს, რადგანაც უზრუნველყოფილს სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მაშინ მასწავლებლებად მხოლოდ ისინი წავლენ, რომელნიც საპედაგოგო მოღვაწეობისათვის სპეციალურად მომზადებულნი იქნებიან. ღმერთმა ინებოს ეს ჩვენი იმედები და მოლოდინი ხალხის სწავლა-განათლების საკეთილდღეოდ მალე განხორციელებულიყოს, რადგანაც დღეს დღეობით ეს დამაბრკოლებელი მიზეზები საქმეს ძლიერ აბრკოლებენ“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მადლობას ვუხდით ბატონ ბადრი ვადაჭკორიას კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ყაზბეგსა და ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტოების მოწოდებისთვის.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ბეჭდავს, გაზეთს გაუშვრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი ბესარიონ ვაშაძე
1869-1937

დასაწყისი იხ. „საპატრიარქოს უწყებანის“ №27-ში

1902 წელს ბესარიონს სამღვდელო მსახურებისაკენ მოუწოდეს და გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში მცირეოდენი მომზადების შემდეგ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. ამავე წელს ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი და დილიკაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. ამჟამად უკვე სამღვდელო ხარისხში აგრძელებს ახალგაზრდა მოძღვარი თავის მოღვაწეობას. იგი მტკიცედ და შეუდრეკლად ქადაგებს ქრისტეს სარწმუნოებას და, ამასთანავე, კვლავ აგრძელებს მასწავლებლობას სოფელ დაბლა დილიკაურის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. იმ პერიოდში საქართველოს საეგზარქოსოში დაიბადა ასეთი იდეა, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სასულიერო პირების მიერ საღვთო სჯულის გარდა უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა. მამა ბესარიონმა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დააფიქსირა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავდა: **„ყველა წინ დახედულმა, ყველა შორს გამჭვრეტმა და ფხიზელ გონების ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ სოფლის მღვდელს, რომელსაც 100-200 კომლამდე მცხოვრები აბარია და მუდამ მზად უნდა იყოს ხალხის სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, სრულებითაც ვერ მოიცლის მისდამი რწმუნებულს სკოლაში, საღმრთო სჯულის გარდა, სამშობლო ენაც ასწავლოს. თუმცა თითოეულ ჩვენგანისათვის დიდად სასურველი და სასიამოვნოა სამშობლო ენის სწავლებაც შეგვეძლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აზრი არა თუ სისრულეში მოსაყვანად ძნელია, არამედ წარმოსადგენიც არ არის, ვინც-კი ღრმად ჩაუკვირდება სოფლის სამღვდელოების სამსახურსა და მათს მდგომარეობას.**

საღმრთო სჯული და სამშობლო ენა — ორი საგანი ყველა საგნებზედ უმთავრესი და უპირატესია სკოლებში, მაშასადამე, ამ ორის უმთავრესის საგნის სწავლებას გაცილებით მეტი დრო, მეტი შრომა და მეცადინეობა სჭირდება, ვინემ სხვა საგნებს. შრომას და მეცადინეობას ნუ დავიშურებთ ჩვენის სკოლების საკეთილდღეოდ, მაგრამ სად არის ასეთი თავისუფალი ძვირფასი დრო. როდესაც სკოლაში ასწავლი გულდასმით და გულდადებული, აგრე მოდის ერთი და გთხოვს: „მამაო, წამობრძანდი სახლი მიკურთხე“; მეორე გთხოვს: „მამაო, ბავშვი მიკვდება და მომინათლე“; მესამე გთხოვს: „მამაო, ავადმყოფი მყავს, მიზიარე“; მეოთხე თხოულობს საეკლესიო საბუთების ამოწერილებას და სხვადასხვა, ვინ მოსთვლის, თუ რამდენი საჭიროება და მოთხოვნილება აქვს მღვდელს თავის მრევლში. ამ დროს როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, თვითონაც დაბნეულია: დააკმაყოფილოს მრევლის თხოვნა, სკოლაში დაწყებული გაკვეთილები დარჩება, — არ დააკმაყოფილოს და, გაკვეთილებს თუ-კი დაამთავრებს, ვაი იმისთანა დამთავრებას: ატყდება მღვდელზედ საყვედური და საჩივარი. ბავშვებიც ამ დროს იბნევიან და კარგად ვერ ითვისებენ გაკვეთილს. რაღა ამისთანა სწავლა და რაღა უსწავლელობა... თუ მღვდელმა საღვთო სჯულის სწავლებისათვის იშოვა თავისუფალი დრო — დიდი ღვთის წყალობა არის, ხოლო სამშობლო ენა წინანდებულად მასწავლებელმა უნდა ასწავლოს, თორემ თუ სამშობლო ენის სწავლებაც საღვთო სჯულის მასწავლებელ მღვდელს დაევალა, მაშინ ერთის მაგივრად მან სამი საგანი უნდა ასწავლოს: 1) საღვთო სჯული, 2) სამშობლო ენა, 3) სამშობლო ენის წერა, რადგანაც სამშობლო ენის შესწავლას წერაც თან უნდა მოჰყვეს და ერთი საათის მაგივრად მღვდელს სამი საათი სჭირდება.

აბა, რა ჰქნას ასეთმა მღვდელმა? განა შეუძლია ერთსა და იმავე დროს ღარიბმა და წვრილი ცოლშვილის პატრონმა მღვდელმა მრევლშიაც იაროს და თან ცოლ-შვილზეც იზრუნოს. ამასთანავე, სამი საათი სკოლას დაუთმოს? ჩემი აზრით და გამოცდილებით, ასეთი მღვდელი ვერც მრევლში იმსახურებს რიგიანად და სწავლების საქმეც ცუდად წაუვა, სკოლა დაიღუპება და წაუვა ხელიდან, რადგანაც „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ და-

იჭერს", ერთსა და იმავე დროს ერთი მოსამსახურე ორ ბატონს პირნათლად და ბეჯითად ვერ ემსახურება".

მამა ბესარიონი ბევრს შრომობდა და ზრუნავდა თავისი მრევლის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. იგი ყოველი წირვის შემდეგ შესაფერისი ქადაგებით მიმართავდა ხალხს და აძლევდა მათთვის საჭირო დარიგებებს. გარდა ამისა, დილიკაურის ეკლესიაში მის დანიშვნამდე ერთი მედავითნე მსახურობდა, რომელიც ამავდროულად მგალობლის ფუნქციასაც ითავსებდა. რაც არ უნდა კარგი მგალობელი იყოს ადამიანი, ყველას მოეხსენება, ერთი კაცის გალობა როგორი უშნო და ულაზათო გამოდის. მამა ბესარიონმა, როგორც კი დაინიშნა ამ ტაძრის წინამძღვრად, მაშინათვე მოიწვია გალობის მცოდნე მასწავლებელი, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა ქართული და რუსული საეკლესიო გალობა. ეს ადამიანი გახლდათ გვარად ხუსკივაძე, რომელმაც მცირე დროში სკოლის შეგირდებს შეასწავლა გალობა, შეადგინა მგალობელთა გუნდი და ეკლესიაშიც ამის შემდეგ მშვენიერი საგალობლები აღეღვინებოდა. მამა ბესარიონს ასევე განზრახული ჰქონდა საკვირაო სკოლის დაარსებაც, მაგრამ იგი მალევე სხვა სოფელში გადაიყვანეს.

1906 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდემ მამა ბესარიონი ზედა რგანის წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა. 1907 წლის 22 ოქტომბერს მამა ბესარიონს მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე, ხოლო 1908 წლის 14 მარტს კი მამამისი, იაკობ ვაშაძე მიაბარა მღვიმევის წმინდა ბარბარეს სახელობის საგვარეულო სასაფლაოს. მოძღვრისთვის ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყო. მიუხედავად ამისა, მან ოჯახის მთელი სიმძიმე თავის თავზე აიღო და დედას, პელაგიას, დახმარებით ღირსეულად აღზარდა ნახევრად ობლად დარჩენილი შვილები. 1907 წლის 12 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მამა ბესარიონი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის საგვერდულით დააჯილდოვა. 1911 წლის 23 მარტს მას სკუფია უბოძეს. 1916 წელს — კამილავკა, ხოლო 1922 წელს — სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

როგორც მისი შვილი გრიგოლ ვაშაძე თავის მოგონებებში აღნიშნავს: „ბესარიონი მოყვარული იყო ლამაზი და მოხდენილი ჩაცმისა, სამოსელს ქუთაისში განთქმულ მკერავს, მიშა მაჭავარიანს აკერვინებდა. ბუნებით ძალიან სუფთა და ფაქიზი ადამიანი, ყველასათვის სასიამოვნო მოძღვარი გახლდათ. ყოფილა ზედმიწევნით მხიარული ადამიანი. როგორც მოძღვარს, მას ხშირად უხდებოდა ლხინშიც ყოფილიყო და, უმთავრესად, სუფრის თამადობა და გაძღოლაც უწევდა. ასეთ შემთხვევაში ვლინდებოდა მისი მჭერმეტყველებაც, მსუბუქი იუმორიცა და მოლხენის უნარიც. ამასთან ერთად, არ იყო ისეთი საზოგადოებრივი საქმე, მისი მონაწილე ან წამომწყები რომ არ ყოფილიყო".

1915 წლის 25 იანვარს (ძვ. სტ.), როდესაც საქართველოს მოუკვდა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი, მამა ბესარიონმა 3 თებერვალს დაბა ჭიათურაში გადაიხადა დიდი პანაშვიდი, რომლის დასრულების შემდეგ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ამ დიდებულ ადამიანზე და იქ შეკრებილ საზოგადოებას ქადაგებით მიმართა:

„პატივცემულო საზოგადოებავ! აღარა გვყავს სამშობლოს დამამშვენებელი საუნჯე, აღარა გვყავს ქართველთა ერის გულის მესაიდუმლე და ჭირისუფალი, აღარა გვყავს საქართველოს მანათობელი ლამპარი, ქართული ლიტერატურის დედაბოძი, ქართველთა ეროვნების პატრიარქი, მამათმთავარი, დიდებული მგოსანი აკაკი.

25 იანვარი საისტორიო თვე და რიცხვი შეიქმნა და შავი ასოებით აღიბეჭდება მგლოვიარე საქართველოს ისტორიაში. აკაკის გარდაცვალებამ შავი მწუხარე ზენარი გადააფარა მის საყვარელ საქართველოს, რომელსაც 57 წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ისე, როგორც ფარვანა პეპელა ღამის წყვდიადში თავს დასტრიალებს სანათურს, ა[illegible] უკეთ რომ ვსთქვათ, თავს დასტრიალებდა სამშო[illegible]ლოს და შეჰგალობდა თავის ტკბილხმოვან ლე[illegible]სებს ისე, როგორც მაისის ბულბული ტკბილი ხმით შეჰგალობს სუნნელოვანი ყვავილებით შემკულ მაისის ბაღს. საქართველო მას მიაჩნდა სამლოცველო ტაძრად და ქართველი ერი კი სათაყვანებელ ხატად, რომლის წინ აკაკი მუდამ ანთებული იყო წმინდა თაფლის სანთელივით და კიდეც დროთა ვითარებით დადნა და სამშობლოს სიყვარულში და ერთგულებაში ჩაჰქრა. აკაკის თითოეული ლექსი აღსავსე არის მამულის სიყვარულით, ძმათმოყვარეობით და ერთობის ქადაგებით. მისი თითოეული ლექსი ჰარმონიაა, სიმღერაა, მუსიკაა, რომელიც აცხოველებს და ატკბობს ყოველი ქართველი ადამიანის გულსა და გრძნობას. მისი ენა ყველასთვის მარტივია, გასაგებია. სკოლებშიაც არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ცნობისმოყვარე პატარა 6-7 წლის ბავშვებს ეკითხოსთ მასწავლებლებისათვის აკაკის ლექსიდან, რომ ესა და ეს სიტყვა რას ნიშნავსო? თუ ჩვენ სამშობლო ენა გვიყვარს, თუ ჩვენ ქართული ლიტერატურა გვიყვარს, თუ ჩვენ სხვა განათლებულ ერებთან თავი მოგვაქვს, თუ ჩვენ ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულება და სული და გული შეგრჩენია, იმიტომ მხოლოდ რომ ჩვენ აღვიზარდეთ აკაკის პოეზიის ნიადაგზე და მის გავლენის ქვეშ.

ბატონებო! როდესაც შვილებს მამა მოუკვდებათ და დედა კი ცოცხალი ჰყავსთ, ან დედა მოუკვდებათ და მამა კი ცოცხალი ჰყავსთ, ნახევრად ობლები არიან და როდესაც დედ-მამა მოუკვდებათ, მაშინ კი შვილები სრული ობლები არიან — ესევე ითქმის ჩვენ საქართველოს ერზე: მეცხრამეტე საუკუნის პირველმა ნახევარმა საქართველოში წარმოშვა ორი დიდებული ბუმბერაზი მგოსანი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საქართველოს ლიტერატურის ორი მეფე: ილია და აკაკი; თუ ილია ჭავჭავაძე აღმოსავლეთ საქართველოს ანათებდა; სულმნათი აკაკი წერეთელი, დღეანდელი ჩვენი გლოვა-მწუხარების გმირი — დასავლეთ საქართველოს მანა-

თობელი ვარსკვლავი იყო და ორივენი ერთად კი — ერთ უღელქვეშ მთელ საქართველოს ანათებდნენ და აბრწყინებდნენ. მოგვიკლა ილია ბინძურმა ურწმუნო ხელმა და ჩვენ თავზარდაცემულნი ნახევრად დავობლდით და ნუგეშად მივჩერებოდით ჩვენს სიამაყეს — აკაკის. დღეს აღარც აკაკი გვყავს და საქართველო მთლად დაობლდა და სრულიად უნუგეშოდ ვგრძნობთ ჩვენს თავს, მით უმეტეს, რომ სწორედ იმ დროს დაგვეკარგა, როდესაც მისი ძვირფასი სიცოცხლე კიდევ ძალიან საჭირო იყო ჩვენი ბედშავი სამშობლოსათვის, ერთის მხრით, მეორეს — მრავალი მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი მოსიყვარულე ქართველები ომში არიან გადახვეწილნი, ბრძოლის ველზე საბედისწერო

მამა ბესარიონი
და მისი ძალიშვილი გაგო ვაშაძე-ასათიანისა

მდგომარეობას განიცდიან, რომელთაც აკაკიმ მოუწოდა და დაავალა, რომ მამა-პაპის ანდერძი მტკიცედ აღასრულონ და საქართველო ვაჟკაცურად დაიცვან და მტრებს ხელში არ ჩაუგდონ. აი, ის მეომარნი ახალგაზრდა ქართველები ჟურნალ-გაზეთებიდგან ტყობილობენ აკაკის გარდაცვალებას, სულიერად იტანჯებიან, რომ თავის დიდებული მამულიშვილის დაკრძალვას ვერ ესწრებიან და შორიდან დანაღვლიანებულნი და გულგახეთქილნი დეპეშით სამძიმარს უგზავნიან მგლოვარე სამშობლოს და მიცვალებული მოჭირნახულე მგოსნის ნეშთს შორეული ქვეყნის კუთხეებიდგან მოწიწებით თაყვანსა სცემენ. მაგრამ ქართველებო! თავი მითი ვინუგეშოთ, რომ აკაკიმ აურაცხელი და ფასდაუდებელი სალიტერატურო ნაწარმოები განძი დაგვიტოვა, თუ დაბეჭდილი, თუ დაუბეჭდელი. ჩვენ მოვუაროთ მის დატოვებულ პოეზიის განძს, გამოვცეთ ღირსეულად და მითი აკაკის ხსოვნა და სახელი სამარადისოდ უკვდავი იქნება, სანამდისაც კი საქართველო და ქართველის ენა იარსებებს და არ მოისპობა. აკაკიმაც თავისი თავი მუშაკ ფუტკარს შეადარა თავის ლექსში და ასრე სთქვა:

„მე კი სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო“.

ჭეშმარიტად ჯერ სიცოცხლეშიაც ზეცას ეკუთვნოდა და მარტო სამიწე არ იყო და დღეს ხომ მაინც ყოველისფრად ზეცას ეკუთვნის და მისი გენიალურ ნაწარმოებით და უკვდავი ლექსებით ხომ თვითონაც მარად უკვდავი რჩება. ხვალ და ზეგ დიდებული მგოსნის ცხედარს ჰგზავნიან დასაკრძალავად ჩვენი საქართველოს დედაქალაქ თბილისში სამშობლო სახლის კერიდან: თბილისში მას ტირილით შემოეგებებიან საქართველოს მგლოვიარე ერი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მთელი საქართველოს და რუსეთის მწერლები და ინტელიგენტები და 8 თებერვალს კი სამუდამოდ დაკრძალავენ „ჩაფიქრებულ მთაწმინდაში“, სადაც განისვენებენ ჩვენი სამშობლოს მოამაგენი დიდებულნი ქართველნი დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე. მათ ეხლა მგოსანი აკაკი წარუდგება და თავისი მომხლიბლავი პირწყლიანი ტკბილი ქართული ენით უამბობს საქართველოს ჭირ-ვარამს და განუზიარებს მათ თავის გულისწყვეტას, რომ მას ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა დაენახა თავისი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობა და მშვიდობიანობა ამ საბედისწერო ომის შემდეგ და გულში ჩააყოლა ათასი მწარე ფიქრები ტურფა სამშობლოზე. ეხლა ვილოცოთ აკაკისათვის, რომ მან საუკუნოდ განისვენოს მართალთა თანა, სადა არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

1921 წელს საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება, რასაც თან მოჰყვა ეკლესიებისა და სამღვდელოების დევნა-შევიწროება. მამა ბესარიონი მრავალჯერ დადგა განსაცდელის წინაშე, ხშირად ემუქრებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ერთი-ორჯერ დააპატიმრეს კიდეც, თუმცა სარწმუნოებაზე გულანთებული მოძღვარი მაინც ვერ გატეხეს, ვერც ანაფორა გახადეს და მღვდლობაზეც უარი ვერ ათქმევინეს. ამ ამბავს მისი შვილი, ბატონი გრიგოლ ვაშაძე თავის მოგონებებში ასე იხსენებს: „მახსოვს, 1922 წელს, მე მაშინ ჯერ კიდევ ჭიათურაში ვიყავი, აღდგომის წინა დღით ზედა რგანის თავკაცები ეწვივნენ ბესარიონს და მორიდებით სთხოვეს, ეკლესიას ბეჭედი ავსხნათ და ქრისტეს აღდგომა ვიდღესასწაულოთო (ეკლესია დაკეტილი და დალუქული იყო). მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემ-

მა კარგად იცოდა, რაც მოელოდა, უყოყმანოდ შეუდგა მზადებას. წირვა გადაიხადა, დამსწრეთ სიტყვა-ქადაგებით მიმართა, დალოცა და ... ერთი თვე ჭიათურის „გეპეუში“ გაატარა. ამასაც არ დაჯერდებოდნენ, რომ შემთხვევით დიდ ალექსანდრესთან (ალექსანდრე საჩინოს ძე ვაშაძე) სტუმრად ჩამოსულ მამია ორახელაშვილს არ გაეწია დახმარება. შემდეგ ბესარიონი მიყვებოდა, რომ სააღდგომო წირვა ისეთი აღტყინებით მიდიოდა, ისეთი მხურვალე იყო, როგორც პირველყოფილი ქრისტიანების ლოცვები რომის კატაკომბებში, თანაც დასძინა — გარდა ყველაფრისა, აკრძალული ხილი ხომ უფრო გემრიელიაო“.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა (ჭელიძე) ეკლესიაში მრავალწლიანი ღირსეული და ერთგული მოღვაწეობის გამო მამა ბესარიონს დეკანოზის წოდება მიანიჭა.

დადგა ავადსახსენებელი XX საუკუნის 30-იან წლები. ხელისუფლება ყველანაირ ხერხს მიმართავდა დაეკეტათ იმ დროისათვის გადარჩენილი ეკლესიები, სადაც მორწმუნეები სულიერ საზრდოს იღებდნენ და ამით საბოლოოდ გაეწყვიტათ ის კავშირი, რაც მათ ღმერთთან და მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ სარწმუნოებასთან აკავშირებდათ. ამ მძიმე წუთებში მამა ბესარიონი კვლავ უშიშრად განაგრძობდა მათ მხილებას და შეძლებისდაგვარად განამტკიცებდა შევიწროებულ და დაშინებულ მრევლს. მაგრამ რას გახდებოდა მოხუცებული მოძღვარი უზარმაზარი იმპერიული მანქანის წინააღმდეგ. ეს ის პერიოდია, როცა ანაფორის გახდა სენივით მოედო თითქმის მთელ საქართველოს ეკლესიას. სწორედ ამ დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკანასკნელად სცადა გაეტეხა მტკიცე მოძღვარი. თავისი ყოფილი მოსწავლეები მიუგზავნეს, რომლებიც მთავრობის სამსახურში ჩამდგარიყვნენ და ახალ ხელისუფლებას ასხამდნენ ხოტბას. ერთმა მათგანმა, ჭიათურის „გეპეუს“ უფროსმა, გავლენიანმა პარტიულმა პირმა, რომელიც კარგად იცნობდა მამა ბესარიონს, ანაფორის გახდა ურჩია და სანაცვლოდ კარგ სამსახურს სთავაზობდა. მოძღვარმა მას ბრძნული პასუხი გასცა: **„კომუნისტები ამაში მაინც ხართ პატივსაცემი, რომ სამღვდელო წრეების ჭეშმარიტი წმენდა მოახდინეთ. ის, ვინც ულირსი იყო და ანგარებით იყო დაკავშირებული რელიგიასთან, ადვილად ჩამოგვშორდა, ხოლო ვისთვისაც ქრისტიანობა იდეაა,**

მამა ბესარიონის ნაძონი ღვთისმშობლის ხატი

მათ ანაფორას მაშინ გახდით, როცა ტყავსაც გააყოლებთო“.

მალე ეს დროც დადგა. 1937 წლის მიწურულს დეკანოზი ბესარიონი დაბეზღების მსხვერპლი გახდა. მისივე სახლის ბინადარმა, ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა, გვარად დარბაიძემ, რომელსაც მოძღვარმა, როგორც პედაგოგს პატივისცა და ორი ოთახი მიაქირავა, სიკეთე „სიკეთით“ გადაუხადა. მან შინსახკომში „დანოსი“ შეიტანა, რადგანაც ფიქრობდა, რომ რეპრესირებულის სახლს მთლიანად ჩაიგდებდა ხელში. მამა ბესარიონი დააპატიმრეს და ჭიათურის ციხეში გამოამწყვდიეს. მისი ბედ-იღბალი ვიღაცა გადამთიელმა გამომძიებელმა, ვინმე სიმონიანცმა გადაწყვიტა. განჩინების თანახმად, მას დახვრეტა მიესაჯა, რაც უმალვე სისრულეში მოიყვანეს.

დეკანოზ ბესარიონ ვაშაძის სახით კიდევ ერთი ქართველი სასულიერო პირი შეემატა ზეციურ საქართველოს მფარველად და მეოხად ჩვენი მრავალტანჯული ერისა და ეკლესიისა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

პროტოპრესვიტერი ნიკოლოზ ბერეკაშვილი 1901-1969

„მოძღვრის დასასჯელად აღმართული კეტიანი ხელი ჯალათს ჰაერში გაუშეშდა“

პროტოპრესვიტერი ნიკოლოზ ილიას ძე ბერეკაშვილი 1901 წელს ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ კურსებში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. ბერეკაშვილების გვარი მთელ იმერეთსა და დასავლეთ საქართველოში განთქმული იყო, როგორც საუკეთესო კირითხუროები და ეკლესიათა მაშენებლები. პატარა ნიკოლოზმა თავდაპირველად სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლა დაამთავრა. შემდეგ ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დასრულებისთანავე მამამ იგი ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში მიაბარა, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა ბიძამისი, მღვდელ-მონაზონი **ბენიამენი (ბერეკაშვილი)**. ნიკოლოზმა მისი დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. მონასტერში იგი 1915-1918 წლებში იმყოფებოდა.

მამა ნიკოლოზის ბიძები: მარცხნიდან — მღვდელი თეოფილე და მღვდელმონაზონი ბენიამენი

მღვდელ-მონაზონი ბენიამენი — ერისკაცობაში ბესარიონ პავლეს ძე ბერეკაშვილი 1868 წელს ქუთაისის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში ისწავლა. 1899 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) კაცხის მაცხოვრის ამაღლების სახელობის მონასტრის მორჩილად განამწესა. 1902 წლის 10 მარტს სასულიერო უწყებაში მიიღეს და ამავე დღეს მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტერში არქიმანდრიტმა ბესარიონმა (ახვლედიანი) ბერად აღკვეცა და სახელად ბენიამენი უწოდა. 1902 წლის 14 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა და კაცხის მონასტრის საძმოში დაადგინა. 1903 წლის 1 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი და ამავე წლის 4 დეკემბერს კაცხის მონასტრის მმართველად დაინიშნა. 1907 წლის 1 ნოემბერს თავისი პირადი ხარჯებით შეაკეთა წინამძღვრის საცხოვრებელი სახლი. 1909 წლის 23 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში გადაიყვანა. 1911 წლის 11 სექტემბერს მონასტრის ეკონომოსად დაინიშნა. ამავე წლის 3 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. მამა ბენიამენი ჯრუჭის მონასტერში 1921 წლამდე მოღვაწეობდა, ამ დროისათვის ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით, მონასტერი დაიხურა და ბერებიც გამოდევნეს იქიდან. იმერეთის ეპარქიაში მონასტრების არარსებობის გამო იგი სოფელში დასახლდა და იქ განაგრძობდა მღვდელმსახურებას.

1918 წელს ბიძის ლოცვა-კურთხევით ნიკოლოზი ერში დაბრუნდა და ოჯახს მოეკიდა. მან ცოლად შეირთო სოფელ კვალითში მცხოვრები შეძლებული გლეხის, სევასტი ბარამიძის ქალიშვილი შუშანიკი და იქვე დასახლდა. შუშანიკმა მას ოთხი შვილი გაუჩინა: ვაჟი — თორნიკე და სამი ასული.

1921 წელს საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება. ეკლესიასა და სამღვდელოებას მძიმე წლები დაუდგა. ტერორისა და შიშის ქვეშ მრავალმა მოძღვარმა უარი თქვა მღვდელმსახურებაზე და გაიხადა ანაფორა. მიუხედავად ურთულესი პერიოდისა, ნიკოლოზმა გამოთქვა სურვილი სამღვდელო ხარისხის მიღებისა. ახალგაზრდა კაცის შემართებამ დიდად გაახარა ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), რომელმაც 1922 წელს ნიკოლოზი დიაკვნად აკურთხა და ზესტაფონის წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად განამწესა. 1925 წლის 7 იანვარს ქუთათელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მღვდლად დაასხა ხელი და კვალითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1928 წელს ხელისუფლების მხრიდან დიდი გადასახადების დაკისრებასთან დაკავშირებით მამა ნიკოლოზი ერთი წელი იძულებული გახდა, პარალელურად სამოქალაქო უწყებაში ემუშავა, ხოლო თავისუფალ დროს მღვდელმოქმედებას უთმობდა.

XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში ხელისუფლებამ კვალითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესი-

დეკანოზი ნიკოლოზი

აც დახურა. მამა ნიკოლოზი ეკლესიის გარეშე დარჩა. იგი თავის ბიძებთან, მღვდელ-მონაზონ ბენიამენთან და მღვდელ თეოფილე ბერეკაშვილთან ერთად უშიშრად განაგრძობდა მოღვაწეობას: ღვთის შეწევნით, დადიოდნენ ახლომახლო სოფლებში და ანუგეშებდნენ სულიერ საზრდოს მოკლებულ მრევლს. ღამღამობით კი სოფლის ზევით, უღრან ტყეში არსებული ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ადიოდნენ სოფლის მორწმუნეებთან ერთად, აჰქონდათ მოძრავი ტრაპეზი და ჩუმად ატარებდნენ ღამისთევის მსახურებებს. (ეს მოძრავი ტრაპეზი, ოდიკთან ერთად, ახლაც ინახება ბერეკაშვილების ოჯახში).

მღვდელი თეოფილე პავლეს ძე ბერეკაშვილი 1860 წელს იმერეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში შეისწავლა, სადაც მორჩილი იყო. 1882 წლის 6 სექტემბერს ამავე მონასტრის მედავითნედ დაინიშნა. 1895 წლის 10 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა და სოფელ წყნორისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში დანიშნა. 1900 წლის 6 მარტს ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1906 წლის 15 მარტს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და სოფელ ეწერ-ბაშის სამრევლოს წინამძღვრად განამწესა. შემდეგ მსახურობდა სოფელ საწირეში. 1911 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1925 წლიდან წილკნის ეპარქიაში გადაიყვანეს და სოფელ ქსოვრისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1926 წლის 3 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვარით დაჯილდოვდა. 1927 წლის მაისში, წილკნის ეპარქიის II ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1929 წელს ისევ იმერეთში დაბრუნდა, მშობლიურ სოფელში დასახლდა და იქ განაგრძობდა მღვდელმსახურებას. მღვდელი თეოფილე 1943 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა.

XX საუკუნის 30-იან წლების შუაში აღესრულა მღვდელ-მონაზონი ბენიამენი. სიკვდილის წინ მან ჯრუჭის მონასტრიდან წამოღებული სიწმინდე, წმინდა გიორგის ძვლის სამი ნაწილი მამა ნიკოლოზს შესანახად გადასცა და თან დაუბარა, თუ ღვთის შეწევნით ჯრუჭის მონასტერი კვლავ გაიხსნებოდა, ეს სიწმინდე კვლავ უკან დაებრუნებინა. წმინდა ნაწილები პატარა ხის ლუსკუმაში ყოფილა ჩასვენებული. მამა ნიკოლოზმა წმინდა გიორგის ხატი გააკეთებინა და მეტი დაცულობის მიზნით, ლუსკუმა წმინდა ნაწილებით შიგ ჩააბრძანა და ასე ინახავდა წლების მანძილზე. 1938 წელს, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მამა ნიკოლოზი დააპატიმრა, მას ეს სიწმინდე თან ჰქონდა ზესტაფონის სუკის შენობაში. პატიმრობისას მას ერთი სასწაულიც გადახდა: ერთ-ერთი დაკითხვის დროს, როდესაც კვლავ მოსთხოვეს მიეტოვებინა ეკლესია და ჩამდგარიყო საერო სამსახურში, მათ მამა ნიკოლოზისაგან კვლავ ცივი უარი მიიღეს. ამ დროს ოთახში მოუხმეს ჯალათს, რომელიც ხელკეტით აპირებდა მოძღვრის წამებას, მაგრამ მოძღვრის დასასჯელად აღმართული კეტიანი ხელი ჯალათს ჰაერში გაუშეშდა. ამ დროს მამა ნიკოლოზს სიწმინდე ხელზე, სამაჯურში ჰქონდა შენახული. ნათელი გახდა, რომ, ერთი მხრივ, მოძღვარი ინახავდა ამ ნაწილებს, მეორე მხრივ კი, თავად წმინდა გიორგი იცავდა მას საშინელი წამებისაგან.

XX საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში, II მსოფლიო ომის დროს, ხელისუფლებამ ნება დართო სამღვდელოებას, გაეხსნათ ეკლესიები და ოფიციალურად გაეგრძელებინათ მღვდელმსახურება. ამ პერიოდში მამა ნიკოლოზიც გათავისუფლდა ციხიდან და კვლავ განაგრძო სასულიერო მოღვაწეობა. 1945-46 წლებში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) დროს ჩატარებული აღწერის დროს მოქმედი სამღვდელოების სიებში გვხდება მამა ნიკოლოზიც, სადაც აღნიშნულია, რომ იგი ზესტაფონის რაიონში, სოფელ ზედა საქარაში აღასრულებდა საეკლესიო წესებს. 1949 წლის 1 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე) მამა ნიკოლოზი ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში გადაიყვანა და დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1955 წლის დასაწყისში ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) დეკანოზი ნიკოლოზი ქუთაისის საკათედრო ტაძრის კანდელაკად დანიშნა. 1957 წლიდან ქუთაის-გაენათის ეპარქია ეპისკოპოსმა ნაუმმა (შავიანიძე) ჩაიბარა, რომელიც დიდად აფასებდა მამა ნიკოლოზის გამოცდილებასა და დამსახურებას დედა ეკლესიის წინაშე. მისი წარდგინებით, მამა ნიკოლოზ 50-იანი წლების ბოლოს ქუთაისის ეკლესიების მთავარხუცესად დაინიშნა და ენქერითა და გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა.

მეუფე ნაუმი ბოლო წლებში ბევრს ავადმყოფობდა

სხედან მარცხნიდან: მღვდელი გიორგი ჟორჟოლიანი, მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე), სტუმრად ჩამოსული რუსი მღვდელმთავარი და დეკანოზი ნიკოლოზ ბერიკაშვილი

და ამასთან დაკავშირებით ხშირად უწევდა სამკურნალოდ ჩასვლა ხან სოხუმში, ხან წყალტუბოს სანატორიუმში. ამ პერიოდში კი ეპარქიის უცვლელი განმგებელი ყოველთვის მამა ნიკოლოზი იყო. მეუფე ნაუმის არქივში შემორჩენილია ამის დამადასტურებელი რამდენიმე წერილიც: **„ამა წლის აგვისტოს პირველი რიცხვიდან მე მივდივარ დასასვენებლად ერთი თვით. თანახმად მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ბრძანებისა, ამა წლის ივლისის 24-დან გავალებთ, გასცეთ სათანადო პასუხი ქუთაის-გაენათის ეპარქიიდან შემოსულ ისეთ საკითხებზე, რომლებსაც თქვენ შესძლებთ, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მომახსენებდეთ მე. ამასთანავე, გთხოვთ იქონიოთ მეთვალყურეობა საარქიელო სახლის დაცვისათვის ჩემს დაბრუნებამდე“** — 1959 წლის 28 ივლისი.

1967 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) დეკანოზი ნიკოლოზი ეკლესიაში ერთგული და ხანგრძლივი მსახურების გამო პროტოპრესვიტერის მაღალ ხარისხში აღამაღლა და მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.

მამა ნიკოლოზის შვილიშვილი, ბატონი გაიოზ ბერეკაშვილი იხსენებს: **„ქუთაისიდან ბაბუა ნიკოლოზი ყოველ სამშაბათს ჩამოდიოდა კვალითში, მშობლიურ სახლში, სადაც მას, ჩვენგან განცალკევებით, წმინდა ხატებით მოწყობილი პატარა სალოცავი კუთხე და სამუშაო ოთახი ჰქონდა. იგი ამ ოთახში წერდა ქადაგებებს და ადგენდა საეკლესიო საბუთებს. ამასთანავე, როგორც კი მოსახლეობაში გაიგებდნენ მის ჩამოსვლას, მაშინათვე მოდიოდნენ ზოგი მოსანათლად, ზოგი ჯვრისწერისათვის, ზოგიც პანაშვიდისთვის და ბაბუაც დაუზარელად უსრულებდა მათ საეკლესიო წესებს. ხშირად მიჰყავდათ მიცვალებულის წესის ასაგებადაც. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არც იმდროინდელ, ჯერ ისევ ათეისტურ ხელისუფლებას არ ეპიტნავებოდა, თუმც წინა დროსთან შედარებით ისე ცხადად აღარ იყო სასულიერო პირების საშინელი დევნა. კარგად მახსოვს, სახლიდან გასვლის წინ მამა ნიკოლოზი ანაფორაზე, ზემოდან ყოველთვის შავი ფერის გრძელ ლაბადას იცვამდა, და ალბათ, იმიტომ, რომ ასე კიდევ უფრო ახლოს მისულიყო სამღვდელოებას გადაჩვეულ ხალხთან. ის მუდამ მხნედ და მოწესრიგებულად გამოიყურებოდა და ჩვენც (შვილიშვილებს), უპირველეს ყოვლისა, წესრიგს გვასწავლიდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ, ყოველ დილით, ჩვენ-ჩვენი ლოგინები აუცილებლად უნდა გაგვესწორებინა. მიუხედავად მკაცრი ხასიათისა, ის, ამავე დროს, ისეთი კეთილი გახლდათ, რომ ყოველ შეხ-**

პროტოპრესვიტერი ნიკოლოზი

ვედრაზე გვლოცავდა და კანფეტებთან ერთად ჯიბის ფულსაც გვაძლევდა ყოველთვის...“

პროტოპრესვიტერი ნიკოლოზი 1969 წლის გაზაფხულზე ფილტვების ანთებით აღესრულა. გარდაცვალებამდე იგი საავადმყოფოში იწვა სამკურნალოდ. ოჯახში არსებობს ეჭვი, რომ მას მიზანმიმართულად გაუკეთდა ისეთი ნემსი, რომელმაც დაამძიმა მისი მდგომარეობა. მის დაკრძალვაზე ჩაბრძანდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) და სამღვდელოება საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ჩამოსულები იყვნენ სამღვდელოების წევრები რუსეთიდანაც. დაკრძალვის დღეს საკმაოდ ვრცელ ეზოში ხალხის ტევა აღარ იყო. წესის აგების შემდეგ მამა ნიკოლოზის ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ, სადაც დამსწრე საზოგადოებას ვრცლად დაუხასიათა მამა ნიკოლოზის მოღვაწეობა და მისი დიდი დამსახურება ეკლესიის საკეთილდღეოდ.

მამა ნიკოლოზი მისი მეუღლის, შუშანიკ ბარამიძის მოკრძალებული თხოვნით, დაკრძალულ იქნა სოფელ კვალითში, საგვარეულო სასაფლაოზე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე
1886-1968

დეკანოზი მელქისედეკ პავლეს ძე ხელიძე 1886 წელს გურიაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. 1901-05 წლებში ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1905-1911 წლებში სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1911 წელს, როგორც წარჩინებული მოსწავლე, სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში გააგზავნეს, რომელიც 1915 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა. ამავე წელს საქართველოში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. პარალელურად, 1916 წლის 8 აგვისტოს თბილისში, ბერძნული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა.

მიუხედავად მრავალი შემოთავაზებებისა, მიეღო სამღვდელო ხარისხი და ჩამდგარიყო დედაეკლესიის სამსახურში, მან მაინც მასწავლებლად დარჩენა ამჯობინა. მელქისედეკი წლების განმავლობაში სხვადასხვა სკოლებში პედაგოგად მუშაობდა. 1924-28 წლებში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ასწავლიდა. 1931-37 წლებში შეწყვიტა მუშაობა. 1938 წლიდან კი ისევ მასწავლებლია თბილისში.

XX საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში იგი სამსახურიდან დაითხოვეს, ვინაიდან უარი თქვა ანტირელიგიურ პროპაგანდაზე. შემდგომში იგი იხსენებდა, როგორ გამოიძახეს რაიკომში და უთხეს: „მელქისედეკ, სიტყვის თქმა და წერა შეგიძლია, ჩვენ პატივს გცემთ. ამბობენ, რომ ღმერთი გწამს, ამიტომაც გაზეთებში რელიგია უნდა ამხილო, ამით სახელსაც აღიდგენ... თუ არა, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ. მამა მელქისედეკს უთქვამს: ცუდი რა გამიკეთა ღმერთმა, რომ ვებრძოლო? ანდა როგორ, რითი ვებრძოლო, ცაში ქვა ვესროლო? მე დონ კიხოტი არა ვარ, ასე მოვიქცეო“.

მალე იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს და განათლების სისტემაში მუშაობა აუკრძალეს. სხვაგან, სადაც კი ფეხი შედგა, რამდენიმე კვირაში უმიზეზოდ აგდებდნენ. ძალიან გაუჭირდა. დიდმოხელე ძმას მისი დანახვაც არ უნდოდა. ომის პერიოდი იყო. შვილი შიმშილით მოუკვდა. ცოლი ტუბერკულოზით გარდაეცვალა. ომის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მას სამღვდელო ხარისხი შესთავაზა. აი, რას სწერდა იგი 1945 წლის 14 დეკემბერს უწმინდესს კალისტრატეს:

„ვიტყოდი კიდეც, რომ ჩემში ყოველივეა მოცემული ამ მოწოდებისათვის, გარდა ერთისა, რაც თქვენ უკვე მოგხსენდათ ჩემგან და გამოიხატება მით, რომ ჩემში საერთოდ არასდროს არ არსებულა მიდრეკილება, რომ ოდესმე კულტმსახურ გავმხდარიყავი და მით არა ნაკლებ მისებრ ტანსაცმელში მევლო.

ჩემი პედაგოგიური ასპარეზზე მუშაობის შედეგად მე საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება შევიქენი რესპუბლიკური მასშტაბით, მასთანაც სრულიად საერო კაცი. ჩემი პირობაა, რომ მე სამსახურის გარეშე უფლება მექნეს სამოქალაქო ტანსაცმელში სიარულისა“.

ორი კვირის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მამა მელქისედეკის წერილს ასე უპასუხა: „პირობებს თავი უნდა დაანებო, ან ჰო, ან არა“ — კ. პ. კ.

1946 წლის 14 ივნისს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მელქისედეკი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 18 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი. 1946 წლის 30 ივლისს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1948 წლის 8 თებერვალს კამილავკა ეწყალობა.

დეკანოზი მელქისედეკი მქადაგებლობის ნიჭით გამოირჩეოდა. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) თავის მოგონებებში იხსენებს: „როცა ის ქადაგებას იწყებდა, ტაძარში სიჩუმე ისადგურებდა, მრეველი სუნთქვაშეკრული უსმენდა. მამა მელქისედეკი ქართულ და რუსულ ენაზე ქადაგებდა. თუმცა მისი ქადაგებები დონით აკადემიური წრისთვის იყო განკუთვნილი, ის უბრალო ხალხსაც საუცხოოდ ესმოდა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ძლიერი სიტყვა ერთნაირად შესძრავს ყველა წრის კაცთა გულებს, რამეთუ სილამაზის გრძნობა დამახასიათებელი თვისებაა თვითონ ადამიანის სულისა“.

თავის ერთ-ერთ ქადაგებაში, რომელიც საშინელ სამსჯავრის ეხება, მამა მელქისედეკი ბრძანებს:

მღვდელი პავლე ოჯახის წევრებთან ერთად. მამის გვერდით დგას პატარა მელქისედეკი

„უკანასკნელი საერთო სამსჯავრო ჩვეულებრივად საშინელ სამსჯავროს სახელწოდებით არის ცნობილი. მართლაც არ შეიძლება იყოს სამართალი უფრო საშინელი ადამიანისათვის, როგორიც უკანასკნელი მსოფლიო გასამართლება იქნება. უკანასკნელი სამსჯავრო საშინელი იქნება მსაჯულის სახით. კაცობრიული სამართალიც მით უფრო საშინელია ბრალდებულისათვის, რამდენად მაღლა დგას მსაჯული მისი მდგომარეობით, რამდენად ის გამჭრიახი და მიუდგომელია. მაგრამ რომელი სამართალი, თუნდაც ის მეფისა იყოს, შეედრება უკანასკნელ მსოფლიო სამართალს. მსაჯულის სახით აქ მსოფლიოს გამსამართლებლად თვით ძე ღვთისა მოვა, მეუფე ცათა და ქვეყანისა, მეუფე სიკვდილისა და სიცოცხლისა, განსჯის ყოვლისმცოდნე ღმერთი, რომლის წინაშე დაუფარავია არა მარტო საქმენი, არამედ ყოველი აზრიც კი ადამიანისა. თითოეული დანაშაულებრივი საქმისათვის ის ღირსეულად მიაგებს ადამიანს, ან საუკუნო ნეტარებას, ან საუკუნო სასჯელს, უკანასკნელი სამართალი საშინელი იქნება აურაცხელი ბრალდებულის სახით. მსაჯულის ძე ღვთის წინაშე შეკრბებიან გასასამართლებლად ყველა ხალხები, იმდენად მრავალი, რომ მათი აღრიცხვისათვის ადამიანის ენაზე შესაფერი რიცხვი არც კი მოინახება. ამ ბრალდებულთა შორის იქნებიან ყველა ჩვენი მახლობელი, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები. ეს გარემოება კიდევ მეტად აძლიერებს ამ სამართალის ხასიათს. მას უფრო საშინელს, შემაძრწუნებელს ქმნის. უკანასკნელი სამართალი საშინელი იქნება ცოდვათა ქმედების სიმრავლითაც. აქ მთელი ქვეყნის თვალწინ გადაიშლება მსოფლიო ცოდვების სანახაობის სურათი — მთელი მისი სიშიშვლით, მთელი მისი საზიზღრობით და დანაშაულებით. ჩვენ ხშირად მოვყავართ საშინელებაში და ძრწოლაში ერთ საშინელ დანაშაულსაც, მამის მკვლელობას, შვილის მკვლელობას, ცოლის მკვლელობას, მაშ, როგორი სანახაობა იქნება მისი საშინელებით, როდესაც მსოფლიო ღვთიურ სამსჯავროზე გამოცხადდება და გაშიშვლდება ყველა კაცობრიული სისასტიკე, სიმძლავრე, ულმობელობა, გულქვაობა, შესრულებული სხვადასხვა დროს, ქვეყნის გაჩენიდან სხვადასხვა ხალხებს შორის. უკანასკნელი სამართალი საშინელი იქნება მისი შედეგებითაც. ეს იქნება სამართალი გადამწყვეტი, საბოლოო, მისი განაჩენი გადაჭრის ბედს თითოეული ადამიანისას სამუდამოდ. ის დახურავს სამარადისოდ კარებს ქრისტეს სასუფევლისას ცოდვილთათვის და გარდაუვალ უფსკრულს გათხრის მათსა და მართალთა შორის. „წარვედით ჩემგან წყეულნო, ჯოჯოხეთსა მას საუკუნესა, რომელი გამზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (მათ. 25, 41), — აი, რას ეტყვის უფალი, — ეს მიუდგომელი მსაჯული ცოდვილთ უკანასკნელ მის საშინელ სამსჯავროზე.

სომხეთის პატრიარქ ვაზგენის სტუმრობა საქართველოში

ვეცადოთ, საყვარელნო, რომ ღვთისადმი სარწმუნოებრივი საქმენით, სიყვარულით, მოკრძალებით, სიმდაბლით და სიწმინდით მოვიპოვოთ უფლება ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე მის მარჯვენით დგომისა და ზეციური მამის კურთხეულებთან ერთად ძე ღვთის ბაგენით საერთო სასიხარულო სიტყვების სმენისა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, განმზადებული თქვენთვის დასაბამიდან სოფლისა (მათ. 25, 24), ამინ“.

1948 წლის 14 მაისს მამა მელქისედეკი თხოვნით მიმართავს უწმინდეს კალისტრატეს: **„მე ანაფო-**

სვეტიცხოვლის ტაძრის ეზო. 1966 წელი. მარჯვნიდან: არქიმანდრიტი პართენი (აფციაური), ტაისი ტორონჯაძე, დეკანოზი მელქისედეკი, უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II (სიდამონიძე), შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), ილია ჭეიშვილი. უკანა პლანზე სემინარიის სტუდენტები.

რა ჩავიცვი შედეგად თქვენი მოწოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ საღი და შეგნებული მორწმუნე მე ყოველთვის ვიყავი და დავრჩები. ქრისტეს ჯვრის ტარება მეტად ფაქიზ და საპასუხისმგებლო საგნათ მიმაჩნდა, ყოველ შემთხვევაში არა ისე მსუბუქ საკითხად, როგორადაც ეს სამღვდელოების დიდ უმრავლესობას წარმოუდგენია და მიაჩნია, რის გამოც დღევანდელ სამღვდელოების გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი. ე. ი. ვრაცხდი ისეთ წოდებად, რომელშიაც ჭარბად გამჯდარა საერო, ვიდრე ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი. უკიდურესი ეგოისტური გრძნობიდან მოკიდებული თავისთავის გამაკარებელ უპატიო სველ გობში ცხვირის რევამდე, და გაუნათლებლობიდან მოკიდებული უშნო და უხეშ ამპარტავნებამდე... და აი, ჩემდა არა სასიამოვნოდ, ასეთი საზოგადოების წევრად ვირიცხები დღეს მეც. მაგრამ რა გაეწყობა, უკან დახევა გვიანაა.

ამიტომ გადავწყვიტე ჩემი მცირე ძალოვანი მღვდლური საქმიანობა წარვმართო ჩემი შეხედულებისა და გვარად.

მე ხმალში მუდამ მზად ვარ შეუდრეკელად ყველას გავყვე, მაგრამ არა ისეთ უბადრუკ პიროვნებებს. ამიტომ გთხოვთ, გამათავისუფლოთ სიონის ტაძარში მუშაობიდან და გადამიყვანოთ წინამძღვრად თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ეკლესიაში. ამასთან დავსძენ, რომ ჩემი გადაწყვეტილება კატეგორიულია“.

უწმინდესმა კალისტრატემ გაითვალისწინა მამა მელქისედეკის თხოვნა და იგი ამავე წლის ზაფხულში თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა.

1952-55 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) საეკლესიო წესების დარღვევისა და არ დამორჩილებისათვის მამა მელქისედეკი რამდენჯერმე მკაცრად გააფრთხილა. მას ბრალად ედებოდა საეკლესიო შემოსავლის დავთრის არასწორად გატარება, ლოცვა-კურთხევის გარეშე ეპარქიის დატოვება, სხვა ქალაქში წასვლა და ასე შემდეგ. 1955 წლის 1 აპრილს უწმინდესი მელქისედეკის გადაწყვეტილებით იგი გათავისუფლდა ყოვლადწმინდა სამების ტაძრის წინამძღვრობიდან და კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში განამწესეს, რასაც მამა მელქისედეკი არ დაემორჩილა. წმინდა სინოდმა მას დროებით შეუჩერა მღვდელმოქმედება და მისცეს დრო მონანიებისათვის.

1960 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) მამა მელქისედეკი აღუდგინა მღვდელმოქმედება და ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში განამწესა. 1961 წელს ქიზიყში, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში გადაიყვანეს. 1963 წლის აგვისტოდან სიცოცხლის ბოლომდე სიონის საპატრიარქო ტაძარში მსახურობდა და მცხეთის ორწლიან სამოძღვრო-საღვთისმეტყველო სასწავლებელში ასწავლიდა.

დეკანოზი მელქისედეკი 1968 წლის 6 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დასაფლავებულია საბურთალოს საერო სასაფლაოზე.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველითგან იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

მონასტრისთვის შეუკვეთია, რაც ირკვევა წარწერიდან, რომელიც ასე იკითხება: "ქ. ძელო ცხოვრებისაო წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ეპისკოპოსსა. ქრისტე ადიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე. ქორონიკონი იყო რჟგ". ჯვრის ზომებია: სიმაღლე 51 სმ. ტარის სიმაღლე 31,3 სმ. ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა შესრულებულია სკულპტურულად, თუმცა იგრძნობა არქაულობა. ქანდაკებისათვის დამახასიათებელი ნიშნები - მოცულობა, ფორმათა სიმკვრივე - დიდი მხატვრული ძალითა და დინამიკითაა გადმოცემული.

იშხნის მონასტერში ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაიწერა სახარება, შემდგომში — ე.წ. მესტიის ოთხთავი.

ამჟამად ეს სიწმინდეები დაცულია მუზეუმებში. მესტიის ოთხთავი სვანეთში, მესტიის მუზეუმში ინახება, ხოლო იშხნის ჯვარი — საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

იშხნის ჭედური ჯვარი იხილეთ გაზეთის გარეკანზე.

რუბრიკას უძღვება
მარიამ გაგუა

ფოტომატიანე

ჩოჩხათელი გურგენაძეები

შავი ზღვიდან აღმოსავლეთით, შვიდი ვერსის სავალზე, მდებარეობს სოფელი ჩოჩხათი, რომელიც დაარსებულია დაახლოებით VIII ს-ში. გადმოცემების მიხედვით, ამავე სოფელში, ერთ-ერთ მთაგორიან ადგილას, „ქედში" მცხოვრებ 40-50 კომლს XVIII ს-ში წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი აუშენენიათ. მამათა მონასტერი მოქმედი იყო XIX საუკუნემდე. XIX ს-ში მამათა მონასტრიდან, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, ჩოჩხათის ცენტრისაკენ „მთავარმოწამის" ეკლესია აუშენებიათ. დღემდე ამ პატარა კუთხეს, სადაც ეკლესია იყო, აშენებული მთავარმოწამე ჰქვია.

მთავარმოწამის ეკლესიის პირველი მღვდელი იყო ნიკოლოზ გურგენაძე. ნიკოლოზ მღვდლის მამა ყოფილა „ქედში" მამათა მონასტრის წინამძღოლი და ერთ-ერთი დამაარსებელიც.

ნიკოლოზი დაიბადა XIX ს-ში მთებში შეფენილ გურიის სოფელ ჩოჩხათში. მას ჰყავდა მეულღე და სამი შვილი — კესარია, სევასტი და ესე. კესარია ექვსი შვილის დედა იყო. მეექვსე ვაჟიშვილი, მეცნიერი, გეოლოგი გრიშა გუჯაბიძე თავის მეუღლესთან, პროფესორ თინა ურუშაძესა და ორ ვაჟიშვილთან ერთად ქ. თბილისში ცხოვრობს.

ნიკოლოზის მეორე შვილი სევასტი „მთავარმოწამის" ეკლესიის მეორე მღვდელი იყო. მას ორი შვილი ჰყავდა — ვიქტორი და ოლინკა. ნიკოლოზის მესამე შვილი ესე — სრულიად ახალგაზრდა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

„მთავარმოწამის" ეკლესია გურია-სამეგრელოს ეპარქიაში შედიოდა. ეკლესია სავსე იყო ხატებით, რომლებიც ძვირფასი ლითონით იყო მოჩარჩოებული და ძვირდაღირებული თვლებით მოჭედილი. დღესდღეობით იმ ეკლესიდან მხოლოდ ზარია შემორჩენილი.

მთავარმოწამის ეკლესიაში სალოცავად და რწმენის განსამტკიცებლად მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან და დასახლებული უბნებიდან, ესენი: ჩოჩხათი, გულიანი, ხორეთი, კოკათი, მოედანი, შრომისუბანი, ჯიხანჯარი, ჩანჩეთი, ყელა. სოფელს ჰქონდა სკოლა, კულტურის სახლი, კინოთეატრი, მაღაზიები, ბიბლიოთეკა. ტარდებოდა საგანმანათლებლო ღონისძიებანი.

როგორც ცნობილია, ჩოჩხათის სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ეგნატე ნინოშვილი. იგი ნიკოლოზ მღვდლის ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. ჩოჩხათის სკოლიდან სახლში მიმავალ მწერალს ნიკოლოზ მღვდლის ეზოს ჭიშკართან უნდა გაევლო. მას შეიპატიჟებდნენ. დიდ პატივს სცემდნენ. ზოგჯერ თვეობით რჩებოდა მღვდლის ოჯახში, სადაც ნიკოლოზის შვილებისა და შვილიშვილების განათლებაზე ზრუნავდა. ერთხელ მოძღვარს ეგნატე ჩაქოლვით სიკვდილისაგან უხსნია. ურწმუნო მწერალს „მთავარმოწამის" ეკლესიაში ძაღლი შეუყვანია. აღელვებულ იმორწმუნეები ფიზიკურად გაუსწორდებოდნენს მას, რომ არა მამა ნიკოლოზის ავტორიტეტი. მის სიტყვას და საქმეს ხალხის ერთგულება ახლდა. მან თავისი გამჭრიახობით იპოვა გამოსავალი და მწერალს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

„მთავარმოწამის" ეკლესიის წინამძღვარს თავის მრევლთან ერთად საშობაო ღვთისმსახურების შემ-

დეგ საყდრიდან ხატი გარეთ გამოჰქონდათ და თან ატარებდნენ, სოფელს რომ შემოივლიდნენ ისევ ეკლესიაში შეასვენებდნენ, ამიტომ დაერქვა სოფელს ჩოჩხატი — მჩოჩავი ანუ მოსიარულე ხატი. დროთა განმავლობაში ასო „ტ“ ჩაანაცვლა ასო „თ“-მ. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საზოგადოების ნაწილს არ აწყობდა სიტყვა ხატი და მის ნაცვლად ჩასვეს „ხათი“. ეს არის მიზეზი იმისა, რომ სოფელს ჩოჩხატის ნაცვლად დაერქვა ჩოჩხათი.

მღვდელი ნიკოლოზ გურგენაძე, შვილიშვილი ოლენკა და ჭოლა ხუტულაიშვილი

„მთავარმოწამის“ ეკლესიის რიგით მესამე მღვდელი იყო ვიქტორ გურგენაძე. იგი დაბადებულა 1882 წელს **(საეგზარქოსო არქივში დაცული საბუთებით მამა ნიკოლოზი 1904 წლის 28 აპრილს გადადგა მთავარმოწამის ეკლესიის წინამძღვრობიდან და გავიდა პენსიაზე. მის ადგილზე დაინიშნა მღვდელი ბესარიონ ჯიჯეიშვილი. ვიქტორმა 1902 წელს ჩააბარა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, 1904 წელს ვერ ჩააბარა მესამე კურსზე გადასასვლელი გამოცდები და იმავე კურსზე დატოვეს, ამიტომ სასწავლებელი ერთი წლით გვიან, 1907 წელს დაამთავრა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გურიის ერთ-ერთ სოფელში მედავითნედ განამწესეს. 1913 წლის 20 ივნისს სუფსის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა, მღვდლად ხელდასხმულია 1913 წლის შემდეგ — რედაქცია).** მისი მამა იყო „მთავარმოწამის“ ეკლესიის რიგით მეორე მღვდელი — სევასტი, დედა კი — მინუთი ჯოჯუა. ჰყავდა ერთი და ოლინკა, რომელსაც ორი ქორწინებიდან ჰყავდა 4 ვაჟი. მათი შთამომავლები ცხოვრობენ თბილისში, ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში და ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ხუტულაიშვილებისა და ვასაძეების გვარებით.

„მამა ადრე გარდამეცვალა. ჩემს სწავლა-აღზრდაზე დედაჩემთან ერთად ბაბუა ნიკოლოზი ზრუნავდა. მან მაქცია კაცად. სტუდენტობის დროს ოჯახიდან შორს ვიყავი, ამიტომ ბაბუამ მომიჩინა მომვლელი“, — იხსენებდა ვიქტორი.

ნიკოლოზმა ვიქტორი თავის სიცოცხლეშივე მღვდლად აკურთხებინა. „ქ. ფოთის ქუჩებში ჩამომატარეს მღვდლად კურთხევის შემდეგ. ხალხი ცდილობდა ხელით შემხებოდა ან ანაფორას მთხვეოდა, რათა მადლი მათზედ გადასულიყო. ზღვა ხალხი იდგა ფოთის ქუჩებში. მორწმუნეთა თვალებში სიხარული და აღტაცება სუფევდა“ (ვიქტორის მოგონებებიდან).

1920-იანი წლებამდე „მთავარმოწამის“ ეკლესიის მღვდელი იყო.

„ძალიან ბევრი ბავშვის ნათლია გავხდი. ყველა საეკლესიო რიტუალს დიდი პასუხისმგებლობითა და რწმენით ვასრულებდი. ხალხს ვუნერგავდი უფლისადმი სიყვარულსა და მოკრძალებას. ეკლესიაში მოდიოდნენ, ლოცულობდნენ, სანთელს ანთებდნენ და უფალს სთხოვდნენ მოწყალების მიღებას. ახლო-მახლო სოფლებიდან მოჰყავდათ ახალშობილები და ქრისტიანულად ვნათლავდი. იყო უფრო მეტი ერთგულება, სიწმინდე, შიში და რიდი ღვთისადმი. ეკლესია ასევე მედიატორის როლსაც ასრულებდა. ეკლესიაში რომ დაიფიცებდა კაცი მას გასამართლება აღარ სჭირდებოდა“ — ვიქტორის ნაამბობიდან.

ვიქტორი განათლებული კაცი იყო. მას უმაღლესი განათლება ჰქონდა. იყო რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ფლობდა ბერძნულ ენას, დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია.

„მთავარმოწამის ეკლესია დაახლოებით შვიდი სოფლის გამაერთიანებელი და ამ სოფლელთა მცხოვრებლების აღზრდის კერა იყო. მორწმუნეები ენდობოდნენ და აფასებდნენ ვიქტორ მღვდელს, რომელიც ამ მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინამძღოლი იყო. მღვდელი რბილი ხასიათის, მიმტევებელი, კეთილი, დამთმობი და სამართლიანი იყო.

ვიქტორ მღვდლისა და ქალბატონ ელისაბედ ტუღუშის პირველი შვილი იყო გრიშა, შემდეგ ილუშა, ლოლა და თინათინი. ოთხივე შვილს განათლება მიაღებინეს. მე მომსწრე ვარ იმისა, რომ ჩვენს დიდ ოჯახში, სადაც ვცხოვრობდით ბაბუაჩემის დედა, მამიდა თინათინი, ბაბუა-ბებია, დედა, მამა და ჩემი ორი ძმა — რიონი და თემური, ყოველ საღამოს იმართებოდა „პედაგოგიური საბჭო“, იქიდან გამომდინარე, რომ ვიქტორის ნათესავების უმეტესობა პედაგოგები იყვნენ. ინტელიგენციის შეკრება დახვეწილი სიმღერებით მთავრდებოდა. ბაბუა 90 წლის ასაკშიც შესანიშნავად მღეროდა.

20-იან წლებში ვიქტორმა გაიხადა მღვდლის ანაფორა და ჩოჩხათის საშუალო სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. 45 წელი ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას.

„არავითარი განსხვავება არ არის პედაგოგსა და მღვდელმსახურებს შორის. გავზარდე მთელი თაობები ახალგაზრდობისა“, — ამბობდა იგი. დღესაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებენ მისი გაზრდილები. პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორმა ხელში აყვანილი შეიყვანა დეკანატში და პროფესორ-მასწავლებლებს მისი გამზრდელი გააცნო. ბა-

ბუა ენაწყლიანი, გამჭრიახი ადამიანი იყო. მან მოუთხრო თავისი პედაგოგიური მოღვაწეობიდან ეპიზოდები და ყურადსაღები რჩევა მისცა პროფესორ-მასწავლებლებს.

XX ს-ის 20-იან წლებში წითელი კომუნისტები ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ეკლესია-მონასტრებს. ასრულებდნენ ლენინის დანაბარებს: „სარწმუნოება ისე ამოვშანთოთ, რომ მათ შვილთაშვილებს აჩნდეთ ნაიარები“. გურიაში ყველა საყდარი დაანგრიეს, მათ შორის — „მთავარმოწამის“ ეკლესია და მამათა მონასტერი. ყველა ხატს ამოგლიჯეს ძვირფასი თვლები და თავად აისხეს სამკაულად. „მთავარმოწამის“ ეკლესიის ნანგრევებიდან იმდროინდელი ოფიციოზის წარმომადგენლებმა სოფლის კლუბი ააშენეს.

მღვდელი ვიქტორ გურგენაძე, მეუღლე ელისაბედ ტყლუშში და უფროსი ვაჟი გრიშა

ღვთისადმი რწმენამ და მისდამი პატივისცემამ იატაქვეშეთში გადაინაცვლა. სდევნიდნენ ეკლესიის მსახურთა მთელ მოდგმას. ცხადია, სდევნიდნენ ბაბუაჩემსაც. ვიქტორ ხვალ შენს დასაჭერად მოვლენ, — შეატყობინა მავანმა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მავანი მთავრობის კაცი იყო. „მეორე დღეს როცა მოვიდნენ ჩემს დასაპატიმრებლად, ოჯახიდან შორს ვიყავი გადამალული. წლების განმავლობაში დედა, მეუღლე და ოთხი შვილი მიტოვებული მყავდა.“

მართლმადიდებელ სულს, რაც კი შეეძლოთ, აკნინებდნენ. დაიწყეს ღვთის გამასხარავება. ისე გამძაფრდა მდგომარეობა, რომ მორწმუნეთა ოცნებას აღსრულება არ ეწერა. სევდით შეიმოსა დარჩენილი თითო-ოროლა ეკლესია. დროის ბარიერის დაძლევამ, რომელიც 70 წელი გრძელდებოდა, თაობები შეიწირა. თავისთავად იდეოლოგია შეიცვალა. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. დაიწყო ღირებულებათა გადაფასება. ჩვენს თვალწინ დაიბადა ტრაგიკული ეპოქის მატიანე. დადგა დრო, როცა მიზანი ამართლებს საშუალებას და ძალა განსაზღვრავს სიმართლეს. ამის მაგალითია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ნიკოლოზ II-ის ოჯახის ამოწყვეტა ბოლშევიკების მიერ. 1921 წლის ტრაგედია. ამ წელს ევროპაში გადაიხვეწა კულტურით, გემოვნებით, ნიჭით, განათლებით, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები.

XX ს-ის 40-იან წლებში ბაბუა დაბრუნდა ოჯახში. განაგრძო მუშაობა ჩოჩხათის საშუალო სკოლაში რუსულის მასწავლებლად. მან შეინარჩუნა თავის თავში სიმტკიცე, თავდაჭერილობა. არასოდეს არ ლაპარაკობდა რწმენაზე, ეკლესიურ რიტუალზე, არ დადიოდა ეკლესიაში. ჩვენს თვალწინ არასოდეს დაუნთია სანთელი, ხმამაღლა არ ახსენებდა ღვთისმშობელს. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მე ვიჯექი მის სათუმალთან და ვიყავი ბედნიერი იმით, რომ ბაბუამ აღიარა ყოველივე, ბოდიშს იხდიდა: „შეგაწუხეთ, ხუმრობა ხომ არ არის, ბაბუა, 100 წელი ვიცოცხლე. რწმენა მამულად შევინახე გულში. ბედნიერი კაცი ვარ. ჩემს ცხოვრებაში არც ერთი წამი არ იყო რწმენის გარეშე. უფალმა იცოდა, რომ მე გულში მალულად ვასრულებდი, რაც საჭირო იყო მის პატივსაცემად“.

ჩემს შეკითხვაზე, რატომ არ უნერგავდა შვილიშვილებს უფლისადმი რწმენას, მან თქვა, რომ იყო 70 წლიანი რეჟიმის ქვეშ და აკრძალული ჰქონდა ლაპარაკი რწმენაზე. რვა შვილიშვილიდან არც ერთი არ ჰყავდა მონათლული. მთხოვა: „მოინათლე ქრისტიანულად, ეკლესიაში შესვლის უფლება გაქვს, მაგრამ შენისთანა უნათლავმა უნდა თქვას: „დიდება შენდა, ღმერთო“ და პირველად დავინახე, როგორ გადაიწერა ბაბუამ პირჯვარი.

ვიქტორ ბაბუას შვილიშვილი
ნონა გურგენაძე-სვანიძისა
თბილისი-ჩოჩხათი
2010 წ. 17/IX.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველითგან იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაველიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ცოთ იგი ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად, არქიმანდრიტის წოდების მინიჭებით".

წმინდა სინოდმა განიხილა მამა პავლეს კანდიდატურა და ამავე წლის 31 აგვისტოს იგი ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცეს. 1916 წლის 2 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონ პავლეს იღუმენის წოდება მიენიჭა.

1917 წლის აპრილში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ორგანოში საჩივარი შევიდა ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის წინამძღვარ, არქიმანდრიტ გაბრიელის (აბაშიძე) სახელზე. საეკლესიო მმართველობა იძულებული გახდა საქმის გამორკვევ- ჭელიშის მონასტრის წინამძღვრისათვის, იღუმენ პავლესთვის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლისთვის, იაკობ თომას ძე ცინცაძისათვის დაევალებინა. ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შემდეგ კომისიამ ასეთი დასკვნა გააკეთა: **„ამ დიდებულ მონასტერს სჭირდება მეტი ყურადღება და მეტი სიყვარული, ვიდრე ეს ჩანს დღევანდელ მის მზურნველთაგან".**

მღვდელ-მონაზონი პავლე ჭელიშის მონასტერში მოღვაწეობის დროს

ამასთან დაკავშირებით, 1917 წლის მაისში, იღუმენი პავლე ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1918 წლის 20 ივნისს დათარიღებული საბუთით ის უკვე არქიმანდრიტია.

1920 წელს ჯაფარიძეების ოჯახი დასავლეთ საქართველოდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მამა პავლეს დიდი სურვილი ჰქონდა თბილისში ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ესწავლა, ამიტომ მან კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) სთხოვა, თბილისთან ახლოს, რომელიმე მონასტერში ცხოვრების ნება დაერთო და უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებით კურთხევა მიეცა. უწმინდესმა ლეონიდემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და 1920 წლის 20 ოქტომბერს არქიმანდრიტი პავლე სვეტიცხოველის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დანიშნა. პარალელურად, მას საშუალება მიეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ლექციების კურსი მოესმინა. აქ მასთან ერთად სწავლობდნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი წერეთელი და სხვ.

1921 წლის თებერვლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია საქართველოში შემოიჭრა. მალე მტერი საქართველოს დედაქალაქ თბილისს მოადგა. 23 თებერვალს, საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ხელმძღვანელობდა, დადგინდა: სიონისა და სვეტიცხოვლის განძეულობა გაეტანათ და შეენახათ ქუთაისის სახელმწიფო ხაზინაში ან ბანკში. განძეულობა მოათავსეს ოთხ დიდ ყუთში, რომლის ქალაქიდან გატანა, უწმინდესი ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით, დაევალა არქიმანდრიტ პავლეს. მას საგანძური ქუთაისში უნდა ჩაეტანა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ჩამობრძანებამდე საკათედრო ტაძარში მოეთავსებინა. მატარებელში მამა პავლე შეხვდა ექვთიმე თაყაიშვილს, რომელსაც, თავის მხრივ, ქუთაისში მიჰქონდა სამუზეუმო და სახაზინო ნივთები. თაყაიშვილმა როცა გაიგო, თუ რა განძი მიჰქონდა მამა პავლეს, შესთავაზა, მისთვის გაეტანებინა საზღვარგარეთ ეს ყუთები, რაზეც უარი მიიღო. მალე ქუთაისში ჩაბრძანდა კათოლიკოსი ლეონიდეც. გადაწყდა, რომ ეს განძეულობა ბაგრატის ტაძრის ძირში მდებარე ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) სამღვდელმთავრო სახლის აივნის ქვეშ დაემალათ, ზედ კი ქვის ფილაქანი დაეფარებინათ. განძის ადგილმდებარეობა იცოდა პატრიარქმა ლეონიდემ, მიტროპოლიტმა ნაზარიმ და არქიმანდრიტმა პავლემ. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ გამცემის საშუალებით მიაგნო განძეულობას და ის ეკლესიას ჩამოართვა.

მღვდელ-მონაზონი პავლე ჭიათურის მონასტერში მოღვაწეობის დროს

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე, იტალიაში, ქ. გენუაში ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც 29 სახელმწიფო მონაწილეობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) გენუის კონფერენციაზე შეკრებილ ევროპის სახელმწიფოს წარმომადგენლებს დეკანოზ იასონ კაპანაძის ხელით გაუგზავნა მემორანდუმი, სადაც ის რუსეთის იმპერიას ამხელდა და საქართველოს ანექსიაზე საუბრობდა.

1923 წლის 12 იანვარს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა თითქმის მთელი საკათოლიკოსო საბჭო. მათ შორის, სვეტიცხოველის ტაძრის არქიმანდრიტი პავლეც. სასამართლო პროცესი შედგა იმავე წლის 10

მარტს, ნაძალადევის მუშათა თეატრში. დაპატიმრებულებს ბრალად ედებოდათ მემურანდუმის გაგზავნა, საეკლესიო განძეულობის გადამალვა და სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემაზე უარის თქმა. მამა პავლე ღამის ოთხ საათზე ორჯერ გაიყვანეს დასახვრეტად, რათა ეთქვა, თუ სად იყო გადამალული საეკლესიო განძეულობა, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას ეს განძეულობა უკვე ამოღებული ჰქონდა სამალავიდან. მორჩილი იოანე აფციაური (შემდგომში — სვეტიცხოვლის ტაძრის არქიმანდრიტი პართენი) იხსენებდა, რომ დაკითხვაზე მამა პავლეს საშინლად აწამებდნენ, მას დაუმტვრიეს ნეკნები და თითქმის მთელი სხეული დაუსახიჩრეს. ერთ-ერთ დაკითხვაზე კათოლიკოსი და მამა პავლე დააპირისპირეს ერთმანეთს. ყველა შეკითხვაზე, რომელსაც კათოლიკოსი დადებითად პასუხობდა, ჯაფარიძე უარყოფდა. როცა კათოლიკოსმა თავის დაქნევით მისცა თანხმობა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მან შეკითხვებზე სწორი პასუხის გაცემა. ამის გამო, გამომძიებელმა ჰკითხა: კათოლიკოსის ერთი თავის დაქნევა იყო შენთვის საკმარისი სიმართლე რომ გეთქვა?

„ფიცით ვიყავი შებოჭილი და სანამ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევას არ მივიღებდი, უფლება არ მქონდა, სიმართლე მეთქვაო“ — უპასუხა მამა პავლემ.

1924 წელს გაზეთი „კომუნისტი“ ფართოდ აშუქებდა ამ სამარცხვინო პროცესს. აი, რას ვკითხულობთ მამა პავლეს დაკითხვის ოქმში:

„სასამართლოს თავჯდომარე: ვინ დაგავალათ თქვენ განძეულობის შენახვა?

ბრალდებული ჯაფარიძე: განძეულობის შენახვა დამავალა კათალიკოსმა ლეონიდმა. მე, როგორც ბერობაში აღზრდილსა და სამონასტრო წესების მტკიცედ აღმასრულებელს, არ შემეძლო ეკლესიის თავის ბრძანებაზე უარი განმეცხადებინა. კათალიკოსმავე მიბრძანა, რომ განძეულობის დამალვა არ გამეხმაურებინა და თუ ვინმე მკითხავდა რასმე, მეთქვა, რომ იგი საზღვარგარეთ არის გაგზავნილი.

ბრალმდებელი: მაგრამ ეს ხომ ტყუილის თქმაა, რომელიც სასულიერო პირს არ შეშვენის.

ბრალდებული ჯაფარიძე: ტყუილის თქმაც არის და ტყუილის თქმაც. ღმერთის განრისხება იმდენად არაფერია, ღმერთი მრავალმოწყალეა.

კითხვა: როგორ ჰფიქრობთ, ტყუილის თქმა ღვთის ნების წინააღმდეგია?

პასუხი: წინააღმდეგიც არის და არც არის წინააღმდეგი (სიცილი დარბაზში) იმის მიხედვით, თუ რას შეეხება ტყუილი. ზოგ შემთხვევაში ტყუილის თქმა შესაწყნარებელია. ჩვენ საშუალება გვაქვს ჩვენი ცოდვა, ტყუილის თქმა, საიდუმლო აღსარების დროს მოვინანიოთ.

პროკურორი ოკუჯავა: როდესაც განძეულობა ნახეს და თბილისში ჩამოხვედით, რათ მოახსენეთ ამბროსის, რომ განძეულობა ნახესო?

ჯაფარიძე: თბილისში ვიყავი ჩამოსული ორი დღ... და ვალდებულად ვსთვლიდი თავს, მენახულა ამბროსი და ყველაფერი მომეხსენებინა.

დამცველი ქავთარაძე: აღსარებაში თქმული საიდუმლოებაა?

ჯაფარიძე: საიდუმლოებაა და მისი გამჟღავნება არ შეიძლება.

წივწივაძე: რა მიზანი ჰქონდა განძეულობის მიწაში ჩაფლვას?

ჯაფარიძე: საშიშროების თავიდან აცილება, მათი გადარჩენა.

წივწივაძე: როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი განძეულობის მიწიდან ამოღება?

ჯაფარიძე: მაშინ, როდესაც მთავრობა მოახდენდა შემოწმებას სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობისას, მოითხოვდა მათ მოტანას, ან გამოსცემდა რაიმე სათანადო დოკუმენტს.

ბრალმდებელი: გაგიგონიათ თუ არა იმის შესახებ, რომ მღვდლები ეწეოდნენ უღირს ცხოვრებას და ... დიოდნენ ბოროტმოქმედებას.

ბრალდებული ჯაფარიძე: კი, ასეთი შემთხვევები გამიგონია“.

ამის შემდეგ დამცველი დადიანი იძლევა განმარტებას №21 დეკრეტის შესახებ და აცხადებს, რომ დეკრეტის ძალით სამღვდელოება ვალდებული სულაც არ იყო, მოეხსენებინა ან ჩაებარებინა მთავრობისათვის, სად, რომელი და როგორი განძეულობა ჰქონდა შენახული.

მარცხნიდან: ნილკნელი ეპისკოპოსი პავლე, მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) და მარგველი ეპისკოპოსი ვარლაამი (მახარაძე)

19 მარტს სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების ნაწილს სხვადასხვა სახის სასჯელი შეუფარდა. უდანაშაულოდ ცნეს და გაათავისუფლეს მიტროპოლიტი ნაზარი, არქიმანდრიტი პავლე, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, დეკანოზი დიმიტრი ლაზარიშვილი და ნიკოლოზ არჯევანიძე.

1924 წლის აპრილში საკათო-

ლიკოსო საბჭოს სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხი: *„საქმისათვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია წილკნის სამწყსოს გამოყოფა მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან. დასახელებული სამწყსო, როგორც სამისიონერო მაზრა, თავისი მდებარეობით წარმოადგენს მივარდნილ კუთხეს. ეს გარემოება კი მოითხოვს განსაკუთრებულ მზრუნველობას მის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხელმძღვანელობისათვის. მისი ცალკე ეპარქიად გამოყოფა საშუალებას მისცემს მის მწყემსმთავარს, უფრო ენერგიულად იმოქმედოს და მხურვალე, ცხოველი კავშირი იქონიოს მასთან“.* ამასთან დაკავშირებით 18 აპრილს საკათოლიკოსო საბჭომ განაჩინა: *„ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნი შევიკრიბეთ ერთად და ვიქონიეთ მსჯელობა სამღვდელმთავრო კანდიდატების შესახებ და ვსცანით მღვდელმთავრის ხარისხის მიღების ღირსად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი პავლე, რომელიც იყო ათონზე და სხვა მონასტრებშიც, არის გამორჩეული სასულიერო პირი“.* დადგენილებას ხელს აწერდნენ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე, ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი), ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა). წერილობითი თანხმობა განაცხადეს ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ნესტორმა (ყუბანეიშვილი) და ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა სვიმეონმა (ჭელიძე). 1924 წლის ივნისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, არქიმანდრიტ პავლეს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და წილკნის ეპარქია ჩააბარეს. ამ დროისათვის ეპარქიაში იყო სამი სამთავარხუცესო, სადაც მოქმედებდა 48 ეკლესია, საეკლესიო წესებს აღასრულებდა 45 მღვდელმსახური, მოქმედებდა 5 მამათა და 1 დედათა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა 20-მდე ბერი და ამდენივე მონაზონი. 1925 წლის 23-26 თებერვალს საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით წილკნელ ეპისკოპოს პავლეს დროებით დაევალა მცხეთისა და ურბნისის ეპარქიების მართვა-გამგეობაც.

ეპისკოპოსი პავლე მამასთან, პლატონ ჯაფარიძესთან ერთად

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მეუფე პავლე ხშირად ავადმყოფობდა. ციხეში ყოფნის პერიოდში იგი ღვიძლის ციროზით დაავადდა. 1926 წლის 31 ივლისს შედგა სვეტიცხოვლის რელიგიური საზოგადოების მიერ არჩეულ წევრთა კრება ეპისკოპოს პავლეს თავჯდომარეობით. ყოვლადსამღვდელო პავლემ საბჭოს განუცხადა თავისი უკიდურესი მდგომარეობა, რის შემდეგაც კრებაზე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება: *„ექიმთა რჩევით, მეუფე პავლეს სასწრაფოდ ესაჭიროება აუცილებელი დასვენება მთაში, რაც გამოწვეულია მისი ერთი წლის მძიმე ავადმყოფობით. ამისთვის კი მას არანაირი ნივთიერი სახსარი არ გააჩნია. გთხოვთ საბჭოს, აღმოუჩინოთ ნივთიერი დახმარება ეკლესიის თანხიდან და ამით ავიცილებთ თავიდან უფრო მძიმე დაავადებას. მიეცეს მას 85 მანეთი ეკლესიის სალაროდან. ვიმედოვნებთ, რომ მეუფე პავლე მალე განიკურნება და უფრო ენერგიულად შეუდგება ჩვენი რელიგიური საზოგადოების საქმიანობას“.*

ამასთან დაკავშირებით მეუფე პავლე წერილით მიმართავს მიტროპოლიტ კალისტრატეს: „უმორჩილესად გთხოვთ, საავადმყოფოდან განთავისუფლებამდე უპატრონოთ წილკნის ეპარქიას“. 1927 წლის ივნისში მან სამი თვით კვლავ ითხოვა შვებულება, რაზედაც თანხმობა განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი).

1928 წლის 24 მარტს მეუფე პავლე კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს ლოცვა-კურთხევით ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. აფხაზეთის ჰავამ უარყოფითად იმოქმედა მის შერყეულ ჯანმრთელობაზე. მან საკათოლიკოსო სინოდს ჯერ ორთვიანი შვებულება სთხოვა, შემდეგ კიდევ ორი თვით გააგრძელებინა. ხოლო ამავე წლის 24 სექტემბერს მან თხოვნით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს: „რადგან აქაური ჰაერი ჩემს სხეულში დაბუდებულ მალარიას თანდათანობით პროგრესიულ ხასიათს აძლევს, ასეთ მდგომარეობაში, ნათელია, რომ მე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ენერგიულ შრომას მოკლებული ვიქნები. ამას ვერ შეურიგდება აღნიშნული ეპარქიის ანინდელი ფრიად რთული მდგომარეობა. უმორჩილესად გთხოვთ წილკნელად დაბრუნებას, თუ ამაზე თანახმა იქნება სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე)“. საკათოლიკოსმა სინოდმა გაითვალისწინა მეუფე პავლეს თხოვნა, ანგარიში გაუწია მის დამსახურებასა და ერთგულებას დედეკლესიის წინაშე და 1928 წლის 29 სექტემბერს ისევ წილკნის ეპარქიაში დააბრუნეს.

ეპარქიაში დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა პავლემ ჩვეული გულმოდგინებით გააგრძელა მოღვაწეობა. 1929 წლის 16 მაისს მან წერილი გაუგზავნა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდს ეპარქიაში არსებული მდგომარეობის შესახებ: *„მაქვს პატივი, მოვახსენო საკათალიკოსო სინოდს, რომ ჩემდამო რწმუნებულ წილკნის ეპარქიაში ამ ჟამად ირიცხება: სამღვდელო პირი 25, მათში — ორი არქიმანდრიტი. მოქმე-*

დებს 40 ეკლესია. 1929 წლის 15 მაისს დაიკეტა ორი ეკლესია, ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით".

1929 წლის 3 ნოემბერს წილკნელი ეპისკოპოსი პავლე გარდაიცვალა, რაც დიდი დანაკლისი იყო ქართული ეკლესიისათვის. იგი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) წერდა: **„ეპისკოპოსი პავლე გამოირჩეოდა ქადაგების ნიჭით მოექცია ხალხი ეკლესიაში, განუსხვავებლად წლოვანებისა, სქესისა, განათლებისა და განუსხვავებლად რჯულის მიმდევრობისა. სულში ჩამწვდომი მქადაგებელი, შეუბღალავი, სუფთა ცხოვრების მქონე ადამიანი".**

გთავაზობთ მეუფე პავლეს ერთ-ერთ ქადაგებას:

ეპისკოპოსი პავლე

„კეთილმორწმუნენო, მსმენელნო, ამ ჩვენს დროში მრავალნი გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც არამც თუ ფიქრობენ, არამედ ხმამაღლა აღიარებენ, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ არაფერი არსებობს, არც წარწყმედა და არც ცხოვრება, არც სასუფეველი და არც ჯოჯოხეთი, რომ ამა ქვეყნიური ცხოვრებით თავდება ადამიანის სულისა და ხორცის არსებობაო.

დღევანდელ სახარებაში მოყვანილ იგავში ჩვენ დავინახეთ შეუმცდარი ჭეშმარიტება, რომ ადამიანს ამაქვეყნიური ცხოვრების გარდა მოელის მეორე ცხოვრება სიკვდილის შემდეგ, ანუ საუკუნო სანეტარო ცხოვრება ან სატანჯველი, ამ ქვეყანაზე თავისი ნამოქმედარი საქმეების მიხედვით.

დღევანდელ მოყვანილ მდიდარსა და ლაზარეს იგავში ვხედავთ, რომ ჩვენი სული სხეულის სიკვდილის შემდეგ არამცთუ ისპობა სამუდამოდ, არამედ, გაეყრება თუ არა სული ხორცს, ის კარგად ხედავს, როგორც თავის მდგომარეობას ახალი ცხოვრებისას, ისე, არ ავიწყდება ქვეყნიური ნამოქმედარი საქმეები, თავისი ნაცნობები და ნათესავები და არ სწყვეტს მათთან კავშირს. მან ისიც კარგად იცის, თუ რა ხდება ქვეყნად მისი გარდაცვალების შემდეგ.

თუმცა, მართალია, რომ აბრაამი ცხოვრობდა ქვეყანაზე გაცილებით ადრე, ვიდრე მოსე წინასწარმეტყველი, მაგრამ აბრაამმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ მის შემდეგ ქვეყნად იცხოვრებდნენ მოსე და სხვა წინასწარმეტყველები, რომლებმაც დასტოვეს წიგნები (რომლებიც აბრაამის იმ ქვეყნად ცხოვრების დროს არ არსებობდა), რომ იმ წიგნებით ესარგებლათ და ეცხოვრათ კეთილად. ამისთვის უთხრა საწყალობელ მდიდარს აბრაამმა: ვისაც მოსეს და სხვა წინასწარმეტყველებისა არ ესმით, ისინი არც მკვდრეთით რომ აღსდგეს ლაზარე, მისას არ გაიგონებენო. ზემოთქმულიდანა ჩანს, ძმანო, რომ საწყალობელ მდიდარს კარგად ახსოვს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი მამის სახლში მას ხუთი ძმა დარჩა, ამასთანავე, ხედავს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ისინი არ სწორდებიან, არამედ განაგრძობენ თავის ურჯულო ცხოვრებას. აქედან ნათლადა ჩანს, რომ გარდაცვალებულთა სულები კავშირს არ წყვეტენ ამა ქვეყანაზე დარჩენილ ნათესავებთან.

აი, იმისათვის, ჩვენ ერთი წუთითაც კი არ ვსწყვიტავთ სულიერ კავშირს ჩვენგან გარდაცვალებულ პირებთან.

ზოგიერთი გარდაცვალებული პირნი ეკლესიისაგან წმინდანადაც კი არიან აღიარებულნი და მარადის ვევედრებით მათ, რათა მეოხ გვეყონ წინაშე ზეციური მამისა დანარჩენ გარდაცვალებულთათვის, ვსწირავთ ხოლმე უსისხლო მსხვერპლს და ვლოცულობთ მათი ცხონებისა და ცოდვათა პატიებისათვის. საერთოდ, ცოცხალნი და მიცვალებულნი შეადგენენ ერთ მთლიან ქრისტეს ეკლესიას. აი, რას ამბობს მოციქული პავლე: „გინა თუ ცოცხალ ვიყვნეთ, გინა თუ მოვსწყდეთ, უფლისანი ვართ".

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხახარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარმა მემკვიდრეობით მიიღო გუდაყვა-ზიღანეოსის ეკლესიიდან. ბაგრატ III-ის მიერ გუდავის

საეპისკოპოსოს „მოცვლა“ ბედიით, აფხაზეთში IX-X საუკუნეებში მიმდინარე იმ პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც მიზნად ისახავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფას და მცხეთის საკათალიკოსოში გაერთიანებას, რამეთუ „აფხაზთა მეფეებს უცხოენოვან და კულტურულად უცხო ეკლესიისაგან ჩამოშორებისას, თავისად მშობლიური ქართლ-კახეთ-სამცხე-ტაო-კლარჯეთში ეგულებოდათ. მათი არჩევანი ცხადად გვიმოწმებს, რა იყო და რა არა მათთვის საკუთარი“. ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „აფხაზთა სამეფო“ IX-X საუკუნეებში „მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შეერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს“.

ბედიის მონასტერში დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III კურაპალატი.

ბედიის ჭედური ბარძიმი — X საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშია. ბარძიმი მასიური მრგვალი ფორმის ბაჯაღლო ოქროსია; მისი ზომებია: სიმაღლე — 12,5 სმ, დიამეტრი — 14 სმ. შესრულებული X-XI საუკუნეების მიჯნაზე.

ბარძიმის გარე ზედაპირი 12 არედაა დაყოფილი, თითოეული თაღის ქვეშ თითო ფიგურაა გამოსახული: ერთ მხარეს გამოსახულია - ტახტზე მჯდომი მაცხოვარი იესო ქრისტე, მეორე მხარეს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ღვთაებრივი ყრმით ხელში, აქეთ-იქით კი ფეხზე მდგომი წმინდანები.

რუბრიკას უძღვება
მარიამ გაგუა

ფოტომატიანე

სქიმიღუმენია თამარი (მარჯანიშვილი) 1869-1936

სქიმიღუმენია თამარი — ერში თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანიშვილი — 1869 წლის 1 აპრილს კახეთში დაიბადა. შეძლებული ოჯახის შვილს უაღრესად კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული. მამა, ალექსანდრე, პატარაობისას გარდაეცვალა, ხოლო დედა 19 წლისამ დაკარგა. გამორჩეული მუსიკალური ნიჭისა და შესანიშნავი ხმის მქონე თამარი პეტერბურგის კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ მოულოდნელად ბედის ბორბალი სულ სხვა მიმართულებით დატრიალდა.

დედის გარდაცვალების შემდეგ, 1888 წლის ზაფხულში, იგი თავის დასთან და ორ უმცროს ძმასთან ერთად, ქალაქ სიღნაღში დეიდას სტუმრობდა. აქ, ქალაქის ახლოს, სოფელ ბოდბეში მდებარეობდა იმჟამად ახლად დაარსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი. ერთ დღეს ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს მონასტერს წვეოდნენ და ბოდბეში ჩავიდნენ. მიმდინარეობდა საღვთო ლიტურგია. შემდგომში დედა თამარი იხსენებდა: „როგორც კი ტაძარში ფეხი შევდგი, მაშინვე გამიელვა აზრმა, მეც დავიწყებ მონასტრულ ცხოვრებას“. მსახურების დროს თამარი დაბალ ხმაზე გალობას ჰყვებოდა. ტაძარში შესული ახალგაზრდების ყურადღება მიიქცია იღუმენია იუბენალიამ (ერში ელენე ბიკენტის ასული ლოვენეცკაია), რომელმაც იკითხა, თუ რატომ ეცვათ მათ სამგლოვიარო ტანისამოსი. მათაც განუმარტეს, რომ დედა ჰყავდათ ახალგარდაცვლილი. მცირეოდენი საუბრის შემდეგ ახალგაზრდები სახლში დაბრუნდნენ.

სახლში დაბრუნებულმა თამარმა მტკიცედ გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურისათ-

ვის მიეძღვნა და დაიწყო მზადება მონასტერში წასასვლელად. ნათესავები ყველანაირად შეეცადნენ, ხელი შეეშალათ მისთვის. მიუხედავად ამისა, თამარმა როგორც კი ოჯახური საქმეები მოაგვარა, მონასტერს მიაშურა. ეს მოხდა 1889 წლის ოქტომბერში. ნათესავები ისე ძლიერ შეწუხდნენ მისი ამ ნაბიჯით, რომ მოილაპარაკეს; მონასტრიდან გამოსატყუებლად თამარს წერილი მისწერეს, სადაც თბილისში ცოტა ხნით ჩასვლას სთხოვდნენ, რათა მემკვიდრეობის საკითხი მოეგვარებინა. თამარი მართლაც ჩავიდა თბილისში, ნათესავებმა კი იგი „შინა პატიმრობაში" აიყვანეს და მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს. ილუმენია იუბენალიამ ყველა ღონე იხმარა, რათა თამარი მონასტერში დაებრუნებინა. მან თავისი თბილისელი ნაცნობის საშუალებით თამარი სახლიდან გამოაპარა და მონასტერში დააბრუნა. ნათესავების მცდელობას, თამარი კვლავ ერში დაებრუნებინათ, რეალური შედეგი აღარ მოჰყოლია. იგი სამუდამოდ მონასტერში დარჩა.

1890 წლიდან თამარი ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი ხდება, სადაც მონასტრის წინამძღვრის, ილუმენია იუბენალია I-ის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა. 1896 წელს მორჩილ თამარს ანაფორა უკურთხეს. 1900 წელს კი საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) თამარი მონაზვნად აღკვეცა და სახელად იუბენალია უწოდა. 1901 წლის 27 ოქტომბერს იგი ილუმენია იუბენალიას წარდგინებით, ბოდბის დედათა მონასტრის ხაზინდარად დაინიშნა.

მონაზონი თამარი ბოდბის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდში

1902 წლის ზაფხულში ილუმენია იუბენალია I მოსკოვში, მაცხოვრის შობის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. თავის აღმზრდელთან ერთად დედა თამარიც გაემზადა რუსეთში წასასვლელად, მაგრამ პეტერბურგიდან დიდი თანამდებობის მქონე სასულიერო პირისაგან მოულოდნელი ტელეგრამა მოვიდა, სადაც ეწერა, რომ დედა თამარი დანიშნულია ბოდბის მონასტრის წინამძღვრად. ილუმენია იუბენალიამ და დედა თამარმა დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ გამოენახათ გამოსავალი და თავიდან აერიდებინათ მონასტრის წინამძღვრობა, მაგრამ მალე მოვიდა მკაცრი წერილი: „ვიცით, რომ ძნელია ამ ჯვრის ტვირთვა, მაგრამ როგორც მონაზონმა, უნდა აღასრულო ღვთის ნება". დედა თამარი იძულებული გახდა, ბრძანებას დამორჩილებოდა. 1902 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპო[illegible]) იგი ბოდბის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა და ილუმენიას წოდება მიანიჭა, ხოლო 1903 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1905-07 წლებში საქართველო პირველი რევოლუციის ქარცეცხლში გაეხვია. იმ პერიოდში მრავალი სასულიერო პირი აღესრულა ღვთისმგმობელთა ხელით. ერთი ასეთი თავდასხმა დედა თამარზეც მოხდა, სადაც იგი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. 1907 წლის 27 ნოემბერს იგი მონასტრის ეტლით თბილისისკენ მიემგზავრებოდა. მას ახლდნენ: მეეტლე, კონდუქტორი მსახური და ერთი ცხენოსანი დარაჯი. ეტლში კი ისხდნენ: მისი რძალი, ორი პატარა ძმისშვილი და მორჩილი ელენე ვაჩნაძე (შემდგომში ბოდბის მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია ნინო). მგზავრობიდან 15-20 წუთის გასვლის შემდეგ, როდესაც ეტლი აღმართზე ადიოდა მათ სროლის ხმა გაიგონეს. დედა თამარმა ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა რევოლვერებით შეიარაღებული რამდენიმე კაცი, რომლებიც სროლით ეტლისკენ მო[illegible] ბოდნენ. ილუმენიამ მეეტლეს ცხენების გაჭენება უბრძანა, რასაც თავდასხმელებმა სროლით უპასუხეს და რამდენიმე მეტრში ოთხივე ცხენი მკვდარი დაეცა, ასევე დაიჭრა მისი ოთხივე მხლებელი. დედა თამარი მიხვდა, რომ თავდამსხმელებს მისი მოკვლა ჰქონდათ განზრახული და დანარჩენების გადასარჩენად ეტლიდან გადასვლა სცადა, მაგრამ მათ ამის საშუალება არ მისცეს. მაშინ დედა თამარმა მკერდზე ჩამოკიდებულ წმინდა სერაფიმე საროველის ხატს დახედა და დიდი ხმით შესთხოვა: „ღირსო მამაო სერაფიმე, გვიხსენი! უეცრად ქუჩის ბოლოში გამოჩნდა სამხედრო რაზმი ოფიცრის მეთაურობით, რომელთა დანახვაზე თავდამსხმელები მყისიერად გაუჩინარდნენ. ოფიცერმა ეტლის კარები გამოაღო და ცოცხალი ადამიანები რომ დაინახა, იკითხა: „მონაზვნებო, თქვენ გესროდნენ? რას ნიშნავს ეს?" სროლის ხმაზე ხალხიც შეიკრიბა. დედა თამარმა ითხოვა, სასწრაფოდ დახმარებოდნენ დაჭრილებს, თუმცა დარაჯი და მეეტლე გარდაცვლილი იყვნენ, მძიმედ დაჭრილი კონდუქტორი და მსახური კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ყველა გაკვირვებული იყო, თუ როგორ გადარჩნენ ისინი ცოცხლები, რადგან ეტლი მთლიანად დაცხრილული იყო; დათვა

იღუმენია იუბენალია I და მონაზონი თამარი

ლიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეტლს 67 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ამ ვანდალურმა ფაქტმა მთელი ქალაქი აღაშფოთა. იმავე საღამოს დედა თამარი მოინახულა 100-მდე პიროვნებამ, რომელთაც იგი გაამხნევეს. ერთ კვირაში პეტერბურგიდანაც მოვიდა წერილი, სადაც ეწერა: „გამხნევდით, მალე გადაგიყვანთ მოსკოვში“. მართლაც, 10 დღეში დედა თამარი მოსკოვის პოკროვის მოწყალების სავანის წინამძღვრად დაინიშნა. იღუმენია თამარს არ უყვარდა მისი ცხოვრების ამ პერიოდის გახსენება.

ამ ამბის შემდეგ დედა თამარს ღირსი მამა სერაფიმე საროველის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება გაუჩნდა (ღირსი სერაფიმე საროველის ეს პატარა სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც შემდეგ დედა თამარმა წვრილ ჩარჩოში ჩაასმევინა, პოკროვის საზოგადოების წინამძღვრად ყოფნის დროს, დიდი თავადის ქალის, ელიზაბეტა თედორეს ასულის თხოვნით, რუსეთის ტახტის მემკვიდრეს — ალექსი ნიკოლოზის ძე რომანოვს გაუგზავნა საჩუქრად, რომელიც საშინელი სენით იყო ავად. პატარა უფლისწულს ეს ხატი სასთუმალთან ჰქონდა დასვენებული. 1917 წელს, როდესაც მეფის ოჯახი დააპატიმრეს და გადაასახლეს, ხატი დაიკარგა). 1908 წლის ივნისში მან მტკიცედ გადაწყვიტა, დაეარსებინა მონასტერი ღირსი მამის სახელზე. სულიერი მამების — მამა ალექსი ზოსიმელის, მამა ანატოლი ოპტინელისა და სერგიევის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ლავრის მოძღვრის, მამა თობიას რჩევითა და ლოცვა-კურთხევით, დედა იუბენალიამ საფუძველი ჩაუყარა სერაფიმო-ზნამენსკოეს დედათა სავანეს. 1910 წლის 27 ივლისს საძირკველი ჩაეყარა ახალ სავანეს, რომელიც 1912 წლის სექტემბრამდე შენდებოდა. სავანის გარე და შიდა მოწყობის ყველა საჭირბოროტო საკითხზე დედა იუბენალია ეთათბირებოდა მეუფე არსენს (ჟადანოველი), რომელიც 1916 წლიდან მისი და სავანის ყველა მონაზონის სულიერი მოძღვარი გახდა (და იყო კიდეც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — 1937 წლამდე).

იღუმენია თამარი

1912 წლის 23 სექტემბერს მოსკოვის მოტროპოლიტმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) საზეიმოდ აკურთხა ახალი სავანე. კურთხევამდე 8 დღით ადრე, 21 სექტემბერს, წმინდა დიმიტრი როსტოველის ხსენების დღეს, ეპისკოპოსმა არსენმა იღუმენია იუბენალია დიდ სქიმაში აღკვეცა და სახელად თამარი უწოდა. სერაფიმო-ზნამენსკის სავანემ მხოლოდ 12 წელი იარსება. იგი 1924 წელს ბოლშევიკებმა დახურეს და დედა თამარი იძულებული გახდა პერხუშკოვოს დასახლებაში, 10 მონაზონთან ერთად, პატარა სახლში დაბინავებულიყო. იქვე დასახლდა მღვდელი ფილარეტ პოსტნიკოვი. პერხუშკოვოში ცხოვრება დაახლოებით ისე აეწყო, როგორც სავანეში. დედა თამართან უამრავი ადამიანი მოდიოდა რჩევა-დარიგებისათვის.

1931 წელს დედა იუბენალია რამდენიმე მონაზონთან და მღვდელ ფილარეტთან ერთად დააპატიმრეს და განაჩენის გამოტანის შემდეგ, ციმბირში, ირკუტსკიდან ორასი კილომეტრის მოშორებით გადაასახლეს. საკანში სხვადასხვა ჯურის პატიმრები იყვნენ — პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი. როგორღაც მოხერხდა და დედა თამარს საერთო საკანში კუთხე გამოუყვეს, რომელიც ფარდით იყო გამოყოფილი. სისხლის სამართლის დამნაშავენი ხშირად ხმაურობდნენ და უწმაწურ სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ როგორც კი დედა თამარი სთხოვდა, მაშინვე ჩუმდებოდნენ. მთელი საკანი დიდ პატივს მიაგებდა მას. როდესაც იგი ამანათს იღებდა, ყველას თანაბრად უნაწილებდა და ისინიც ამას ისე იღებდნენ, როგორც ღვთის წყალობას.

გადასახლებამდე დედა თამარს ფეხის ტკივილი და ჭლექი ტანჯავდა. გადასახლებაში კი ეს ავადმყოფობა კიდევ უფრო გაუძლიერდა და მისი ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ახლობლებისადმი გამოგზავნილ წერილებში იგი დაჟინებით იმეორებდა: „მინდა როგორმე დავუბრუნდე ჩემს ნაპირებს“.

1934 წლის შემოდგომაზე სქიმიღუმენია თამარი, თავისი ძმის, ცნობილი რეჟისორის კოტე მარ-

ჯანიშვილის შუამდგომელობით, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. დაბრუნების შემდეგ იგი ბელორუსიაში, რკინიგზის სადგურ პიონერსკაიასთან პატარა სახლში დასახლდა. დედა თამარი უკვე ძალიან ავად იყო. გადასახლებაში ყელის ტუბერკულოზიც დაწყებია. შემორჩენილია მისი უკანასკნელი წერილიც ერთ-ერთი სულიერი შვილისადმი , 1936 წლის 15 იანვრით დათარიღებული: „ჩემო საუნჯევ, რა სიყვარულით მოგწერდი ვრცელ წერილს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალი არ შემწევს, აზრებს თავს ვერ ვუყრი. ამ წუთში ტემპერატურა 39 გრადუსი მაქვს. მიუხედავად ამისა, მაინც ისევე მხნედ ვარ, როგორსაც ჩვეულებრივ მხედავდი ხოლმე. ეს-ეს არის ვისადილეთ, ახლა ჩაის დავლევ, ჩემს შვილებთან ერთად. დღეს ორი იანვარია (ძვ. სტ), თქვენები მომიკითხე. გკოცნი და გეხვევი, ჩემო საყვარელო შვილო. შენი ბებია“.

მისი თანამედროვენი დედა თამარს დიდ სულიერ მოღვაწედ მიიჩნევდნენ. მის სავანეში მოღვაწე ერთ-ერთი მონაზვნის გადმოცემით, იგი თურმე განდეგილის ჯაჭვს ატარებდა ტანზე. შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მონაზვნის ფაქიზი, კოხტად მორგებული ჩასაცმელის ქვეშ, რომელიც სისუფთავისაგან ქათქათებდა, დედა თამარი ჯაჭვს ატარებდა. ისევე, როგორც ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ

ბოდბის მონასტერი. ფოტო გადაღებულია 1905 წელს

იგი საწოლზე ულეიბოდ, შიშველ ფიცარზე იწვა. საერთოდ, ეძინა კი? იმ ოთახიდან, სადაც პერხუშკოვოში დებს ეძინათ, ღამით თუ ვინმე გამოიღვიძებდა, ხვდებოდა, რომ ტიხარს იქით, სენაკში, დედა თამარი ფხიზლობდა. ცხადი იყო, ლოცულობდა.

სქიმილუმენია თამარი 1936 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა. მას წესი აუგო თავისმა მოძღვარმა, ეპისკოპოსმა არსენმა (ჟადანოველი). დაკრძალულია მოსკოვში, ვედენის მთაზე, მამა ალექსი მეჩევის საფლავის ახლოს.

საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“

ამა წლის 28 მაისს ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“. სტამბის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში, სადაც მას დასახელება მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეურჩია. სტამბაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სრულდება წიგნების გამოცემა. სტამბაში უკვე დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საეკლესიო ლიტერატურა, რომლის შეძენაც შესაძლებელია მაღაზია „ალილოს“ ქსელებში, ასევე სხვა საეკლესიო მაღაზიებში.

უნდა აღინიშნოს, რომ „პირველად იყო სიტყვა“ სტამბაში იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს ყოველკვირეული გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. სტამბის მისამართია: ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრა.

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

40 სებასტიელ მონამეთა ტაძრის მლოცველები

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) 1870-1924

მიტროპოლიტი ნაზარი — ერისკაცობაში ნესტორ ლეჟავა 1870 წელს (მეორე ვერსიით — 1869 წელს), ქუთაისის გუბერნიის სოფელ ჯიხაიშში, ანდრია ლეჟავასა და ეფემია გრიგოლის ასულის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლების რამდენიმე თაობა სასულიერო მოღვაწეები იყვნენ. ნაზარის მამა — მღვდელი ანდრია ნიკოლოზის ძე ლეჟავა — 1867-1905 წლებში სოფელ დიდი ჯიხაიშის წმინდა გიორგის სახელობის (სერგიეთის) წინამძღვარი იყო (გარდაიცვალა 1911 წლის 13 მაისს), ხოლო ანდრიას მამა — მღვდელი ნიკოლოზ მარკოზის ძე ლეჟავა — 1844-1859 წლებში წინამძღვრობდა დიდი ჯიხაიშის ეკლესიას (გარდაიცვალა 1875 წლის 8 იანვარს). სასულიერო პირი იყო ასევე ნესტორის ბიძა — იოანე ნიკოლოზის ძე ლეჟავა და ძმა — სამსონ ლეჟავა. არცაა გასაკვირი, რომ ასეთ ტრადიციულ და კულტურულ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ნესტორი, თავადაც სასულიერო გზას ირჩევს.

პირველდაწყებითი განათლება ნესტორმა ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. შემდეგ სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო, რომელიც 1886 წელს დაასრულა. 1886-1892 წლებში იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სემინარიის დასრულების შემდეგ ნესტორი თავის მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა, სადაც მალევე დაქორწინდა ალექსანდრა ივლიანეს ასულზე და გადაწყვიტა, სასულიერო გზით გაეგრძელებინა მოღვაწეობა. 1893 წლის 13 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ნესტორი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 21 თებერვალს — მღვდლად დაასხა ხელი და ხონის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1894 წლის 14 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1897 წლის 1 სექტემბერს ხონის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1897 წლის 13 ივნისს მამა ნესტორს რუსეთის იმპერიის პირველ საყოველთაო აღწერაში მონაწილეობის მიღებისათვის, სამკერდე უმაღლესი ჯილდო — მუქი ბრინჯაოს მედალი ეწყალობა. იგი ასევე დაჯილდოვდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახელობის სამახსოვრო მედალით. 1899 წლის 14 თებერვალს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატად აირჩიეს. 1900 წლის აღდგომას — სკუფია უბოძეს. ამავე წელს მამა ნესტორს ცხოვრების თანამგზავრი, საყვარელი მეუღლე ალექსანდრა გამოეცალა ხელიდან. მალევე გარდაეცვალა ორი პატარა შვილიც. მეუღლის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ახალგაზრდა მოძღვარი. თავისი მოძღვრისა და ახლობელთა ლოცვა-კურთხევით მან რუსეთში სასწავლებლად წასვლა გადაწყვიტა.

1901 წელს მღვდელმა ნესტორმა კიევის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. სწავლის პერიოდში მან საბოლოოდ გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურისათვის მიეძღვნა და ბერობაში გაეგრძელებინა სასულიერო მოღვაწეობა. IV კურსზე სწავლის პერიოდში, 1904 წლის 26 აგვისტოს იგი ბერად აღიკვეცა და სახელად ნაზარი ეწოდა. 1905 წელს მღვდელ-მონაზონმა ნაზარმა კიევის აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის მაგისტრის ხარისხით დაამთავრა და ამავე წლის 8 ნოემბერს ქ. ვოლინის სასულიერო სემინარიაში ჰომილეტიკის პედაგოგად დაინიშნა. 1907 წლის 3 დეკემბერს კლევანის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. 1908 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1910 წლის 10 მაისს იღუმენის წოდება მიენიჭა.

1911 წლის 17 ნოემბერს იღუმენი ნაზარი, თავისი თხოვნის საფუძველზე, საქართველოს საეგზარქოსოში გადმოიყვანეს და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. 1911 წლის 1 დეკემბერს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს. ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე მამა ნაზარის შესახებ წერდა: **„არქიმანდრიტ ნაზარს მოსვლისთანავე შეეტყო ქართული მამულიშვილობა, თავის ქვეყნისა და ერის გონივრულად სიყვარული და სამსახურის ტრფიალება. მან ფხიზლად გადახედა ჩვენს წარსულს, ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ისტორიას და მის მწერლობას, ამის წინაშე მას დიდი გულის სითანაღრე დაემჩნა, ამიტომაც არქიმანდრიტმა ნაზარმა თავის გულის სალბუნებლად მონახა კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი. ეს გახლავსთ მასწავლებელი მოძღვარი, დეკანოზი კორნელი კე-**

კელიძე. მან თავს იდვა და თავის შრომით გამოსცა მამა კორნელის წიგნი — „იერუსალიმის კანონარი“, ღირსეული ისტორიული შრომა. იმედი გვაქვს, არქიმანდრიტი ნაზარი არც ამის შემდეგ დაივიწყებს ასეთ წიგნების გამოცემას და ხანდისხან მაინც გამოსცემს ასეთ იშვიათ ძვირფას წიგნებს“.

1912 წლის 12 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესად დაინიშნა. ამავე წლის 30 მაისს საეკლესიო მუზეუმის, ხოლო 12 აგვისტოს — სამისიონერო საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1913 წლის 5 ივნისს, საეკლესიო მუზეუმის დავალებით, დაეკისრა მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მონასტრის აღდგენითი სამუშაოების ზედამხედველობა. 1914 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის, ხოლო 1916 წლის 6 მაისს — წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1915 წლის 2 მაისს საქართველოს საეგზარქოსოში ჩამოსული სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1916 წლის 19

იღუმენი ნაზარი მშობლებთან და დედ-მამიშვილებთან ერთად

აპრილიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრია.

მამა ნაზარი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენის ბრძოლაში. 1917 წლის 4 ივლისს, თანახმად მონასტერთა წარმომადგენლების არჩევისა, მამა ნაზარი დაამტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს ბერ-მონაზონთა წარმომადგენლად სრულიად საქართველოს საეკლესიო დროებით მმართველობაში. 1917 წლის 11-17 სექტემბერს არქიმანდრიტი ნაზარი პირველ საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა. 1918 წლის 17 ნოემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტი ნაზარი ეპისკოპოსად აკურთხეს და ქუთაისის ეპარქიის მმართველად დანიშნეს. ამავე დღეს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა.

1919 წლის 26 მაისს ქუთაისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში მიტროპოლიტმა ნაზარმა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე შესანიშნავი ქადაგება წარმოსთქვა, სადაც საფუძვლიანად აღნიშნავდა (ქადაგება მოგვყავს შემოკლებით):

„ქართველ ერს უძველეს დროიდან თავის ისტორიულ არსებობისა კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული ეს უაღრესი მნიშვნელობა ეროვნულ პოლიტიკური თავისუფლებისა, როდესაც მან მის დაცვა შენახვა-შენარჩუნებას შეალია მთელი ძალღონე თავის მრავალ საუკუნეთა ცხოვრებისა. არ დაზოგა და თავისუფლების საკურთხეველზე მსხვერპლად შესწირა ბევრი თავისი ღირსეული შვილები, რომელთა უკვდავი და შარავანდედით მოსილი სახელები ამკობენ და ამშვენებენ ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორიას. ქართველმა ერმა უძველეს დროიდან დაიკავა ქვეყნიერების ერთი საუკეთესო, ლამაზი და მშვენიერ კუთხე, და მიუხედავად მრავალრიცხოვან გარშემორტყმულ მოქიშპე, მოშურნე და მოსისხლე მტერთა, მან შეინარჩუნა ეს მართლაც მომხიბლავი მხარე, შექმნა თამარ მეფის ბრწყინვალე და ოქროს ხანა. აწარმოვა ბევრი საბედისწერო და სახელოვანი ომები, რომელთა შექმნეს ქართველ ხალხის ფარხმალის ძლიერების სახელი; ასეთი ძლევამოსილობით და დიდებით ქართველმა ერმა მოაღწია XIX ს-ის კარებამდე, როდესაც, მეტად შევიწროებულ პირობებში ჩავარდნილს, რომ შეენახა თავის ეროვნული სული, იძულებული იყო შეეფარებია თავი და დაკავშირებოდა ისეთ მძლავრ სახელმწიფოს, როგორიც მაშინ იყო რუსეთი. ქრისტიანობის ზეგავლენით გულუბრიყვო, გარეშე მტერთა ბრძოლით ღონემიხდილმა ერმა მიაპყრო თავის თვალები ჩრდილოეთს: იფიქრა იქაც ჩემსავით აღიარებენ, ძალაც მათ ხელშია და მე მტრისაგან გულდაკოდილ დას შემიტკბობენ, წყლულს შემიხვევენ და ისევ ფეხზე დამაყენებენო, ოცნებობდა მაშინ მრავალტანჯული ერი და ქვეყანა.

ქართველი ერი არასოდეს ისე საშინლად არ მოტყუებულა, როგორც ამ დროს. მეგობრის სახით მოსულმა მოსისხლე მტერმა, ჩვენს ქვეყანას ნაცვლად ძმურ თანაგრძნობისა კისერზე დაადგა მეტად მძიმე და აუტანელი უღელი საშინელი მონობისა. თვით მისი დამაახლოვებელი ეკლესიაც არ დაინდო, გაჰქურდა, გათელა, გაანადგურა, მისი საუკეთესო მწყემსმთავარნი მოსწყვიდნა და აწამა და თვით ეკლესია გახადა ჩვენი გადაგვარების და მოსპობის ერთერთ იარაღად. დაატყვევა, შეხუთა და შეასუსტა ეროვნული სული; შეაჩერა მისი ცხოველმყოფელი შემოქმედება — მისი კულტურული მოსწრაფება და თავისუფალი ისტორიული მსვლელობა. პირიდან ენა ამოგვგლიჯა — მოგვისპო და მის ნაცვლად მოსისხლე მტერი თავის ენას იძულებით გვათვისებიებდა, ვინაიდგან მან კარგად იცოდა, ჩვენი პოეტის თქმისა არ იყოს: „რა ენა წარხდეს, ერი დაეცეს, ჩირქი წაეცხოს ტაძარსა წმინდას“.

ქართველ ერს თავის ისტორიულ წარსულში ახსოვს ბევრი საშინელი, შეუბრალებელ მტერთა შემოსევა და ჩვენი ქვეყნის აოხრება და ნაცარმტვრად ქცევა, მაგრამ მისი ეროვნული სული იმდენად ძლიერი და ღონი-

ერი იყო, რომ ყოველ ამგვარ განადგურების შემდეგ ის კვლავ აღდგებოდა და განახლდებოდა, ვით ფენიქსი თავის ფერფლისაგან. და მართლაც აღსრულდა, ხორცი შეისხა დიდი ხნის ნატვრა-ოცნებამ და 117 წლის განაწამები მონა — თავისუფალი გახდა. შესრულდა ჩვენი მუდამ ცოცხალის, აკაკის პოეტური ნინასწარმეტყველება: **„დამეხსენი რუსეთველო, რა მაქვს შენთან საზიარო, თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო, გაყინული ცივი გული, სხვას რას გიზამს, თუ არ ბრობას. შეგიპყრივარ, როგორც ლომი გველეშაპსა ძალადობით, შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემს გულს ანუგეშებს ის იმედი, რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს მთლად დალეწავს ჩემი ბედი“**. მართლაც დაიღეწა, დაიქცა, დაიმსხვრა ბატონობა ჩვენი ერის სიცოცხლის გამწარებელისა და დღეს ჩვენ მონობისაგან თავდაღწეულნი ვდღესასწაულობთ, ვზეიმობთ უკვე ერთი წლის ეროვნულ თავისუფლებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამაზედ უფრო და უმწვერვალესი ბედნიერება ქვეყანაზედ წარმოუდგენელია, ვინაიდან თავისუფლება საფუძველი, წყაროა ყოველივე სხვა ბედნიერებისა. 1801 წელში ჩატყდა ჩვენი ეროვნული ხიდი და 1918 წლის 26 მაისს ხელახლავ გაკეთდა და განახლდა და ეხლა მასზე თავისუფლად მიმოდიან ივერიის ძენი და ასულნი. გაიხარე, მრავალტანჯულო ქართველო ერო, 26 მაისი დღეა შენი სულიერი დაბადების, დღეა შენი ეროვნულ გაზაფხულისა. წარმოიდგინე ის დიდი საკეთილდღეო შედეგები, რომელნიც მას თავისთავად მოჰყვება: ამისათვის 26 მაისი, დღე შენი საზიზღარ ტყვეობა-მონობის მოსპობისა და ეროვნულ თავისუფლების დროშის აფრიალებისა, ოქროს ასოებით, წაუშლელათ, სამუდამოდ აღიბეჭდება შენს და შენი მომავალი შთამომავლობის გულის ფიცარზე.

ამიერიდან იწყება თავისუფალ საქართველოს ახალი ხანა, ხანა მისი პოლიტიკურ-კულტურულ, ეკონომიურ და ეკლესიურ ცხოვრების აღორძინება-აყვავებისა და ამ გზით ის მჭიდროდ დაუკავშირდება თავისუფალ და განათლებულ ევროპის ერებს, რომელთა შორის ის დაიჭერს თავის საპატიო ადგილს.

მადლი ღვთისა, მფარველობა ღვთისმშობლისა, რომლის წილხდომილია ჩვენი ქვეყანა, ლოცვა და კურთხევა ქალწულ ნინოსი, მოწამე ქეთევანისა და თამარ მეფისა იყოს ჩვენს თავისუფალ სამშობლოზე ამიერიდან და უკუნისამდე“.

1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი აიღო და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც სიონისა და სვეტიცხოვლის ეკლესიების განძეულობა უნდა გაეტანათ და შეენახათ ქუთაისის სახელმწიფო ხაზინაში. ქუთაისში ჩატანილი განძეულობა ჯერ საკათედრო ტაძარში მიიტანეს, სადაც რამდენიმე დღეში კათოლიკოსიც ჩავიდა. აქ გადაწყდა, რომ ყველაფერი ბაგრატის ტაძრის ძირში მდებარე ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის სამღვდელმთავრო სახლის აივნის ქვეშ დაემალათ, ზედ კი ქვის ფილაქანი დაეფარებინათ. 1921 წლის მარტში, როდესაც ქუთაისიც წითელმა არმიამ დაიკავა და ქალაქში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, ჩეკისტებმა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს განძი მაინც აღმოაჩინეს. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტ ნაზარს მრავალი უსიამოვნება შეხვდა.

1921 წლის 5 სექტემბერს მიტროპოლიტი ნაზარი მონაწილეობდა III საეკლესიო კრებაში, სადაც მეუფე ამბროსისთან (ხელაია) ერთად კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად იყო წარდგენილი. ხმათა უმრავლესობით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი აირჩიეს. 1923 წლის 27 იანვარს საბჭოთა ხელისუფლებამ მეუფე ნაზარი საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრა და მეტეხის ციხეში მოათავსა. იგი თოთხმეტი თვის პატიმრობის შემდეგ, 1924 წლის 29 მარტს გაათავისუფლეს.

1924 წლის 1 აგვისტოს, მრევლის თხოვნით, მეუფე ნაზარი, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, სოფელ როდიონულის ეკლესიის საკურთხეველად ჩავიდა. მწუხრის ლოცვის შემდეგ ერთ-ერთი მრევლის ბინაში მოსასვენებლად მივიდნენ. ადგილობრივმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ მიტროპოლიტი ნაზარი და სასულიერო პირები, ვითომდა აჯანყების მოწყობის მცდელობის საფუძველზე, დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში გადაიყვანა. ერთი თვის პატიმრობის შემდეგ, 2 სექტემბერს, გამთენიისას, მიტროპოლიტი ნაზარი,

მარცხნიდან: მღვდელ-მონაზონი ნაზარი, არქიმანდრიტი დავითი (კაჭახიძე) და არქიდიაკონი ვიტალი. პოჩაევოს ლავრა, 1906 წლის 2 სექტემბერი

დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სვიმონ მჭედლიძე და პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე შუაღამით ციხიდან გაიყვანეს და ქუთაისის მახლობლად ტყეში დახვრიტეს.

ამ ამბის მომსწრე, დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე, რომელიც კრებულთან ერთად იყო დაპატიმრებული ქუთაისის ციხეში, თავის მოგონებებში ასე აღწერს იმ ავადმოსაგონარი ღამის შესახებ: „ამასობაში ათი საათი შეიქნა და დავწექით კიდეც. ერთი რომ წავიძინე და გამომელვიძა, ეზოში, რომელიც ხრეშითაა მოფენილი, მომესმა დაჭედილი ჩექმების რაღაც არაჩვეულებრივი ხმაურობა, რადგანაც ფანჯრიდან გადახედვა საშიშია დარაჯის მხრით, ნარზე წამოვიჩოქე, მაგრამ ვერა დავინახე რა. ამ დროს დეკანოზ ჯაჯანიძესაც გამოელვიძა მეორე მხარეს, მაგრამ ვერც იმან გაიგო რა. მე ისევ ჩამეძინა. ცოტა ხანში ხმაურობაზე ისევ გამელვიძა და რას ვხედავ, ვილაც შეიარაღებული პირები შემოსულან ჩვენს საკანში. ერთი მათგანი ლამფასთან რაღაცას კითხულობს და მომესმა: „კორნელი კაკაბაძე, ჰო, მართლა, ის მეორე განყოფილებაშია“ და დასძინა: „აბა, ჩქარა, ჩაიცვით და წამოდითო“. ამ დროს კარზე მოადგა ციხის უფროსის თანაშემწე რუხაძე და დაიძახა: „ჩქარა წამოდით, თორემ მატარებელი გაგვასწრებსო“. ვიფიქრე, მატარებელით მივყავართ სადღაც, მაგრამ არ ვიცი, ყველანი თუ ზოგიერთი. ამიტომ საცვლების ამარა გადმოვკიდე ფეხები ნარიდან და ვუცდი, თუ მეტყვიან ჩაიცვიო. სიის მკითხველმა ჩამოთვალა: ჯაჯანიძე, მჭედლიძე, ნიკოლაძე, მობრუნდა ჩვენსკენ (ახლა კი გამაცივა), მიტროპოლიტი გააღვიძეთო და იკითხა, კუხიანიძე სად არისო. ვილაცამ მეორე მხრიდან დამიძახა: „ვასილ, გააღვიძე ბესარიონიო და მეც, რადგანაც ის ჩვენს ნარზე იწვა, გადაუწიე ხელი, შევანძრიე და დაუძახე: „ბესარიონ, ბესარიონ-მეთქი“. რაიაო, ერთი რაღაც შეწუხებული სთქვა. მთავრობაა და გაიღვიძე-მეთქი. ამ დროს ისევ ასისთავმა დაიძახა, მიტროპოლიტს მოეხმარეთო და ამ მხრიდან მე და მეორე მხრიდან მღვდელი ვარდოსანიძე გადმოვედით და მივეშველეთ მიტროპოლიტს ბარგის შეკვრაში. კოვზები ზოგი ვერცხლისა იყო და ზოგიც უბრალონი და ამიტომ შევეკითხე მიტროპოლიტს, თუ რომელია მისი კოვზი; — რომელიც ყველაზე ნაკლულიაო. ვიფიქრე, მეტეხშიც დასჭირდება-თქო და მეც, რომელიც ყველაზე უკეთესი იყო, ის ჩაუდევი. ბარგის შეკვრაში მიტროპოლიტი გარე გასულიყო და სხვები რო გაირეკეს წინ, ჯაჯანიძემ ესღა მოასწრო: „ვასილ, აბა შენ იცი ბავშ....“ და გარეკეს კიდეც. მიტროპოლიტი კაბის ამარა შემობრუნდა და ანაფორა ჩაიცვა, გამოგვეთხოვა ყველას, პირზე კოცნით და გვითხრა: „არ შეშინდეთ, მხნედ იყავით, სიკვდილი ყველა ერთიაო“ და გაჰყვა იმათ. მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობას ჩვენ მაშინ ვერ მივხვდით“.

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის დასაფლავება. ცენტრში — არქიმანდრიტი ნაზარი

1995 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, წმინდა სინოდის გაფართოებულ სხდომაზე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), თავის კრებულთან ერთად, წმინდათა დასში შერაცხა, წმინდა მღვდელმოწამე ნაზარის სახელწოდებით. ხსენების დღე — 27 აგვისტო.

ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტის საბას (გიგიბერია) ლოცვა-კურთხევით სოფელ კულაშში აშენდა წმინდა მღვდელმოწამე ნაზარის სახელობის ეკლესია, რომლის კურთხევაც ნოემბრის თვეში მოხდება.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაერცელება: ცარო ჯარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი გიორგი (ჯინჭველაძე) 1863-1934

არქიმანდრიტი გიორგი, ერისკაცობაში გრიგოლ გაბრიელის ძე ჯინჭველაძე, 1863 წელს, ახალციხის მაზრის სოფელ მუსხში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1880 წელს გრიგოლმა ახალციხის საქალაქო სასწავლებლის სრული კურსი დაამთავრა. 1881-1882 წლებში პედაგოგიური კურსები გაიარა და მასწავლებლად მუშაობის უფლება მიენიჭა. 1882-1884 წლებში კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1884-1888 წლებში — ახალციხის საქალაქო სასწავლებლის დირექტორის თანაშემწედ.

1888 წელს გრიგოლმა ჯვარი დაიწერა სოფიო სტეფანეს ასულზე. შეეძინა ორი ასული: რუსუდანი (დაიბადა 1900 წელს) და ივლიანა (დაიბადა 1891 წელს). 1888 წლის 25 აგვისტოს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) გრიგოლი დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 28 აგვისტოს კი თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) მას მღვდლად დაასხა ხელი და ზაქათალის მაზრაში, სოფელ ბელაქანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1889 წლის 23 აგვისტოს, საკუთარი თხოვნის თანახმად, ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრაში, სოფელ ბარალეთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. ბარალეთის სამრევლოში თავისი ხუთწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მამა გრიგოლმა მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. პირადი ასკეტური ცხოვრებითა და ღვთისადმი ერთგული სამსახურით იგი კეთილ მაგალითს აძლევდა და სულიერად განამტკიცებდა მრევლს. უმოკლეს ხანში მან პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოღვაწეობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ჯავახეთის მხარეში; 1894 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც იგი აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს, ბარალეთის მორწმუნენი ფრიად დააღონა ენერგიული და პატივცემული მოძღვრის ჩამოშორებამ. გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის 23 დეკემბრის ნომერში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი, ჯავახეთში მამა გრიგოლის ღვაწლის შესახებ წერდა:

„წელს, შემოდგომაზე, ახალი საეკლესიო შტატები გაიხსნა მესხეთსა და ჯავახეთში. მესხეთში, სოფელ ზედა თმოგვში, რომელზედაც სოფელი აგარაა მიწერილი და სოფელ აწყურში, სადაც გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა მაგიერ რამდენიმე კომლი (13-20) მართლმადიდებელნი ქართველნი დასახლდნენ. ჯავახეთში დანიშნეს ახალი შტატი სოფელ გოგაშენში, რომელზედაც სოფელი აფნია არის მიწერილი, მღვდლებს თითქმის 500 მანეთი ჯამაგირები ექნებათ წელიწადში და თ... ნაც მოვალენიც არიან, სამრევლ... სკოლები იქონიონ. რაღა თქმა უნდა, ყველასათვის ძალიან სასიამოვნო ამბავია. ჯერ კი არავინ მოსულან მღვდლები, მაგრამ, უეჭველია, ამ ბედნიერ დღეებისთვის გამოჩნდებიან. მეტადრე სადიდმარხვოთაა მღვდლები საჭირო, თორემ ზაფხულში, ხომ მოგეხსენებათ, გლეხი კაცი მინდვრად გადის და მღვდლებს იმდენი საქმეები აღარა აქვთ.

ძრიელ ცუდი საქმე მოუვიდათ ბარალეთის საზოგადოებას. მღვდელმა გიორგი ჯინჭველაძემ აწყური ითხოვა და კიდეც გადაიყვანეს და ბარალეთი ამ ბედნიერ დღეებში უმღვდლოდ დარჩა. საზოგადოებამ სთხოვა ეგზარქოსს და ეხლა დეპეშით ნება მოუვიდათ, მღვდელს სთხოვეთ და თუ ისურვა, ისევ თქვენთან, ბარალეთში დარჩეს ამ დღესასწაულებშიო.

ამ უკაცობის დროს, როცა ყველა გადატაცებ... ლია მხოლოდ ეგოისტური იდეალებით, მამა გიორგ..., როგორც მღვდელი და როგორც კაცი, სწორედ სამაგალითო ადამიანია. წარსულ წერილშიაც მოგახსენეთ, რომ ბარალეთი, ეს მიყრუებული, გადმოვარდნილი ადგილი, ლამის ქალაქად გადაიქცეს-მეთქი, რადგან სოფელში რამდენიმე კაცი ფხიზლობს-მეთქი. ამ გულშემატკივართა შორის მამა გიორგიც სამაგალითოდ ირჯებოდა საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებში.

სანატრელია, რომ ახალმა მოძღვარმაც, რომელიც ბარალეთშია დანიშნული, მამა გიორგის მოქმედებით იხელმძღვანელოს, როგორც ამბობს ძველი თქმულება: „წინა კაცი უკანისა ხიდიაო“. ყველა საზოგადო საქმე მშვენივრად არის ბარალეთში დაყენებული და ახლად მოსულ მღვდელს მხოლოდ დასჭირდება მხნედ განაგრძოს კეთილი საქმე საზოგადოებისა“.

მამა გრიგოლი 1896 წლის 17 სექტემბერს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1897 წლის 13 ივნისს, რუსეთის იმპერიის პირველი საყოველთაო აღწერის დროს, გამოჩენილი ერთგულებისათვის სამკერდე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 1900 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს. 1900 წლის 19 დეკემბერს ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს.

1901 წლის 15 თებერვალს ახალციხის სანთლის ქარხანაში სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1902 წლის 5 ივლისს საეპარქიო სამღვდელოებამ ოლქის დეპუტატად გამოირჩია. 1903 წლის 6 მაისს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

1904 წლის 12 მაისს მამა გრიგოლი საინგილოში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად გადაიყვანეს. ამავე წლის 23 ივნისს კი თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში განამწესეს და ფშავ-ხევსურეთის II ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. ამავე წლის სექტემბრიდან მღვდელი გრიგოლი თიანეთის ოლქში არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა და თიანეთის ორკლასიანი სამინისტრო სკოლის ზედამხედველად დაადგინეს. 1905 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1907 წლის 29 მაისს გათავისუფლდა მთავარხუცვსის მოვალეობიდან. 1911 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1915 წლის 15 მაისს — წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

დიდია მამა გრიგოლის დამსახურება ერწო-თიანეთის მხარეში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეშიც. თავისი ენერგიული და პატიოსანი მოღვაწეობით რამდენიმე წელიწადში მან აქაც შეძლო მოსახლეობაში სინათლის შუქი შეეტანა. განსაკუთრებულად ცდილობდა, რომ უმცროსი თაობა ღირსეულად აღეზარდა, მათთვის ღვთისა და სამშობლოს სიყვარული ჩაეგონებინა. თუმცა, ამასთან, უნდა ითქვას, რომ მთის სოფლებში ძალიან რთული იყო მისი მიზნების განხორციელება. 1916 წელს მღვდელი ტრიფონ მაჭარაშვილი გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დიდი გულისტკივილით წერდა: **„ფშავ-ხევსურეთი რომ კულტურულად ჩამორჩენილია საქართველოს სხვა ნაწილებს, ეს თითქმის ყველასათვის ცხადია. მთელს ამ მხარეში არ არსებობს ერთი სკოლა. სოფელ ბარისახოში ოდესღაც ყოფილა სამინისტრო პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც დიდი ხალისით დაიარებოდნენ ფშავ-ხევსურეთის ყმაწვილები, მაგრამ 1905 წლის რევოლუციას ეს განათლების აკვანიც უმსხვერპლნია და დღეს აქაურელები მოკლებულნი არიან ამ დიდ საუნჯეს. თავისთავად ცხადია, რომ ერთადერთი ხსნა ამ კუთხისა სკოლების დაარსებაა, მაგრამ ამისთვის არავინ ზრუნავს და ეს საკითხი დღემდის უყურადღებოთაა მიტოვებული. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას განზრახული ჰქონია სკოლების დაარსება ფშავ-ხევსურეთში, რისთვისაც ყოფილა რამდენიმე ათასი მანეთი გადადებული. უკვდავყოფს თავის სახელს თიანეთის მაზრის სკოლების მეთვალყურე, მამა გრიგოლ ჯინჭველაძე, თუ ამ კეთილგანზრახვის სისრულეში მოყვანას დააჩქარებინებს ეპარქიალურ საბჭოს, რითაც მთელ ფშავ-ხევსურეთს სიბნელისაგან იხსნის და განახლების გზაზე დააყენებს“.**

1916 წლის 2 ივნისს მღვდელ გრიგოლს ეკლესიაში ერთგული და მრავალწლიანი ნაყოფიერი სამსახურის გამო, დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1918 წლის 24 სექტემბერს ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე) მამა გრიგოლი თიანეთის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად დანიშნა.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დეკანოზ გრიგოლს უმძიმეს პირობებში უხდებოდა ღვთისმსახურება. მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს მთიანეთში, სადაც იმ პერიოდში უამრავი ავაზაკი და ყაჩაღი აფარებდა თავს. ფშავსა და ხევსურეთში მოღვაწე რამდენიმე სასულიერო პირი მოწამეობრივად აღესრულა. მიუხედავად ამისა, რასაც ხელისუფლების მხრიდან სამღვდელო პირებზე მკაცრი ზეწოლაც ემატებოდა, მამა გრიგოლი მტკიცედ იდგა დედაეკლესიის სადარაჯოზე და მრევლსაც მოუწოდებდა, ქრისტიანული სულისკვეთებით ეცხოვრა. მას ანაფორა არ გაუხდია და არც ღვთისმსახურება მიუტოვებია. როგორც თიანეთის ოლქის მთავარხუცესი, იგი სამღვდელოებას რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ანუგეშებდა მათ, პატიოსნებისა და ღვთისმსახურებისაკენ მოუწოდებდა. ამის მაგალითია ერთ-ერთი წერილი, რომელიც 1926 წელს მამა გრიგოლმა მღვდელ მიხეილ მთიბელაშვილს გაუგზავნა: **„მამაო მიხეილ! მე ჯერჯერობით ისევ ვრჩები თიანეთში. მღვდელი იოანე გოგნიაშვილი გადაყენებულ იქნება ამ ორ კვირაში, აღარ შეუძლია სამსახური, რადგან ყოველდღე მთვრალია. მის ადგილზე დაინიშნა მღვდელი იროდიონ სისაური, ხოლო არტაან-ახალსოფლის შეერთებულ სამრევლოს ჯერ-ჯერობით მღვდელი არ ჰყავს. როგორც ამას წინათ ამიწერეთ, შუა ფხოვის, მუქოსა და უკანა ფშავის სამრევლოთა კომლთა რიცხვი არ ყოფილა მეტი არტაანის სამრევლოზე, რომელსაც ახლა, ბაჩლელ ხევსურთა მიმატებით, 220 კომლამდე ჰყავს,**

თიანეთის ორკლასიანი სკოლა ცენტრში მღვდელი გრიგოლ ჯინჭველაძე

ეპარქიალური სასწავლებლის მოსწავლეები და მათი მამები, 1910წ. ზედა რიგში მარჯვნიდან მესამე — მღვდელი გრიგოლ ჯინჭველაძე

ხოლო თუ ახალსოფლის სამრევლოს მივამატებთ, სულ ირიცხება 482 კომლი. ოდესმე თუ ახალსოფელი ისევ გამოეყო ცალკე, მაინც აჯობებს არტაანის სამრევლო მანდაურ თქვენს დაფანტულ და დატანჯულ სამრევლოს. მე გირჩევთ, ითხოვოთ აქეთ გადმოსვლა. თხოვნაში დაასახელეთ, რომ თქვენ ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) განგამწესათ არტაანში, მაგრამ შემდეგ მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) არ შეასრულა ეს ბრძანება და მღვდელი კონსტანტინე ჭარელაშვილი გაამწესა არტაანში. უფრო კარგი იქნება ჩამოხვიდეთ ჩემთან და აქ მოვაწყობ ამ საქმეს. ვიცი, რომ მანდ არ იქნებით დამშვიდებული, თითქმის ყოველ ზაფხულს მანდ თარეშობენ ყაჩაღები. იცხოვრებთ სოფელ ლიშოში, საიდანაც მისწვდებით ახალსოფელსაც. თუ ახალსოფელში მოგცეს ბინა, შეგიძლია იქაც იცხოვროთ, მაგრამ ლიშოში გირჩევნიათ, იქ საქონელსაც შეინახავთ. მოწერილობა ჩამოსვლისას გამოუცხადეთ მღვდელ თეოდორე ჟამიაშვილსა და მღვდელ მიხეილ ქისტაურს, მაგათ დამაბარეს მე, მადლობა ღმერთსა, რომ მომეცა საშვალება განთავისუფლებისა. რადგან ვიტანჯებოდი მიწერ-მოწერის გამოგზავნაზე, ძალიან უხერხული იყო ალავერდის ეპარქიისათვის ფშავ-ხევსურეთი, მცხეთიდან უფრო ადვილად მოგვივლიან. მადლობა ღმერთსა, რომ საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო მხედველობაში ჩვენი მოსაზრება ამ საგანზე. მოსთხოვეთ მეტრიკის ფული ქისტაურს და თან წამოიღეთ. იყავით მშვიდობით“.

1927 წლის დასაწყისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ამბროსის (ხელაია), რომელიც კარგად იცნობდა მამა გრიგოლს და უწყოდა მისი თავდადებული მოღვაწეობის შესახებ ჯავახეთის მხარეში, განზრახული ჰქონდა მისი ბერად აღკვეცა და აწყურის ეპარქიის მღვდელმთავრად დადგინება, მაგრამ იმ დროს ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ და კათოლიკოსის უეცარმა გარდაცვალებამ ეს კეთილი საქმე ჩაშალა.

1927 წლის შემოდგომაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) ლოცვა-კურთხევით, დეკანოზი გრიგოლი ბერად აღიკვეცა და სახელად გიორგი ეწოდა. 1928 წლის 4 აპრილს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, მღვდელ-მონაზონ გიორგის არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1934 წლის 7 დეკემბერს მცხეთა-თბილისის საეპარქიო კანცელარიის გამგე, დეკანოზი მიხეილ ნაცვლიშვილი თიანეთის ოლქის მთავარხუცესს წერდა: **„მღვდელ იროდიონ სისაურის ამა წლის ნოემბრის 20-ის მოხსენებაზე, არქიმანდრიტ გიორგის დაკრძალვის გამო, მისმა უწმინდესობამ ამა თვის 3-ს ინება შემდეგი რეზოლუცია: ქვემო თიანეთის სწმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდლად გადმომყავს ზემო თიანეთის მოძღვარი, მამა იროდიონ სისაური; ზემო თიანეთის სამრევლო მიეწეროს ქვემო თიანეთისას; თუ მედავითნე ა. თარაშვილი თანახმაა, გადავიდეს ახალსოფელ-არტაანში, შემოიტანოს განცხადება და მამა დავით მათურელის თანხმობა; მანამდე კი იგი უნდა ასრულებდეს წიგნისმკითხველობას მამა სისაურთან“.**

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, არქიმანდრიტი გიორგი 1934 წლის ნოემბრის თვეში აღესრულა. სავარაუდოდ, იგი დაბა თიანეთში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს (ამჟამად ამ ეკლესიის ადგილას სახალხო ბანკის შენობაა).

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de**
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

„მეფუტკრეობა ერთნაირად ხელ-მისაწვდენია როგორც მდიდრისათვის, ისე ღარიბთათვის“

დეკანოზი ალექსანდრე მიხეილის ძე ჯალიაშვილი 1871 წელს (საფლავზე აწერია 1873 წელი), სიღნაღის მაზრის სოფელ ფანიანში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. ალექსანდრე ადრეულ ასაკში დაობლდა და იგი ოჯახის ახლობელმა და ნათესავმა **მღვდელმა ნიკოლოზ მაღალდაძემ** გაზარდა.

მამა ნიკოლოზი 1836 წელს კახეთში დაიბადა. იგი მთელ კახეთში, კერძოდ, ქიზიყში, ერთ-ერთ სამაგალითო და პატიოსან მოძღვრად ითვლებოდა. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, XIX ს-ის 60-იან წლების ბოლოს, მას მღვდლად დაასხეს ხელი და ქიზიყში, სოფელ ბოდბისხევის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს, ხოლო 1885 წელს კამილავკით დააჯილდოვეს. 1892 წელს ეპარქიალურმა სასწავლო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში წმინდა კონსტანტინესა და ელენეს ცხოვრების 100 ბროშურის უფასოდ დარიგებისათვის. 1893 წლის თებერვალში სიღნაღის მაზრის I ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1899 წლის 6 მაისს კი წმინდა სინოდმა მადლობის სიგელი უბოძა. მამა ნიკოლოზი 1902 წლის 22 ივნისს, სიბერის გამო, თავისი თხოვნის საფუძველზე, შტატიდან გადადგა. გარდაიცვალა 1902 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში. დასაფლავებულია კუკიაზე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.

მღვდელი ნიკოლოზ მაღალდაძე და მისი მეუღლე ნინო ჩოლოყაშვილი

მამა ნიკოლოზმა პატარა ალექსანდრე თავდაპირველად სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიაბარა. 1887 წელს მან თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. 1891 წლის 16 ნოემბერს დაიწინდა ივლიტა გიორგის ასულ ჭაბაშვილზე. 1893 წელს ალექსანდრემ თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა და ამავე წლის 25 ივლისს ჯვარი დაიწერა ივლიტაზე. 1893 წლის 18 დეკემბერს მათ ეყოლათ ასული — ელისაბედი, რომელიც სემინარიის მოწაფემ მიხეილ ბენაშვილმა მონათლა (შემდგომში დეკანოზი, 1924 წელს ანაფორა გაიხადა).

ალექსანდრე 1893 წელს, გორის მაზრაში, სოფელ ვანათის ერთკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად განამწესეს. 1894 წლის 1 მაისს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს და რუსული ენის მასწავლებლად დანიშნეს. სამ თვეში ამავე სკოლის ზედამხედველად დაადგინეს. 1894 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) იგი დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს — მღვდლად დაასხა ხელი და ქარელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1896 წლის 4 იანვარს მამა ალექსანდრესა და ივლიტას შეეძინათ მეორე შვილი — მიხეილი. იგი მონათლა ვარდ[illegible] ტერ-აკოფოვმა. ამავე წლის 12 სექტემბერს გარდაეცვალათ ასული — ელისაბედი.

1897 წლის 3 აპრილს მამა ალექსანდრე სოფელ იტრიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს, მაგრამ ამავე წლის 30 მაისს, წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის ხელმძღვანელობის თხოვნით, დუშეთის მაზრის სოფელ ბოკოწინის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში განამწესეს და აღნიშნული სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნეს. 1898 წლის 22 თებერვალს შ[illegible] ძინა ვაჟი იოანე, რომელიც 17 მაისს მონათლა ცნობილმა მოსამართლემ და საზოგადო მოღვაწემ ილია იოანეს ძე წინამძღვრიშვილმა. 1899 წლის 6 მაისს, მღვდელი ალექსანდრე, ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საგვერდულით დააჯილდოვეს. 1900 წლის 20 თებერვალს გაჩნდა მესამე ვაჟი — დიმიტრი, რომელიც პელაგია კობიაშვილმა მონათლა. 1902 წლის 5 სექტემბერს მამა ალექსანდრეს სკუფია უბოძეს. 1902 წლის 16 სექტემბერს დაიბადა მეოთხე ვაჟი — ნიკოლოზი, რომელიც რევაზ გარაყანიძემ და მარიამ დიმიტრის ასულმა ბაქრაძემ მონათლეს.

1903 წლის 27 ოქტომბრიდან 1906 წლის 16 მაისამდე მამა ალექსანდრე დუშეთის სასწავლო განყოფილების საბჭოს წევრია. 1905 წლის 1 მარტს ეყოლათ მეხუთე ვაჟი — ალექსანდრე, მონათლეს 12 მაისს — დავით დავითაშვილმა და მარიამ კონტრიძემ.

1906 წლის ივნისში მამა ალექსანდრემ თბილისში, სანთლის ქარხანაში დაიწყო მუშაობა და საკონტროლო კომიტეტის წევრად აირჩიეს. ამასთან დაკავშირებით, 1906 წლის 1 სექტემბერს მან თბილისში სახლი იყიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს, როდესაც მამა ალექსანდრე ოჯახთან ერთად თბილისში მიემგზავრებოდა, სიკვდილის წინ, უკანასკნელად ნახა დიდი

ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, თავადი ილია ჭავჭავაძე. აი, რას წერდა იგი შემდგომში ამ შეხვედრის შესახებ: „30 აგვისტოს სახლობა მომყავდა თბილისში. წინ შემოგვხვდა ილია ჭავჭავაძის ეტლი, რომელიც წინამძღვრის იქით ღელეში შეეჩერებინათ. როცა გავცდით და ცოტა გზა გავიარეთ, გავიგონეთ თოფის სროლა. მცხეთის პირდაპირ დუქნებთან შევჩერდით და იქ შევიტყეთ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი. აქ ერთი გლეხი წამოგვეწია, გვითხრა, ილია მოჰკლესო და დაიწყო ტირილი. აქვე მგზავრისაგან გავიგე, რომ მას ჩამოსვლის დროს რაღაც საეჭვო სტვენა გაეგონა იმ ადგილს ცოტა იქით, სადაც მკვლელობა მოხდა“.

მღვდელი ალექსანდრე მეუღლესთან, ივლიტა ჭაბაშვილთან ერთად

7 სექტემბერს, საგურამოდან ილია ჭავჭავაძის თბილისში გადასვენების დღეს, მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მონასტრის ძირში მამა ალექსანდრე სამღვდელოებასთან და ურიცხვ მრევლთან ერთად პროცესიას გზაში შეეგება და გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა.

1909 წლის 18 სექტემბერს შეეძინათ ქალი, დაარქვეს ელისაბედი (ზიზო), 1910 წლის 12 იანვარს მონათლეს სანდრო ბალარჯიშვილმა და ნინო ჭილაშვილმა. 1911 წლის 10 აპრილს, აღდგომას, შეეძინათ კიდევ ერთი ასული — ევგენია.

1913 წლის 6 მაისს მამა ალექსანდრე კამილავკით დაჯილდოვეს. 1915 წლის 4 მარტს იგი სვეტიცხოვლის საორმეტი მოციქულის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს და ამავე წელს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1917 წელს მას დეკანოზის წოდება მიენიჭა.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტ.) მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ხოლო ამავე წლის 11-17 სექტემბერს შემდგარ პირველ საეკლესიო კრებაზე პატრიარქი აირჩიეს, შეიქმნა ახალი ეპარქიები, დადგინდა მმართველი მღვდელმთავრები და ჩამოყალიბდა საეპარქიო საბჭოები. წილკნის ეპარქიის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეკანოზი ალექსანდრე ჯალიაშვილი, რომელიც თავისი ნიჭიერებითა და პატიოსნებით, ეკლესიისადმი ერთგულებით, ყველასათვის სასურველი პიროვნება გახლდათ.

დეკანოზი ალექსანდრე 1919 წლის 24 თებერვალს (ახ. სტილით 8 მარტს) ღამის 11 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაასაფლავეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. მისი მეუღლე ივლიტა გარდაიცვალა 1945 წლის 22 სექტემბერს.

მამა ალექსანდრე ცნობილი მეფუტკრე იყო. ამ დარგში იგი ბევრს მოღვაწეობდა. შემორჩენილია მისი ჩანაწერები ფუტკრისა და თაფლის სარგებლობასა და მის სამკურნალო თვისებებზე, აი, რას წერდა იგი:

„მეფუტკრეობა ერთი იმ სამეურნეო დარგთაგანია, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში წინმსვლელობის გზას თვალსაჩინოდ ჩამორჩენია. ამას, სხვათა შორის, მოწმობს შარშანდელი კავკასიის საიუბილეო გამოფენა, სადაც მონაწილეობას იღებდა სულ 45 მეფუტკრე და მათ რიცხვში, ვგონებ, არ შევცდები — მხოლოდ ექვსი ქართველი. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ამტკიცებს იმას, ვითომ მთელს საქართველოში მარტო ექვსი-შვიდი ქართველი მისდევდეს ფუტკრის მოვლა-მოშენებას. კასრ-გოდრებიან საფუტკრეებს თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებით, მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ გაუმჯობესებულის, ჩარჩოიან წესის მიმდევარნი მეფუტკრენი ძლიერ ცოტანი გვყვანან, თითებზედ ჩამოსათვლელნი, და ამის გამოც თვითონ მეფუტკრეობა პროგრესიულ ზრდას მოკლებულია. ბევრს ქვეყნებში, საცა ჩვენებური ბუნების ხელშემწყობ გარემოებებს მოკლებულნი არიან, დღეს მეფუტკრეობა სასურველ წარმატებამდე არის მიღწეული და აღიარებულია იგი მეურნეობის ერთ საუკეთესო შემოსავლიან დარგად: პატრონ-მეფუტკრეს აძლევს საჭირო ცხოვრების საღსარს და საზოგადოებასაც აწვდის ყოვლად შემრგო და სენთა მკურნებელს საზრდო-თაფლს.

მეფუტკრეობა ერთნაირად ხელ-მისაწვდენია როგორც მდიდრისათვის, ისე ღარიბთათვის. მისთვის, როგორც მევენახეობა-მეღვინეობისა, ბაღოსნობისა და სხვა სამეურნეო დარგთათვის, მომეტებული თანხა და ხარჯი არ არის საჭირო. პირველ ხანებში საკმარისია მხოლოდ სამიოდე სკა, პატარა ადგილი საფუტკრის მოსათავსებლად და თვითონ საგნის რიგიანად შესწავლა, რომ სულ უღარიბესმა კაცმა საკმარისი (და მომეტებულიც) შეიძლება შეიძინოს, თვისი ცხოვრება ნივთიერად უზრუნველ-ჰყოს. მდიდარ მეზობლის მინდორ-ბაღები უხვად აძლევს უმამულო მეფუტკრეს სურნელოვანს თაფლს და სამაგიეროდ კიდევ მისი ფუტკრები ხელს უწყობენ მდიდრის ბაღებს განაყოფიერების საქმეში.

აქედან ცხადია, რამდენად სარგებლიანია მეფუტკრეობა და რად აყენებენ ამ მრეწველობას წარჩინებულნი მეფუტკრენი ბევრს სამეურნეო დარგებზედ მაღლა.

მაგრამ ეს არა კმარა. მეფუტკრეობა ანიჭებს კაცს არა მარტო ნივთიერ კეთილდღეობას, არამედ ჯანმრთელობასაც, სენთა კურნებას და გონების სიფხიზლესაც. ჩვენ ხელთა გვაქვს შესანიშნავი წერილი ი. ლიუბარსკისა, რომელიც, უჩივის რა თაფლის შევიწროებასა და განდევნას, როგორც მედიცინის, ისე შინაურ ხმარებიდგან შაქრის გაფართოებულ წარმოების წყალობით, ცხოლად გვიხატავს თაფლის სამკურნალო თვისებას.

უწინ თაფლს ისევე ხმარობდნენ, როგორც ეხლა შა-

ქარს, მაგრამ თაფლი რომ გაცილებით სჯობია შაქარს, როგორც საჭმელი და როგორც წამალი, ეს ეჭვს გარეშეა. თაფლი არის ნაყოფი ნაზის მცენარე წვენისა და შეიცავს ისეთს ნაწილებს, რომელნიც ჩვენის სხეულის არსების საჭიროებას შეადგენენ. თაფლი შესდგება წმინდა შაქრისაგან — ყურძნისა, ლერწმისა და მწვანეულობისა, რომლებშიაც გახსნილია სხვა ნივთიერებაც, როგორც მაგალითად, ეფირის ზეთი და ჯინჭველის სიმჟავე. ამ ნივთიერებას ფუტკრები განგებ ურ[illegible]ნ თაფლში, რომ არ წახდეს. ჩვეულებრივი შაქარი-კი შესდგება ერთგვარი შაქრისაგან ლერწმისა და თითქმის ყოველფვის შეიცავს ნაშთს იმ ქიმიურ ნივთიერებათა, რომელთაც მექარხნეები ხმარობენ შაქრის დასაწმენდად და გარეგან მიმზიდველობის მისაცემად. ამიტომაც ხელოვნური შაქარი ძლიერ ცუდად მოქმედობს კბილებზედ და კუჭზედაც.

მართალია, ძნელი მოსალოდნელია, რომ იაფფასიან შაქარს მიჩვეულმა კაცმა თავი დაანებოს და მის ნაცვლად თაფლი იხმაროს, — მით უმეტეს, რომ ბევრნი ვერ იტანენ თაფლის ძალუმ სიტკბოსა და თავისებურ გემოს, მაგრამ მის საკურნებელ თვისებისა გამო სასურველია და სამეცადინო, რომ თაფლის გავრცელების საქმეს ყველა ხელს უწყობდეს და საზოგადოებას აჩვევდეს მის ხმარებას უფრო ხშირად, ვიდრე ეხლა ხმარობს. თაფლი მეტად შემრგოა და ადვილი მოსანელებელი, თვალსაჩინოდ აცხოველებს სხეულს, აძლევს სისხლს ენერგიას, ამაგრებს ძარღვებს, ასუბუქებს და მოძრავ ჰყოფს მთელს ტანს, ახალისებს ნერვებს, აფართოებს აზროვნებას, უმშვიდებს ძილს.

თაფლი კიდევ ცნობილია, როგორც გადამდებ ავადმყოფობის ამცდენი საჭმელი. ამას გვიმტკიცებს შემდეგი მოსაზრება. გამოკვლეულია, რომ მომეტებული ნაწილი გადამდებ ავადმყოფობათა, როგორნიც არიან: საოფლე, ხოლერა, ყელჭირვება, ყვავილი, სისხა და სხვა, ვრცელდება ბაქტერიებით. გამოკვლეულია ისიც, რომ ჩვენი სისხლის თეთრი გორველები ითვისებენ სისხლიდან თვისის განახლებისათვის არა მარტო საჭირო სითხეს, არამედ მჭიდრო სხეულებსაც, რომლებშიაც პოულობენ თვისს საზრდოს.

სამღვდელოების სამრევლო სკოლის მეფუტკრეობის კურსები, 1916 წლის 9 ივლისი

რადგანაც თაფლი ასე საუცხოოდ მოქმედობს კაცის სისხლზედ, სასურველია, თაფლი ბავშვების მუდმივ და ჩვეულებრივ საჭმელად გახდეს. მაშინ ბავშვნი გაცილებით უფრო ჯანმრთელნი და მაგარის აგებულებისანი გაიზრდებიან. გარდა ამისა, მრავალგვარი გადამდები ჭირიც, ეს ბავშვების ხშირი სტუმარი, მათთვის საშიში აღარ იქნება“.

საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“

ამა წლის 28 მაისს ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“. სტამბის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში, სადაც მას დასახელება მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეურჩია. სტამბაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სრულდება წიგნების გამოცემა. სტამბაში უკვე დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საეკლესიო ლიტერატურა, რომლის შეძენაც შესაძლებელია მაღაზია „ალილოს“ ქსელებში, ასევე სხვა საეკლესიო მაღაზიებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“ იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს ყოველკვირეული გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. სტამბის მისამართია: ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრა.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

მღვდელი მიხეილ გავაშელიშვილი 1855-1912

მღვდელი მიხეილ თეოდორეს ძე გავაშელიშვილი 1855 წელს, რაჭის სოფელ ღებში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, მამამ იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც მიხეილმა წარჩინებით დაასრულა. ცოდნის გაღრმავების მიზნით მან სწავლა თბილისში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის სახელობის ვაჟთა სამასწავლებლო სკოლაში გააგრძელა.

1879 წელს მიხეილი დაქორწინდა ქუთაისში მცხოვრებ მინადორა ბაბად-ოღლიზე, (აქვე, მოკლედ ვისაუბრებთ მინადორას წარმომავლობის შესახებ. მამა მიხეილის შთამომავლების გადმოცემით, ეს პატარა გვარი ქ. ქუთაისში XVI-XVII საუკუნიდან დასახლებულა, მიუღიათ ქრისტიანობა და გაქართველებულან, თუმცა თავისი ძველი გვარი არ შეუცვლიათ. მამა მიხეილმა იგი ქუთაისში სწავლის დროს გაიცნო და თავისი ცხოვრებაც მას დაუკავშირა) რომელმაც მას სამი შვილი გაუჩინა: გიორგი, ვლადიმერი და მარიამი. 1881 წლის 29 აგვისტოს ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მიხეილი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 6 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და მშობლიურ კუთხეში, ღების მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1889 წელს მამა მიხეილი იმერეთის საეპარქიო მმართველობის, რაჭის განყოფილების წევრად აირჩიეს და ამავე წლის 20 ოქტომბერს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1890 წლის 19 დეკემბერს, მეუფე გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, იგი ონის მაზრაში არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა.

მამა მიხეილი მეუღლესთან და შვილთან ერთად. ქუთაისი 1880 წელი

მამა მიხეილის ზედამხედველობის პერიოდში, მისი გულმოდგინე შრომისა და მეცადინეობის შედეგად, რაჭის მაზრის მრავალ სოფელს მოეფინა სწავლა-განათლების შუქი. ამ ხნის განმავლობაში ხუთამდე ახალი სამრევლო-საეკლესიო სკოლა გაიხსნა: კუდაროში, ძეგლევში, ფუტიეთში, შავრასა და ხონჭიორში. როგორც კი სადმე გაჭირდებოდა საქმე, მამა მიხეილი მაშინვე იქ გაჩნდებოდა და საქმის ვითარებას გულდასმით სწავლობდა. 1891 წლის დასაწყისში სოფელ კუდაროს სკოლის გამგის, მღვდელ ექვთიმე მაისურაძის თანაშემწის, მასწავლებელ ვასილ ტიმოთეს ძე იაშვილის (შემდგომში სომიწოს ეკლესიის მღვდელი, დახვრიტეს 1937 წელს) საჩივარი შემოვიდა. მან განაცხადა: **რამდენიმე თვეა უქმად ვზივარ, რადგან ოსები სკოლაში ბავშვებს აღარ აგზავნიანო.** ადგილზე საქმის გამოსარკვევად მამა მიხეილი ონის ოლქის მთავარხუცეს, დეკანოზ ალექსი გიორგობიანთან ერთად გაემგზავრა. დეკანოზმა ალექსიმ ოსებს ჰკითხა: **„მე გავიგე, ვითომც თქვენ სკოლაში ბავშვებს აღარ გზავნით. ძლიერ ვსწუხვარ, რომ წიხლი გიკრავსთ ბედნიერებისათვის. თქვენი შვილებისათვის იმდენათ საჭიროა სწავლა, რამდენათაც ცოდვილთათვის ცხონება. ამას წინათ ყოვლადსამღვდელო გაბრიელი აღტაცებული დარჩა ამ სკოლაში ნასწავლი თქვენი პაწია ბალღების ცოდნით. თუ გახსოვთ, ლოცვა-კურთხევასთან ერთად მათმა მეუფებამ მადლობაც გიძღვნათ, რომ თქვენ თქვენს შვილებს პირჯვრის გამოსახვა, ლოცვების წარმოთქმა და მცირე წერა-კითხვა შეასწავლეთ. დღეს რაღა პასუხს აძლევთ ან ღმერთს ან მეუფეს, რომ შვილების აღზრდაზე ხელი აგიღიათ და შესულხართ ცოდვაში, თუ ამ კეთილ საქმეს მეტი სიცოცხლე არ ელოდა თქვენში, რისთვისაც გასწიეთ შრომა, რისთვის ააგეთ სკოლის შენობა?“**

როგორც საბოლოოდ დადგინდა, მღვდელი და მასწავლებელი ხშირად არ იმყოფებოდნენ თავიანთ ადგილზე და გაკვეთილებიც ამიტომ ცდებოდა. თუმცა ბოლომდე ვერც მათ დაადანაშაულებდი. კუდაროს ხეობაში 15-მდე პატარა სოფელი იყო მიმოფანტული (დაახლოებით 250 კომლი), რომელთაც მხოლოდ ერთი მღვდელი ემსახურებოდა და ისიც ყოველდღიურად ფრიად დატვირთული იყო საეკლესიო წესების აღსრულებით. რაც შეეხება სკოლის მასწავლებელს, იგი სხვა სოფლიდან მოდიოდა, თანაც ცოლ-შვილიანი გახლდათ და უჭირდა, წლიდან-წლამდე უსასყიდლოდ ემსახურა სკოლისათვის. მამა მიხეილმა გამოთქვა აზრი, რომ აქაურ მღვდელს მედავითნედ დაენიშნა ისეთი პირი, რომელსაც ოთხი კლასი ექნებოდა დამთავრებული, ჯამაგირს გადაუხდიდნენ 12 თუმანს, კიდევ თორმეტ თუმნამდე სხვა შემოსავალიც მიეცემოდა და ამგვარად, იგი შეძლებდა „გვარიანად“ ეცხოვრა და „სკოლის საქმეც რიგიანად წაეყვანა“.

1893 წლის აღდგომას მამა მიხეილს ერთგული სამსახურისათვის სკუფია უბოძეს. 1897 წელს მან აქტიუ-

რი მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიაში ჩატარებულ პირველ საყოველთაო აღწერაში და ამასთან დაკავშირებით იმავე წლის 13 ივნისს სამკერდე ვერცხლისფერი მედალი ეწყალობა. 1898 წლის 6 ივნისს კამილავკით, ხოლო 1903 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს.

მამა მიხეილი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამად გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან. მრავალი საინტერესო ისტორიულ-ხალხური, დამრიგებლური, პედაგოგიური ხასიათის მასალა გამოაქვეყნა მან გაზეთ „ივერიაში“ და სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“. ამ გაზეთებში ასევე შეხვდებით სტატიებს მთის რაჭაში მისი მოღვაწეობის შესახებ.

1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ ვინმე ოქროპირ ლობჟანიძე მამა მიხეილის შესახებ წერდა: **„სოფელი ღები თავისი გარეგანის შეხედულობით მშვენიერ სურათს წარმოადგენს: ორ-სამსართულიანი ძველი ქვითკირის შენობები, შიგადაშიგ მაღალ-მაღალი ექვს-შვიდსართულიანი კოშკები, დიდი გუმბათიანი ქვითკირის ეკლესია, ქვითკირისავე სამრეკლო-გალავნით. აქ ნიადაგი მეტად მწირი და უმოსავლოა, რის გამოც ხალხის უმეტესობა უფრო ვაჭრობას მისდევს. მართალია, ბარის სოფლებთან შედარებით სწავლა განათლების მხრივ ეს სოფელი დაქვეითებულია, მაგრამ სამაგიეროდ, რაჭის მთის სოფლებში პირველ სოფლად ითვლება. სხვა მთის სოფლებში, მაგალითად: ჭიორაში, გლოლაში და უწერაში არსად არავითარი სკოლის ჭაჭანება არ არის და ღებში კი კარგა ხანია ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს, სადაც ყოველ წლობით ასამდე მოსწავლე ბავშვი იყრის თავსა. ღებელებმა ამ ბოლო დროს ისე შეიგნეს სკოლის სარგებლობა, რომ იმედია მოკლე ხანში აქ ორკლასიანი სკოლაც დაარსდეს.**

**პირველივე კვირიაკე დიდ-მარხვისა ღებელებმაც ლოცვითა, სინანულითა და აღსარებით გაატარეს. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ხალხი ბლომად დადიოდა ეკლესიაში, ეზიარა 600-მდე სული, ზიარების შემდეგ მღვდელმა მიხეილ გავაშელიშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზე და აღძრა მათ გულში ნრფელი სურვილი კეთილ შეწირულებისადმი. მოძღვარმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: *„სულიერნო შვილნო! დიდად მოხარული ვარ, რომ დღეს ამოდენა ხალხმა მიიღეთ წმიდა საიდუმლო ზიარებისა, იმედი მაქვს, არ გამაწბილებთ და ამ სიხარულთან ერთად თქვენს მოძღვარს შემდეგის თხოვნის აღსრულებითაც გამახარებთ. აწინდელი წმიდა ჭურჭელი, რომლიდგანაც თქვენ წმიდა ზიარება მიიღეთ ძლიერ პატარაა ამოდენა ხალხის დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ყოველს ამ დროს ამოდენა ხალხი იკრიბება და ხან კიდევ მეტიც, საჭიროა უფრო დიდი ბარძიმი. გთხოვთ, თქვენის სულის საოხად და თქვენთა ძეთა და ასულთა სადღეგრძელოდ, შეძლებისდაგვარად გაიღოთ წვლილი ამა წმიდა ბარძიმის მოსაპოვებლად“.*

სოფელი ღები

ამის თქმა და აღსრულება ერთი იყო: ვინ 11 მანეთი შემოსწირა, ვინ 10, ვინ 7, ვინ 5 და სხვა და ამნაირად ამ დღესვე სიით შეიკრიბა 109 მანეთი და ბევრმა კიდევ შემდეგისათვის აღუთქვა მოძღვარს შეწირულების მიტანა. ეჭვი არ არის, მალე 15 თუმნამდის შეიკრიბება, რითაც ეკლესია საჭირო ნივთს მოიპოვებს“.

კიდევ რამდენიმე წელი ღირსეულად ატარა მღვდლობის მძიმე, მაგრამ ტკბილი უღელი მამა მიხეილმა და ღებელთა უდიდესი სიყვარული და მოწიწება დაიმსახურა. სოფელში მცხოვრები ძველი თაობის ხალხის გადმოცემით, იგი ყოფილა კაცთმოყვარე, ცოდვა-მადლის გამკითხავი, სამართლიანი, უბიწო და ღრმად განათლებული მოძღვარი. სამწუხაროა, რომ იგი ადრეულ ასაკში გავიდა ამ სოფლიდან.

1912 წელს გაზეთი „სახალხო გაზეთი“ თავის ერთერთ ნომერში მოკლედ წერდა: „მარტის 24-ს ქუთაისში ცივ სამარეს მიაბარეს მღვდელი მიხეილ გავაშელიშვილი. განსვენებული თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“ „მიხაკო ღებელის“ და „რივნის თაველის“ ფსევდონიმებით“.

შემორჩენილია მამა მიხეილის რამდენიმე ქადაგება, ერთ-ერთ მათგანი 1894 წელს წარმოთქვა და მასში მაზიარებელთა შესახებ საუბრობს:

„შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“.

სულიერნო შვილნო და საყვარელნო მოწაფენო! ღვთის შეწევნით თქვენ ყველანი უკვე მომზადებულნი ხართ წმინდა საიდუმლო ზიარების მისაღებად. მოვედით შიშით და ძრწოლით, მოვედით მტკიცე სარწმუნოებით, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი ქრისტესი და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი მისი. არა პური და ღვინო გეძლევისთ თქვენ ამჟამად საჭმელად, არამედ ნამდვილი ხორცი და სისხლი ქრისტესი, როემლიც არის დამწველი ცეცხლი უღირსთა. იცოდეთ, რომ ჩვენ ყოველნი ვართ უღირსნი და უძლურნი წინაშე ღვთისა, გარნა ვხდებით ღირსნი წმიდა საიდუმლო ზიარებისა განუსაზღვრელითა და აღურაცხელითა მოწყალებითა ღვთისათა. ვინაიდგან წმიდა ზიარება ცეცხლი არს უღირსთა შემწველი, ამისათვის ნურავინ იკადრებთ,

ძმანო, კადნიერებით მისწრაფებას წმიდა ბარძიმისაკენ, რათა არა სასჯელად, გინა დასასჯელად გექმნას თქვენ საიდუმლო ესე. დღეს აქ ამ ქრისტეს სერობაზე, ჩვენ ყოველნი უნდა ვიყვნეთ სიმდაბლით და გულწრფელის მონანიებით. თაყვანი ვსცეთ წმინდასა საიდუმლოსა, ვითარცა თვით ღმერთსა; უკანასკნელად შევსტიროთ ცოდვათა მოტევებისათვის და კრძალვით შევეხნეთ წმიდასა ბარძიმსა, ვითარცა იესო ქრისტეს გვერდსა, საიდამაც გარდამოხდა სისხლი და წყალი. ზიარების შემდეგ ვყოთ თაყვანისცემა წინაშე მაცხოვრის ხატისა და შევსწიროთ მას მადლობა დიდისა მისისა მოწყალებისათვის. ამიერიდგან იყოს განუშორებელი ჩვენის გულიდამ ის აზრი, რომ ჩვენთანა არს ქრისტე: მას ვილოცავდეთ, მას ვადიდებდეთ და მასთან გვქონდეს საუბარი, ვითარცა ღვთის მიმღებთ. ეს დღე შერაცხეთ ერთადერთ თქვენს დიდებად, ერთადერთ თქვენს ბედნიერებად და სასიხარულო დღესასწაულად. მიხვიდეთ რა თავიანთ სახლებში, ეცადეთ, ძმანო, არ შებღალოთ თქვენს შორის დამკვიდრებული სიწმინდე. დღეს ღვთის მიმღებთ, საღამოზე არ განაგდოთ იგი — თქვენის უძღებებით, უზომო სმით და უმართებულო ლაპარაკით, ვინაიდგან ენა და პირი თქვენი განსწმინდა იესოს სისხლმა და ხორცმა. ერიდეთ ყოველგვარ საცდუროვანებას, რათა არა დაჰკარგოთ ნაყოფი წმინდა ზიარებისა. იქონიეთ მსჯელობა კეთილ საქმეებზე, წარმოიდგენდეთ დიდსა მოწყალებასა ღვთისასა და უღირსებასა თქვენსა, დღევანდელი თქვენი სიხარულის მონაწილედ გახადეთ უბადრუკნიც, ეცით საზრდელი მშიერთა და ხელი შემწეობისა მიაწოდეთ გაჭირვებულთა ქვრივთა და ობოლთა. აჰა, მოვალს თქვენდა ყოვლისმპყრობელი უფალი თქვენი დამბადებელი და მაცხოვარი თავისი მადლით, თქვენ განსაკურნებლად, განსაძლიერებლად და განსანათლებლად. ეცით თაყვანი საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა და სთქვით: *„მრწამს უფალო და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვნებად, რომელთაგან პირველი მე ვარ. კვალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკუე გევედრები, შემიწყალე მე, შემინდევ შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვით და საქმით, ცნობით და უმეცრებით. და ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ“.*

ღების მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესია

საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“

ამა წლის 28 მაისს ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“. სტამბის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში, სადაც მას დასახელება მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეურჩია. სტამბაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სრულდება წიგნების გამოცემა. აქ უკვე დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საეკლესიო ლიტერატურა, რომლის შეძენაც შესაძლებელია მაღაზია „ალილოს“ ქსელებში, ასევე სხვა საეკლესიო მაღაზიებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“ იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს ყოველკვირეული გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. სტამბის მისამართია: ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრა.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუწრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 3608551555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ეკატერინე ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ჯანსაღი სხეულიც. ადამიანი შედგება სულისა და ხორცისაგან. ბალახები, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ, მონასტრის გარშემო გროვდება. ვიმედოვნებთ, რომ ისინი დაეხმარება ადამიანებს," — განაცხადა გახსნის დღეს მონასტრის იღუმენმა ეფრემმა.

სამომავლოდ იტალიელი მეცნიერები ბერებს შეასწავლიან ამ ბალახების დახმარებით წამლების დამზადებას და ადამიანების განკურნებისათვის საჭირო საშუალებებს. იღუმენის თქმით, ზოგიერთმა მომლოცველმა უკვე გამოიყენა აქაური ბალახები და საგრძნობლად დაეხმარა მათი მიღება.

თავის მხრივ, იტალიელმა მეცნიერმა რობერტო მიცინილიმ განაცხადა: „მთაწმინდა — ეს ჭეშმარიტად ბოტანიკური სამოთხეა. ეს არის ხელუხლებელი, იზოლირებული და დაუბინძურებელი ადგილი. უკვე, დაახლოებით, 50 სამკურნალო ბალახი მოვიძიეთ. ფითოთერაპია საკმაოდ ძველი მეცნიერებაა და ასეთი მკურნალობის შედეგი — საოცარია. ბალახები გამოიყენება ქრონიკული დაავადებების, რევმატიზმის, ალერგიის სამკურნალოდ, ასევე სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად, ადამიანის ორგანიზმში მინერალების ბალანსის აღსადგენად და იმუნიტეტის გასაძლიერებლად.".

მსგავსი ცენტრის შექმნის იდეა 6 წლის წინ გაჩნდა, როცა მეცნიერები წმინდა მთას ეწვივნენ და აქ ვატოპედის ერთ-ერთ მოსაგრესთან საუბრისას დაწვრილებით განიხილეს სამკურნალო ბალახების შემადგენლობა და ამ მცენარეებით მკურნალობის მეთოდები.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი 1838-1912

დეკანოზი იოსებ სტეფანეს ძე კიკაჩეიშვილი 1838 წლის 10 იანვარს, იმერეთის სოფელ ჯიხაიშში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. წარმოშობით აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. 1850 წლის სექტემბერში თორმეტი წლის იოსები მამამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, სადაც იგი ერთ-ერთ უნიჭიერეს მოწაფედ ითვლებოდა და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. 1857 წელს მან სასწავლებელი პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და სასულიერო მთავრობა, როგორც საუკეთესო მოსწავლეს, საკუთარი ხარჯებით თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდა, მაგრამ მამამ ნება არ დართო და იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს (გოგოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 1858 წლის 28 მარტს მშობლიურ სოფელში, ჯიხაიშის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. აქ იგი დიდხანს ვერ გაჩერდა, რადგან მის მკვირცხლ ბუნებას სწავლა და განათლება სწყუროდა და სასულიერო მთავრობას სთხოვა, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მედავითნედ გადაეყვანათ. შემდგომში იგი ხშირად ამბობდა გულდაწყვეტით: **„რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ საშვალო სწავლა მაინც მიმეღოო".**

1861 წლის 1 სექტემბერს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და იოსები ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში (1871 წლის 17 იანვრამდე, კურთხევის დღემდე, ქუთაისში საკათედრო ტაძრად ითვლებოდა ბაგრატის ტაძარზე მიშენებული ეკლესია) მედავითნის ადგილზე დაადგინეს. 1862 წლის 12 ნოემბერს ამავე ეკლესიაში კერძო დიაკვნის ადგილზე განამწესეს. ამავე პერიოდში იოსები დაოჯახდა. მისი მეუღლე გახლდათ ევა გიორგის ასული, რომელმაც ცხრა შვილი გაუზარდა სამშობლოს: ნადეჟდა — გათხოვილი გერმანე იოანეს ძე დევიძეზე; ნეონილა — გათხოვილი ნიკო ოქროპირის ძე ფხაკაძეზე; ავტონომი — დაბადებული 1878 წელს, მუშაობდა ქუთაისში, პროვიზორის თანაშემწედ; სოფიო — დაბადებული 1880 წელს; კონსტანტინე — დაბადებული 1882 წელს, დაამთავრა შვეიცარიის უნივერსიტეტი; ალექსანდრე — დაბადებული 18[illegible] წელს; ვარლაამი — დაბადებული 1886 წელს, მუშაობდა მასწავლებლად სამრევლო-საეკლესიო სკოლაში; ილია — დაბადებული 1890 წელს, დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია; მიხეილი — დაბადებული 1891 წელს, დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია.

1864 წლის 18 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა და ძველ ადგილზე დატოვა. მეუფე გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, 1864 წლის 1 ნოემბერს დიაკონი იოსები ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მაღალ კლასებში ქართული გალობის, ტიბიკონისა და საეკლესიო წიგნების კითხვის მასწავლებლად დაინიშნა. 1868 წლის 1 აგვისტოს ქუთაისის ახალი სასულიერო სასწავლებლის შენობის აგების კომიტეტი შეიქმნა და მამა იოსები მის წევრად აირჩიეს. 1868 წლის 1 იანვარს საკათედრო ტაძარში მესამე დიაკვნის ადგილზე დაადგინეს. 1869 წლის 9 მაისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მღვდლად დაასხა ხელი და ჩხარის წმინდა გიორგის სა-

ხელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1869 წლის 3 ივნისს ჩხარისა და სიმონეთის ოლქების მთავარხუცესად აირჩიეს. 1870 წლის 11 ივნისიდან იმერეთის ეპარქიის სამთავარხუცესო ოლქებში კეთილმოწესეთა გამანაწილებელი კომისიის წევრია. 1870 წლის 1 ნოემბერს გათავისუფლდა მთავარხუცესის თანამდებობიდან. 1871 წლის 3 იანვარს ქუთაისის ციხის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1872 წლის 7 მარტიდან იმერეთის ეპარქიის სარევიზიო კომიტეტის წევრია. 1872 წლის 11 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1874 წლის 24 სექტემბერს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს და სასწავლებლის სამმართველოს წევრად აირჩიეს 3 წლის ვადით. 1876 წლის 28 ივნისს ჩუნეშის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1877 წლის 11 ნოემბერს მამა იოსები ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს და მესამე მღვდლის ადგილზე დაადგინეს. 1877 წლის 26 ნოემბერს, სამღვდელოების მხრიდან, სამი წლის ვადით აირჩიეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და, ამავდროულად, საკათედრო ტაძრის კანდელაკად დანიშნეს. 1879 წელს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების შეკრებაზე დამსწრე დეპუტატად გამოირჩიეს. 1879 წლის 17 ნოემბერს კიდევ სამი წლის ვადით აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოში. 1880 წლის 20 მარტს კამილავკა ეწყალობა. 1881 წლის 24 თებერვლიდან იმერეთის ეპარქიის სამზრუნველოს წევრია. 1883 წლის 17 მაისს იმერეთის ეპარქიის სასულიერო ხაზინაში ხაზინადრად დაადგინეს. 1883 წლის 26 სექტემბერს დროებით დაევალა წინამძღვრის მოვალეობის შესრულება ქუთაისის საკათედრო ტაძარში. 1883 წლის 7 მაისს ქუთაისის ეკლესიების მთავარხუცესად აირჩიეს. 1884 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1885 წლის 30 ივნისს იმერეთის ეპარქიის სამზრუნველოს ხაზინადრად დაადგინეს, რომელსაც 1898 წლამდე ასრულებდა. 1884 წლის 19 აპრილს მეუფე გაბრიელმა იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის მმართველობა ჩააბარა. 1889 წლის 26 აპრილს დეკანოზის წოდება მიენიჭა. ამავე წლის 18 მაისს გადადგა ქალაქის ეკლესიების მთავარხუცესის თანამდებობიდან. 1890 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1891 წლის 17 აგვისტოს ქუთაისის ეკლესიების სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დაამტკიცეს. 1891 წლის 27 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მამა იოსებს სანთლის ქარხანაში სინდისიერი და მუყაითი სამსახურის გამო მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. ამავე წლის 28 სექტემბერს აირჩიეს კომისიის წევრად, რომელიც მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მყოფი გაჭირვებულების სასარგებლოდ შემოწირულობას აგროვებდა. 1893 წლის 15 მაისს წმინდა ანას II ხარისხის, ხოლო 1899 წელს — წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1905 წლის 15 მაისს წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1910 წლის 10 სექტემბერს გადადგა სამზრუნველოს წევრობიდან. 1912 წლის მაისში მძიმე ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება.

ქუთაისის საკათედრო ტაძარი

დეკანოზი იოსები, ნახევარი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 17 აგვისტოს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი დეკანოზი ივლიანე აბესაძე გაზეთ „კოლხიდასა“ და ჟურნალ „შინაური საქმეების“ ფურცლებზე მისი მოღვაწეობის შესახებ წერდა: **„განსვენებული მეტად გულკეთილი, პატიოსანი, პირადი და უანგარო კაცი იყო. როგორც სულიერი მოძღვარი იგი აღჭურვილი იყო მტკიცე სარწმუნოებით, უეჭვო სასოებით და წრფელი სიყვარულით. თუმცა არა თუ მაღალი სწავლა, საშუალო განათლებაც არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ თვითგანვითარებით და მუყაითი შრომით გაიწვრთნა თავი თვისი. ამიტომაც სასულიერო მთავრობა და, განსაკუთრებით, ჩვენი სასიქადულო ეპისკოპოსი გაბრიელიც, დიდად აფასებდნენ მის მტკიცე ხასიათსა და პრაქტიკულ გამოცდილებას.**

თითქმის მთელი ქუთაისის სამწყსოს მესამედი მასთან აღიარებდა აღსარებას. განსაკუთრებით შესანიშნავი და სანატრელია მისი მოძღვართმოძღვრული სამსახური. ყველას შესაფერ დარიგებას აძლევდა, შეცთომილთ მონანიების გზაზე აყენებდა და თან სიყვარულსა და მამობრივ მზურნველობას არავის აკლებდა. ამნაირად დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული მთელ სამღვდელოებაში. ამასთანავე საკურთხ პირებსაც, როგორც მოძღვართმოძღვარი, ის აფიცებდა ხელდასხმის წინ და უნდა თვით განგეცადათ, ან მოწმე ყოფილიყავით მისი დარიგებისა, რომ ნამდვილ დაგეფასებინათ მისი მწყემსური დარიგება წინამდებარე ეკლიან გზაზე უშიშრად და უვნებლად მოღვაწეობის შესახებ.

განისვენა 75 წლის მოხუცმა ღირსეულმა მწყემსმა და შეუძლია წარსდგეს მწყემსთა მთავრის — ქრისტეს წინაშე და კადნიერად სთქვას: „სრბა აღმისრულებიეს, მოღვაწეობა მომიღვაწებიეს, სჯული დამიმარხავს და აწ მოველი გვირგვინსა სიმართლისასა“.

ძვირფასო მოძღვარო! მოგვიტევე, თუ ჩვენ — შენი მოწაფენი, ღირსეულად ვერ გემსახურეთ და ვერ შეგიმსუბუქეთ შენი ხორციელი უკანასკნელი წვალება.

მშვიდობით, კეთილო მოძღვარო! განისვენე იქ, სადაცა მართალნი დაემკვიდრებიან“.

ქუთაისის საკათედრო ტაძრის კრებული. XIX ს-ის 80-იანი წლები.

სხედან (მარცხნიდან): იღუმენი გრიგოლი (ჩხაიძე), დეკანოზი იოსებ ჟვიშვილი, მღვდელი გაბრიელ ცაგარელი, ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი, მღვდელი ნესტორ შვანგირაძე.

დგანან (პირველი რიგი მარცხნიდან): დიაკონი ივლიანე შოთაძე, სტაროსტა დიმიტრი ნაიტაკი, მთავარდიაკონი იოსებ შარაბიძე, მგალობელთა გუნდის ხელძღვანელი ივლიანე წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსის მესენაკე მარკოზ სხირტლაძე, დიაკონი ტიმოთე მესხი, გესარიონ კუხიანიძე, დიაკონი ისიდორე სვანიძე.

მეორე რიგი: მგალობლები — რაჟდენ ტოგონიძე, გრიგოლ ჯაში, თომა დემეტრაძე, ოლიფანტე ჟიკაშვილი, ივლიანე ნიკოლაძე, იაკინთე კანდელაკი.

დეკანოზ იოსების ცხედარი ქუთაისის საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული. მთელი სამღვდელოება ეთხოვებოდა პატიოსან მოძღვარს. 23 აგვისტოს, დასაფლავების დღეს, მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონმა ისიდორე სვანიძემ:

„ყოველნი მხედავთ მე წინაშე თქვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარესა, სტიროდეთ ჩემთვის, ძმანო და მეგობარნო, მოყვასნო და მეცნიერნო.

ცხედრის და მიცვალებულის დანახვაზე არ შეიძლება კაცი არ შეწუხდეს და გულგრილად უყურებოს, ვინც არ უნდა იყოს კუბოში, თუგინდ, ძლიერ მოხუცებულიც. მწუხარება მონათესავეთა ამ შემთხვევაში აწუხებს გარეშე პირთაც. დღეს კი შენი ცხედრის დანახვაზე, მამაო დეკანოზო იოსებ, გამოუთქმელ მწუხარებას ვგრძნობთ არა როგორც გარეშე მაყურებელნი, არამედ როგორც თვით ჭირისუფალნი შენი დაკარგვისა. შენი ოჯახობის და მონათესავეთა მწუხარება ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რადგან მათ მწუხარებას გარდაემატა ჩვენი მწუხარება, ვინაიდგან იყავით ჩვენი წინდახედული მოძღვარი, მშვიდი სულით, გულკეთილი, ყველასათვის მისაბაძავი, აღმასრულებელი ღვთის მცნებათა, სიმართლის მექონე და მოყვარული ყოველთა. იყავი მოძღვართმოძღვარი, შეიყვარე შენი მოწაფენი, როგორც შვილნი, აგრეთვე მათ უყვარდით, — როგორც მამა. დღეს კარგავენ შენი სულიერნი მოწაფენი შენისთანა ღვთისსნიერ მამას. ნიშნად ღრმა პატივისცემისა და სიყვარულისა, ჩვენ, შენი თანაძმანი, სობოროს კრებული, ვეღედრებით ლოცვათა შინა ჩვენთა იესო მაცხოვარს, რომელსაც შენი ბაგენი აქებდნენ და ადიდებდნენ, გიძღოდეს წინაშე ღვთისა მამისა, რათა ზეციერმა მამამ განგისვენოს სავანესა თვისსა, ხოლო ჩვენს გულში არ გამქრალიყოს მოძღვრებით შენ მიერ შთანერგული მტკიცე სარწმუნოება ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, და მასთან შენი სახელის ხსენებაც“.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ვანი და გამორჩეული წმინდანია როგორც მართლმადიდებლებისათვის, ასევე კათოლიკეებისთვის.

„პარლამენტის უპირველესი ამოცანაა უძლურთა და სუსტთა დაცვა“ — შოტლანდიაში ევთანაზია არ დააკანონეს

შოტლანდიის პარლამენტმა კენჭისყრის შედეგად უარყო კანონპროექტი ევთანაზიის ლეგალიზაციის შესახებ. სხდომაზე პარლამენტის თითოეულმა წევრმა თავისი შეხედულებისამებრ, და არა საკუთარი პარტიის გავლენით, დააფიქსირა პოზიცია. შედეგად ევთანაზიის ლეგალიზაციის წინააღმდეგი 85, ხოლო მომხრე მხოლოდ 16 ადამიანი აღმოჩნდა.

პარლამენტს რომ ეს კანონპროექტი მიეღო, შოტლანდია იქნებოდა ბრიტანეთის პირველი მხარე, სადაც მსგავს ინიციატივას დააკანონებდნენ.

„პარლამენტის უპირველესი ამოცანაა უძლურთა და სუსტთა დაცვა, სწორედ ამას დაუჭირეს მხარი პარლამენტარებმა,“ — განაცხადა გორდონ მაკდონალდმა, ორგანიზაცია „Care not killing alliance“-ს წარმომადგენელმა. აღნიშნული ინიციატივა მძიმე ავადმყოფებს, მათ შორის, 16 წლის ადამიანებსაც საშუალებას მისცემდა საკუთარი ცხოვრება გაუსაძლისად ჩაეთვალათ და დახმარება ეთხოვათ ევთანაზიის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრეც და ახლაც ევთანაზიის ლეგალიზაციის დაკანონების მცდელობა მრავალჯერ დაგმო შოტლანდიის ეკლესიამ.

მოამზადა თამარ ასათიანმა

წოტომატიანე

მიტროპოლიტი სვიმონი (ჭელიძე) 1875-1935

მიტროპოლიტი სვიმონი, ერისკაცობაში სიმონ ჭელიძე, 1875 წელს, რაჭის მაზრის სოფელ ბუგეულში, მღვდელ სპირიდონ იოსების ძე ჭელიძისა და კესარია ექვთიმეს ასულის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი სპირიდონი, 1889-1904 წლებში სოფელ ღვარდიის მაცხოვრის ეკლესიაში, ხოლო 1904 წლიდან საკეციის მაცხოვრის ეკლესიაში მსახურობდა. მამის ლოცვა-კურთხევით სიმონი პატარაობიდანვე ჩაება საეკლესიო ცხოვრებაში. სწავლობდა ბუგეულის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1893 წელს სიმონმა თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, მაგრამ ამავე წლიდან სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. 1897 წელს მან აღნიშნული სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

სიმონი იმავე წელს დაბრუნდა სამშობლოში და იქორწინა სოფიო ყარამანის ასულზე. მათ ოთხი შვილი გაუზარდეს ქვეყანას: აკაკი და აბიბოსი (ტყუპები), პეტრე და თამარი. 1898 წლის 18 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) სიმონი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 21 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი და რაჭაში, ქვემო კრიხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1898-1905 წლებში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობაზე დასასწრებ დეპუტატად გამოირჩიეს. ამავე წელს ბუგეულის ორკლასიან სამინისტრო სკოლაში მუდმივ მეთვალყურედ დაინიშნა. 1899 წლის 15 დეკემბერს მეუფე ბესარიონმა საკეციის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა. 1900 წლის 13 ივნისს რაჭის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ და სადმელის ოლქის კეთილმოწესედ აირჩიეს. 1904 წლიდან ბუგეულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და ამავე წელს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1909 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს, ხოლო 1913 წლის 6 მაისს — კამილავკა.

1912 წლის ივლის-აგვისტოში ყველასათვის საყვარელმა და დაუვიწყარმა ქართველმა პოეტმა და მწერალმა აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. ამ საინტერესო მოგზაურობასთან დაკავშირებით შემორჩენილია უხმო დოკუმენური კინოფილმი, ასევე ჩანაწერები, სადაც აღწერილია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. 23 ივლისს სოფელ წესში, ბარაკონზე, თავად შამადავლე ასლანის ძე ერისთავის ეზოში გაიშალა დიდი სუფრა, რომელსაც 300-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. სუფრაზე თამადად აირჩიეს მთავარხუცესი, მღვდელი სიმონ ჭელიძე. ჩვეულებისამებრ, მან ჯერ დაილოცა, ადღეგრძელა ქართველი ერი, შემდეგ აიღო ყანწი, გაავსო ღვინით და მიმართა მგოსანს: *„ბატონო აკაკი! შენი ცხოვრების წარსული და აწმყო მოქმედება მაძლევს მიზეზს გონების თვალით გადავხედო იმ დროს, როდესაც მაცხოვარი შეხვდა გალილეის ტბაზე მებადურ ებრაელებს და აირჩია მათგან მოციქულები. მა-*

ღალი სწავლა ქრისტიანობისა მოციქულებად მოითხოვდა ისეთ პირებს, რომელთაც უნდა უარეყოთ ყოველივე სოფლიური და მთელი არსებით შესდგომოდნენ ქრისტეს სახარების გავრცელების და განმტკიცების საქმეს; და აკი მაცხოვარმაც ამ სიტყვებით მიმართა ახლად არჩეულ მოციქულებს: „რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. მოციქულებმა ზედმიწევნით შეასრულეს წინადადება ღვთაებრივის მასწავლებლისა. როდესაც შენ, ჩვენო ძვირფასო მოჭირნახულევ, ნაჭოიზარდე, და შეიძელი საღი გონების თვალით გემზირნა ქვეყნისათვის, შენმა ქვეყნიურმა მაცხოვარმა — ძვირფასმა სამშობლომ — თითქო მოგმართა მაცხოვრის აღნიშნული სიტყვებით, რომ მისი სიყვარულისათვის ყოველივე ქვეყნიური დაგეტოვებინა, შენ, როგორც ზეგარდამო მადლით განბრძნობილმა მოციქულმა საქართველოს დიდებისამ, კიდევაც შეასრულე დიდმნიშვნელოვანი მოწოდება სათაყვანებელ სამშობლოსი: დაუტოვე მამა, დედა, ცოლი, ძე და ასული, აღიღე ჯვარი სამშობლოს მსახურებისა და ნახევარ საუკუნეზე მეტი დაუღალავად ატარებ მას შენდა სასახელოდ და ჩვენდა სასიქადულოდ. მას შემდეგ, რაც იცანი და აიღე გემო მამულისადმი სიყვარულისა, დაუტოვე ქვეყნიური გემოვნება, ოჯახური სიამოვნება, მოქალაქობრივი მშვიდობა და კმაყოფილობა და დღეს, აღმასრულებელი თავის მოვალეობისა, პირნათლად და მოციქულებრივის ბრწყინვალებით სდგეხარ ქართველი ერის წინაშე, შემკობილი უკვდავების გვირგვინითა, რომლის გვერგვს (ჩიჩილაკის ერთ-ერთი სახეობა რაჭა-ლეჩხუმში) და ფოთლებს შეადგენს უსაზღვრო გრძნობა სიყვარულის სრულიად საქართველოისა თავის უსაყვარლეს შვილისადმი... ინეტარე, ძვირფასო მგოსანო, რომ ნაყოფი შენის შრომისა, ერთი ათასად მომკილი და მოსამკალი, პირისპირ იხილე შენ! შენი ხვედრი ძვირფასი ხვედრია, ხვედრი ღირსი თავდადებულის შრომისა და ღვაწლისა, რომელსაც ეღირსებიან მხოლოდ შენსავით რჩეულნი, მაგრამ ასეთნიც იშვიათად, ძლიერ იშვიათად. ნება მიბოძე, როგორც ჩემს მასწავლებელს, მოგილოცო ეს ძვირფასი წამები შენის ცხოვრებისა და მოგესალმო ლექსით:

სამშობლო ქვეყნის სიყვარულის ხმას
შენი ჩანგური ძლიერად უკრავს,
და მამაპაპურს ტკბილ შემოძახილს
დღეს შენი ქნარი ეუბნება ბანს.
ეგ ქართველური ამოძახილი
კვლავ საიმედო აწ მეცა მხიბლავს,
ხალისს მიღვიძებს, ძალას მიმატებს
და აღფრთოვანებს ამ ჩემს გულის თქმას.
მგოსანო, მაგ შენს სულის კვეთებას
გლახ-მომაკვდავი როგორ მივსწვდები?
მსურს კი, რომ გავხდე მამულიშვილი,
თუმც ამ სურვილს და ლოდინში ვდნები.
შენს აზრთა ელვას, გრძნობათა ღელვას,
გვედრებ, უღირსი მეც მაზიარე,
უსაზღვრო გრძნობა სიყვარულისა
მამულისადმი გამიზიარე!
იქნებ მეც შევსძლო, უბრალო მწირმა,
თითით შევეხო შენს უღელს მძიმეს,
შევამსუბუქო და საადვილო
გადავულოცო ჩემს ასულს და ძეს.
ამას გთხოვ მხოლოდ, ჰოი, მგოსანო,
გემუდარები ცრემლების ფრქვევით:
გმირული გრძნობა გადმომილოცე
მამაპაპურის ლოცვა-კურთხევით.
რომ მეც მეღირსოს შესვლა იმ გუნდში,
წინ რომ უძღოდა შავ დროში შენს ერს
და მათთან ერთად ვსტიროდე და ხან
ლხენით ვმღეროდე მრავალჟამიერს“.

მამა სიმონის სიტყვასა და ლექსს ტაში და „ვაშას“ ძახილი მოჰყვა. ამ დროს ტაძრის მახლობლად ორჯერ დაიცალა ჯაზაირები, რაზედაც მინდა-ციხიდან ლაღუმის დაცლით უპასუხეს. განგებ გაგზავნილმა გლეხებმა აგრეთვე თოფ-დამბაჩები გაისროლეს და შესძახეს: „ვაშა აკაკის, გაუმარჯოს!“

1917 წლის 11-17 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება. კრების ბოლო დღეს, 17 სექტემბერს, აირჩიეს კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის პატივი წილად ხვდა ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილი), რომელსაც მისასლმებელი სიტყვით მღვდელმა სიმონ ჭელიძემ მიმართა:

„ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდენ გალილიას მთასა მას, სადა უბრძანა მათ იესო, იხილეს იგი და თაყვანი სცეს მას“ (სახარება მათესი).

„თქვენო უნეტარესობავ! როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე აწამეს, მოჰკლეს და დაჰფლეს, მისი მოციქულები გაიფანტნენ და ზოგს მათგანს ეჭვიც დაებადა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომაში, მაგრამ

როდესაც მათ იხილეს იგი მკვდრეთით აღდგომილი გალილიას მთაზე, ფრიად განიხარეს და თაყვანისცეს მას. 117 წლის წინეთ ჩვენი ქვეყნიური მაცხოვარი — ძვირფასი სამშობლო, თავის ეკლესიით, მისმა მტრებმა აწამეს, მოჰკლეს და დაასამარეს, ხოლო მოციქულნი საქართველოს დიდებისა და თავისუფლებისა — გაიფანტნენ და რჩეულნი მათგანნი ასი წლის განმავლობაში თუმც თავდადებით ემსახურებოდნენ მის აღდგენის საქმეს, მაგრამ თითქმის ყველა მათგანს ეჭვი ჰქონდა საქართველოს აღდგენისა. ერთი ამ თავდადებულ მოციქულთაგანი თქვენც ბრძანდებით, უნეტარესო მეუფეო! ძვირფასი სამშობლოს და ეკლესიის გულისათვის მრავალი ტანჯვა და მწუხარება აიტანეთ, ბევრი წამება მიიღეთ; ამისდა მიუხედავად, თქვენ სულით არ დაცემულხართ და კურიაჟის მონასტერში დატყვევებული, პირიქით, ამხნევებდით მნახველ ხარკოველ ქართველ სტუდენტებს: ნუ დაეცემით სულით, დრონი და გარემოებანი იცვლებიან და თქვენც და ჩვენი ძვირფასი სამშობლოც უკეთეს დროს მოესწრებითო. და აი, აღსრულდა თქვენი სიტყვები. 117 წლის ტყვეობით დასამარებული საქართველოს ეკლესია აღსდგა მკვდრეთით დღეს და ამ აღდგომილი ეკლესიის გარშემო, თქვენის მეთაურობით, ვითარცა ქრისტეს გარშემო, თავის საკუთარ გალილიაში — ჩვენს დიდებულ სიონში — შემოკრებილია დღეს ეს უთვალავი ქართველობა და მეტი სიხარულით ცრემლმორეულნი თაყვანსა ვცემთ მას — ამ ჩვენს ქვეყნიურ მაცხოვარს — მკვდრეთით აღდგომილსა. დიახ, საქართველო აღსდგა მკვდრეთით! მაგრამ მხოლოდ ნახევრად: მისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება ჯერ კიდევ ტყვეობაშია და ჩვენ გვმართებს ყველას, რომ ამ მხრივადაც ვეცადოთ მის მკვდრეთით აღდგინებას.

უნეტარესო მეუფეო! კათედრა სრულიად საქართველოს ეკლესიის პატრიარქ-კათალიკოზისა იქნება გოლგოთა ყველა კათლიკოზისათვის მანამდე, სანამ საქართველო არ მოიპოვებს პოლიტიკურ თავისუფლებასაც. მანამდე ყოველმა ქართველმა კათალიკოზმა თავის მხრებით უნდა აიტანოს ამ გოლგოთაზე ჯვარი საქართველოს თავისუფლებისა და, თუ გარემოებამ მოითხოვა, უნდა ხელგართხმულად ეცვას ზედ, აი ასე (განაპყრობს ხელებს)! და ვსთხოვ ყოველად შემძლებელს ღმერთს და საქართველოს მფარველს ყოველადწმიდა ღმრთისმშობელს, რომ ჩვენი ქვეყნიური მაცხოვრის — საქართველოს — პოლიტიკურადაც მკვდრეთით აღდგომას მოსწრებოდეს თქვენი ნაწამები, მაგრამ სპეტაკი ჭაღარა!"

1920 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) მამა სიმონს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1923 წლის 18 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, დეკანოზ სიმონს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი, სვიმონი უწოდეს და ჭყონდიდის ეპარქია ჩააბარეს. 1927 წლის აგვისტოდან მეუფე სვიმონი ურბნისის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. 1930 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის (ციცქიშვილი) ლოცვა-კურთხევით, ქუთაის-გაენათის ეპარქიაში გადაიყვანეს და მიტროპოლიტის წოდება მიანიჭეს.

მიტროპოლიტი სვიმონი 1935 წლის 13 ნოემბერს, თბილისში, ოპერაციის დროს გარდაიცვალა. მისი ცხედარი 18 ნოემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში დაასაფლავეს.

მეუფე სვიმონი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან: „მწყემსი", „შინაური საქმეები", „ივერია", „ცნობის ფურცელი" და სხვ. მისი ფსევდონიმები იყო: „სენსიმონი", „მოგზაური", „ივერიელი". სამწუხაროდ, უღმერთო ხელისუფლებამ 1937 წლის რეპრესიების დროს მისი მრავალი ხელნაწერი და ნივთი გაანადგურა.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კურესელიძე.
გაყრცელება: ცარო ჯარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

და სხვა რელიგიის წარმომადგენლებისთვისაც კი გამორჩეული ადგილია, როგორც უდიდესი სიწმინდე. მასთან მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ მომლოცველები. მცენარე წელიწადში ორჯერ ყვაოდა — შობისა და აღდგომის დროს.

სხვა გადმოცემის მიხედვით, იოსებ არიმათიელმა აქვე ამოზრდილი ტირიფისაგან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე ააგო გლასტონბერის ტაძარი, ეს ტირიფიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მდგარა ამ ადგილას და ასევე უდიდეს სიწმინდედ ითვლებოდა. წმინდა იოსების სახელთანაა დაკავშირებული გლასტონბერის უძველესი ხატის ისტორიაც, რომელსაც მართლმადიდებლებიც მიაგებენ პატივს.

ქრისტიანი და მუსლიმი ლიდერები რელიგიური დევნის წინააღმდეგ ერთობლივად ილაშქრებენ

ქრისტიანთა და მუსლიმთა სულიერი ლიდერები ამზადებენ ერთობლივ დოკუმენტს ერაყში ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართულ ტერაქტებთან დაკავშირებით. დოკუმენტის მომზადებაში აქტიურად არიან ჩართულნი კილიკიის სომეხთა კათოლიკოსი არმენ I (ლიბანი) და ლიბანის მუფტი, შეიხი მუჰამედ რაშიდ კაბანი.

დოკუმენტის შექმნის ინიციატორი ლიბანის მთავარი მუფტი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ სამომავლოდ იგი აპირებს ერთობლივი აქციის დეტალების განხილვას ისლამური სამყაროს ლიდერებთან, მათ შორის, ეგვიპტის, საუდის არაბეთისა და სხვა მუსლიმური ქვეყნების სულიერ წინამძღოლებთან. მან ერაყში შექმნილ მდგომარეობასა და ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოვლენილ აგრესიას ბარბაროსობა უწოდა. „საუკუნეების განავლობაში ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ქრისტიანები და მუსლიმები. ეს, რაც ახლა ხდება ერაყში, ყოველი ჩვენგანისათვის მიუღებელია“, — განაცხადა შეიხმა.

თავის მხრივ, კილიკიის სომეხთა კათოლიკოსიც მიესალმა ლიბანის სულიერი ლიდერის ინიციატივას, მოიწვიონ ქრისტიან და მუსლიმ სულიერ ლიდერთა კრება, რათა ამ გზით ხელი შეუწყონ დიალოგს რელიგიებს შორის და ერთობლივად ჩაერთონ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სომხეთის ეკლესია და განათლების სისტემა ოჯახის ინსტიტუტის სადარაჯოზე

სომხეთის სამოციქულო ეკლესია იწყებს ოჯახების დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოძღვრები სკოლებში შეხვდებიან მოსწავლეების მშობლებს და მასწავლებლებს, ისაუბრებენ ქრისტიანული ოჯახების გაჯანსაღების აუცილებლობის შესახებ. პროგრამა ამოქმედდება სრულიად სომხეთის კათოლიკოსის კურთხევით და განხორციელდება ეჩმიაძინის ქრისტიანული აღზრდის ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „მრგვალი მაგიდის“ მიერ. სამომავლოდ დაგეგმილია გრაფიკის შედგენა, რომლის მიხედვითაც მოძღვრები ესტუმრებიან სკოლებს და იქადაგებენ ოჯახის, როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელი და ჯანსაღი სისტემის, ასევე სომხეთის ეკლესიის სულიერი ფასეულობებისა და ოჯახური ტრადიციების დაცვის აუცილებლობის შესახებ. სკოლებსა და მშობლებს საგანგებოდ გადაეცემათ თემატური ლიტერატურაც.

პროგრამის განსახორციელებლად მოძღვრებმა ცოტა ხნის წინ უკვე დაასრულეს მომზადება. სემინარზე მეთოდოლოგიურ გაკვეთილებს სომხეთის სამოციქულო ეკლესიის იერარქები, სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატები, განათლების სამინისტროსა და ერევანში ნატოს ოფისის წარმომადგენლები ატარებდნენ. მომავალ სასწავლო წელს პროგრამა სრულად მოიცავს სომხეთის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პროექტი დაიწყო კილიკიის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოსმაც ლიბანში.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე 1867-1944

დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე 1867 წელს იმერეთში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. მამამისი — ლუკა იოსების ძე დოლაბერიძე — წლების განმავლობაში მედავითნედ მსახურობდა იმერეთის ეპარქიის სხვადასხვა სოფლებში; გარდაიცვალა 1907 წლის 11 თებერვალს; დასაფლავებულია სოფელ ზედა მაღლაკის სასაფლაოზე. დედა — ნატალია ლაზარეს ასული, დიასახლისი გახლდათ. მშვენიერი მოსაუბრე და მცოდნე ძველი ქართული მწერლობისა. ვასილის გარდა მან კიდევ სამი შვილი აღუზარდა ქვეყანას: მელიტონი, დომენტი და ნიმფადორა.

1881 წელს ვასილი მამამ სასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც 1885 წელს წარჩინებით დაამთავრა. სწავლის გასაგრძელებლად მან თბილისს მიაშურა. სემინარიაში სწავლის პერიოდი მას აღწერილი აქვს თავის მოგონებებში, რომელშიც მეტად საინტერესო ფაქტებია მოყვანილი: *„1885 წელს სწავლა დავამთავრე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და იმავე წელს გავემგზავრე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად. დავდექი მთაწმინდაში. აქ ვიქირავეთ ოთხმა ამხანაგმა ერთი დიდი ოთახი და ვცხოვრობდით ღარიბულად. სახლის პატრონთან დგას ვინმე გ., რომელიც სემინარიიდან გამოურიცხავთ რაღაც დანაშაულისათვის და გიმნაზიისათვის ემზადება. ის ხშირად შემოდის ჩვენთან და გვესაუბრება სემინარიის შესახებ*

და რაც შეიძლება მუქი ფერებით გვისურათებს მის ყოფაცხოვრებას. ეს ცოტა არ იყოს, ვერ ახდენს ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ მაინც ინერციულად განვაგრძობთ სემინარიაში სწავლას. ღვთის მადლით, ამ ბინაზე დარჩენა დიდხანს არ მომიხდა. იმავე წლის 6 ოქტომბერს მიმიღეს სახელმწიფო ხარჯზე და გადავბარგდი კიდეც სემინარიის პანსიონში საცხოვრებლად. თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ ძლიერ უხერხულად ვგრძნობ თავს, რადგან სულ უცნობ ატმოსფეროში ამოვრგე თავი. ყველანი და ყოველივე აქ ჩემთვის უცხოა, ამიტომ ისე ვეფეთები, როგორც ცხონებული ბაბუაჩემის კიჟორა ხარი. მაგრამ ადამიანი ხომ ისეთი არსებაა, რომ ყოველგვარ გარემოებასა და მდგომარეობას ეგუება და მეც შევეგუე ჩემს ახალ ცხოვრებას. ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ გ-ს გამანადგურებელ პროპაგანდას მაინც დავაღწიე თავი, მაგრამ თურმე, ნუ იტყვი, სულ ტყვილად! არ გაუვლია ბევრ ხანს, რომ გ-ს მაგივრად ათი ამეტუზა წინ, იობის ეშმაკებივით და რას არ ჩამჩურჩულებდნენ, რა აზრებს არ მინერგავდნენ თავში.

ამ მდგომარეობაში მაისმაც მოატანა და დაიწყო გამოცდები. გამოცდა გვაქვს რუსულ სიტყვიერებაში. დილის ცხრა საათზე კლასში სიტყვიერების მასწავლებელი თემას გვაძლევს, თვითონ გადის. მისი ადგილი წესრიგის დასაცავად სხვა მასწავლებელმა დაიკავა. შეუდექით მუშაობას და ერთ განამაწიაში ვართ. როგორც გეზელაკიანი მიმინო, ისე დაგეტრიალებს თავს მეთვალყურე. ამ ჭაპანწყვეტაში რომ ვართ და უცბათ საშინელი კივილი მოგვესმა. გავიხედეთ — ჩვენს პირდაპირ აივანზე, თავისი ბინის წინ, რექტორისათვის ვიღაცას წაუვლია თმაში ხელი და შიშველ ხანჯალს უსობს ხერხივით წაღუნულ კისერზე. ამის დანახვაზე ავიშალენით და შეიქმნა ერთი განგაში. მყისვე გაჩნდა პოლიცია, პროკურატურა და მთელი ადგილობრივი მთავრობა ფეხზე დადგა. მკვლელი იქვე შეიპყრეს, თავისი ხანჯლით. რექტორი შეიტანეს თავის ბინაში და სულ რამოდენიმე წუთში დალია სული. მკვლელი აღმოჩნდა სემინარიის ყოფილი შეგირდი ლაღიაშვილი, ობოლი, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა თურმე, მაგრამ იმის გამო, რომ მას უნახეს ბელინსკის თხზულება, დაითხოვეს ის სემინარიის მესამე კლასიდან „მგლის მოწმობით“, ე. ი. ყოფაქცევაში ერთის ნიშნით. მან წლის განმავლობაში ბევრი იხეტიალა, მაგრამ სასწავლებელში არსად არ მიიღეს და არც სამსახური მისცეს. ჩავარდა საცოდავი უმწეო მდგომარეობაში, უნუგეშობამ მოიცვა მისი არსება, დაეცა სულით და სასოწარკვეთილმა განიზრახა შურისძიება, რაც აღასრულა კიდეც“.

(თუ რა ბედი ეწია სტუდენტ ლაღიაშვილს, მკითხველმა კარგად უწყის: იგი შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, საიდანაც ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი ამერიკაში გაიქცა, სადაც აღესრულა კიდეც).

1891 წელს ვასილმა თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა და აპირებდა სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ უსახ[illegible] რობის გამო, ეს ოცნება ვერ განახორციელა. იგი იმერეთში დაბრუნდა და საეკლესიო ცხოვრების ფერხულში ჩაება. ამავე წელს დაქორწინდა სოფიო ყარამანის ასულზე, რომელთანაც ხუთი შვილი ეყოლა: ოლიმპია, თამარი, ნიკოლოზი, ნინო და მარიამი.

1892 წლის 11 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ვასილი ქუთაისის სასაფლაოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში დიაკვნად აკურთხა და იქვე დაადგინა მსახურებისთვის. ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა. 1892-1894 წლებში მღვდელი ვასილი ამ ტაძართან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად მუშაობდა. ამასთან დაკავშირებით, ისევ მამა ვასილ დოლაბერიძეს მოვუსმინოთ: „ახლა კი გადავ[illegible] ვიტე ისევ ძველის გზით სიარული და მღვდლობას მოვკიდე ხელი. ვფიქრობ, ამ მცირე სწავლით და ადგილით მაინც ვემსახურო ქვეყანას. ქვეყანა კი ია და ვარდით ფიანდაზად მოფენილი მგონია და ადამიანები კი — ანგელოზები. მართალია, ერთი-ორი ყაჩაღი აწუხებს ხალხს, მაგრამ თუ ესენიც მოისპენ, მერე ანგელოზების მეტი აღარავინ იქნება ქვეყნად. ასეთი იდეალებით და ოცნებებით გაჟღენთილს ხალხის სამსახური მწყურია. მარტო საეკლესიო სამსახურიც არ მაკმაყოფილებს, მინდა რეალურს, ცოცხალ რამ საქმესაც მოვკიდო ხელი, რომ რაიმე ნაყოფი გამოვაღებინო ჩემს მეორე ცოდნას. ამიტომ დავაარსე სამრევლო სკოლა, მალე მას საკუთარი შენობაც ავუგე და შევუდექი ბავშვების სწავლების საქმეს“.

1895 წლის 14 თებერვალს ეკლესიაში ერთგული და მუყაითი სამსახურისათვის მეუფე გაბრიელმა იგი საგვერდულით დააჯილდოვა. 1896-1899 წლებში მამა ვასილი მთავარანგელოზთა ტაძართან არსებული სამრევლო სკოლის გამგეა. 1898 წლის 30 მარტს სკუფია ეწყალობა. 1895-1911 წლებში იყო იმერეთის საეპარქიო რევიზიის კომიტეტის წევრი. 1897 წელს მისი ხელმძღვანელობით მოხდა ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის ახალი სამრევლო სკოლის შენო-

ბის აგება. 1902 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს. 1893-1907 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის წევრად აირჩიეს, სადაც 1903 წლის 3 თებერვალს უსასყიდლო სამსახურისათვის წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1907 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1908 წელს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების 49-ე კრებას თავმჯდომარეობდა. 1911 წლის 5 მარტს ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად გადაიყვანეს. 1912 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1915-1917 წლებში იმერეთის სამოსწავლო საბჭოს წევრი და ხაზინდარი იყო.

მრავალი წლის განმავლობაში დეკანოზი ვასილი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში იმჟამ[illegible] გამომავალ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან. აქვეყნებდა მასში თავის მოსაზრებებს საეპარქიო სასწავლებლების უკეთესად მოწყობის შესახებ, ქართულ გალობაზე, სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. გაზეთებში ქვეყნდებოდა მისი ქადაგებები ამა თუ იმ საკითხზე. ერთ-ერთი ასეთი ქადაგება წარმოთქვა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, 1915 წლის 2 აგვისტოს, ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო: „წარსულზე ფიქრი მაწუხებს, აწმყოში არა ჰყრია რა და მომავლის ფიქრებიც არავინ გამიზიარა“, — ასე მოსთქვამდა, ასე შესტიროდა ცას და ქვეყანას სამშობლო ქვეყნის ბედის შისახებ ის, ვისაც დღეს მშობელი ერი [illegible]ს დაქვითინებს, ვისაც დღეს ქართველი ხალხი თავს დასტირის და უკანასკნელად ესალმება.

ვაჟას აწუხებდა სამშობლოს წარსული დიდების დაკარგვა, შიშს ჰგვრიდა მისი დღევანდელი მდგომარეობა, მოსვენებას არ აძლევდნენ, აღელვებდენ მომავლის შესახებ უიმედო ფიქრები. ასეთი იყო ამ ერთ საუკუნის განმავლობაში ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა სულიერი ტანჯვა, სულიერი მდგომარეობა! ჯერ კიდევ წარსული საუკუნის დასაწყისში ამავე სევდით გამსჭვალული ჩვენი დიდებული მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი, „უგზო-უკვლო“ მქროლავ მერანზე მჯდომი, თავგამოდებით ებრძვის ქართველი ერის ბედის უკუღმა ტრიალს, მაგრამ ამაოდ: „არსაიდან ხმა არსით ძახილი!“ და მარტოდ მარტო, ობლად შთენილი ისე მოკვდა, რომ ფიქრები ფიქრებათვე შთენილნი თან ჩაიყოლა საფლავში. მხოლოდ მესამოცე წლებში ისმის პასუხი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს და აღსდგება“-ო, არ გასულა ამის შემდეგ ბევრი ხანი და ვაჟას „მთის წყაროც“ საშინელ სიზმარს ნახულობს: ვითომც ის გვალვისაგან დამშრალიყო, თანაც მიწამ პირი უყო და უნდა უფსკრულში დაღუპულიყო, გამოიღვიძა და შიშის კანკალმა აიტანა. ამ დროს ირემი მიდის და მის ანკარა წყალს დაეწაფა, დალია და გაძღა. მაშინ კი გულდამშვიდებულმა სთქვა: „არ ვარ გამშრალი, არაო!“ მართლაც, არ გამშრალა და არც დაიშრიტება ჯერ ქართველი ერის სიცოცხლე. არ გამშრალა და არც გაშრება ქართველის სისხლი, მინამ თავის დანიშნულებას, თავის მიზანს არ მიაღწევს. ჯერ იმდენათ არ გატეხილა ქართველის გული, რომ ვერ შესძლოს ბედშავ ცხოვრებასთან ბრძოლა. ის კიდევ შესძლებს წარსულის მომავალთან გადაბმა-გადაჯაჭვას, კიდევ შესძლებს თავის მომავლის ბედის გამოჭედვას, კიდევ დაეწაფება საქართველოს მომავალ ანკარა ცხოვრებას. ამის უტყუარ ნიშნებს კიდეც ვხედავთ დღეს ჩვენს ცხოვრებაში. ქართველი უკვე შეუდგა თვითმოქმედების განახლებას. დღეს ქართველობა, თუ ლხინში არა, ჭირში მაინც ერთად, შეთანხმებულად მოქმედებს იმ ვიწრო ფარგალში, რომელშიაც ის მომწყვდეულა დღეს. ის უკვე ამის უნარს იჩენს. გაიხსენეთ დამშეულ მოძმეთა შესახებ ერთსულოვანი ზრუნვა, წყალდიდობისგან დაზარალებულ მოძმეთადმი თანაგრძნობა და ხელის გაწყობა, ომისაგან დაზარალებულ მოძმე აჭარლების დახმარება, სპარსეთსა და ოსმალეთში გადახვეწილ ქართველთა საშველად ხელის გაწევა, ქართველ მართლმადიდებელ, კათოლიკეთ, გრიგორიანთ, მაჰმადიანთ და ებრაელთა გარსშემოკრება, გაერთიანება, შეკავშირება, ჩვენ ვაჟკაცთა მამაპაპური მამაცობა ბრძოლის ველზე, ჩვენი კოლექტიური მუშაობა, კულტურული საქმიანობა ამ ბოლო დროს, გაიხსენეთ ყველა ესენი და დარწმუნდებით, რომ ვაჟას „მთის წყარო“ არ დამშრალა, არა, არა!

მაგრამ თვით ვაჟა კი გაშრა, თვით ვაჟა დასჭკნა, ვით სუსხისაგან დამძრალი ძვირფასი სურნელოვანი ყვავილი. მართალია, ის დასჭკნა, მაგრამ მისგან მოფენილი ღვთიური მადლი, მისგან შთენილი სურნელება კი უკვდავია, ვით საქართველო. მის უკვდავ ფესვებზე დღეს ამოდიან სხვა ახალი, მისივე მოდგმის ყვავილები და მის სამშობლო ქვეყანას გულის დამაამებელ და ყნოსის დამატკბობელ სურნელებას არ მოაკლებენ.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ის მოკვდა მაშინ, როცა თვითონ ქართველმა ერმა გაუზიარა მას იმედიანი მომავლის არა მარტო ფიქრები, არამედ საქმენიც. მით უფრო მწარე იყო მისთვის სიკვდილი და იმდენად მწარე, რომ სიკვდილის დროსაც კი გულხელი ვერვის დაუკრეფინებია და ვერც თვალები დაუხუჭვინებია მისთვის. კიდევ უნდოდა ჩვენთან ყოფნა, ჩვენთან საქმიანობა და ნასაქმით დატკბობა! მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა თავისი გაიტანა და ჩვენმა ბუმბერაზმა ბუნება-სამშობლომ ის გულში ჩაიხუტა, მისი უკვდავი სული ქართველის სულს დაეკონა დღეს. მისი უდროო სიკვდილის გამო:

„ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემანჭვის მთვარესა,

მთანი თავ-ჩაჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა".

1916 წლის 6 მაისს დეკანოზი ვასილი წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. დიდი სიხარულით შეხვდა იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და აქტიურ მონაწილეობდა თბილისში, 1917 წლის სექტემბერში გამართულ პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. 1919 წლის 2 ოქტომბერს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) მამა ვასილი ქუთაისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაადგინა და ეკლესიაში ერთგული და ხანგრძლივი სამსახურისათვის ენქერით დააჯილდოვა. 1919-1921 წლებში იმერეთის საეპარქიო სასამართლოში მომხსენებელ წევრად მუშაობდა. 1921 წელს აირჩიეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის III საეკლესიო კრების გელათის მონასტერში მომწყობი კომისიის წევრად.

ჯვრის ჩამოგდება ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან

1921 წლის თებერვლის გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში მძიმე ვითარება შეიქმნა. უღმერთო ხელისუფლება მასიურად კეტავდა ტაძრებს და სასულიერო პირების მიმართ მკაცრ ზეწოლას ახორციელებდა. მძიმე ვითარება იყო იმერეთის ეპარქიაში. მამა ვასილი თავის მოგონებებში წერს: *„1923 წლის 14 იანვარს, ძველი სტილით, დაატყვევეს პირველად მიტროპოლიტი ნაზარი. 14 იანვარს 26 იანვარი მოჰყვა და გაიმართა საკათედრო ტაძრის დღესასწაული. თუმცა მიტროპოლიტი არ არის, მაგრამ ღამისთევით ლოცვა მაინც დიდის ზეიმით გადავიხადეთ. ხალხი ბევრია. ბევრია აგრეთვე მუშარითა და უწყებებით დაბარებული მუშა-მოსამსახურეები ჩვენს პირდაპირ „ინტერნაციონალის" კლუბში და რალაც ამბავი აქვთ. გავათავე ლოცვა და სახლისაკენ გავეშურე. ამ დროს „ინტერნაციონალშიც" გათავებულა მათი „ლოცვა" და რამოდენიმე ქალი და კაცი მომეწიენ გზაში და ერთი პირის ხოკნითა და წუწუნით მომვარდნენ და შემომჩივლეს, თუ როგორ ძალმომრეობით დაადგინეს მათ, რომ სობორო (იგულისხმება საკათედრო ტაძარი) დაიკეტოს, რადგანაც, ვითომც მისი ზარების რეკვა მუშაობას უშლიდეს და დავით და კონსტანტინეს ნეშტიც უნდა გადმოტანილ იქმნეს ქუთაისშიო. თუმცა იკითხეს, თუ ვინა ხართ წინააღმდეგიო, მაგრამ, აბა ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას; თუმცა ერთმა მუშამ მაინც წამოიწყო საწინააღმდეგო ლაპარაკი, მაგრამ მაშინვე ჩააჩუმეს და გამოაცხადეს კიდეც: წინადადება ერთხმად მიღებულია და კრება დახურეს. ესევე კომედია ითამაშეს თურმე იმავე დროს ქალაქის თეატრშიც.*

მეორე დღეს ზეიმითვე გადავიხადეთ წირვაც და სალამოს მატარებლით მოვკურცხლე კიდეც თბილისისაკენ. თბილისში პირველად, თუმცა „დომაშნი არესტი" ჰქონდა კათოლიკოზს ამბროსის, მაგრამ მაინც მოვახერხე მისი ნახვა. კათოლიკოზს მოვახსენე ჩემი თბილისში ჩასვლის მიზეზი და დიდადაც დაინტერესდა ამ საქმით და მიბრძანა, ყოველდღე მომეხსენებინა ხოლმე მისთვის მთავრობაში ამ საქმის მსვლელობის ვითარება".

მიუხედავად სამღვდელოებისა და მრევლის დიდი წინააღმდეგობისა, ტაძარი მაინც დ[ა]კეტა. ეს მოხდა 1923 წლის 6 აპრილს, ტაძარი დაბეჭდეს და წირვა-ლოცვა აკრძალეს. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. მამა ვასილი იძულებული გახდა, ცოლ-შვილთან ერთად, დროებით სოფელში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც რამდენიმე თვე დაჰყო.

1924 წლის 29 მარტს ციხიდან გაათავისუფლეს მიტროპოლიტი ნაზარი, რომელიც მაშინვე ქუთაისში დაბრუნდა. მან შემოიკრიბა გაფანტული სამღვდელოება და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ეპარქიაში საეკლესიო ცხოვრების აღდ[გ]ნას. მრევლის თხოვნით, 19[2]4 წლის 1 აგვისტოს მეუფე ნაზარი, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, სოფელ როდიონულის ეკლესიის საკურთხებლად ჩავიდა. მწუხრის ლოცვის შემდეგ მრევლის ბინაში მივიდნენ მოსასვენებლად. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიტროპოლიტი ნაზარი და სასულიერო პირები, ვითომდა, აჯანყების მოწყობის მცდელობის საფუძველზე, დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში გადაიყვანა. მათ შორის იყო დეკანოზი ვასილი, რომელიც დახვრეტას შემთხვევით გადაურჩა.

1924 წლის 3 დეკემბერს დეკანოზი ვასილი ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1926 წლის 12 სექტემბერს საფიჩხიის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში გადაიყვანეს, სადაც ძლიერ მატერიალურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა. 1935 წლის 21 აგვისტოს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა (ჭელიძე) იგი ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. ამავე წლის 23 ნოემბერს, ტაძრის დღესასწაულზე, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ დეკანოზი ვასილი მიტრით დააჯილდოვა.

1935 წლის 10 ნოემბერს, როდესაც გარდაიცვალა

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი სვიმონი (ჭელიძე), დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატეს (ცინცაძე) დავალებით, სახლში ესტუმრა პენსიაზე მყოფ ეპისკოპოს ნესტორს (ყუბანეიშვილი) და სთხოვა, სათავეში ჩადგომოდა ქუთაის-გაენათის ეპარქიას, მაგრამ მეუფე ნესტორმა უარი განაცხადა სიბერისა და უძლურების გამო.

დეკანოზი ვასილი მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად

1937-1938 წლებში ქვეყანაში დაწყებულმა ახალმა რეპრესიებმა დიდი ძალებით შეუტია სამღვდელოებას. მათ დააკისრეს დიდი გადასახადები, რომლის გადახდის შესაძლებლობა მოძღვრებს არ გააჩნდათ. მამა ვასილის სახელზეც მივიდა ქვითარი, სადაც ეწერა, რომ იგი დაბეგრილია 11 984 მანეთითა და 64 კაპიკით. გადაუხდელობის შემთხვევაში ტაძრის დაკეტვით იმუქრებოდნენ. კვლავ მამა ვასილის მოგონებებს მოვუსმინოთ: *„1940 წლის 1 ივლისს მივედით მე და ჩემი მედავითნე, მღვდელი გიორგი ჯაში ფინგანში, დაპირებისამებრ, განცხადებებით სამსახურისათვის თავის დანებების შესახებ. გვითხრეს, ჯერ დათხოვნის ქაღალდი შემოიტანეთო. შევიტანეთ. მერე გვითხრეს, ჯერ ეკლესიას ჩავიბარებთო. ჩაიბარეს. ესე გვაწვალეს თვის ბოლომდე. ბოლოს ინსპექტორმა გოგისვანიძემ, როგორც იქნა წამოღერღა: კი, თავი ქე დაანებე სამსახურს, მარაო... მარაო... იძახის. რა ვქნა, არ ვიცი, რა მარაო უნდა-თქო — ვიფიქრე და კიდევ წამოღერღა: ანაფორაო.... რაი, რაი მეთქი?! და ავენთე: ვინ მოგცა შენ ჩემთვის ანაფორის გაძრობის უფლება-მეთქი! ხელი დაადევი, რომელ კოდექსში გიწერია, რომ ანაფორის ტარება არ შეიძლებოდეს და თუ შენი მოვალეობა არ გესმის, მე გასწავლი: მდიე უკან და, თუ მღვდელმოქმედებას შევასრულებ და შემოსავალი მექნება, შენი პროცენტები აიღე-მეთქი. გავშორდი და არც მივკარებივარ მას მერე“*. ამ საოცარი მოგონებებიდან კარგად ჩანს, თუ რა საშინელ და აუტანელ პირობებში უხდებოდა ღვთისმსახურება მაშინდელ სამღვდელოებას და რა უმძიმესი წლები გამოიარა დედაეკლესიამ ათეისტურ ეპოქაში.

მრავალგზის დაშინებისა და აკრძალვის მიუხედავად, მამა ვასილი მაინც უშიშრად განაგრძობდა მღვდელმსახურებას. ამდენმა ნერვიულობამ და დევნა-შევიწროებამ მისი ფიზიკური ჯანმრთელობაც შეარყია. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა. 1944 წლის 11 დეკემბერს მან მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. დასაფლავებულია ქუთაისში, ოღასკურის სასაფლაოზე, ტაძრის მახლობლად.

ქართული სიწმინდეები

გელათის ოთხთავი

გელათური ბიბლია XI საუკუნით თარიღდება. მისი სახელწოდება იმით აიხსენება, რომ ენობრივად იგი გელათის სკოლას მიეკუთვნება. ხელნაწერის მთარგმნელ-რედაქტორის ვინაობასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო წრეებში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. კორნელი კეკელიძის აზრით, გელათის ბიბლიის მთარგმნელი შეიძლება იოანე პეტრიწი იყოს; სხვა მოსაზრებით, იოანე პეტრიწი ალბათ უფრო რედაქტორი უნდა ყოფილიყო და გელათური ბიბლია არის უძველესი თარგმანის საფუძვლიანი გადამუშავების შედეგად მიღებული ახალი რედაქცია. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ გელათის ხელნაწერის ენობრივ-სტილისტური მონაცემების მიხედვით, გელათური ბიბლიის რედაქტორ-მთარგმნელი არსენ იყალთოელი ან მისი ჯგუფიდან გამოსული რომელიმე ოსტატი უნდა იყოს. ზოგიც მას ბერძნულიდან შესრულებულ ახალ თარგმანად მიიჩნევს, რომელშიც უძველესი თარგმანი მხოლოდ საკონტროლოდაა გამოყენებული.

სხვა კრებულებისაგან განსხვავებით, გელათურ ბიბლიას თან ერთვის განმარტებები, ე.წ. კატენები, რის გამოც მას „კატენებიან ბიბლიასაც“ უწოდებენ. ბიბლიას განსაკუთრებულობას სწორედ კატენებში წარმოდგენილი ქრისტოლოგიური კომენტარების ავტორთა სახელები სძენს, რომელთა შორის ქრისტიანული სამყაროს ისეთი დიდი მოღვაწეები არიან,

როგორებიცაა: კირილე ალექსანდრიელი, თეოდორიტე კვირელი, ორიგენე, ევსევი კესარიელი, სევეროზ ანტიოქელი, იოანე ოქროპირი, ოლიმპიოდორე, დიოდორე ტარსელი, ირინეოს ლიონელი, ისიდორე პელუსიელი, ბასილი კესარიელი, დიდიმე ალექსანდრიელი.

გელათის ბიბლიაში წარმოდგენილია XII საუკუნეში ბერძნული სეპტუაგინტის მიხედვით ნათარგმნი და გასწორებული ტექსტები. კერძოდ, გელათის ბიბლიის კრებულებსა და ხელნაწერში შესულია: მოსეს ხუთწიგნეული, წიგნი ისუ ნავესი, მსაჯულთა და მეფეთა და ასევე დიდი და მცირე წინასწარმეტყველები ესიას წიგნიდა დაწყებული (დანიელის გარდა).

გელათის ბიბლია 1 მ სიმაღლის ეტრატზეა დაწერილი, სულ 412 გვერდს მოიცავს და 30 კგ-ს იწონის; ვერცხლის ყდით მოჭედილი და

ძვირფასი ქვებით შემკული გელათის ოთხთავი დასურათებულია ფურცლოვანი ოქროს ფონზე შესრულებული 267 მინიატურით. ხელნაწერში გამოყენებულია ოქრო-მელანი და სხვა ფერები. აღსანიშნავია, რომ ოქრო-მელანზე მუშაობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მასზე ხელი მარტოოდენ წარჩინებულებს მიუწვდებოდათ.

გელათის ოთხთავი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქართული ხელნაწერების „ფონდში“.

„ფონდი“ ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაა. საეკლესიო მუზეუმი დაარსდა 1889 წელს, ქალაქ თბილისში, ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი ივსებოდა შენაძენებისა და კერძო შემოწირულობების ხარჯზე. ამჟამად ფონდი მოიცავს 1 690 ხელნაწერს.

ფონდში დაცული ხელნაწერებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ზატიკი, სვანური მრავალთავი, ალავერდის ოთხთავი, გელათის ოთხთავი, ვანის ოთხთავი, ექვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი, ასტრონომიული ტრაქტატი, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება.

რუბრიკას უძღვება
მარიამ გაგუა

გარეკანზე ფოტო ირაკლი ტყემალაძისა

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგვალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კურესელიძე.
გაერცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი — ილორის ეკლესია

ვეს. ქურდებმა დამალვა სცადეს. ილორელებმა მიწაზე დასვენებული წმინდა გიორგის ერთი ხატი შენიშნეს, მეორე არსად ჩანდა. ქურდებს სროლა აუტეხეს. სროლაში რამდენიმე ავაზაკი მოკლეს, ერთი დაჭრილი კი, ცოცხლად შეიპყრეს. იქვე, შორიახლოს, წმინდა გიორგის მეორე, ვერცხლის ხატი ესვენა. ხატზე ვერცხლის ფირფიტის ნაწილი აეგლიჯათ, დარჩენილ ნაწილს კი დარტყმის კვალი ემჩნეოდა. დაჭრილმა უამბო, თუ როგორ აერიათ სიბნელეში გზა და მთაში წასვლის ნაცვლად ილორში დაბრუნდნენ. ალყაში მოქცეულებს ხატზე შურისძიება გადაუწყვეტიათ და ხატის განადგურება უცდიათ. მაგრამ ამ დროს სროლა ატყდა და პირველი ტყვიით ის მოკვდა, ვინც პირველმა დაარტყა ხატს.

ბრძოლით მოპოვებული ხატები კვლავ ილორის ტაძარში მიაბრძანეს. მთელი სოფელი შეკრებილიყო ტაძრის გზაზე და მუხლებზე დამხობილი მადლობას სწირავდა ძლევამოსილ გიორგის, რომელმაც თავისი ხატები ილორის ტაძარს დაუბრუნა.

დღეს ილორის ეს დიდებული ტაძარი კვლავ განსაცდელშია. ბაზილიკური ტიპის ეკლესიას თავზე უცხო არქიტექტურის გუმბათი დაადგეს! გარე ფასადი თეთრად გადაღებეს, თაღები კი წითლად შეაფერადეს. ტაძარს ასევე ქართული არქიტექტურისთვის უცხო რელიეფური ელემენტები დაურთეს. ამ ვანდალური აქტის თაობაზე საქართველომ ყველა საერთაშორისო კულტურულ ორგანიზაციას ამცნო. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმინდესმა კირილემ გააცხადა, რომ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მომხდარი მოვლენების გამოსაკვლევად რუსეთის საპატრიარქო საგანგებო ჯგუფს შექმნის. უწმინდესმა კირილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის საპატრიარქო „ყველაფერს გააკეთებს ილორის ეკლესიისთვის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად".

რამდენიმე წლის წინ რუსეთში ვიზიტით მყოფ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მოსკოველმა ქართველებმა ილორის წმინდა გიორგის ხატი გადასცეს. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა, რომ ილორის წმინდა გიორგი აფხაზეთშია და მისი ძალა და მადლი დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს; „ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველო დაეცემა, ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველო დანაწევრდება! წმინდა გიორგი, წმინდა ნინო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მფარველობენ ჩვენს ქვეყანას! და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სიწმინდე, — აი, ეს არის ქართველობა. მთელი საქართველო, — ეს არის უფლის წინაშე ანთებული სანთელი".

რუბრიკას უძღვება
მარიამ გაგუა

ფოტომატიანე

დეკანოზი გრიგოლ დავითაშვილი
1841-1888

დეკანოზი გრიგოლი 1841 წელს ქართლში, გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში, აზნაურ როსტომ გრიგოლის ძე დავითაშვილისა და სარა გიორგის ასულის ოჯახში დაიბადა. ოჯახში შემონახულია თავად გიორგი ამილახვარის მიერ როსტომ დავითაშვილის სახელზე 1847 წელს გაცემული ნასყიდობის სიგელი მიწის ორი ნაკვეთის მიყიდვის შესახებ. დავითაშვილების ოჯახი ახლოს იყო თავად ამილახვრებთან. ასევე არსებობს თავად გიორგი ამილახვარის შვილის — ბარძიმის მიერ მამა გრიგოლისათვის ბოძებული სიგელი, სადაც აღნიშნულია: ***„შენ ჩვენს საყვარელს, ერთგულს და საიმედოდ საგულვებელ ძმას გრიგოლს შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათ... მე და შენ ერთმანეთი გვიყვარდა, რომელსაც ღმერთი შემაძლებინებს შენზედ მარადის, გაბედნიეროს ღმერთმან ჩემს სიყვარულის და ერთგულებასა შინა არ მოგიშალოს ჩვენგან".***

გრიგოლი 8 წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა და მისი აღზრდა მამამ ითავა. პატარა გრიგოლმა დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. სემინარიის წარჩინებით დასრულების შემდეგ გრიგოლი მალევე დაოჯახდა. მისი მეუღლე გახლდათ მარიამ მდივნიშვილი. იგი ფრიად განათლებული პიროვნება გახლდათ, თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი". მამა გრიგოლს და მარიამს ჰყავ-

დათ შვიდი შვილი, სამი ვაჟი — ალექსანდრე, იოანე, ნიკოლოზი (მისი მეუღლე იყო ვალენტინა იშხნელი, დები იშხნელების უფროსი და) და ოთხი ასული. მათი უმცროსი ასული მელანია დავითაშვილი აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის გამო 1924 წლის 6 სექტემბერს დახვრიტეს ტირიფონას ველზე, სხვა ქართველ ახალმოწამეებთან ერთად.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გრიგოლი საქართველოს ეგზარქოს ევსევის (ილინსკი) მიერ იკურთხა ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი — მღვდლად და ოსეთის სასულიერო კომისიაში განამწესეს. იგი სოფელ ჯავის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და ამავე ოლქის მთავარხუცესობა დაეკისრა. ახალგაზრდა, მონდომებულმა და ენერგიით აღსავსე მოძღვარმა დიდი შემართებით დაიწყო მისიონერული მოღვაწეობა. წლების განმავლობაში მან მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო მას მრავალი ჯილდო გადასცეს, მათ შორის „სახარება", რომელიც ქრისტიანობის გავრცელების თვის ებოძა. ამ სახარებაზე მამა გრიგოლის ხელით ჩაწერილია ერთი საინტერესო ცნობა მიწისძვრის შესახებ. აი, ეს წარწერაც: ***„ჩყპა (1881) წელსა, აგვისტოს 12, შუადღის უკან, საათის ხუთის ნახევარზე იძრა მიწა. ჯავის ციხე ჩამოინგრა. მიწისძვრა განმეორდა შუაღამეს. 12-დან 13 აგვისტომდე მიწა იძრა შვიდჯერ".***

წლების განმავლობაში მამა გრიგოლი კეთილსინდისიერად აღასრულებდა თავის მოვალეობას საქართველოს მთიანეთში, სადაც საკუთარი მოღვაწეობითა და პატიოსანი მოძღვრობით ოსურ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ყოველივე ამის გამო მოძღვარს მრავალი მტერი გაუჩნდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჯავის ოლქის ერთ-ერთმა მღვდელმსახურმა „მთიული მღვდლის" ფსევდონიმით ცილისმწამებლური წერილი გამოაქვეყნა იმჟამინდელ პრესაში, სადაც იგი მამა გრიგოლს მრავალ ბრალდებას უყენებდა. წერილში ეწერა: ***„მე გახლავართ მღვდლად გორის მაზრაში, ჯავის საბლაღოჩინოში, სადაც გვყავს, ჩვენდა საუბედუროდ, ბლაღოჩინად მღვდელი გრიგოლ დავიდოვი. ჩვენ ვმსახურობთ ოსებში და ჯამაგირს გვიგზავნის „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება". ეს ჯამაგირი უნდა მივიღოთ ოთხ თვეში ერთხელ, მაგრამ რვა თვე გაიელის ხოლმე, რომ ვერაფერს ვღებულობთ. მეტი არაფერი შემოსავალი გვაქვს ამ მთის ხალხიდგან და არც ნება გვაქვს მთავრობისაგან, რომ ავიღოთ, ან ვინ მოგვცემს, რადგან თვითონაც ღარიბი ხალხია.***

საქართველოს ეგზარქოსი ევსევი (ილინსკი)

ბატონი ბლაღოჩინი გვაწვალებს, მინემ იმისგან მივიღებდეთ, სამი-ოთხი დღე იმის კარებზე უნდა ვიდგეთ და მემრე ბევრის გინების და ლანძღვის შემდეგ იქნება გველირსოს იმისაგან ჯამაგირის მიღება, ისე გვამუნათებს, თითქო თავის ჯიბიდან იძლეოდეს ის დალოცვილი. ახლა მამა ბლაღოჩინს ბატონ ეგზარხოსთან დაუბეზღებივართ, თავიანთ მრევლში არ დაიარებიანო და ცოლ-შვილი იქ არა ჰყავთო და ამიტომაც ჯამაგირს ნუ გამოუგზავნითო. აგერ ორ წელიწადზე მეტი გადის, რომ ბატონ ბლაღოჩინს მოუვიდა ფული სახლის გასაკეთებლად „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისაგან" იმათის მღვდლებისათვის, მაგრამ სად გააკეთა, ის ფული თვითონ მიირთვა და უფულოდ ვერაფერი გაკეთდა...

იქნება ბატონ ეგზარქოსმა მიაქციოს ყურადღება და დაგვიხსნას ამ ბლაღოჩინისაგან".

მამა გრიგოლმა იმავე გაზეთის ფურცლებზე საკადრისი პასუხი გასცა ფსევდონიმით შენილბულ ავტორს: ***„ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის №41-ში წავიკითხე საჩივარი ერთი მღვდლისა, რომელიც მრავალ ბრალდებას მიყენებს. ვსარგებლობ შემთხვევით და ხალხსა და საზოგადოებას მინდა ვაუწყო: ჯამაგირები რომ დროზედ არ მოსდით, მაგაში ეჭვი არ არის. მაგაზედ მე თვითონ მიჩივლია რამდენჯერმე ერთ ალაგსაცა და მეორე ალაგასაცა, მაგრამ რა ვქნა, ჩემი რა ბრალია!...***

სახლები არ გვივარგაო! მაშ, როგორ სცხოვრებდნენ იმ სახლებში, რომლებსაც ეხლა სწუნობენ, ადრინდელი პატივცემულნი მოღვაწენი?! ადრეც ბევრ მწუხარებას ითმენდნენ მთაში, მაგრად რადგან ესმოდათ თავიანთი სამღთო მოვალეობა, იმითი ყველას ითმენდნენ. თუ სახლებზედ არის საჩივარი, აბა, ერთი ჩემი სახლიცა ნახეთ, როგორია, ლამის ჭერი და კედლები თავზედ დაგვანგვეს, ზამთარში ცეცხლი ვერ დაგვინთია და ათი სული სიცივით ვიხოცებით.

როცა გველირსება ჯამაგირების მოსვლა, ბლაღოჩინი გვაწვალებსო. ვინა ვლანძღე, ვინ ვაწვალე, სამი დღე კარებზედ ვინ ვალოდინე, რატომ იმ პირს არ მიჩვენებს ეგ პატიოსანი მამა?

სახლების ასაშენებული ფულები მოუვიდა, ფული შეჭამა და სახლები კი არ აგვიშენაო, ეგეც ერთი აშკარა ტყუილი ავტორისა. როდის, ვისგან და ან რამდე-

ნი სახლების ასაშენებელი ფულები ან არქიერისაგან უნდა მიმელო ან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან, აბა, იკითხეთ ერთი — მართლა მაგ საგანზედ ფულები როდესმე გამომიგზავნეს?“

1883 წლიდან მღვდელი გრიგოლი მესხეთში, ქ. ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ამავე ოლქის მთავარხუცესად გადაიყვანეს. თურქეთის ტყვეობაში ძალით გამაჰმადიანებული ქართველებისთვის დიდი ბუგეში იყო გამოცდილი მოძღვრის მივლინება მათ კუთხეში. აქაც მან, თავისი ნიჭისა და ქადაგების წყალობით, მრავალი მონათლა და აზიარა ქრისტეს სარწმუნოებას. ამ საქმეში მამა გრიგოლს დიდი ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა სპარსეთში, რუსეთის საელჩოს კარის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა ევსევიმ (ცაბაძე), რომელიც პერიოდულად უგზავნიდა მას 150 მანეთს იმ განზრახვით, რომ დაესაჩუქრებინა ის მაჰმადიანი ქართველები, რომელნიც მოინათლნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე. მამა ევსევი თავის წერილში მამა გრიგოლს სწერდა: **„როგორც თქვენ დაინახოთ საუმჯობესოდ და საჭიროდ, ისე დაასაჩუქრეთ ხოლმე ახლად დანათლულნი და, როცა ამ საგანზედ ფული შემოგელევათ, მაცნობეთ და კიდევ მოგაწვდითო“**. თავის მხრივ, ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში 1884 წლის 18 ოქტომბერს წარმოთქმულ ქადაგებაში იგი აღნიშნავდა: *„გულითა და სულით ვისურვებთ, რომ ამ ჩინებულის, პატიოსანის მაგალითის მიმბაძავნი სხვანიც აღმოჩენილიყვნენ (გულისხმობს მამა ევსევის დახმარებას). ჩვენ ქვეყანაში ქართველთა ტომნი ხრმალის და ცეცხლის საშუალებით ათი ათასობით არიან მაჰმადიანთაგან მიქცეულნი მაჰმადიანთ სარწმუნოებაზე და მეცადინეობა მათის ისევ მართლმადიდებლობაზე მოქცევისათვის არის საღმრთო მოვალეობა ყველა ქრისტიანისა, რომელსაც კი უყვარს თვისი მამული და სარწმუნოება და არის ნამდვილი შვილი ქვეყნისა და ეკლესიისა.*

არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე)

ცხადია, რომ მაჰმადიანთ მოქცევა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე არის პირდაპირი მოვალეობა სამღვდელოებისა: მათ უნდა უქადაგონ, ჩააგონონ ქრისტეს წმინდა სარწმუნოება და დანათლონ. ჩვენ სრულიადაც არა ვართ იმ ჰაზრისა, რომ სამღვდელოება გარეშე მაყურებელივით იყოს, იმ დროს, როდესაც გარეშე პირნი ზრუნავენ მაჰმადიანთ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევას და მატერიალურად მათის ცხოვრების გაუმჯობესობას. ახლად დანათლულთ ცხოვრების ნივთიერად გაუმჯობესობას დიდი გავლენა ექნება მაჰმადიანთ მართლმადიდებელ სარწმუნიებისადმი მოქცევაზე და სასურველ ნაყოფსაც მოიტანს. სიტყვის გაგრძელებისა რომ არ გვეშინოდეს, რამდენსამე მაგალითს მოვიყვანდით იმის შესახებ, რომ ახლად დანათლულები, რადგანაც შიშისა გამო ველარ მიქცეულან საცხოვრებლად წინანდელ თავიანთ საზოგადოებაში და არც აქვთ მამული, რომ სხვაგან დასახლდენ და რადგანაც არა აქვთ შეძლე ბა, რომ ხელი მოიწყონ საცხოვრებლად, ეს ახლადდანათლულები კარი-კარს დადიან და მოწყალებას თხოულობენ. ამათი დამნახავი, რომელი მაჰმადიანიღა ისურვებს მონათვლას? ამის გამო, არამცთუ აღარავინ სურვობს მაჰმადიანთაგანი მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევას და იშვიათიღა არის, რომ მაჰმადიანი მოინათლოს, რომელნიც მოინათლნენ, იმათაც კი უსაყვედურებენ და ნიშნს უგებენ: „მოინათლენით და რა სარგებელი ნახეთო, კარი-კარს დაწანწალებთ და მოწყალებას თხოულობთო“...

აი, ეს უმთავრესი გარემოება უშლის ხელს სამღვდელოებას, აღასრულოს თავისი სამღრთო მოვალეობა და მოიყვანოს მაჰმადიანნი მართლმადიდებელ სარწმუნოებაზედ.

ამ დაბრკოლების ასაცილებლად უნდა ცდილობდეს, ვისაც ჰსურს, რომ გამრავლდეს მართლმადიდებელთ რიცხვი ჩვენს მხარეში და, მეტადრე, მართლმადიდებელი ქართველობა, რომელსაც იმდენნი მოაკლდენ უწინ, ჟამთა ვითარების გამო“.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გაითვალისწინა მღვდელ გრიგოლის ღვაწლი დედაეკლესიის წინაშე და ერთგული სამსახურისათვის მას დეკანოზის წოდება მიანიჭა.

განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით მოქმედებდა მამა გრიგოლი სამხრეთ საქართველოში მომძლავრებული სომხების წინააღმდეგ. 1828 წელს, ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების შემოერთების შემდეგ, გენერალ ვასილ ბებუთოვისა და რუსეთის იმპერიის მოხელეების აქტიურობის შედეგად, მოსახლეობის უმეტესობა სომხები იყვნენ. იმპერიამ ამ მხარეში 30 000 სომეხი ჩამოასახლა, რის შედეგადაც მათი

რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. მამა გრიგოლს, როგორც ამ ოლქის მთავარხუცესს, ევალებოდა წესრიგი დაემყარებინა მრევლში და არ დაეშვა რაიმე ზედმეტი გაუგებრობა. 1884 წელს ჟურნალ „მწყემსში“ დაიბეჭდა ანონიმი ავტორის ცილისმწამებლური წერილი, სადაც ეწერა: ***„პატივი მაქვს, თქვენის პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით ვაცნობო ახალციხის ბლაღოჩინს, მამა გრიგოლ დავიდოვს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს იმ ურიგო სომხების საქციელს, რომელთაგან ახალციხეში და მის მაზრაში მცხოვრებ ქართველთ დიდი დაბრკოლება ეძლევათ საფარის ღვთისმშობლის ტაძარში, ღამისთევის დროს. აქ ყოველწლივ საშინელი ჩხუბი იმართება ხოლმე სომეხთ და ქართველთ შორის. ამ ჩხუბს მრავალჯერ ხანჯლის ტრიალი მოჰყვება“...***

ბოლოს უცნობი ავტორი დარიგებას იძლევა: „მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამ უწესობის მოსპობას და დავანიშვნინოთ ხოლმე, ვისგანაც რიგია, ჩაფრები, ანუ გზირები მშვიდობიანობის დასაცველად“.

მამა გრიგოლმა საპასუხო წერილში ამხილა ანონიმი ავტორი და განუმარტა: ***„გულითად მადლობას განვუცხადებ პატივცემულ ავტორს რწმუნებულ ჩემდამო ეკლესიის კეთილ წარმატების თანაგრძნობისათვის. ამასთანავე, დიდად ვსწუხვარ, რომ ბატონ ავტორს აქამდინ არ შეუტყვია, რომ მე შარშანვე, 1883 წელსა, აგვისტოს 4-სა, №153-თა მივიქეცი ოფიციალურის ქაღალდით ბატონ ახალციხის მაზრის მმართველთან, რომელსაც ვთხოვდი, რომ დაენიშნა ჩაფრები მშვიდობიანობის დასაცველად საფარის ეკლესიისა და ვარძიის მონასტრის დღეობაზე 15-ს აგვისტოს, რადგან ამ დღესასწაულზე, ხალხის სიმრავლისა გამო, მართლა მოხდება ხოლმე ხანდისხან შფოთი. კეთილსულიერმა და ყოველად პატივცემულმა ბატონ ახალციხის მაზრის მმართველმა, რომელიც ფრიად მოყვარულია მშვიდობიანობისა და ცდილობს, რომ რწმუნებულ მისდამი მაზრაში მშვიდობიანობა სუფევდეს, მიაქცია ყურადღება ჩემს თხოვნას და დანიშნა, როგორც საფარის ეკლესიის, ისე ვარძიის მონასტრის დღეობაზე მშვიდობიანობის დასაცველად ჩაფრებიც, გზირებიც და ჩინოვნიკიც — თვალყურის სადევნელად. ამის გამო, როგორც საფარაში, ისე ვარძიაში, ამ ეკლესიების დღეობას წარსულს 1883 წელსა არავითარი უწესობა არ მომხადარა და პატივცემული ავტორი ტყუილათ შიშობს“.***

დეკანოზი გრიგოლ დავითაშვილი

დეკანოზი გრიგოლი 1888 წლის 14 ნოემბერს, 47 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. დეკანოზი დავით ღამბაშიძე მისი გარდაცვალების შესახებ თავის ჟურნალ „მწყემსში“ წერდა: ***„ჩვენ გვაცნობებენ, რომ გარდაიცვალა ქ. ახალციხის საკრებულო სობოროს დეკანოზი, ბლაღოჩინი მამა გრიგოლ დავიდოვი. მამა დავიდოვი აგერ თითქმის 25 წელიწადი იქნება, რაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა მართლმადიდებელ ქრისტიანობის გავრცელებისათვის კავკასიაში. განსაკუთრებით, განსვენებულმა ბევრი იშრომა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა გაევრცელებია მთიულ ოსებს შორის“.***

დეკანოზი გრიგოლი დიდი პატივით დაასაფლავეს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ეკლესიაში, ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ . კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაერცელება: ცაგო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.